

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

---

ხელნაწერთა ინსტიტუტი

იოანე მოსხო

# ლიმონარი

ტექსტი გამოკვლეულია და ლექსიკონით გამოსცა  
ილია აბულაძემ



## წინასიტყვაობა

იოანე მოსხის სახელთან დაკავშირებული ერთადერთი ნაწარმოები, რომელიც ქართულ ენაზე სრულად მხოლოდ ეხლა ქვეყნდება, მრავალმხრივ არის საინტერესო. უპირველეს ყოვლისა, იგი საყურადღებოა ქართული ენის თვალსაზრისით: აღნიშნული ნაწარმოები დაუცავს ადრინდელი ხანის (X ს-ის) ხელნაწერებს, რომელნიც მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენენ ჩვენი ენის ისტორიის გასათვალისწინებლად. ამას გარდა მოსხის ნაწარმოები („ლიზონარი“) საგულისხმოა ქართული ლიტერატურის ისტორიისათვისაც, რადგან ეს ძეგლი, რომელიც ჩვენი მწერლობის ადრინდელ პერიოდს ეკუთვნის, თავისი ხასიათით წარმოადგენს ნოველური ჟანრის უადრინდელეს ნიმუშს. ქართული მეცნიერების ინტერესი ამ ნაწარმოებისადმი იმითაც არის გაცხობველებული, რომ ის დაცულია არა მარტო ქართულ ენაზე, არამედ უცხოურებზედაც, რომლებთან მიმართება გამოაჩენს ქართულის სპეციფიკას, რასაც მნიშვნელობა ექნება როგორც მსოფლიო მწერლობის ისტორიისათვის, ისე ჩვენი ქვეყნის კულტურულ ურთიერთობათა ისტორიის ზოგიერთი საკირბოროტო საკითხის გარკვევისათვის.

ტექსტს სამი ხელნაწერის მიხედვით ვაქვეყნებთ. ეურთავთ მას ლექსიკონსა და შესავალს, რომელიც ისტორიულ-ლიტერატურული რიგის მთავარ საკითხებს ეხება. ზოგ მათგანზე პასუხი, რამდენადაც შეიძლებოდა, სათანადოდ გავეცით, ზოგზე მხოლოდ მოსაზრებაა გამოთქმული, რომელთა-სისწორეს ნათელს მოჰყენს შემდგომი კვლევა-ძიება.



## იოანე მოსხი და მისი „ლიმონარი“

### 1. იოანე მოსხის ნაწარმოები და მისი რაობა

იოანე მოსხს მიეწერება ერთი ნაწარმოები, რომელსაც ბერძნულად ეწოდება „ლიმონარი“—*λεμονάριον* ან „პარადიზი“—*παράδεισος*. პირველი აღნიშნავს „მდელს“, ხოლო მეორე ძველად ითარგმნებოდა „სამოთხედ“ ან „მტილად“, ე. ი. სასეირნო ადგილად ან ბაღად. ქართული ვერსიით მოსხის ნაწარმოებს „სამოთხე“ ჰქვია.

იოანე მოსხის ვინაობა და დაწვრილებითი თავგადასავალი სანდო ცნობების მოუღწევლობის გამო გარკვეული არაა. იციან მხოლოდ, რომ მას უმოღვაწია VI საუკუნის მეორე ნახევარსა და მეშვიდე საუკუნის პირველ მეოთხედში<sup>1</sup>; დაახლოებული პირი ყოფილა სოფრონ პალესტინელისა, რომელიც ერთხანს იერუსალიმის პატრიარქი იყო (634—638 წწ.); სხვადასხვა დროს დაუყვია საბას ლავრასა და სინაზე და უმოგზაურნია პალესტინას, ეგვიპტეს, სირიას, მცირე აზიას, კვიპროსსა და რომშიც. უმეტესად სოფრონ პალესტინელთან ერთად, რომელსაც „სულწერ შვილს“ ეძახის ხოლმე თავის ნაწარმოებში.

თუ რას წარმოადგენს „სამოთხე“, ამას ჩვენ მისი დასაწყისიდანვე, ასე ვთქვათ, წინასიტყვაობიდან ვიტყობთ. აქ ნათქვამია, რომ როგორც ბაღი სავსეა ხოლმე კაცთა გულის საწადელი ყვავილებით, ისე რომ მათით მხიარულება ენიჭება გამვლელებს, რომლებსაც შეაჩერებს ხოლმე მათი სიწითლე და მრავალფეროვნება, რაც ავსებს მათ საამო სუნით და ატკბობს ნაყოფთა გემოვნებით, ისე მოთხრობანი სულიერ მამათა შესახებ და მათი კეთილი საქმენი სასარგებლონი არიან სულის საცხოვრებ-

<sup>1</sup> 619 წ. გარდაიცვალა, სწერია K. Krumbacher-თან: *Geschichte der Byzantinischen Literatur*, II Auflage, München, 1897, გვ. 187.

622 წ. დებს გარდაცვალების თარიღად მ. ხიტრაცი, ბერძნულიდან მთარგმნელი ი. მოსხის ნაწარმოების: *Луг духовный, творение Иоанна Мосха*, перевод с греческого с подробными объяснительными примечаниями М. И. Хитрова, 1896, გვ. XIX.

ლად. ეს მამები შემკობილი იყვნენ სარწმუნოებით და მათ სათნოებათაგან მინდა მოვიწილო, ე. ი. მოვკრიფო, ვარდი და შეეკრა გვირგვინი შესამკობლად შენი თავისა (სწერს სოფრონს) და ყველა მორწმუნისა. „სამოთხე“ ეუწოდებ ამ წიგნს იმის გამო, რომ მასში იპოვება მაძიებელთათვის საჭირო სიკეთე, შეკრებილი ჩემ მიერ ქეშმარიტ ნათქვამთაგან სულთა სარგებლისათვისო.

ამრიგად, ავტორის თქმით, ეს წიგნი კრებულია რჩეულ სულისმარგებელ თხრობათა, რომლებიც ასახავენ ნამდვილ ამბებს, აღებულს წმინდა მამების ცხოვრებიდან.

კრებულში შემაჯავალ თხრობათა მიხედვით ეს წმინდა მამები უმეტესად ასკეტები არიან, ზოგჯერ დიდად ცნობილნი, რომელთა მარცხი თუ გამარჯვება სხვადასხვა შემთხვევის დროს ქვეყნად კრებულის შემდგენელს მოჰყავს მორწმუნეთა კუთხის სასწავლებლად და სათნო ცხოვრების სატარებლად.

მამათა საქმეების მომთხრობ ასეთ კრებულებს ძველ ქართულ მწერლობაში ზოგჯერ „მამათა ცხოვრება“ ეწოდება, ხოლო ბერძნულ-რომაულში—„პატერიკი“. სახელწოდების მიხედვით მოსალოდნელი იყო გვეფიქრა, რომ ამ კრებულში საუბარი იქნებოდა ამა თუ იმ პირის ცხოვრება-მოქალაქობის შესახებ, მაგრამ აქ საეკლესიო მოღვაწეების ცხოვრებათა მთლიანი წიგნები კი არ მოვეპოვება, არამედ მათი თავგადასავალის ცალკეული ეპიზოდები. მამათა და მოწესეთა შესახებ ნაამბობნი, ანუ თხრობანი, როგორც მათ ძველად ეძახდნენ, თვითმხილველი ავტორების კალამს კი არ ეკუთვნიან, არამედ ისეთ გამომთქმელთა ნაწარმოებებს წარმოადგენენ. რომლებიც უმთავრესად გადმოცემათა ლიტერატურულ დამუშავებას ეწევიან. სწორედ ასეთ სულისმარგებელ მოთხრობათა კრებულის უძველეს ნიმუშს წარმოადგენს იოანე მოსხის კრებული, რომელიც ზოგჯერ „სინის პატერიკად“ იწოდება ხოლმე სამეცნიერო ლიტერატურაში.

ლეგენდარული ხასიათის ასეთი თხრობანი, რომლებიც საბერძნონაზვნო ცხოვრების წარსამართავად არიან გამოთქმული, დიდად საინტერესო არიან თავისი ფორმით,—თხრობათა ნოველური სტილით. ეს გარემოება შეიქმნა მთავარი მიზეზი იმისა, რომ პატერიკების ნოველებსა და ლეგენდებს დაეწაფა აღორძინებისა და ახალი საუკუნეების მრავალი სახელგანთქმული მწერალი, რომლებიც უხვად იღებდნენ მათგან მათთვის საგულისხმოდ სიუჟეტებს<sup>2</sup>.

<sup>2</sup> А. С. Орлов, Древняя русская литература XI—XVI вв., М. Л., 1937, გვ. 40—43.

## 2. იოანე მოსხის ნაწარმოებზე ქართული ვერსია და მისი ნუსხები

ქართულ ხელნაწერთა შორის ჯერჯერობით ამ ნაწარმოების სამი ნუსხაა ცნობილი. ერთი იპოვება ათონს (№ 9), 977 წლისა, დანარჩენი ორი კი — სინას. უკანასკნელთაგან ერთია (№ 36) 925 წლისა, ხოლო მეორე (№ 68) XIII ს-ისაა ხელის მიხედვით<sup>2</sup>. საგულისხმოა, რომ ნაწარმოების ავტორად ქართული ნუსხებით სათურში მოხსენებულია იოანე, მოძღვარი, ე. ი. მასწავლებელი, სოფრონი იერუსალიმელი პატრიარქისა. სხვაგან, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ავტორობა ზოგჯერ სოფრონი პალესტინელს მიეწერება.

ნუსხების ერთმანეთთან შედარება აჩვენებს, რომ ისინი საერთო ერთ ნაწილთან ერთად განსხვავებულსაც საკმარისად გვიჩვენებენ. საერთოა ყველასათვის თხრობანი ანუ თავები, რომლებიც რაოდენობით 91/92-ია. ამის შემდეგ სინურ უძველეს ხელნაწერს, № 36-ს, დანართად არაფერი აქვს, ხოლო ათონის ნუსხას (№ 9-ს) დანართი მოეპოვება და ისიც მეტად საინტერესო წარწერით: „ესე თავები იპოვა კპრეს, ადგილსა, რომელსა ჰრქვან თეოდორ-ფო, მიმსგავსებელი სამოთხესა“. ამ სათაურიდან ნათლად ჩანს, რომ სამოთხედ იწოდება ყველა ნუსხის საერთო ნაწილი, — 91/92 თავი, და რომ დანამატი „სამოთხის“ თავები კი არაა, არამედ მიმსგავსებული სამოთხესა, ე. ი. სამოთხისებურად არის გაკეთებული. დანართი მოსხის ნაწარმოების ნახევარია მოცულობით.

დამატება მოეპოვება სინურ მეორე ნუსხასაც, № 68-ს. მისი დანართი განსხვავებულია ათონურისაგან. იგი, წინააღმდეგ ათონურისა, გამოყოფილად კი არაა დართული, არამედ უშუალოდ მისდევს ყველა ნუსხისათვის საერთო ნაწილს — ი. მოსხის 91/92 თავისაგან შემდგარ ნაწარმოებს, „სამოთხეს“. მოცულობით ის ათონურ დანართზე ნაკლებია, დაახლოებით მისი ორი მესამედი იქნება, ანუ ი. მოსხის „სამოთხის“ ერთი მესამედი.

სინური მეორე ნუსხა, რომელიც XIII საუკუნისად ითვლება, იმ ნაწილში, რაც მას საერთო აქვს სხვა ნუსხებთან, ტექსტობრივ სულ ზედმიწევნით არ მოდის მათთან. ეტყობა, გადამწერთა ხელში იგი შელახულა და ლაკუნებიც ბლომად დაჰყოლია. სინური

<sup>2</sup> Catalogue des manuscrits géorgiens littéraires du mont Sinaï, par Gérard Garitte, Louvain, 1956.

პირველი ნუსხა (ადრინდელი, 925 წლისა) და ათონური (977 წლისა) კი თითქმის ზედმიწევნით ხედებიან ურთიერთს, განსხვავება მათ შორის უმნიშვნელოა. რაც შეეხება გამართულობას ამათ შორის, ტექსტი ამ მხრით უკეთ ჩანს დაცული ათონურ ნუსხაში.

წინამდებარე გამოცემისათვის ეს უკანასკნელი ხელთა გვაქვს ილია ფანცულაიას გადმონაწერით, რომელიც შესრულებულია ათონს 1915 წელს. ამ გადმონაწერს ორთოგრაფიული შეცოდებანი მოეპოვება, რის გამო ამ მხრივ ჩვენ უფრო სინურს (№ 36-ს) მივსდევთ, რადგან მისი ზედმიწევნითი პირი ხელთ გვაქვს მიკროფილმის სახით, რომელიც ვაშინგტონიდან (კონგრესის ბიბლიოთეკიდან) მიიღო 1956 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურმა სამეცნიერო ბიბლიოთეკამ. საერთო ნაწილში, ე. ი. საკუთრივ ი. მოსხისად მისაჩნევი ნაწარმოების ფარგლებში, რომელიც 91/92 თხრობას შეიცავს, სინური მეორე ნუსხა, მისი ზემოთ აღნიშნული თვისების გამო, არ გამოვეყენებია.

იოანე მოსხის „სამოთხის“ ქართულ ტექსტს დავურთეთ დამატებად ათონური ნუსხის (№ 9-ის) გაგრძელება, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ. ძირითადი ტექსტიდან ხელნაწერში გამოცალკევებულია და საკუთარი სათაური მოეპოვება, სადაც სხვათა შორის იკითხება: „მისგავსებული სამოთხისაო“. ამ დანართს ილია ფანცულაიასვე გადმონაწერის მიხედვით ვაქვეყნებთ, მასაც, რასაკვირველია, აღდგენილი ორთოგრაფიით. სხვა დანართი, რომელიც სინურ მეორე ნუსხას (№ 68-ს) მოეპოვება, ზემოხსენებული მიკროფილმის მიხედვით იბეჭდება.

### 3. იოანე მოსხის ნაწარმოების ქართულ-ბერძნულ ვერსიათა წარმოშობის საკითხი

„სამოთხე“ ანუ „ლიმონარი“ (მდელი), როგორც თავშივე აღვნიშნეთ, ცნობილია ბერძნულ ენაზე. იგი თხრობათა თუ თავთა ოდენობით ქართულზე უფრო ვრცელია. მისი ბერძნული ნუსხები, ისე როგორც ქართულისაც, ერთნაირი მოცულობისა არაა, მეტნაკლებობა იქაც შეინიშნება. ამიტომ გამოცნობა იმისა, თუ რა არის საკუთრივ ი. მოსხისა და რა შეჰმატებია მას, უცხოურ მეცნიერებაშიც საძიებელი საგანია. ქართულის ჩვენებას, რომ აქ მოსხის ნაწარმოები 91/92 თხრობით იფარგლება, უსათუოდ უაღრესი მნიშვნელობა ენიჭება ი. მოსხის ნაწარმოების ადრინდელი სახისა და მოცულობის აღსადგენად.



ი. მოსხის შრომა პირველად ბერძნულ ენაზე ითვლება შექმნილად. აქედან მომდინარედ მიიჩნევენ ამ ნაწარმოების ლათინურს, ძველ რუსულსა და სხვა ვერსიებს. ქართული ვერსიაც ჩვეულებრივ ბერძნულიდან მომდინარედ ითვლება.

ი. მოსხის ვინაობის, ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ ბოლო ხანს ახალი შეხედულება გამოითქვა ჩვენში. პროფ. შ. ნუცუბიძემ თავის ერთ-ერთ რუსულად გამოცემულ ნაშრომში: „К происхождению греческого романа «Варлаам и Иоасаф» მოსხი მიიჩნია მესხად ანუ ქართველად, სიცოცხლის აღსასრულად 634 წელი დაუდო და მისი „სამოთხე“ შექმნილად გამოაცხადა პარალელურად ორ ენაზე: ბერძნულად და ქართულად, ოღონდ ჯერ ქართული და მერე ბერძნულია დაწერილიო. უკანასკნელი მოსაზრების შესაძრკიეებლად მკვლევარს ის მოჰყავს, რომ ადგი-ვატური არ არის ქართულ-ბერძნული ტექსტიო<sup>4</sup>.

„ბალავარიანის“ ბერძნულსა და მისგან მომდინარე სხვა წიგნებში რომ ავტორად მოხსენებული იოანეა, იგი პროფ. შ. ნუცუბიძეს „სამოთხის“ ავტორი ი. მოსხი ანუ ქართველი ჰგონია.

იოანე მოსხი რომ თითქოს „ბალავარიანის“ ავტორია, ეს ქართული „ბალავარის სიბრძნიდანაც“ უნდა დასტურდებოდესო, სახელდობრ, მისი დასაწყისის სიტყვებიდან, ლემით, სადაც „ბალავარიანის“ ზეხრობლად „ისაკ ძს სოფრონ პალესტინელისაჲ“ არის მოხსენებული, ძე იმ სოფრონისა, რომელიც სულიერი შეი-ლია იოანესი, «სამოთხის» ავტორისა და გამომთქმელისაო. ასეა გადებული ხიდი პროფ. შ. ნუცუბიძის მიერ „ბალავარიანისა“ და „ლიმონარს“ შორის: ესენი თითქოს ერთი ავტორის თხზულებანი იყვნენ, რასაც ვითომც უნდა ადასტურობდეს ბერძნულ-ქართული ტექსტები, კერძოდ მსგავსი ადგილები ამ ორი ნაწარმოებისა, რომლებიც VII ს-ის პირველ ნახევარშია გამოთქმული იოანე ქარ-თველის ანუ მოსხის მიერო.

გამოთქმულ მოსაზრებათა სისწორის მთავარ კრიტერიუმად საბოლოოდ ტექსტებია მოხმობილი. ისინი კი თავისი თვისებით შეექვსე-მეშვიდე საუკუნისა არიანო, ამტკიცებს პროფ. შ. ნუცუბი-

<sup>4</sup> Они писаны одним автором Иоанном Мосхом на обоих языках. Тексты никак не поддаются установлению в качестве перевода, либо с греческого на грузинский, либо наоборот. Они идут свободно, параллельно, причем то в одном, то в другом либо не хватает чего-либо, либо имеется нечто большее, чем в другом, образуя одно целое\* (გვ. 104).

ძე, რასაც თითქოს იმავე ხანის ერთ-ერთი ქართული ძეგლი — „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“ — უჭერდეს მხარს.

ამ მოსაზრებებს დასახელებულ ნაწარმოებთა ურთიერთდამოკიდებულების შესახებ იზიარება პროფ. ს. ყაუხჩიშვილი, რომელსაც თქმულის შესამტკიცებლად ზოგიერთი დამატებითი მასალა მოჰყავს ენობრივი რიგისა<sup>5</sup>.

ენახოთ ისინი უფრო ახლოს ცოტა ქვემოთ.

#### 4. ი. მოსხის „სამოთხის“ დამახასიათებელი ზოგიერთი ენობრივი მხარე და ამ ძეგლის წარმოშობის ხანა

ერთხელ უკვე გვქონდა სხვაგან საუბარი ქართული „ბალავარიანის“ რედაქციების აღმოცენების შესახებ. იქ ენობრივი ნიშნების მიხედვით იმას ვარკვევდით, თუ ორ ქართულ რედაქციათაგან რომელია ადრინდელი და რომელია გვიანდელი. ის, რაც პროფ. შ. ნუცუბიძეს და პროფ. ს. ყაუხჩიშვილს ადრინდელად მიაჩნდათ, ჩვენი მტკიცებით გვიანდელი აღმოჩნდა; ზაირკვა, რომ ჯერ ვრცელი ბალავარიანი შეიქმნა და მერე მისი გამოკრებით მოკლე ანუ „ბალავარის სიბრძნე“ ჩამოყალიბდა. დადგინდა ისიც, რომ არცერთი ქართული რედაქცია თავისი ენობრივი მაჩვენებლებით, პირველ რიგში ლექსიკისა და შემდეგ გრამატიკული წყობის მხრით, მე-7 საუკუნეს არ ეგუება, არამედ უფრო გვიანდელია, ყოველ შემთხვევაში, არა უადრესი IX—X სს-ისა<sup>6</sup>.

ეხლა თუ ამავე კუთხით (ეს კი სხვაზე უფრო სარწმუნოა) იოანე მოსხის ნაწარმოების ქართულ ვერსიას შევხედავთ, უნდა ვთქვათ, რომ იგი IX ს-ზე ადრინდელი ვერ იქნება (უძველესი ნუსხა, როგორც აღვნიშნეთ 925 წლისაა). ამის მოწმეა, როგორც ითქვა, პირველ რიგში, ძეგლის ლექსიკა, რომელშიც მსგავსად „ბალავარიანისა“ არაბული და ახალი სპარსული ენის სიტყვები მოიპოვება.

არაბული სიტყვები, რომლებიც საკუთრივ ი. მოსხის ნაწარმოებში („სამოთხის“ პირველ 91/92 თავში) გვხვდება, შემდეგია:

##### 1. ბ უ რ ნ უ ს - ი:

„არა აქუს მას სამოსელი საზამთროჲ. და იყიდა მან ბურნუსი ერთი და წარსცა იგი მას, რაჲთა შეიმოსოს“ (თავი წდ).

<sup>5</sup> ს. ყაუხჩიშვილი, მეშიდე საუკუნის ნოველისტი იოანე მოსხი: ცისკარი, № 1, 1958, გვ. 99—109.

<sup>6</sup> ბალავარიანის ქართული რედაქციები: «ძველი ქართული ენის ძეგლები 10», გამოსცა, გამოკლევა და ლექსიკონი დაურთო ილია აბუღაძემ, თბილისი, 1957, გვ. 019—048.

როგორც ამ ამონაწერიდან ჩანს, „ბურნუსი“ შინაარსით სამოსელია, ისიც საზამთრო. მოსახამის, გარეთ ჩასაცემელის მნიშვნელობით ეს სიტყვა დღესაც იხმარება არაბულში: برنس — „ბურნუს“.

2. დუქან-ი:

„მაშინ ბერნი იგი დასხდეს ერთკერძო დუქანსა“ (თავი კვ). დუქანი შემოსულია ჩვენს ენაში არაბულიდან, სადაც دكان — „დუქან“ აღნიშნავს დუქანს, მაღაზიას, სახელოსნოს<sup>7</sup>.

3. კოშკი:

„თავი თვისი შეაყენა ერთსა კოშკთაგანსა ქალაქისათა და არღარა გამოვიდა იგი დღეთა ცხორებისა მისისათა“ (თავი კვ).

კოშკი ქართულში არაბულიდან მომდინარეობს: كوشك — „ქუშკ“, სადაც ის აღნიშნავს პავილიონს, კიოსკს<sup>8</sup>.

4. შურტა:

„ჴმა ყო ძლიერად და შეკრბეს მომემნი და შურტანი, და იხილეს საკვრველი იგი“ (თავი ნთ).

შურტა არაბული ტერმინია: شرطى — „შურტიჲ“, გავრცელებული სპარსულში: شرط — „შურტა“, და, შესაძლოა, იქიდან შემოსული იყოს ქართულში. არაბულში ის აღნიშნავს პოლიციელს, ხოლო სპარსულში გვარდიასაც<sup>9</sup>.

5. ფუნდუკი:

„ვითარცა შემწუხრდა, შევიდეს ივინი ფუნდუკსა ერთსა დადგრომად მას შინა და განსუენებად სიცხისაგან“ (თავი კვ).

ფუნდუკი არაბული სიტყვაა فندك — „(ქ)უნდუკ“, რაც სასტუმროს აღნიშნავს<sup>10</sup>.

6. ჯერაკუმია, ჯერაკუმელ-ი:

„აღესრულა ოდესმე ერთი ძმათაგან ჯერაკუმელთაჲ“ (თავი ვ).

ჯერაკუმია არაბული ფორმაა ბერძნულიდან შესული γηροκομειον-ისა, როგორც ეს აკად. ნ. მარმა აღნიშნა მის მიერ

<sup>7</sup> ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის: 1. მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, თბილისი, 1946, გვ. 36.

<sup>8</sup> იქვე, გვ. 42—46.

<sup>9</sup> ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, თბილისი, 1907, გვ. 23—24. საბასთან ეს სიტყვა გვხვდება „შულტას“ ფორმით, რაც მისი აბსნიი „ჯიური“ ვოფილა.

<sup>10</sup> შდრ. ივ. ჯავახიშვილი, მასალები... გვ. გვ. 27, 28, 60—62.

გამოცემული ერთი ძველი ქართული ტექსტისათვის („წარტყუნვაჲ იერუსალჴმისაჲ“) წარმძღვანებულ გამოკვლევაში, სადაც იგი აღდგენს ამ ნაწარმოების არაბულიდან ნათარგმნობას<sup>11</sup>.

არაბული სიტყვების გვერდით ი. მოსხის ნაწარმოებში („სამოთხის“ პირველ 91/92 თხრობაში) ახალი სპარსულის სიტყვებიც მოიპოვება. ასეთებია:

1. დასტური, დასტურობა, სიდასტური:

„და შენ ქეშმარიტად უწყია, ვითარმედ ქელი ესე დასტური არს და მართალი?“ (თავი ე).

„რომელსა არა აქუს სიმტკიცე და არცა დასტურობაჲ ჩემ თანა“ (თავი უა).

„ქრისტემან დაგაჯეროს შენ და სხუათა ყოველთა სიდასტურე ჩემ გლახაკისა აღთქუმულისა მისთჴს“ (თავი პმ).

დასტური ახალი სპარსული სიტყვაა دستور — „დასთურ“, რაც სარწმუნოს, სანდოს აღნიშნავს.

2. მიზდი, მიზდება:

„მივიდეს ძმანი იგი ბიზინტიად და მიზდითა იქმოდეს მამსნებელთა თანა“ (თავი მთ).

„ორნივე მიზდებით იქმოდეს საქმესა, რაათა იზარდებოდინა“ (თავი მთ).

მიზდი ახალი სპარსული სიტყვაა: مز — „მუზდ“, რაც ქირას აღნიშნავს.

3. ხუარბალი, სახუარბლე:

„წარიღე ესე (ქარტაჲ) და დაქუალ ხუარბალსა შინა, რაათა ფერი იქციოს“ (თავი ე).

„იფქლი არღარა დაშთოვილ არს სახუარბლესა შინა“ (თავი კდ).

ხუარბალი ახალი სპარსული სიტყვაა خوار — „ხურბარ“, რაც ერთგვარ საქმელს აღნიშნავს.

ი. მოსხის ნაწარმოების ქართულ ვერსიაში სხვა ენებიდან შემოსული სიტყვებიც მოიპოვება, როგორც მაგალითად ბერძნულიდან, სომხურიდან და სირიულიდან, მაგრამ თუ მაინც საგანგებო ყურადღებას არაბულსა და ახალ სპარსულს ვაქცევთ, ეს იმით აიხსნება, რომ იგი კარგი საყრდენია ქართული ძველის აღმოცენების განსასაზღვრავად, ყოველ შემთხვევაში, იმის დასადგენად,

<sup>11</sup> Антиох Стратиг. Пленение Иерусалима персами в 614 г., грузинский текст исследовал, издал, перевел и арабское извлечение приложил Н. М а р р, СПб., 1909, стр. 12., შდრ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, მასალები... გვ. გვ. 22, 189.

თუ რა დროზე აღრე ვერ იქნება ხსენებული ძეგლი წარმოშობილი უსაბულოად.

არაბული ლექსიკა ფეხს იყიდებს ქართულში მას შემდეგ, რაც არაბულ სამყაროსთან ურთიერთობაში შევიდა ჩვენი ქვეყანა. ეს, როგორც ცნობილია, VII ს-ის შუა წლებიდან დაიწყო და ცხოველი გახდა უმთავრესად VIII ს-სა და მომდევნო საუკუნეებში. VIII—IX სს-ზე აღრე არაბიზმები ჩვენს ენაში საერთოდ შეუიღებელია, ისე როგორც რაიძე ნიშანწყალი ახალი სპარსულიადაც, რომელიც იმავე არაბობის აალო აღმოსავლეთში გამოჩენის შემდეგ არის წარმოქმნილი (VIII—IX სს-დან). ი. მოსხის ნაწარმოების ქართულ ვერსიაში, როგორც ვნახეთ, არაბიზმებიცა და სპარსიზმებიც შეიინიშნება. მათი არსებობა კი ეწინააღმდეგება მოსაზრებას, თითქოს ეს ძეგლი მე-7 საუკუნეში, ისიც მის პირველ ნახევარში აღმოცენებულ იყოს.

5. ი. მოსხის ნაწარმოების ქართულ-ბერძნული ვერსიების მიმართების საკითხი ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ამ ტექსტების ურთიერთმიმართების შესახებ შეგუშავებულია ახალი შეხედულება, რომელიც პროფ. შ. ნუცუბიძეს ეკუთვნის. პროფ. შ. ნუცუბიძის მტკიცებით, რაც ისტორიულ-კულტურულ ძიებასა და ტექსტებია შეჯერებაზეა დამყარებული, ბერძნული და ქართული ტექსტები ერთი ავტორის—იოანე მოსხის მიერაა დაწერილი VII საუკუნეში. ზოგიერთი განსივავება, რომლებიც ბერძნულსა და ქართულ ტექსტებს შორის შეიმჩნევა, იმით აიხსნება, რომ ერთი და იგივე ავტორი წერს ერთსა და იმავე ნაშრომს ორ სხვადასხვა ენაზე—მშობლიურსა და უცხოზე.

აქ დაწერილებით არ ვეხებით ამ შეხედულებას, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ზემოთხსენებული ჩვენი დაკვირვება ენობრივი ხასიათისა ამ მოსაზრებას მხარს არ უჭერს. აქვე დავსენთ იმასაც, რომ „ლიმონარის“ ქართულ ტექსტს ზოგჯერ ბერძნული სიტყვებისა და პირთა სახელების ისეთი ფორმებით ხმარებაც ახასიათებს, როგორიც არაბულში გვხვდება მხოლოდ. საზოგადო სახელთაგან ზემოთ ჯერაკუნშია გვქონდა დასახელებული, რომლის შესახებ აკად. ნ. მარი შემდეგს წერდა თავის გამოკვლევაში, რაც მან ანტიოქე სტრატისის ძველ ქართულ თარგმანს დაუთო: «*Διαξε* греческие или вообще поздне-греческие слова в грузинском тексте имеют арабское, в частности христианско-арабское обличье, так а) *ἰγρηαζομεῖον* «приют для престарелых» в грузин-

ской передаче нашего памятника звучит *ჯერაკუმბია...* т. е. с *д* (дж) вм. *г*, как в обычной и неизбежной его арабской транскрипции, иранской и в сохранившемся извлечении из арабской версии<sup>12</sup>.

საკუთარი სახელებიდან კი ასეთი სახის რამდენიმე სხვა ნიმუში გვაქვს დაცული ი. მოსხის ნაწარმოების ქართულ ვერსიაში:

1. ევარჯენე, ევარგენეა გვერდით (თავი კა).
2. ევლოჯი, მოსალოდნელი ევლოგის ნაცვლად (თავი პა,

3ბ).

3. ევსტრაჯი, მაგიერ ევსტრაგისა (თავი ა).
4. სერჯი, ნაცვლად სერგისა (თავი ოვ) და
5. ჯერასიმე, მოსალოდნელი გერასიმეს წილ (თავა ი, ია).

ასეთი მოვლენები კაცს ძალაუნებურად იმას ავარაუდებინებს, რომ ისინი შემთხვევითად არ ჩაითვალონ. პირიქით, საკითხს დაასმევინებს, ხომ არ არიან ისინი არაბული წყაროდან გადმოსული ქართულში? ირკვევა, რომ, მართლაც, არაბულ ენაზე კრებულებში თუ ცალკეც, შემონახული ყოფილა ი. მოსხის ნაწარმოები, რომელიც ზოგჯერ თურმე სოფრონი იერუსალიმელს მიეწერება, ი. მოსხის არაბული ვერსიაც სხვადასხვა მოცულობისა არსებულა და გავრცელებაც მას ქრისტიანულ არაბულ მწერლობაში. აგრეთვე დიდი ჰქონია<sup>13</sup>. ფაქტი, ი. მოსხის „სამოთხის“ არაბულ ენაზე ქრისტიან არაბთა შორის აღმოცენებისა, გვეუბნება, რომ ეს შესაძლებელი იქნებოდა არა უადრეს VIII—IX სს-ისა, რადგან ამ ხნიდან იწყება ამ ლიტერატურის გაშლა და სიცხოველე.

ი. მოსხის ნაწარმოების ქართულ ვერსიას რომ არაბიზმები ატყვია, როგორც ვთქვით, საკითხს სევამ იმის შესახებ, თუ რა დამოკიდებულება არსებობს ქართულსა და არაბულ ვერსიებს შორის. თუ დადასტურდება ის გარემოება, რომ ქართული არაბულიდან მოდის, რის ნიშნები თითქოს შემონახული გვაქვს ქართულ ვერსიაში, მაშინ ბერძნულ-ქართული ვერსიების ურთიერთდამოკიდებულების საკითხი სხვა გაშუქებას იპოვის და ყველა ის დაბრკალებს, რომლებიც დღეს ბერძნულისა და ქართულის მიმართების გზაზე აღიმართება, შეიძლება ადვილად მოიხსნას. ეს, მაშასადამე,

<sup>12</sup> Антиох Стратиг... 12.

<sup>13</sup> Graf G. Geschichte der christlichen arabischen Literatur, band I, 1944, Vatican, გვ. გვ. 380-383.

გამოსარკვევი და საძიებელი საკითხია, რომელიც დღემდის არ დასმულა. ამიერიდან, როგორც ვხედავთ, ყურადღება აქვთ უნდა წარიმართოს და ვიდრე არ გაირკვევა ი. მოსხის ნაწარმოების არაბულ-ქართული ვერსიების მიმართება, მანამ ბერძნულ ვერსიასთან მიმართების ნამდვილი სურათი ვერ დადგინდება და ვერც ის გახდება სარწმუნო, რომ ი. მოსხს ერთდროულად ეწეროს ორ ენაზე.

როგორი შედეგიც არ უნდა მოგვეცეს არაბულ-ქართული ვერსიების მიმართების ძიებამ, ერთი ამთავითვე ნათელია, რომ ქართული ვერსია მისი ზემორე აღნუსხული ენობრივი ნიშნებით VIII—IX ს.-ზე აღრინდელი ვერ იქნება.

ამ დებულებას წინააღმდეგობას ვერ უწევს პროფ. შ. ნუცუბიძის მიერ შეწყნარებული პ. ინგოროყვას ის მოსაზრება, რომლითაც „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“ თითქოს VII ს-ის პირველ ნახევარში იყოს დაწერილი, და ვერც მის მიერვე გაზიარებული აკად. კ. კეკელიძის დაკვირვება, რომლის თანახმად „ბალაღარის სიბრძნის“ ტექსტს მსგავსება ეტყობოდეს ზოგიერთი ენობრივი მოკლენის მხრით „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების“ ტექსტთან. და ეს იმიტომ, რომ უკანასკნელისათვის „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“, ისე როგორც „სიბრძნე ბალაღარისა“, ენობრივი თვისებით, გვიანდელი ხანის (X ს-ის) ნაწარმოებია და არა VII ს-ისა, როგორც ეს მიაჩნია პავლე ინგოროყვას, რომლის მტკიცებას ბასილი ზარზმელის ნაწარმოების ენა არც გრამატიკულად და არც ლექსიკურად არ ადასტურებს.

სწორი არ უნდა იყოს, ჩვენი აზრით, პროფ. ს. ყაუხჩიშვილიც, რომელსაც იოანე მოსხის ნაწარმოების ქართულ ვერსიაში მოუპოვებია თითქოს „საკმაო სიძველის მაჩვენებელი სიტყვები... განსაკუთრებით კი: მწუხარე...“ და სხვა, რომელთა მიხედვით ის ცდილობს მე-7 ს-ით შემოთარგლოს ასაკი ი. მოსხის ნაწარმოებისა, რაც, მისი აღიარებით, მხოლოდ ძირითად ნაწილში უნდა იყოს ორიგინალური ნაწარმოები<sup>14</sup>.

„მწუხარე“ თუ „განუჩემბიეს“ და სხვა სიტყვები, რომლებიც პროფ. ს. ყაუხჩიშვილს მოჰყავს „სამოთხის“ ქართული ვერსიის, სიძველის სამოწმოდ, ქართულ მწერლობაში ყოველთვის შეინიშნებოდა. მათ ვხვდებით როგორც V—VI სს-ის ტექსტებში, ისე მო-

<sup>14</sup> ს. ყაუხჩიშვილი ი, მეშვიდე საუკუნის ნოველიტი იოანე მოსხი: „ცისკარი“, 1958, № 1, გვ. 103.

მდევნოებშიც, თვით „ქართლის ცხოვრების“ ჩათვლით. ი. მოსხის ნაწარმოების ასაკის განსასაზღვრავად მსგავსი მასალა ბევრის არაფრის მომცემია.

ბერძნული სიტყვების გადმოცემაც ქართულ ვერსიაში, რომელიც თითქოს, ერთი მხრივ, იმას მოწმობდეს, რომ ი. მოსხის „ქართული ნოველების ერთი ძირითადი წყება ორიგინალური ქართულია“ და, მეორე მხრით კი, ბერძნულიდან ნათარგმნი ბერძნულივე „ლიბონარის“ მისედვით, აგრეთვე მყარ საფუძველს არის მოკლებული. „სტავროფილაქს“, „ნოსოკომელსა“ და „იპოდიმატას“ რომ ქართული ვერსიით „დეცტალარი“ „ჯერაკუმელი“ და „ცანდალი“ შეესატყვისება, ე. ი. კვლავ ბერძნული სიტყვები, უცილობლად ვერ გამოდგება იმის სამოწმოდ, რომ ქართული ტექსტი ბერძნულიდან არ იყოს მომდინარე, არამედ ის ორიგინალური წარმოშობისა ჩანდეს. ვერ გამოდგება, რადგან ბერძნულად შესაძლოა დღევანდელი ტექსტისაგან რამდენადმე ვარიანტულად განსხვავებული ტექსტი არსებულიყო და იქიდან მოდიოდა ქართული. მოყვანილ მაგალითთა შორის ერთი ისეთიცაა, რომ შეუძლია კიდევ მეტიც გვაფიქრებინოს: ხომ არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ „ნოსოკომელის“ ნაცვლად რომ „გეროკომელის“ არაბული ფორმაა დატული ქართულში „ჯერაკუმელის“ სახით, იგი ი. მოსხის ნაწარმოების არაბული გზით შემოსვლას მოწმობდეს ჩვენს მწერლობაში? ეს ისევე დასაშვებია, ვფიქრობ მეტი უფლებითაც, როგორც ის, რომ ი. მოსხის ნაწარმოები ქართულად იყო დაწერილი VII ს.-ში.

იოანე მოსხის ქართული ვერსიის არაბულიდან მომდინარეობის მანიშნებელი მომენტების აღნუსხვის შემდეგ გასაკვირველი აღარც ის დარჩებოდა, რომ ბერძნული „სკითოპოლისის“ ნაცვლად ქართულში ბესაა ნახმარი, რაც ებრაული „ბეთსას“ გადმოცემაა. აქაც ისაა საფიქრებელი, რომ ჩვენი ძველი შეიძლება არაბულიდან მომდინარედ მივიჩნიოთ და არა ორიგინალურად, მთლიანად თუ ნაწილობრივ, როგორც პროფ. შ. ნუცუბიძე (მთლიანად) და პროფ. ს. ყაუხჩიშვილი (ნაწილობრივ) გვისახავენ. ბერძნული გავლენის ის კვალი, რომელსაც პროფ. ს. ყაუხჩიშვილი შენიშნავს ქართულში, მაშინ არაბულით შემოსული აღმოჩნდებოდა და არა უშუალოდ ბერძნულით.

ამრიგად, იოანე მოსხის ნაწარმოების ქართული ვერსიის შესწავლისათვის ამ თხზულების მარტო ბერძნული ტექსტი კი არაა მოსახმობი, არამედ ამასთან ერთად აუცილებელია არაბუ-



ლიც, ცხადია, ამათ ჯერ ქართული ნუსხების შესწავლა და მათ მიხედვით გამართული ტექსტის გამოცემა უნდა უსწრებდეს წინ<sup>15</sup>.

#### 6. „ლიონარის“ გამოცხადი ძველ ქართულ მწერლობაში

იოანე მოსხის ნაწარმოები თავისი ადრინდელი დამატებითურთ, რომელიც ომეურს ანუ ათონურს ნუსხაშია დაცული, როგორც ირკვევა, გამოუბეჭდველი არ დარჩენილა ჩვენს მწერლობაში. ნისი ხმა ქართულ აგიოგრაფიაში ისმის.

ნაწარმოები, რომელიც ომეური ნუსხის (977 წლის ხელნაწერის) დამატების ერთი თხრობის გავლენის კვალს ატარებს, კოლაელ ყრმათა წამების წიგნია, რომელიც პ. ინგოროყვას შეხედულებით მე-4—6 საუკუნეებშია დაწერილი, რადგან აქ აღწერილია ის ხანა, როდესაც წარმართობა საქართველოში ჯერ კიდევ ძლიერი იყო და ნეტოქეობას უწევდა ქრისტიანობას<sup>16</sup>. იმის სამოწმოდ, რომ ეს ძველი ასეთი ადრინდელი ხანის ნაწარმოებია, მიათითებენ მასში აღწერილი ლიტურგიკული წესების სიმარტივესა და ისეთ მარტებზე, რომლებიც პირველყოფილი ქრისტიანობის ხანისათვის იყო დამახასიათებელი. ამასვე იმეორებს პ. ინგოროყვა<sup>17</sup>, თუმცა, იმ მკვლევართა აღუნიშვნელად (ნ. მარის, ივ. ჯავახიშვილსა და კ. კეკელიძისა), რომელთაც ადრე შეუნიშნავთ დასახელებული მოვლენები. მათი აზრით, ეს მოვლენები გადმოიწაშთის სახით არის შემორჩენილი გვიანდელი (IX ს-ის) რედაქციის ჩვენამდე მოღწეული მარტვილობის წიგნში.

<sup>15</sup> ამის საპირობებს პროფ. ს. ყაუხჩიშვილიც აღნიშნავს თავის ზემოთ დასახელებულ წერილში, რომელსაც საილუსტრაციოდ ურთავს ქართული „ლიონარის“ სულ ნოველას (თავს, თხრობას). საკუთრივ იოანესი ამ თხრობათაგან ნაბოლოდ ორია გამოქვეყნებული, დანარჩენი სამი დამატებათაგან არის აღებული: ორი სინურიდან XIII ს-ისა და ერთი ათონურიდან 977 წლისა. ტექსტი ნუხათა საერთო ნაწილიდან შეუჭვრებელია ერთიმეორესთან და მასთან ერთდგრაფიაც დაუცავია, ახლებურია მეტწილად [მდრ. წინამდებარე გამოცემის გვ. გვ. 132 (17 თ.), 89 (6 თ.), 131 (15 თ.), 13 (კვ თ.), 6 (გვ თ.) ს. ყაუხჩიშვილის გამოცემის გვ. გვ. 104-109, იხ. მეშვიდე საუკუნის ნოველისტი იოანე მოსხი: „ციცკარი“, 1958, № 1].

<sup>16</sup> პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბილისი, 1954, გვ 503.

<sup>17</sup> იქვე, გვ 504.

მღვდელთ-მსახურების წესთა სიმარტივე, რომელიც კოლაელთა მარტვილობის წიგნში შეინიშნება, ჩვენ ერთხელ, აგიოგრაფიული ძეგლების ჩვენებათა თანახმად, ძველის გადმონაშთად კი ვერ დავსახეთ, არამედ ლიტერატურულ წყაროდან მომდინარედ აღვიარეთ<sup>18</sup>. ეს ჩვენი მტკიცება ამჟამად კიდევ უფრო მყარი ხდება ახალი დამადასტურებელი ფაქტით, რომელიც ოშკური ანუ ათონური „სამოთხის“ დამატებაშია ერთ-ერთ თხრობად შესული.

აი ეს თხრობაც(23).—

„ქალაქსა შინა სოზონისასა ყრმანი მრავალნი ქრისტეანენი და ჰურიათანი ჰმწყსიდეს საცხოვართა მათთა, და იმღერდეს, ვითარცა ჩუეულებად არს ყრმათა ქრისტეანეთაჲ. და ყვნეს მათგანნი რომელნიმე ხუცად, რომელნიმე დიაკონად და რომელნიმე მოწესედ ეკლესიისად, და იქმოდეს რეცა თუ სახესა წმიდისა ეამისწირვისასა მიგუვებით.

„ხოლო ყრმაჲ ერთი ჰურიათაგანი მიუდღნ მათ და არა ჰნებავენ განშორებაჲ მათგან. ხოლო ყრმათა მათ ქრისტეანეთა განაძიან იგი და არა უტევებედ მათ თანა ვითარცა ჰურიასა. ხოლო იგი მისდევნ მათ კუალად და ეძიებნ, რაჲთა არა განეშოროს მათგან. და ჰრქუეს მას: უკუეთუ გნებავენ ჩუენ თანა ყოფის, მოვედ, რაჲთა მოგნათლოთ შენ. ხოლო მან შეიწყნარა ესე სიხარულით. და რომელნი იყვნეს ნათესავეთა მისთაგანნი, აყენებდეს მას ყოფად ამას. ხოლო უკუანაღსკენელ მიიყვანეს და დაადგინეს ყრმაჲ იგი კიდესა ზღუასასა და აღასრულეს მის ზედა წესი ნათლის-ღებისაჲ, ვითარცა ასწავა მათ ღმერთმან. და ნათელ-სცეს ზღუასა მას შინა სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა. და ერთმან მან ყრმათაგანმან მიიქუა იგი ნათლითა.

„და ესე საკვრველი იქმნა ნებითა ღმრთისაჲთა. ხოლო ყრმასა მას მიერთგან არლარა უნდა, რაჲთამცა მივიდა მშობელთა თუსთა თანა, არამედ ყრმათა თანა ქრისტეანეთა დაადგრის, და მივიდა მათ თანა წმიდასა ეკლესიასა ლოცვად.

„და ესე საქმე იქმნა განცხადებულად ყოველთა შორის. და ეძიებდეს მშობელნი ყრმისანი, რაჲთა წარიყვანესცა იგი.

<sup>18</sup> ილია აბულაძე, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX—X სს-ში, თბილისი, 1944, გვ. 069.

ხოლო ყრმასა მას არა უნდა მისლვად მათ თანა და არცა ქრისტიანენი მისცემდეს. ხოლო უკუანაძსკნელ მივიდეს მსაჯულისა, და ბრძანა, რაჲთა მიეცეს ყრმაჲ იგი მშობელთა თჳსთა. ხოლო მათ წარიყვანეს მძღავერ სახედ თჳსა თჳნიერ ნებისა თჳსისა. მრავალი ღონე ყვეს და ვერ შეუძლეს დაყენებად მისა, რამეთუ ოდესმე სციან მას და ოდესმე ჰლიქნიდიან და ოდესმე დაჰადიმრიან. და ამას ყოველსა თანა ვერ შეუძლეს დაყენებაჲ მისი.

„მაშინ განცჳფრდა მამაჲ მისი და განიზრახა ზრახვაჲ ჰუროიებრი...“

[მერმე მოთხრობილია, თუ როგორ ტანჯვას აყენებენ ამ ქაბუქს. ტანჯვა-წამების სურათი სხვადასხვანაირია ძეგლებში. ბოლო კი კვლავ მსგავსია]:

„ხოლო ქრისტიანეთა წარიყვანეს ყრმაჲ იგი უშიშად და კმა-ყვეს ნათლის-ღებაჲ იგი ყრმათაჲ საკჳრველისა მისთჳს საკჳრველებათაჲსა, არამედ სცხეს ჴას წმიდაჲ მირონი და შეკმოსეს მას სამოსელი სპეტაკი და მიიყვანეს მათ თანა ეკლესიასა ღწრთისასა და ადიდებდეს ღმერთსა“.

სურათის საერთო მსგავსებასთან ერთად მოცემულ ძეგლებს რამდენადმე განსხვავებაჲ ახასიათებს. კოლაელ ყრმათა წამებაში თუ ყრმები ქრისტიანებად და წარმართებად არიან გამოყვანილი, „სამოთხის“ დანართის თხრობაში ქრისტიანენი და ურიებია ერთად დროს გამტარებულნი. პირველთან თუ წარმართი ყრმები მოიხიბლებიან ქრისტეს მსახურებით, მეორესთან ერთი ურიის ყრმაჲ მართო ასეთი. ნათლისღება ერთგან მდინარის კიდეს სრულდება, ხოლო მეორეგან ზღვისპირს. მაგრამ განსხვავება დეტალებშია მხოლოდ. შინაარსობლივი შეხვედრა დიდია ორივესთან. ამასთან ორივე ნაწარმოებს ფრაზეოლოგიური სიახლოვეც ახასიათებს. ერთი სიტყვით, კაცი რომ კითხულობს „სამოთხის“ დანართის თხრობას, ძალაუნებურად კოლაელ ყრმათა წამების სურათი წარმოუდგება თვალწინ.

არ ვიცი, რა დროისაა ეს დანართი. იგი 977 წლის ხელნაწერში მოიპოვება დამატებად ი. მოსხის საკუთარი შრომისა, რომელიც VII საუკუნეშია აღმოცენებული ბერძნულად. „სამოთხის“ ქართულ ვერსიას, როგორც აღვნიშნეთ, ბერძნულთან შეიძლება არაბული ვერსია აკავშირებდეს, რაც IX ს-ზე ადრე ვერ განხორციელდებოდა. ეს კავშირი რომ თუნდ უშუალოც აღმოჩნდეს ბერძნულთან, ქართული ვერსიის ენა თავისი არაბიზმებითა და ახალი სპარსულის გავლენით ამ ძეგლს დასახელებულ ხანას მიაკუთვნებ-

და შაინცი: მე-9 ს-ზე აღრინდელი „ლიმონარის“ ქართული ვერსია ვერ იქნებოდა. ი. მოსხის ამ ნაწარმოების ქართული დანართი კი, რომელიც 977 წლის ნუსხაში მოიპოვება და აგრეთვე უცხო წყაროდან ვადმოთარგმნილი უნდა იყოს, მე-9 საუკუნის დასაბამაა და მომდევნოს პირველ ნახევარს შორის უნდა მოთავსდეს, რაც კოლაელ ყრმათა წამების წიგნის წარმოშობისათვის ჩვენ მიერ მიჩნეულ თარიღს (არა უადრეს IX ს-ის შუა წლებსა) არ ეწინააღმდეგება. რამდენადაც ასეთ ხანს წარმოშობილ კოლაელთა წამების წიგნში „სამოთხის“ დანართის ზემორე მოყვანილი თსრობის კვალი შეინიშნება, იმდენად ამ ძეგლის („სამოთხის“). აღმოცენების თარიღი უფრო შეზღუდული ხდება, ის, დაახლოებით, IX ს-ის პირველ ნახევარზე მოდის.

PS. „სამოთხის“ ქართული ვერსიის წყაროს გამოძიების მიზნით, მას შემდეგ, რაც ქართულ ტექსტში არაბიზმები შევნიშნეთ, ყურადღება მივაპყარით არაბულ ვერსიას. მისი სრული ტექსტის მოსაპოვებლად მივმართეთ ვატიკანის ბიბლიოთეკას, სადაც გ. გრაფის „ქრისტიანული არაბული ლიტერატურის ისტორიის“ I წიგნის თანახმად, დაცულია „სამოთხის“ (გამოკრებილისა თუ სრულის) ნუსხები. პასუხად თხოვნისა, მოეწოდებინათ სრული „სამოთხის“ ხელნაწერის მიკროფილმი, მივალეთ ჯორჯი ლევი დელა ვიდას უახლესი ხანის ნაშრომი იოანე მოსხის შრომის არაბული ვერსიის შესახებ (*Giorgio Levi Della Vida, Sulla versione araba di Giovanni Mosco e di pseudo-Anastasio Sinaita secondo alcuni codici Vaticani*), სადაც საუბარია ამ ძეგლის ვატიკანურისა და ზოგიერთი სხვა კოლექციის ნუსხათა ურთიერთთან მიმართებაზე. ავტორი თავის წინანდელ შეხედულებას, რომ ზოგიერთი კატალოგის ჩვენების თანახმად, თითქოს უნდა არსებობდეს იოანე მოსხის „ლიმონარის“ სრული არაბული რედაქცია, მნიშვნელოვნად განსხვავებული ბერძნულისაგან, ესლა, რაც ახლო გასცნობია ზოგიერთ ნუსხებს, იცულის და ჰგონია, რომ სრული თარგმანი ბერძნული ტექსტისა განხილულ ნუსხებში არ მოიპოვება და საერთოდ ასეთი არც უნდა არსებულებოდა.

როგორც სხვა წყაროთი ირკვევა, იტალიელი მკვლევრის მოყვანილი ახალი შეხედულება სწორი არაა. ბელგიელი ორიენტალისტის, ცნობილი ქართველოლოგის ე. გარითის დახმარებით ხელთა გვაქვს X ს-ის სინურ ხელნაწერთა კოლექციის

ერთი ისეთი არაბული ნუსხა (მიკროფილმი), რომელიც იოანე მოსხის ნაწარმოებს («სამოთხესა — «ბუსთანს») შეიცავს (Sin. № 549)<sup>1</sup>.

იოანე მოსხის ნაწარმოების ეს ნუსხა სრული არაა. მას ბოლო აკლია. წყდება 105-ე თბრობის დაუშთავრებელ წინადადებაზე: სინური ნუსხა, როგორც პირველი, ზედაპირული გაცნობით ჩანს, თბრობათა თანმიმდევრობის მხრით არც ქართულსა და არც ბერძნულს არ უდგას გვერდით, ასე რომ იგი თავისებურ რედაქციას წარმოადგენს, რომელიც სოფრონს მიეწერება. არის ის ერთადერთი, თუ არაბულად კიდევ სხვებიც არსებობენ, ეს კვლავ მოსაკითხავია. ის კატალოგები და ცნობარები, რომლებიც სინას არაბულ კოლექციას შეეხება, ასეთი იეგლის არსებობის ვარაუდს შესაძლებლად მიგვაჩნევენებს.

მიუხედავთ იმისა, რომ ხელთ ნაკლულევანი ტექსტი გვაქვს „სამოთხის“ არაბული ვერსიისა, მისი და ქართული რედაქციის ზოგიერთი საგულისხმო ადგილის წინასწარი შეგვრება ურთიერთთან არკვევს, რომ ისინი ზოგჯერ ახლო დამოკიდებულებაში არიან ერთმანეთთან. ასე მაგ., ქართული „ლიმონარის“ 37-ე თბრობის ერთი სიტყვა, — „დევეტლარი“ — ნაწარმი ბერძნული „სტატროფილაქსის“ ნაცვლად, არაბულშიც ასეთი სახით მოიპოვება. „დევეტარი — اراطر“<sup>2</sup>, რასაც თან ახლავს განმარტება: „საფლავის (იგულისხმება ქრისტეს სამარის) განგებელი, რომელიც ჯვარს იცავს“.

ხვდებიან სწორად ორივე ტექსტს დაწერილობანი პირთა სახელებისა, რომლებიც ზემოთ მოვიხსენიეთ, როგორც შემცველნი არაბიზირებული ბერძნული „გ“-ისა: „ველოჯი — اهل“<sup>3</sup>, „ვესტრაჯი — اسطرحو“<sup>4</sup>, „ევარჯენე — اورجانيس“<sup>5</sup> და სხვ<sup>6</sup>.

„ლიმონარის“ ქართული ვერსიის ზოგი საკუთარი სახელის ფორმა არაბულს ემხრობა და არა ბერძნულს. ასე მაგ., 38 თბრობაში მოხსენებულია პირი, სახელად „ლულიანე“ (ბერძნულში ამის შესაბამისად „იულიანეა“, ხოლო არაბულში لوليان), რაც ასეთი სახით იმას მოწმობს, რომ ის არაბულიდანაა გადმოღებული.

<sup>1</sup> ამ ნუსხის მიკროფილმის მოწოდებისათვის პროფ. ე. გარითის ფორმულა მადლობას მოვასხენებ.

<sup>2</sup> ეს წინასწარი დაკვირვებანი არაბულსა და ქართულ „სამოთხეზე“ ეკუთვნის საქართველოს მეცნ. აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის მეცნ. თანამშრომელს რუსუდან გვარამიას, რომელიც ქართული „სამოთხის“ არაბულ „ბუსთანთან“ მიმართებას საკანგებოდ სწავლობს.

ზემოთქმულიდან ნათლად ჩანს, რომ ქართული „ლიმონარის“ წარმოქმნის საკითხის გასარკვევად აუცილებელია გვერდს უდგეს ქართულს ბერძნულთან ერთად არაბული „ბუსთან—ლიმონარიც“, რომლის ნუსხები, როგორც სამეცნიერო ლიტერატურის გათვალისწინება მოწმობს, ერთმანეთთან დამოკიდებულების მხრით ნაკლებად ყოფილან შესწავლილი.

#### ტექსტისათვის

წინამდებარე გამოცემის ტექსტი სამი ხელნაწერის მიხედვით ქვეყნდება. ნაწარმოების ძირითადი ნაწილი, რომელიც „ლიმონარის“ ნუსხათათვის საერთოა, პირველ 91/92 თხრობას შეიცავს. ეს ნაწილი სინური უძველესი ნუსხისა (გამოცემაში S-ით წარმოდგენილისა) და ოშკური ნუსხის პირის (გამოცემაში A-თი აღნიშნულის) მიხედვით იბეჭდება. ორთოგრაფია აქ ძირითადად S-ისა არის გატარებული.

„ლიმონარის“ ამ ძირითად ნაწილს, ერთიმეორისაგან განსხვავებული გაგრძელება მოეპოვება ორ ნუსხაში: გვიანდელი ხანის სინურსა (C-სა) და ოშკურში (A-ში). ცხადია ამიტომ, რომ ისინი გამოცემაში დამატებულ თითო ნუსხის მიხედვით არიან წარმოდგენილი. ამდენად მათი ორთოგრაფიაც შემცველი ნუსხების თანახმად არის ასახული.

S ნუსხაში ხშირად ასოს დაკლება და ზოგჯერ მარცვლის მოკვეცაც კი შეინიშნება. ისინი გამოცემაში ან სხვა ნუსხების მიხედვით, ანდა ჩვენი ვარაუდით, კავებშია [ ] ჩასმული.

ფრჩხილებში ( ) ხელნაწერთა ფურცლებისა თუ გვერდების სათვალავია მოთავსებული.

თხრობათა სათვალავი, ხელნაწერთა მიხედვით, ქართული ასოებით არის მოცემული გამოცემაში. მათ გვერდით ფრჩხილებში ( ) ჩასმული ციფრები ბერძნული „ლიმონარის“ თხრობათა სათვალავს მიათითებს. ეს შეაბამისობანი კი ჩვენ პროფ. ე. გართის აღწერილობიდან ავიღეთ (Catalogue des manuscrits grecs de la bibliothèque impériale de Saint-Petersbourg, vol. 165, Louvain, 1956, გვ. გვ. 141—142; 212—213).

ქარაგმები გავსენით ისე, როგორც ეს უქარაგმოდ ნაწერ „ძლისპირებში“ მოეპოვება მე-IX ს-ის ჰიმნოგრაფს მიქაელ მოდრუკილს (S—425). ეს კი თითქმის ისეთივეა, როგორც „ძველი ქართული ენის ძეგლების“ გამოცემებისა. განსხვავება მხოლოდ „ყოვლად“ დაწერილობას ეხება, რაც ჩვენთან, მიქაელის მიხედვით, „ყოლად“ სახით არის გადმოცემული.

(222 r) ამას წიგნსა ეწოდების სამოთხე<sup>1</sup>, — რომელსა შინა წერილ არიან საქმენი და განგებანი წმიდათა მამათანი და ქრისტეს<sup>2</sup> მოუუარეთა დედათანი, რომელი აუწუებს ეოველთა სათნოებათა სარგებელად კაცთა და ბოროტის მოქმედთაგან, რომელთა არა ეძინოდა ღმრთისა, — აღწერა ამბა<sup>3</sup> იოვანე, მოძღუარმან სოფრონი იერუსალსმელ პატრიაქისამან.

საყუარელო<sup>4</sup>, ხილვად სამოთხისად ზაფხულის საესე არნ ყოელითა საწადელითა და გულის სათქუწელითა კაცთადათა, რამეთუ<sup>5</sup> განაცხრობნ თუალთა ხილვად ყუაველთა მისთა სიმეწამულისადა<sup>6</sup>, და თანაწარმავალთა დააყოვნებნ ხილვად მისი და მრავალფერებად ყუაველთა მისთა, და რამეთუ აღაესებნ საყნოსელთა სულნელებად მისი და განამხიარულებნ გონებასა ყნოსადა მისი და ტკბილად გემოვან ჰყოფნ პირსა გემოდა-ხილვად ნაყოფ(ვ)თა მისთა<sup>7</sup> და განანათლებნ გონებასა საშუებელი სანოვავეთა<sup>8</sup> მისთა.

ესრეთვე<sup>9</sup> შრომანი წმიდათა და სულიერთა მამათანი და სათნოებანი მათნი მრავალფერნი ჯერ-არიან მითხრობად, შვილო ჩემო სოფრონი, რომელთა შინა იპოვების მრავალი სარგებელი სულთა საცხორებელად, რომელნი-იგი შეენიერად ყუაოდეს ეამთა<sup>10</sup> ჩუნთა, ვითარცა ხმ თანაწარსადინელსა წყალთასა, რამეთუ მადლითა უფლისა ჩუნისა იესუ ქრისტესითა შემკობილ იყუნეს ყოელითა კეთილისა საქმითა და სარწმუნოებითა, რომელთაგან მნებაეს მოწილვად<sup>11</sup> ვარდი იგი სათნოებათა მათთა და შეთხზვად შენდა<sup>12</sup> გვრგვნი ყუაველთა მათგან დაუქნობელთა უხრწნელისა მის სამო-<sup>13</sup>თხისათა, რაათა მით გვრგვნოსან ვყო თავი შენი, შვილო ჩემო საყუარელო სოფრონი, და შენ მიერ თავნი ყოველთა მორწმუნეთანი. ამისთჳს უწოდე წიგნსა ამას სამოთხე, საშუებელთა მათთჳს

<sup>1</sup>~ სამოთხე ეწოდების A. <sup>2</sup> ქრისტეს A. <sup>3</sup> ანბა S. <sup>4</sup> საყუარელო A. <sup>5</sup>~ სიმეწამულისა ყუაველთა მისთა S. <sup>6</sup> სანოვავეთა S. <sup>7</sup> ესრეთვე S. <sup>8</sup> მონილვა A. <sup>9</sup> შენდა]—A.

სიხარულთა, რომელნი ამას შინა იპოვებიან მეძიებელთა მათთვის. და აწუ ქეშმარიტად<sup>1</sup> დაჯერებულ იყვენ საღმრთოთა ეგე სიყუარული შენი, შეილო ჩემო, რამეთუ შევეკრიბე ყოველი ესე თქუმული ქეშმარიტებით, რომელსა შინა არა არს იქვ. ვითარცა ფუტკარმან რაჲ შეკრიბის მრავალფერთა ყუავილთაგან სიტკბოებაჲ და შექმნის იგი გოლად ჭურჭელსა შინა ერთსა, ესრეთვე მე შევეკრიბენ მრავალფერნი ესე სათნოებანი წმიდათა მამათანი სულთა სარგებელისათვის და დაეწერენ წიგნსა ამას შინა<sup>2</sup>.

თავი ა (1). ბერი ვინმე მკვდრ იყო მონასტერსა აშბა ევსტრატისსა, რომელსა სახელი ერქუა აშბა იოვანე. და [უნ]და მისი ელია პატრეაქსა, იერუსალმელა<sup>21</sup>, რაჲთამცა ყო იგი მამასახლის მონასტერსა მისსა ზედა. ხ<sup>3</sup> მან არა თავს-იდვა, არამედ ჰრქუა მას: მნებავეს მე, მამაო პატიოსანო, წარსლვაჲ და ლოცვაჲ მთასა სინასა. ხოლო პატრეაქმან ჰრქუა მას: მამასახლის (აჰჰ) იქმენ და ეგრეთ წარვედ და ილოცე, და კუალად-იქეც მონასტერსავე თვისსა. ხოლო მან ჰრქუა: არა<sup>4</sup>, არამედ პირველად წარვიდე და ვილოცო, და ოდეს კუალად-ვიქეც, დავემორჩილო ბრძანებასა შენსა. მაშინ დაუტევა მშუდობაჲ და განუტევა იგი პატრეაქმან. ხოლო მან წარიყუანა მოწაფე თვისი და წარემართა სინად ლოცვად. და ვითარცა წიად-ჰდა იგი წმიდასა იორდანესა და განეშორნეს<sup>5</sup> ვითარ სამ უტევან, შეიპყრა ბერი მჭურვალეზამან და ვერ ეძლო სლვად. და პოვეს მუნ მცირე ქუაბი და შევიდეს მას შინა, რაჲთა განისუენონ. და განძნდა საღმრთოთა იგი ბერისაჲ, ვიდრემდის შეძრკვადცა ვერ შემძლებელ იყო. და დაყვეს მუნ შინა სამ დღე<sup>6</sup>. მაშინ იხილა ბერმან ჩუენებით კაცი ვინმე დიდებული, რომელი ეტყოდა მას:

— ვიდრე გნებავეს, ბერო, წარსლვის, მაუწყე მე?

ჰრქუა მას ბერმან: მთასა სინასა მნებავეს წარსლვაჲ და ლოცვაჲ.

მიუგო და ჰრქუა მას კაცმან მან დიდებულმან: ისმინე ჩემი, კეთილო ბერო, და ნუ წარხუალ სინად.

ხოლო მან არა შეიწყნარა სიტყუაჲ მისი, არამედ ჰრქუა მას: ვერ შესაძლებელ არს ჩემდა<sup>7</sup>, თუმცა არა წარვედ სინად. მაშინ, ვითარცა ესმა ესე მისგან, დაუტევა და წარვიდა. და ვითარცა განთენა, კუალად უფროსად განძნდა საღმრთოთა იგი ბერისაჲ უფროსს<sup>8</sup> პიჩველისა, ვიდრემდის სულმოკლე იქმნა იგი. და კუა-

<sup>1</sup> ქეშმარიტად]—S. <sup>2</sup> შინა]—S. <sup>3</sup> იწმელსა S. <sup>4</sup> ხოლო] და A. <sup>5</sup> არა]—S.

<sup>6</sup> განეშორა A. <sup>7</sup> სამი დღე S. <sup>8</sup> ჩუენდა S. <sup>9</sup> უძრეს A.



ლად მეორესა ღამესა ეჩუენა ზას კაცი იგი დიდებული, რომელი პირველ ეხილვა და ჰრქუა მას:

— ზ კეთილო ბერო, რაჲსა შრომასა შეიმთხუე შენ წარსლვად სინად, დამემორჩილე და ნუ ვიდრე ხუალ ამის ქუაბისაგან. ნაშინ მიუგო ბერმან და ჰრქუა ზას: მაღწყე მე, ვინ უკუე ხარ შენ?

მიუგო მას, რომელი-იგი ეჩუენა მას<sup>1</sup>, და ჰრქუა: მე ვარ იოვანე ნათლის-მკემელი და ამისთვის გეტყვ შენ, რაჲთა არა წარხვდე სხუასა ადგილსა, (v) რამეთუ ესე ქუაბი, რომელსა შინა ხარი<sup>2</sup> შენ. უფროჲს<sup>3</sup> არს ზთასა სინასა, რამეთუ ამას შინა უფალი<sup>4</sup> ზუენი იესუ ქრისტე მრავალ გზის შემოსრულ არს წმიდითა ფერჯითა მისითა<sup>5</sup> მოკითხვად და ნუგეშინის-ცემად ჩენდა. აწ უკუე აღმითქე მე, რაჲთა დაემკვდრო ქუაბსა ამას შინა, და მე განგკურნო უძლურებისაგან შენისა.

და ვითარცა ესნა ესე ბერსა, დაჯერებულ იქმნა გონებაჲ მისი და აღუთქუა მას, რაჲთა არლარა განეშოროს მიერ ჟამითგან მის ადგილისაგან<sup>6</sup>. და მუნთქუესვე<sup>7</sup> განიკურნა და დაემკვდრა მუნ შინა ვიდრე დღედ განსლვისა მისისა ამიერ სოფლით, რამეთუ ყო ქუაბი იგი ეკლესია ქრისტეა, და შეკრიბნა მას შინა იმანი მრავალნი. და ადგილსა მას ეწოდების საფსაფას.<sup>8</sup>

ზ (2). სხუაჲ ბერი იყო ადგილსავე მას<sup>7</sup>, რომელსა ეწოდების საფსაფას, და ესევეითართა სათნოებებათა იიიწია, ვიდრემდის ლომნი მოვიდოდეს მისა, და შეიწყნარებდა და ჯელითა თვისითა სცემდა მათ საზრდელსა.

გ (4). გუთხრობდა ამბა ლეონტი<sup>9</sup>, რომელი იყო მონასტრისაგან წმიდისა თევდოსისა<sup>9</sup>, რამეთუ შემდგომად განსხმისა მწველებელთა მათ ახლისაგან ლავრისა, წარვედ<sup>10</sup> და დავემკვდროე მას შინა. და დღესა კვრიაკესა მოვედ ეკლესიად ზიარებად წმიდასა საიდუმლოსა და ვიბილე ანგელოზი უფლისაჲ მდგომარე მარჯუენით კერძო საკურთხეველსა. და შემოპყრა მე შინმან და ძრწოლამან მიუთხრობელმან. და რაჲჲს წარვედ სენაკად ჩემდა, მოიწია ჩემდა ჯმეჲ, ვითარმედ: ვინაჲთგან იკურთხა საკურთხეველი ესე, დავიდგინე მე ღმრთისა მიერ მცველად ზას ზედა.

დ (5). კუალად ამბა პოლოხრონიოს, ხუცესი მისვე ახლისა ლავრისაჲ, მითხრობდა, ვითარმედ: რაჲჲს ვიყავ მე მონასტრისა

<sup>1</sup> მასი—S. <sup>2</sup> ხარ A. <sup>3</sup> უფროჲ S. <sup>4</sup> თვისითა A. <sup>5</sup> ეპითიგან მის ადგილისაგან—S. <sup>6</sup> მუნთქუესვე S. <sup>7</sup> მას ადგილსა A. <sup>8</sup> ლეუტი S. <sup>9</sup> თევდოსი S. <sup>10</sup> წარვედ S.

კოშკებისასა იორდანეს, ვხედვედ მე მუნ ძმასა ერთსა კრებულისა-  
განსა მათ ძმათაჲსა დიდად უღბად<sup>1</sup> სულისა თვისისათჳს, ვიდრემ-  
ლის ეამიცა კვრიაკისაჲ არაოდეს აღესრულა ეკლესია(234)სა ში-  
ნა ძმათა თანა, ვიდრე განშორებამდე<sup>2</sup>. და კჳალად მცირედ შემ-  
დგომად ვიხილე ძმაჲ<sup>10</sup> იგი უღები ფრიად მოსწრაფედ და მოლუ-  
წედ მონაზონებისათჳს.

და ვარქუ მას: კეთილ, ძმაო, კეთილად იქმ აწ, რამეთუ მო-  
სწ[რ]აფე ხარ სულისა შენისათჳს.

ხოლო მან მომიგო და მრქუა მე: ჰე. მამაო, რამეთუ მოახ-  
10 ლებულ არს სიკუდილი ჩემი.

და შემდგომად სამისა დღისა აღესრულა ძმაჲ იგი.

ვ(7). სხუაჲ ბერი იყო მონასტერსა მას კოშკებისასა და ენება  
ძმათა მის მონასტრისათა, რაჲთამცა ყვეს იგი მანასახლის მათ  
ზედა ღირსებისა და პატროსნებისა<sup>3</sup> მისისათჳს. მიუგო ბერმან და  
15 ჰრქუა მათ: მაცადეთ მე, ძმანო ჩემნო, რაჲთა ესტიროდი ცოდვა-  
თა ჩემთათჳს<sup>4</sup>, რანეთუ მე ვერ შემძლებელ ვარ განგებასა სულთა კაც-  
თა უმჯობესთა ჩემთასა, რამეთუ ესე საქმე არა ჩემ სახეთაჲ არს,  
არამედ მამათა წმიდათაჲ, ვითარცა ანტონისი და არსენისი და  
პახუმისი და თველორე ფერმელისაჲ და მსგავსთა მათთაჲ. ხოლო  
ძმათა მათ არავე დააცადეს, არამედ დღითი-დღედ ევედრებოდეს  
20 და აწყინებდეს ბერსა, რაჲთა იქმნეს იგი მანასახლის მათ ზედა.  
მაშინ, ვითარცა იხილა ბერმან იძულებჲა მათი მისა<sup>4</sup> მიმართ, მიუ-  
გო და ჰრქუა მათ: მაცადეთ უკუე სამ დღე და ვილოცო ქრისტეს  
ღმრთისა ჩემისა მიმართ<sup>5</sup> და ნებაჲ მისი იყავნ. და ესე აღთქუ-  
მაჲ<sup>6</sup> იყო დღესა პარასკევსა. და დღესა კვრიაკესა განთიად<sup>7</sup> აღე-  
30 სრულა ბერი და ღმრთისა მივიდა.

ვ(8). კჳალად გვთხრობდა პოლოხრონიოს, ვითარმედ: მესმა  
მე აზმა კოსტანტისგან, რომელი იყო ზედამდგომელი წმიდისა  
ნიასაჲ<sup>8</sup>, რომელ არს საყოფელი წმიდისა ღმრთისა მშობელისაჲ,  
ვითარმედ: აღესრულა ოდესმე<sup>9</sup> ერთი ძმათაგანი ჯერაკუმელთაჲ. და  
ემცნო მას, რაჲთა წარიღონ იგი კოშკებისა მონასტერსა და მუნ  
დაჰმარხონ, რანეთუ მუნ ყოფილ იყო იგი პირველ. და მსგავსად  
მცნებისა მისისა გამოვიღეთ იგი, (v) რაჲთა წარვიღოთ იორ-  
დანედ დამარხვად მონასტერსა მას. და აჰა ვარსკულავი ნათლისაჲ  
მოვიდა და<sup>10</sup> დაადგრა ცხედარსა მას ზედა ვიდრე მიწევანდმდე<sup>11</sup>

<sup>1</sup> მათ ძმათაჲსა (ანუ!) დიდად უღბად უღებსა ფრიად A. <sup>13</sup> განთენებამდე S. <sup>10</sup> ძმა S. <sup>2</sup> პატროსნებისა სიწმიდისა S. <sup>3</sup> ჩემთა S. <sup>4</sup> მისსა S. <sup>5</sup> ~ მიმართ ჩემისა S. <sup>6</sup> აღთქუმულობაჲ S. <sup>7</sup> პარასკევსა. და დღესა კვრიაკესა განთიად მესამესა A. <sup>8</sup> ნიისა S. <sup>9</sup> ოდესმე—A. <sup>10</sup> და—A. <sup>11</sup> მიწევანდმდე S.

ჩუენდა აღგილად. და კმაჲ გალობისაჲ ზეგარდამო გუესმოდა, ვიდრემდის დავდევით წმიდაჲ იგი გუამი მისი საფლავსა ძმათა თანა.

ზ(8). სხუაჲ ვინმე ბერი იყო კოშკებისა მონასტერსა, რომელსა სახელი ერქუა მაროგენის. ფრიად მმარხველი იყო იგი, და გარდარეულითა მით შრომითა მისითა იქმნა იგი წყლით-მანკიერ, და იგუემებოდა იგი ფრიად ესრით დიდსა სენსა შინა, და ეტყვნ იგი მამათა, რომელნი მოვლენედ ხილვად და ნუგეშინის-ცემად მისა: ლოცვა ყავთ ჩემთვის, წმიდანო მამანო, რაჲთა სულითა არა ვიქმნე წყლით-მანკიერ. ხოლო მე ვევედრები ღმერთსა, რაჲთა განგრძობილ იქმნეს სენი ესე ჩემ ზედა<sup>1</sup>, ნუუქუე მის მიერ ვიჯსნე მე სენისა მისგან საუკუნოვსა.

და<sup>2</sup> ესმა ესე ევტუში პატრეაქსა იერუსალმელსა და წარსცა მისა<sup>3</sup> ყოველი სავმარი ჯორცითა<sup>4</sup>, ხოლო მან არარაჲ მისგანი შეიწყნა[რა], არაჲდ მამცნო მისა და ჰრქუა: ლოცვა ყავ ჩემთვის, წმიდაო მამაო, რაჲთა განვერე მერმეთა მათგან სატანჯველთა. და ესრით აღესრულა.

შ(10). ბერი ვინმე იყო მძოვარი იორდანისა პირსა. და დღესა ერთსა შთავიდა იგი წმიდად იორდანედ სუმად წყლისა. და აღეცუა ფერჯსა მისსა ნაკუეთი ლერწმისაჲ და დაშთა იგი ფერჯსა შინა<sup>5</sup>. მისსა. და უდებ ყო და არავის უჩუენა იგი. და მოჰლა ფერჯი მისი და ვერღარა შემძლებელ იყო იგი მარტოჲ ქუაბსა<sup>6</sup> შინა ჯდომად. და აიძულა<sup>7</sup> იგი შესლვად მონასტერსა კოშკებისასა, რამეთუ მოჰქარდა ფერჯი მისი. და ეტყვნ მათ, რომელნი მოვლენედ მისა ხილვად და ნუგეშინის-ცემად მისა<sup>8</sup>: რავდენ<sup>9</sup> გარეშე ესე ჩუენი კაცი(მშნ) განირყუნების, შინაგანი ჩუენი განახლდების.

თ(10). შემდგომად აღმოსლვისა ბარსაბა მძოვრისა იორდანისა ქუაბით კოშკებისა მონასტრად სხუაჲ ვინმე მძოვარი ვიდოდა<sup>10</sup> იორდანისა პირსა. და<sup>11</sup> შევიდა ქუაბად მისა<sup>12</sup> და იხილა ანგელოზი უფლისაჲ<sup>13</sup>, მდგომარე<sup>14</sup> საკურთხეველსა მის ქუაბისასა მარჯუენით, რომელი მას გამოეკუეთა და ეკურთხა.

და<sup>15</sup> ჰრქუა ბერმან მან<sup>16</sup> ანგელოზსა მას: რასა უკუე იქმ შენ აქა?

ხოლო მან ჰრქუა: მე ანგელოზი ვარ უფლისაჲ, და ვინაჲთგან იკურთხა საკურთხეველი ესე, დავიდგინე მე<sup>17</sup> მცველად მას ზედა ვიდრე უკუნისამდე.

<sup>1</sup> ზედა] + და S. <sup>2</sup> და]-A. <sup>3</sup> მისსა S. <sup>4</sup> ჯორციელი S. <sup>5</sup> შიდა S. <sup>6</sup> ქუაბსა]+მას A. <sup>7</sup> იძულა S. <sup>8</sup> მისა]-A. <sup>9</sup> რავდენ A. <sup>10</sup> ვიდოდა]+რათ S. <sup>11</sup> და]-S. <sup>12</sup> ქუაბსა მისსა S. <sup>13</sup> ღმრთისა S. <sup>14</sup> მდგომარე A. <sup>15</sup> და]-A. <sup>16</sup> მან]-A. <sup>17</sup> მე]-A.

• (11). ამა პეტრე სუცესი, რომელი იყო ლავრისაგან<sup>1</sup> წმი-  
დისა ნამისა ჩუენისა საბაჲსა<sup>2</sup>, გვთხრობდა, ვიყენით რაჲ მის თა-  
სა, ვითარმედ: ოდეს ვიყავ მე მამასახლის მონასტერსა წმიდისა  
ჯერასიმოსსა, აღესრულა ერთი ძმათაგანი მის მონასტრისათაჲ და  
არა უწყოდა ბერმან. და ვითარცა დაჰრეკა დეკანოზმან სარეველსა,  
რაჲთა ძმანი შემოკრბენ დამარხეად ძმისა მის, მოვიდა ბერიცა და  
იხილა გუამი იგი ძმისაჲ მის მღებარს ცხედარსა ზედა ეკლესიასა  
შინა და შეწუხნა, რამეთუ არა მოეკითხა იგი ეამსა აღ[ს]რულებისა  
მისისასა. მაშინ მივიდა იგი ზედა ცხედარსა მის მკუდრისასა და  
ჰრქუა მას: აღდეგ, ძმაო, და მოგიკითხო. და მუნთქუჲსვე აღემარ-  
თა ძმაჲ იგი ცხედარსა თუსსა ზედა, და მოიკითხა იგი ბერმან და  
ჰრქუა მას: განისუენე აწ, ვიდრემდის მოვიდეს უფალი იესუ და  
აღგადგინოს შენ. და მიიძინა ეგრძთვე.

• (12). ძმამან ჰკითხა ულუმპია ხუცესსა ჯერასიმოს მონას-  
ტრისასა და ჰრქუა: მაუწყე მე სიტყუაჲ, რომლითა ვცხოვრდე.

ჰრქუა მას ბერმან: ნუსადა დაშჯდები მწვალებელისა თანა  
და შეიკრძალე მუცელი და ენაჲ, და რომელსა ადგილსა მიხვდე,  
თქუ გონებასა შენსა, ვითარმედ: (v) უცხო და გლახაკ ვარი მე,  
და განისუენო.

• (13). იტყოდეს მარკოზ მძოვრისათუს, რომელი ჯდა  
ქუაბსა მახლობელად ბანდოკლავს მონასტერსა, ვითარმედ დაეყო  
მას სამეოცდასამი წელი ქუაბსა შას შინა ამით კანონითა, რამეთუ  
იმარხავენ იგი კვრიაკითი<sup>3</sup>-კვრიაკედ, ვითარცა უქორცოჲ. და<sup>4</sup>  
იქმოდა იგი დაუცადებელად ჯელთ-საქმარსა დღს და ლამს<sup>5</sup> და  
მისცემდა გლახაკთა, და არასადა მი-რაჲ ვისგან-ილის<sup>6</sup> ჯორცთა  
საჯმარი. და ესმა მისთუს კაცთა ქრისტოს მოყუარეთა და მიარ-  
თუეს მას ჯორცთა<sup>7</sup> საჯმარი. ხოლო მან არარაჲ მიიღო მათგან,  
არამედ ჰრქუა მათ: ჯელთა ჩემთა ნაქმარი კმა არს ჩემდა საჯმარად,  
და მათდაცა, რომელნი მოვიდოდნიან ჩემდა ღმრთისათუს.

• (14). ამა პოლოზრონიოს, ხუცესი ბანდუკლეს მონასტრი-  
საჲ, მითხრობდა, ვითარმედ: კრებულსა ჩუენსა შორის იყო ძმაჲ  
ერთი ფრიალ მოსწრათს და მოლუაწს საქმესა მონაზონებისასა და-  
ცხორებასა სულისა თუსისასა. და ეწყო მას სული სიძვისაჲ ძლიე-  
რად<sup>8</sup>, ვიდრემდის მოაუძღურა. და ვითარ ვერღარა დაუთმო, წარ-  
ვიდა იგი იერიქორდ, რაჲთა აღასრულოს ნებაჲ თუსი. და ვითარ

<sup>1</sup> ლავრისა S. <sup>2</sup> საბაჲსი S. <sup>3</sup> კვრიაკით-S. <sup>4</sup> და]-A. <sup>5</sup> ~ დღს და ლამს  
ჯელთ-საქმარსა S. <sup>6</sup> ილო A. <sup>7</sup> ჯორცთა]-A. <sup>8</sup> ძლიერად]-S.

შევიდა იგი სახლსა მეძვისასა, რაჲთამცა დააცხრო გულის თქუ-  
მაჲ თჳსი, და<sup>1</sup> მყისა შინა განკეთრებულ<sup>2</sup> იქმნა ყოველი გუამი  
მისი. და ვითარცა იხილა<sup>3</sup> თავი თჳსი ვნებასა მას შინა, მუნთქუეს-  
ვე შეიქცა<sup>4</sup> თჳსა<sup>5</sup> მონასტრად და<sup>6</sup> ჰმადლობდა ღმერთსა და  
იტყოდა, ვითარმედ: ღმერთმან<sup>7</sup> სახიერებითა თჳსითა მომივლინა  
მე სწავლაჲ ესე, რაჲთა იქსნეს<sup>8</sup> სული ჩემი საუკუნოჲსა მისგან  
სატანჯველისა<sup>9</sup>. და შეჰმატა მან სათნოებებასა, და მადლობასა შინა  
ღმრთისასა აღესრულა.

ოდ (15). იგივე ამბა პოლოხრონიოს გუთხრობდა ამბა კონო-  
ნისტუს ბანდოკლე<sup>10</sup> მამასახლისისა, ვითარმედ: წარვიდოდა<sup>11</sup> ოდესმე  
ამორიად ბერი, და შეემთხვნეს მას ჰურიანი (220) ბორო-  
ტის მოქმედნი<sup>12</sup>. და ვითარცა იხილეს ბერი, ენება მოკლევად მისი.  
და აღმოიქადეს მახვლები მათი და მიეტევნეს მის ზედა, რაჲთა-  
მცა მოკლეს იგი. და ვითარცა მიეახლნეს, რაჲთა<sup>13</sup> აღიპყრნენ<sup>14</sup>  
მახვლნი მათნი ხეტქნებად მისა, და შთეს იგინი განქმელად ეგრძთ<sup>15</sup>  
აპყრობილნი<sup>16</sup>, მარჯუენენი მათნი, ჰაერთა<sup>16</sup> შინა შეუღრეკელად.  
მაშინ, ვითარცა იხილა ბერმა[ნ] ენებაჲ იგი მათი, ულოცა მათ და  
დასწერა ჯუარი და განკურნა. და ჰმადლობდეს ღმერთსა და წარ-  
ვიდეს.

ოდ (18). ბერი ვინმე იყო მძოვარი<sup>17</sup> მახლობელად ამბა პეტ-  
რუს<sup>18</sup> მონასტერსა, ქუაბსა შინა. და ვალ[ნ] იგი ყოლადევ<sup>19</sup> პირ-  
სა წმიდისა იორდანისასა და, სადაცა პოვის ბუღმ<sup>20</sup> ლომისაჲ,  
მუნცა<sup>21</sup> დაწვის იგი. და დღესა ერთსა მოიყვანნა ლეკუნი ლომისა-  
ნი ფიჩჳთა თჳსითა ეკლესიად.

და ეტყოდა ძმათა: უკუეთუმცა დავიმარხენით ჩუენ მცნებანი  
ქრისტუს ღმრთისა ჩუენისანი, ამათმცა ეშინოდა ჩუენგან, ხოლო  
დღეს ცოდვითა ჩუენითა ჩუენ გუეშინის ამათგან.

და სარგებელ იყვეს ძმათა მათ და წარვიდეს.

ოდ (20). ბერი ვინმე გუთხრობდა, ვითარმედ: მჭედართაგანი  
ერთი იყო მონასტერსა ჩუენსა და მან გუთხრა ესე, ვითარმედ:  
დავეპყრენით ოდესმე ბრძოლასა იფრიკიადთ კერძო მავრიტიან-  
თასა<sup>22</sup> და ვიდლიენით ჩუენ წინაშე ზათსა, და შემოგვდგეს ჩუენ

1 და]—S. 2 განკეთროვნებულ A. 3 და ვითარცა იხილა] იხილა რაჲ A.  
4 მიაცქია S. 5 თჳსა S. 6 და]—S. 7 ღ—ნ]—S. 8 ვიქსნე A. 9 საუკუნოჲსა მისგან  
სატანჯველისა] სიკუდილისაგან A. 10 ბანდოკლე S. 11 წარვიდა A. 12 ბოროტისა  
მოქმედნი S. 13 რაჲთა]და S. 14 აღიპყრნეს S. 15 პყრობილნი A. 16 ჰაერთა S.  
17—მძოვარი იყო A. 18 პეტრუს A. 19 ყოვლად A. 20 ბუღე A. 21 მუნ S. 22 მა-  
ვრიტიანეთასა A.

ბარბაროზნი და მოსრეს ერისა ჩუენისაგან ურიცხვ სული. და<sup>1</sup> მეწია მე ერთი ბარბაროზთაგანი და აღიპყრა ლახუარი თუნი ხეთქნებად ჩემდა და მოკლვად<sup>2</sup>. ხოლო მე, ვითარცა ვიხილე იგი, დალად-ვყავ ღმრთისა მიმართ და ვთქუ: ქრისტე, ძეო ღმრთისაო, რომელი გამოუჩნ[დ]ი მკვეალსა შენსა თეკლას და განარინე იგი ჯელთაგან უშჯულოთაჲსა, განმარინე მეცა, მონაჲ შენი, ქირისა ამისგან და მივსენ მე მწარისაგან სიკუდილისა, და მე განვიდე უდაბნოდ (v) და გმსახურებდე შენ დღეთა ცხორებისა ჩემისათა. და ნუნთქუესვე უკუნ-ვიხილე და არავინ ვიხილე ბარბაროზთაგანი.  
<sup>10</sup> და მუნთქუესვე გამოვედ მე<sup>3</sup> ამას მონასტერსა და მადლითა ღმრთისაჲთა დღეს<sup>4</sup> მაქუს მე ამას ქუაბსა შინა ოცდაათხუთმეტი წელი.

იზ (17). ბერი ვინმე იყო პეტრეს მონასტერსა. ჯდა იგი ქუაბსა შინა ორმეოცდაათსა წელსა. პური არა ჰამა და სასუმელი<sup>5</sup> არა სუა, არამედ საზრდელად მისა იყო ქატოჲ, და ესე მიიღის კვრიაკესა შინა სამ გზის. და მრავალთა სასწაულთა იქმოდა ღმერთი<sup>6</sup> ჯელითა მისითა<sup>6</sup>.

იმ (22). ბერი ვინმე სხუაჲ იყო მონასტერსა წმიდისა თედოსისსა, სახელით კონონ, ნათესავით კილიკიელი. და ესე კანონი<sup>7</sup> ეპყრა მას, რამეთუ კვრიაკესა შინა ერთ გზის ხოლო მიიღის საზრდელად პური და წყალი. ოცდაათსა წელსა<sup>7</sup> დაუცადებელად იქმნ და ეკლესიით<sup>8</sup> არა განეშორებოდა.

ით (23). და კულად სხუაჲ ვინმე ბერი იყო მკედართაგანი მასვე მონასტერსა და მასცა ესევე<sup>9</sup> კანონი აქუნდა: მარხვაჲ კვრია-  
<sup>20</sup> კითი-კვრიაკედ<sup>10</sup> და გუერდსა ზედა არა დაწვებოდა.

კ (24). სხუაჲ ვინმე ბერი იყო ხუზიბისა<sup>11</sup> მონასტერსა, და გვთბრობდეს მისთჳ მკედრნი მის მონასტრისანი, ვითარმედ: ოდეს იყო-  
<sup>25</sup> და იგი სოუელსა შინა, მუშაკი იყო. და ოდეს იხილის ვინმე<sup>12</sup> კაცი გლახაკი, რომელსა ჯარნი არა უდგანედ და თესლი არა აქუნ, და  
<sup>30</sup> ვერ შემძლებელ არნ საქმედ აგარაკიჲა თუისსა, წარვიდის იგი თვნიერ ცნობისა მისისა და კეთილად მოქმნის აგარაკი იგი მისი<sup>13</sup> და დასთესის თესლი და დაუტევის. ხოლო რაჟამს დაემკვდრა იგი ხუზიბას, იგივე წყალობაჲ იყო მის თანა, რამეთუ დღითი-დღედ

<sup>1</sup> და]—A. <sup>2</sup>~ ხეთქნებად და მოკლვად ჩემდა A. <sup>3</sup> მე]—A. <sup>4</sup> დღეს]—S. <sup>5</sup>~ ღმერთი იქმოდა A. <sup>6</sup> ჯელითა მისითა] მის მიერ S. <sup>7</sup> წელსა] +და S. <sup>8</sup> ეკლესიით S. <sup>9</sup> ესე S. <sup>10</sup> კვრიაკით-კვრიაკედ S. <sup>11</sup> ხუზიბისა A. <sup>12</sup>~ ვინმე იხილის S. <sup>13</sup> კეთილად მოქმნის აგარაკი იგი მისი] მოქმნის იგი კეთილად A.

აღმოვიდის იგი გზასა მას, რომელი შთავალს იერუსალემით იორ-  
დანედ. და აქუნნ მის თანა პური და წყალი, და სადგისი და ლუე-  
დი. და უკუეთუ შეემთხვის მას კაცი მშიფრი, სცის მას პური და  
წყურჩიელსა ასუს წყალი. (221) და უკუეთუ შე[ე]მთხვის მას კაცი  
დამაშურალი, მოჰქადის ტრთი მისი და აღიკიდის იგი და აღ-  
ჰყვის იგი<sup>1</sup> ვიდრე მთადმდე ზეთის ხილთაჲსა, და კუალად-იქცის იგი  
სხუათა თანა გამომავალთა ქალაქით და აღიკიდის ტრთი მათი.  
და ფრიადითა ოფლითა<sup>2</sup> და შრომითა უტრთავენ იგი. და უკუე-  
თუ ვისმე განუწყდის ცანდალი, მუნთქუესვე განუგის იგი და მისწიის  
იგი მოყუასთავე თუსთა. და თუ სადა<sup>3</sup> იხილის სნეული, ილუაწის<sup>4</sup>  
იგი. და თუ მკუდარი იხილის, შემოსის იგი თუსითა სამოსლითა  
და დაჰმარბის<sup>5</sup>. და იყო იგი დღეთა ცხორებისა მისისათა ესევი-  
თარსა ლუაწლსა და შრომასა შინა.

კა (25). ბერი ვინნე იყო კალამონისა მონასტერსა, რომელ  
არს მახლობელად წმიდასა იორდანესა, სახელით კურიაკოზ. ესე<sup>6</sup>  
ბერი დიდ იყო წინაშე ღმრთისა. და მოვიდა მისა<sup>7</sup> ძმა ვინმე  
უცხოჲ დურასელი, სახელით თეოფილე. კითხვად ბერისა გულის  
სიტყუა[თა] თუს სიძვისათა. ხოლო<sup>8</sup> იწყო ბერმან სწავლად ნისა<sup>9</sup> სიწ-  
მიდისათს. და ვითარცა ფრიად სარგებელ იყო ძმამან მან სწავ-  
ლაჲ ბერისაჲ, მიუგო და ჰრქუა ბერსა: ქემზარიტსა ვიტყუ, მამაო,  
უკუეთუცა არა ნესტორი ვიყავ შჯულითა, არამცა განვეწორე  
სიწმიდისაგან შენისა. ესმა რაჲ<sup>10</sup> ესე ბერსა, ვითარმედ ნისტორი  
არს, შეწუხნა<sup>11</sup> ფრიად წარწყმედისა მისისათს, იწყო<sup>12</sup> სწავლად<sup>13</sup>  
მისა და ჰრქუა<sup>14</sup>: განვეწორე<sup>15</sup> ბოროტისა მისგან წვალებისა, მოვედ<sup>16</sup>  
მართალსა სარწმუნოვებასა და ეზიარე<sup>17</sup> კათოლიკე ეკლესიასა<sup>18</sup>.

და ჰრქუა მას: შვილო ჩემო, უკუეთუ არა აღიაროს კაცმან  
მართალი სარწმუნოვებაჲ და წმიდაჲ ქალწული მარიამ არა ჰრწმე-  
ნეს ღმრთის მშობელად, ქემზარიტად, არავინაჲ<sup>19</sup> არს მისა ცხორე-  
ბაჲ.

მიუგო ძმამან მან<sup>20</sup> ბერსა და ჰრქუა: ჰე მამაო, რამეთუ ყო-  
ველნი მწვალებელნი ესრე იტყვან: უკუეთუ არა ეზიარებოდი  
ჩუენ თანა, არა არს შენდა ცხორებაჲო, და აწ<sup>21</sup> არა უწყი, თუ<sup>22</sup>

<sup>1</sup> აღყვის იგი | მიჰყვის A. <sup>2</sup> უფლითა S. <sup>3</sup> სადა | ვინმე A. <sup>4</sup> დაჰმარბის | +  
იგი S. <sup>5</sup> ესე | და ესე S. <sup>6</sup> მისა S. <sup>7</sup> ხოლო—A. <sup>8</sup> ესმა რაჲ | და ეწა ესმა S.  
<sup>9</sup> ~ შეწუხნა იგი, ვითარმედ ნისტორი არს S. <sup>10</sup> და იწყო S. <sup>11</sup> სწავლა S.  
<sup>12</sup> და ჰრქუა | რაჲთა S. <sup>13</sup> განვეწორე S. <sup>14</sup> მოვედ | და მოვიდეს S. <sup>15</sup> ეზიარე | ეზი-  
აროს იგი S. <sup>16</sup> ეკლესიად S. <sup>17</sup> არავინ A. <sup>18</sup> მან—A. <sup>19</sup> აწ—S. <sup>20</sup> თუ—A.

ვითარ იყო მე გლახაკ(ვ)მან ამან და რომელსა შეუდგე, არამედ მე გვედრები შენ ღმრთისათჳს, ევედრე უფალსა ჩემთჳს, რაჲთა დამაჯეროს მე მართალი სარწმუნოებება.

მაშინ შეიწყნარა ბერმან ვედრებაჲ ძმისაჲ მის სიხარულით.

და ჰრქუა მას: დაჯედ აქა. ქუაბსა ამას შინა ჩემ თანა, და მე ვევედრო ღმერთსა შენთჳს, და ვესაგ წყალობასა მისსა<sup>1</sup>, ვითარმედ გიჩუენოს შენ გზაჲ იგი ქეშმარიტებისაჲ.

და დაუტევა იგი ქუაბსა მას შინა და განვიდა ბერი ზღუამკუდრისა კიდესა; და<sup>2</sup> იწყო ვედრებად ღმრთისა, რაჲთა დააჯეროს ძმასა მას მართალი სარწმუნოებებაჲ. და ვითარცა მოიწია ეამი მეექუსს<sup>3</sup> დღისაჲ მის მეორისაჲ, იხილა ძმამან მან კაცი ვინმე საშინელი დიდებული ხილვითა, რომელი ეტყოდა მას: მოვედ და იხილე ქეშმარიტებაჲ. და მიიყვანა იგი ადგილსა ბნელსა, საესესა სიმყრალითა, რომელსა შინა ეგზებოდა საჯუჰილი განძნებულად და ოხრისა ვმასა მოსცემდა ძლიერად და საშინელად<sup>4</sup>. და უჩუენნა შენ შინა შთაყრილნი ნისტორ და არიოზ და ეეტუქოს და ევარჯენე<sup>5</sup>, და<sup>6</sup> საბელიანოს, და ყოველნი მოყუასნი მისნი<sup>7</sup> მწვალებელნი. და ჰრქუა მას კაცმან მან დიდებულმან, რომელი გამოუჩნდა: ესე არს ადგილი ყოველთა მწვალებელთა და მგმობართა სულისა წმიდისათაჲ და ყოველნი, რომელნი მათ შეუდგან. აწ, უკუეთუ გთნავს ადგილი ესე, დაადგერ შენ ნისტორებასა ზედა, რაჲთა ამას შეხვდე; და უკუეთუ არა გნებაეს შესლვაჲ ამას შინა<sup>8</sup>, მაშა მოვედ კათოლიკე ეკლესიად და აღიარე მართალი სარწმუნოებებაჲ, რომელსა ბერი გასწაუებს შენ<sup>9</sup>. და აჰა მე გაუწყებ შენ, უკუეთუ ქმნნეს კაცი მან ყოველნი სათნოებანი და არა აქუნდეს მას მართალი სარწმუნოებებაჲ, ამას ადგილსა მომავალ არს. და ვითარცა<sup>10</sup> იხილა ძმამან მან ჩუენებაჲ იგი, და მოვიდა ბერისა<sup>11</sup> და აუწყა ძმამან მან<sup>12</sup>, რომელი-იგი იხილა, და სიხარულით შეიწყნარა მართალი სარწმუნოებებაჲ და დაადგრა იგი ბერისა მის<sup>13</sup> თანა ორბეოც წელ და ესრისთ აღესრულა ნებასა შინა ღმრთისასა.

კბ (27). დაბაჲ იყო გარეშე ქალაქსა (222) ელონ კილიკიასასა. და იყო მას შინა ეკლესიაჲ იოვანე ნათლის-მცემელისაჲ. და იყო მას ზედა ხუცესი ერთი, კაცი მოხუცებული და წმიდაჲ, და დიდ იყო იგი წინაშე ღმრთისა. და<sup>14</sup> დღესა ერთსა შეკრბეს

<sup>1</sup> ღმრთისა S. <sup>2</sup> და]—A. <sup>3</sup> მეექუსე A. <sup>4</sup> და საშინელად]—S. <sup>5</sup> ევარჯენე] ევარჯენე A. <sup>6</sup> და]—A. <sup>7</sup> მოყუარენი მათნი S. <sup>8</sup> ~ ამას შინა შესლვაჲ S. <sup>9</sup> შენ]—A. <sup>10</sup> და ვა]—A. <sup>11</sup> ბერიცა S. <sup>12</sup> ძმამან მან]—A. <sup>13</sup> ბერსა მას თანა S. <sup>14</sup> და]—S.



მკვდრნი მის დაბისანი და მოვიდეს ებისკოპოსისა და ეტყოდეს მას: განავლინე ჩუენგან ხუცესი ესე, რ<sup>1</sup> დლითი-დღედ შემაწუხებდს ჩუენ იგი. ჰრქუა მათ ებისკოპოსმან: და რასა უკუე იქმს იგი? მიუგეს მათ და ჰრქუეს: დღესა კვრიაკესა ოდესმე აღასრულებს ეამის-წირვასა სამ ეამს და ოდესმე ექუს ეამს და ოდესმე ცხრა<sup>2</sup> ეამს, და<sup>3</sup> არაოდეს დაადგრების წესსა ზედა ეკლესიისასა, ვითარცა ყოველნი მღღელნი ეკლესიისანი.

მაშინ მოუწოდა ებისკოპოსმან მღღელსა მას თჳსაგან და ჰრქუა<sup>4</sup>:

—რაჲ არს ესე, ძმაო, რომელსა იტყუან შენთჳს მღაბიონი<sup>10</sup> შენნი? რაჲსათჳს შეურაცხ-ჰყოფ წესსა<sup>5</sup> ეკლესიისასა და არა აღასრულებ ეამის-წირვასა ერთსა ეამსა, ვითარცა ბრძანებულ არს?

მიუგო მას ხუცესმან მან<sup>6</sup> და ჰრქუა: ჰე, წმიდაო მამაო, კეშმარიტსა მიბრძანებ, არამედ მე გლახაკმან, რაგამს აღვასრული<sup>15</sup> ეამი ცისკრისაჲ დღესა კვრიაკესა, დაეჯღი მე გუერდით კერძო<sup>7</sup> საკურთხეველსა და მოველოდი სულისა წმიდისა მოსლვასა. და რომელსა ეამსა მოიწიის და აღავსის ეკლესიაჲ და დაფარის საკურთხეველი, მაშინ დავიწყი მე და აღვასრული შეწირვაჲ მსხუერპლისა მის საიდუმლოჲსაჲ. და ესე დამიმარხავს და წესი დამიტევე-<sup>18</sup> ბიეს. აწ, ვითარცა ბრძანოს სიწმიდემან შენმან ამისთჳს?

მაშინ დაუკვრდა ებისკოპოსსა სიწმინდოვებაჲ იგი და სიწმიდჳ ბერისაჲ მის და მოუწოდა მღაბიოთა მისთა<sup>8</sup> და არწმუნა, რაჲთა არა აწყინებდენ ბერსა ამისთჳს, არამედ<sup>9</sup> აცადონ, და რაგამს ენებოს<sup>10</sup>, აღასრულოს ეამის-წირვაჲ. და წარვიდეს მშჳდობით.<sup>12</sup>

კგ (27). ამის ხუცისა ოდესმე წარ(ვ)მოსცა ანბა ივლიანოს მესუეტემან მჩუარი, რომელსა შინა ეკრნეს სამნი ნაკუერცხალნი ცეცხლისანი დაუშრეტელად, და მოიკითხა იგი. ხოლო მან შეიწყნარა მოკითხვაჲ მისი და გამოჰქსნნა ნაკუერცხალნი იგი და შეუკრა მჩუარსა მას წყალი და წარსცა ბერისა, და მიჰრქუა: ლოცვა ყავ<sup>18</sup> ჩემთჳს, წმიდაო მამაო.

კდ (28). მითხრობდა ჩუენ ამბა კვრიაკოზ, მოწოდჳ ივლიანოს მესუეტისაჲ, ვითარმედ: მე და მამაჲ ჩემი<sup>11</sup> და ძნაჲ ჩემი მოვედით<sup>12</sup> სოფლით ჩუენით ამბა ივლიანოსსა, რამეთუ გუესმინა ჩუენ<sup>13</sup> სი-

<sup>1</sup> რ<sup>1</sup>—A. <sup>2</sup> ცხრაჲ S. <sup>3</sup> და]+არა და S. <sup>4</sup> ჰრქუა]+მას S. <sup>5</sup> წესა S. <sup>6</sup> მან]—A. <sup>7</sup> +წმიდასა S. <sup>8</sup> მისთა]მათ S. <sup>9</sup> ა'დ] და S. <sup>10</sup> ენებოს]+და S. <sup>11</sup> ჩემი]—A. <sup>12</sup> წარვედით A. <sup>13</sup> ჩუენ]—A.

- წმიდისა მისისათჳს. ხოლო მე მაქუნდა საღმობაჲ უკურნებელი, რომელსა ეერვინ მკურნალთაგანმან შეუძლო განკურნებად ჩემდა, და ვითარცა მოვიწიენით ბერისა და ლოცვა ყო ჩემთჳს<sup>1</sup>, მუნ-თქუესვე განვიკურნე მე ვნებისა მისგან ჩემისა. და<sup>2</sup> დავადგერით
3. ჩუენ სამნივე მის თანა და მონაზონ ვიქმნენით. მაშინ მამაჲ ჩემი განაჩინა ბერმან სახლსა ზედა საიფქლესა მიცემად ძმათა საზრდელსა. და დღესა ერთსა მოვიდა მამაჲ ჩემი ბერისა და ჰრქუა მას: იფქლი არღარა დაშთომილ არს სახუარბლესა შინა, მამაო. ხოლო ბერმან ჰრქუა მას სუეტით გარდამო: წარვედ, ძმაო, და შეკრიბე,
- 40 რომელი ჰჰოვო, და დაფქევე დღეს ძმათათჳს და შეუქმენ, და ლმერთმან იზრუნოს სხუაჲ ხვალისა. ხოლო მამაჲ ჩემი აღშფოთნა სიტყუასა ზედა ბერისასა, რამეთუ არარაჲ დაეტევა მას საიფქლესა მას შინა, და წარვიდა სენაკად თჳსა. და ვითარცა მოიწყოდა ეჲმი პურის-ქამისაჲ<sup>3</sup>, მიაღლინა ბერმან მოწოდებად მამისა ჩემისა,
- 45 ხოლო იგი ძნიად მოვიდა გულის წყრომისაგან თჳსისა<sup>4</sup>. ჰრქუა მას ბერმან: ძმაო, კონონ, წარვედ და, რომელი ჰჰოვო საიფქლესა, შეუქმენ იგი<sup>5</sup> ძმათა. მაშინ მამამან ჩემმან შფოთით აღიხუნა კლიტენი საიფქლისანი (223) და წარვიდა, რაჲთამცა მტუერი იგი მოგავა და მოართუა ბერსა დასაჯერებელად, ვითარმედ არარაჲ
- 50 ძეს ყოლად<sup>6</sup>. და ვითარცა განახუნა კლიტენი, ვერ შეუძლო განღებად კარისა, რამეთუ აღესებუ[ლ] იყო სახლი იგი პირის-პირ იფქლითა. და მსწრაფლ მოვიდა და შეუვრდა ბერსა და აუწყა ყოფილი იგი, ხოლო ბერი ამხილებდა მცირედ მორწმუნეობასა მისსა და აკურთხა იგი და განუტევა მშჳდობით.
- 55 კე (29). განზორებულად ვითარ ოცდაათით მილიონით ქალაქისა მისგან ელონ კი[ლი]კიაჲსასა იყვნეს ორნი სუეტნი და მათ შინა მესუეტენი. და ეზორნეს იგინი ურთი ერთას ექუსით მილიონით. ერთი იგი უწინარსი იყო შჯულითა მართლმადიდებელი, ხოლო მეორე იგი იყო სევეროს მწვალებელისა შჯულსა ზედა. და
- 60 დღითი-დღედ ამხილებნ იგი მართლმადიდებელსა მას და ჰმოგუენინ, რაჲთამცა მიაქცია იგი შჯულსა მას მწვალებისასა. და მრავალთა სიტყუათა მიუვლენნ მას და აწყინებნ, ხოლო იგი არა მიერჩდა<sup>7</sup> სიტყუათა მისთა ყოლადვე. და დღესა<sup>8</sup> ერთსა მიაღლინა მისა მართლმადიდებელმან მან და ჰრქუა: წარმოვე ჩემდა ნაწი-
- 65 ლი ერთი ეამისაგან შენისა, რომელსა ეზიარები. ხოლო მას, ვი-

<sup>1</sup> + და A. <sup>2</sup> დამაშინ S. <sup>3</sup> პურის-ქამისაჲ|პურისაჲ S. <sup>4</sup> თჳსისა]-S.

<sup>5</sup> იგი]-S. <sup>6</sup> ყოლად]-S. <sup>7</sup> ერჩდა S. <sup>8</sup> და დღესა| დღესა S.

თარცა ესმა ესე, ჰგონებდა იგი<sup>1</sup>, ვითარმედ ეზიარების იგი<sup>1</sup> მას, და სიხარულით წარსცა<sup>2</sup> მისა<sup>3</sup>. ხოლო მან მოილო ტაფაკი და აღადღულა იგი ცეცხლითა. და ვითარცა აღდღულნა წყალი იგი, შთააგდო მას შინა ნაწილი იგი, რომელი წა[რ]მოსცა მისსა<sup>4</sup> მწვალებელმან მან<sup>5</sup> და მუნთქუესვე განირლუა იგი, და დაიქსნა<sup>6</sup> და იქმნა იგი<sup>1</sup> ვითარცა არაყოფილი. და კულად მოილო ნაწილისაგან მისისა<sup>7</sup>, რომელსა ეზიარებინ დღითი-დღედ. და შთააგდო იგი წყალსა მას შინა<sup>8</sup> მდღულარესა, და მუნთქუესვე განციენა და განქმა წყალი იგი და დაშთა ნაწილი იგი ეგრძთვე უენებელად. მაშინ მი(v)უვლინა და არცხუნა მწვალებელსა მას მესუეტესა. 10

ქგ (31). ბერნი ვინმე ორნი მონაზონნი განვიდეს ელონ ქალაქით წარსლვად ტარსუსდ. და ვითარცა შემწუხრდა, შევიდეს იგინი<sup>9</sup> ფუნდუქსა ერთსა დადგრომად მას შინა და განსუენებად სიციხისაგან. და პოენეს ზუნ შინა სამნი ქაბუქნი შემავალნი ელონდ. და ჰყვა მათ თანა<sup>10</sup> ერთი ქალი<sup>11</sup> მეძავი. მაშინ ბერნი იგი დასხლეს ერთკერძო დუქანსა. და ერთმან მათგანმან აღმოილო მახალაკისაგან თვისისა წმიდაჲ სახარებაჲ და იწყო კითხვად მას შინა. ხოლო მეძავმან მან, რომელი იყო კაბუქთა მათ თანა, ვითარცა იხილა ბერი იგი, რომელი იკითხვიდა სახარებასა, დაუტევნა<sup>12</sup> ქაბუქნი იგი და მოვიდა და დაჯდა ბერისა მის მახლობელად და ისმენდა სიტყუათა მათ წმიდისა სახარებისათა. 15

მა[შინ] შეჰრისხნა მას ბერი და ჰრქუა: რაჲლა<sup>13</sup> დიდ არს ურცხვნოვებაჲ შენი, საწყალობელო, ვინმე წარწყმედილო, რამეთუ არა შეიკიდიმე მოსლვად და დაჯდომად მახლობელად ჩუენ თანა.

მიუგო მეძავმან მან ბერსა ლმობიერად<sup>14</sup> და ჰრქუა: ნუ, წმი- დაო მამაო, ნუ შეურაცხ-მყოფ მე, რანეთუ დალაცათუ სავსე ვარ მე ყოვლითა სიბილწითა და უმჯულოვებითა, არაჲდ არა განაგდო უფალმან ჩუენმან და ლმერთმან ყოველთამან დედაკაცი იგი მეძავი<sup>15</sup>, მსგავსი ჩემი, რომელი მოვიდა მისა<sup>16</sup>. 25

მიუგო ბერმან და ჰრქუა მას: რ იგი არღარა დაადგრა ცოდვა- სა ზედა თვისსა. 30

მერმე მიუგო მეძავმან მან და ჰრქუა: „და ზეცა ვესავ ძესა ლმრთისა ცხოველისასა, ვითარმედ ამიერითგან არცალა<sup>17</sup> მე მივაქციო<sup>18</sup> ცოდვათა ჩემთა.

<sup>1</sup> იგი]—S. <sup>2</sup> წარსცა]+იგი S. <sup>3</sup> მისსა S]მას A. <sup>4</sup> წა[რ]მოსცა მისსა S] წარმოცა A. <sup>5</sup> მწვალებელსა მას A. <sup>6</sup> და დაიქსნა]—A. <sup>7</sup> მისისა] თვისისა A. <sup>8</sup> შინა]—S. <sup>9</sup> იგი A. <sup>10</sup> თანა]—A. <sup>11</sup> ~ ქალი ერთი A. <sup>12</sup> დაუტევნა]+მან S. <sup>13</sup> რაჲ S. <sup>14</sup> ~ ლმობიერად ბერსა A. <sup>15</sup> მეძავი]—A. <sup>16</sup> მისსა S. <sup>17</sup> არცა S. <sup>18</sup> მივაქციოლა S.

მაშინ დაუტევნა ქაბუჯნი იგი და ყოველივე, რაჲცა აქუნდა, და შეუდგა იგი ბერთა მათ. და მათ წარიყვანეს იგი და შეიყვანეს ქალწულთა მონასტერსა მახლობელად ელონ ქალაქისა, რომელსა ეწოდა ტონქიბა. და გამოვიდა იგი სრულად მონაზო(224)ნად<sup>1</sup> სათნოდ ღმრთისა. და მე ვიხილე იგი ფრიად მოხუცებულად<sup>2</sup> და პირისა მისისაგან მესმა ესე ყოველი<sup>3</sup>, რამეთუ ტირილით მითხრობდა<sup>4</sup> მე და სახელი ერქუა მარიამ.

კზ (32). იყო ვინმე კაცი ბოროტის მოქმედი<sup>4</sup> ადგილთა ტარსონ კილიკიაჲსათა, სახელით ბაბულას. და ესხნეს მას ორნი მეძავნი მოყუარენი. ერთსა მას ეწოდა კიმიტა და მეორესა ნიკოსა. და ცხონდებოდა იგი ბოროტად მათ თანა და საქმენი მისნი იყვნეს მსგავსად შეწევნისა ეშმაკთაჲსა და მსახურთა მისთა. ესე შევიდა დღესა ერთსა ეკლესიად ვითარცა ქრისტეან<sup>5</sup> ლოცუად. და განგებითა ღმრთისაჲთა იკითხვიდა მღვდელი სახარებასა ამას,<sup>6</sup> ვითარმედ: შეინანეთ, რამეთუ მოახლებულ არს სასუფეველი ცათაჲ. მაშინ ვითარცა ესმა ესე კაცსა მას უკეთურსა, მცირედ ღმობიერ იქმნა და განჯურდა გონებითა. და<sup>7</sup> იწყო ტირილდ ცრემლითა მჭურვალითა. და თავსა თუსსა უბადრუკით და საწყალობელით ჰხადოდა საქმეთა თუსთაჲს ბოროტთა, და მასვე ეამ<sup>8</sup> სა გამოვიდა ეკლესიით.

და მოუწოდა ორთა მათ მეძავთა, მოყუარეთა თუსთა<sup>9</sup>, და ჰრქუა მათ: თქვენ უწყით ცხორებაჲ ჩემი ბილწებით და შეგინებულად თქვენ თანა ვიდრე აქამომდე, და არაოდეს ერთსა თქვენგანსა პატივ-ვეც უფროჲს მოყუსისა თუსისა, არამედ სწორად<sup>10</sup> გყუარობდი თქვენ სიყუარულითა მით საეშმაკოჲთა. და აჰა ესერა დაგიტევებ თქვენ ყოველსა, მონაგებსა ჩემსა, განიყავთ იგი განსწორებით, რამეთუ მე ამიერიტგან წარვალ თქვენგან და მონაზონ ვიქმნები, და ვსტიროდი ცოდვათა ჩემთათჲს<sup>11</sup> ნეშტთა ამათ დღეთა ჩემთა და ნუუკუე სახიერებითა თუსითა ყოს ღმერთმან<sup>12</sup> ჩემთჲს წყალობაჲ.

მიუგეს და ჰრქუეს მას მეძავთა მათ ცრემლითა<sup>10</sup>, ვითარცა ერთითა პირითა: და ესე უკუე არსა სამართალი შენი, რამეთუ ცხორებასა ამას ბილწე(ვ)ბისასა და წარწყმედასა სულთა ჩუენთასა თანა-მიზიარენ ჩუენ, და აწ, ოდეს გნებავს საქმ<sup>13</sup> საღმრთოჲ

<sup>1</sup> მოხუცებული A. <sup>2</sup> ყოველი—A. <sup>3</sup> მითხრა A. <sup>4</sup> ბოროტისა მოქმედი S. <sup>5</sup> და—A. <sup>6</sup> მათ—A. <sup>7</sup> მისთა S. <sup>8</sup> მათ—A. <sup>9</sup> ჩემთა S. <sup>10</sup> ცრემლით S.

\* მათე 4,17.

და ცხორებაჲ სულისაჲ, დამიტევებ ჩუენ და შენ<sup>1</sup> მარტოჲ წარ-  
ხულა? ჭეშმარიტად გეტყუთ შენ, არა განგიტოთ შენ მარტოჲ,  
არამედ ვითარცა-იგი ბოროტისა საქმესა მიზიარენ ჩუენ, ეგრძთ-  
ვე კეთილისა საქმესა ნუ განმიშორებ ჩუენ<sup>2</sup> შენგან.

და ვითარცა ესჲა ესე კაცსა მას დედათა მათგან, მუნთქუესევე <sup>5</sup>  
განყიდა ყოველი მონაგები თჳსი და განუყო გლახაკთა. და შეიყვან-  
ნა იგინი ქალწულთა მონასტერსა. და თავი თჳი შეაყენა ერთსა  
კოშკთაგანსა ქალაქისათა და არღარა გამოვიდა იგი დღეთა  
ცხორებისა მისისათა, არამედ მუნ შინა აღასრულნა დღენი მისნი  
დიდსა შინა სიმდაბლესა და სინანულსა. და ესრძთ სათნო ეყო <sup>10</sup>  
ღმერთსა იგი და მეძავნიცა იგი მის თანა.

კმ (37). გუთხრობდა<sup>3</sup> ჩუენ ერთი მამათაგანი, ვითარმედ:  
ებისკოპოსმან ვინმე დაუტევეა ღმრთისათჳს ებისკოპოსობაჲ თჳსი  
და მოვიდა იგი ქალაქად დიდად ანტიოქიად. და ყო თავი თჳსი  
მუშაკ, და იქმოდა იგი დღითი-დღედ მაშენებელთა ვალატობთა <sup>15</sup>  
თანა. და იყო ჭამსა მას ჯელმწიფე ქალაქსა ანტიოქიასა ზედა<sup>4</sup>  
კაცი ვინმე მოშიში ღმრთისაჲ და მოწყალჲ. და ჯელ[ს]ა შინა მისსა  
იყო ყოველივე მონაგები და საფასჲ საქელმწიფთოჲ, და იგი წარა-  
გებდა საშენებელად ქალაქისა, რომელი-იგი<sup>5</sup> ძრვისაგან დაცემულ  
იყო. ამან ერთსა შინა ღამესა იხილა ებისკოპოსი იგი მწოლარჲ, <sup>20</sup>  
და სუეტი ცეცხლისაჲ ზედა ადგა მას და აღიწეოდა ვიდრე ცად-  
მდე. და სახელი ჯელმწიფისაჲ მის იყო ეფრემიოს. და კუალადცა  
იხილა ესე სასწაული ებისკოპოს[ს]ა მას ზედა არა ხოლო ერთ  
გზის და ორ გზის, არამედ მრავალ გზის. (225) და შეიპყრა იგი  
შიშინან და განკურებაჲმან მიუთხრობელმან, რამეთუ დიდ და<sup>6</sup> სა- <sup>25</sup>  
შინელ იყო სასწაული იგი. და განკურნებული<sup>7</sup> გულის-ზრახვად  
დგა დღითი-დღედ<sup>8</sup> და იტყოდა: ნეტარ რაჲმე არს სასწაული ესე-  
და არა უწყოდა მან<sup>9</sup>, ვითარმედ მუშაკი იგი ებისკოპოსი არს:  
და ვინაჲ უკუემცა უწყოდა<sup>10</sup> იგი, ვითარმედ ებისკოპოსი არს იგი<sup>11</sup>  
ვინაჲთგან ჰხედვიდა გარეშტ კაცსა გლახაკსა, პირითა შემწეარსა <sup>30</sup>  
და თმითა შეტუხვილსა სიცხისა და შრომისაგან დაუცადებელია,  
და ძონძითა სამოსლითა მოსილსა, დაწუნებულად და შეურაცხად  
სახილველსა მარხვისა და ჭირისაგან<sup>12</sup> დიდია.

<sup>1</sup> შენ]—S. <sup>2</sup> ჩუენ]—S. <sup>3</sup> მითხრობდა S. <sup>4</sup> ანტიოქიასა ზედა] ანტიოქი-  
ისასა S. <sup>5</sup> რომელი A. <sup>6</sup> და]—S. <sup>7</sup> განკურნებული S. <sup>8</sup> ~დღითი-დღედ გუ-  
ლის-ზრახვად დგა S. <sup>9</sup> მან]—A. <sup>10</sup> უწყოდა] იცოდა S. <sup>11</sup> იგი]—A. <sup>12</sup> მარხვისაგან  
და ჭირისა A.

მაშინ მოუწოდა ეფრემიოს მუშაკსა მას და ენება ცნობად, თუ რაჲ არს საქმე მისი ანუ ვინაჲ არს, გინა რაჲ არს სახელი მისი და სახელი ქალაქისა მისისაჲ. და განიყვანა თუსაგან დაჰკითხა მას ამისთვის, რაჲთა აუწყოს მას.

5 მიუგო მას ებისკოპოსმან მან და ჰრქუა: მე კაცი ვარ გლახაკი, ამის ქალაქისა გლახაკთაგანი, და არა შექუს მე საზრდელი თავისა ჩემისაჲ, და ამით მიყოფიეს თავი ჩემი მუშაკ, რაჲთა ნაშრომითა ველთა ჩემთაჲთა ვიზარდებოდი, და ესრეთ მზრდის მე ღმერთი ჩემი სახიერი.

10 მაშინ აღიძრა ეფრემიოს ზეგარდამოჲთა აღძრვითა და ჰრქუა მას: ქეშმარიტსა გეტყვ შენ<sup>1</sup>, ვითარმედ არა განგიტეო შენ<sup>2</sup>, ვიდრემდის არა მაუწყო მე<sup>3</sup> ყოველი საქმე შენი და განგებაჲ ქეშმარიტებით, და ვერ შემძლებელ ხარ დათარვად ჩემგან ერთსაცა საქმესა შენსა<sup>4</sup>.

15 მაშინ, ვითარცა იხილა ებისკოპოსმან, ვითარმედ ღმრთისა ზიერ გამოცხადებულ არს საქმე მისი, მიუგო და ჰრქუა მას: მოხეც მე სიტყუაჲ წინაშე ღმრთისა, რაჲთა არავის კაცთაგანსა გამოუცხადო საქმე ჩემი ცხორებასა ჩემსა, და მე გაუწყო ყოველივე<sup>5</sup> საქმე ჩემი<sup>6</sup> თჯიერ სახელისა და ქალაქისა ჩემისა.

20 (v) მაშინ ეფუცა მას ეფრემიოს, რაჲთა არავის გამოუცხადოს საქმე მისი ცხორებასა მისსა, ვიდრემდის ღმერთმან ინებოს გამოცხადებაჲ მისი.

მაშინ მიუგო და ჰრქუა მას 'ებისკოპოსმან': მე ებისკოპოსი ვიყავ რომლისაჲმე ქალაქისაჲ და ღმრთისათჳს დაუტევე ებისკოპოსობაჲ ჩემი და მოვედ მე ქალაქსა ამას, რაჲთა არავინ მიცნას, და<sup>8</sup> ვიქმ და ვმურები მე დღითი-დღედ და მით მოვირეწავ მე<sup>9</sup> მცირედსა საზრდელსა თავისა ჩემისასა და ნეშტი იგი მივსცი გლახაკთა და უღონოთა ქველის საქმარად. ხოლო შენ შეჰმატე ქველის საქმესა და მოწყალეებასა, რამეთუ ამათ დღეთა შინა<sup>10</sup>

30 დაგსუამს შენ ღმერთი შენი საყდართა ზედა მოციქულისათა, ეკლესიასა ამას შინა ღმრთისა ქალაქისასა, რაჲთა ჰმწყსიდე საცხოვართა მისთა პირმეტყუელთა ქეშმარიტებით, რომელნი მოიგნა პატიოსნითა სისხლითა თჳსითა. ხოლო მე<sup>11</sup> ვითარცა გეტყვ შენ, ფრიად<sup>12</sup> ილუაწე მართლისა სარწმუნოეებისათჳს და მოწყალე-

<sup>1</sup> შენ]—S. <sup>2</sup> შენ]—A. <sup>3</sup> მე]—A. <sup>4</sup> საქმეთა შენთაგანსა S. <sup>5</sup> ყოველი S.

<sup>6</sup> საქმე ჩემი]—A. <sup>7</sup> ებისკოპოსმან]—A. <sup>8</sup> და]—A. <sup>9</sup> მე]—A. <sup>10</sup> შინა]—S.

<sup>11</sup> მე]—S. <sup>12</sup> ფრიად]—A

ბისა, რამეთუ ესე არიან მსხუერპლნი სათნონი ღმრთისანი. და ეგრეცა იყო.

შემდგომად მცირედთა დღეთა დაიპყრა ეფრემიოს საყდარი ქალაქისა ანტიოქიისაჲ და ფრიად ჰმადლობდა ღმერთსა და იტყო-  
და: რავდენნი გულითადნი მონანი უსხენან<sup>1</sup> ღმერთსა, დაფარულნი  
ქუეყანასა ზედა, რომელნი არაეინ იცნის თვნიერ მის მხოლოესა  
დაფარულთა მეცნიერისა.

კთ (38). მითხრობდა კაცი ვინმე ქრისტეს მოყუარჳ ანასტა-  
სი მეფისათჳს, ვითარმედ: შემდგომად განსხმისა ეფთემია! და მა-  
კედონისა, პატრეაქთა მათ კოსტანტინესთა, რომელნი ექსო-  
რი<sup>2</sup> ქმნნა პონტოს კრებისა მისთჳს წმიდათა მამათაჲსა, რომელი  
იყო ქალაქსა შინა ქალკიდონისასა, ვითარმედ დღესა შინა ერთსა  
იხილა ანასტასი მეფემან კაცი ვინმე დიდებული ბრწყინვალედ<sup>4</sup>  
შემოსილი, მდგომარჳ მის წინაშე და ჳელთა მისთა აქუნდა წიგნი<sup>5</sup>  
დაწერილი<sup>6</sup> და იკითხვიდა მას<sup>7</sup> შინა. და გარდაყარა ხუთი ოდენ<sup>15</sup>  
ფურცელი და (226) აღმოიკ[ი]თხა სახელი მეფისაჲ მის და ჰრქუა  
მას: აჰა ესერა ბოროტად მოაწმუნებისა მაგის შენისათჳს აღმოვ-  
ჰყოც აქაჲთ ათოთხმეტსა წელსა<sup>8</sup> ცხოვრებისა შენისასა<sup>9</sup>. და  
აღმოჰყოცა იგი თითითა თჳსითა. და შეორესა დღესა იყო ელვაჲ  
და ქუხილი საშინელი და შეძრწუნდა მეფეჲ, და სულნი წარჰჳდეს<sup>20</sup>  
მყისსა შინა შფოთისა მისთჳს, რომელი მოაწია ეკლესიათა ზედა  
ქრისტესთა და მწყემსთა მისთა ზედა საკუთართა<sup>10</sup>.

ლ (40). მითხრობდა ამბა ბასილი ბიზინ ჳიელი და თქუა, ვი-  
თარმედ: ვიყავ მე დიდსა ქალაქსა ღმრთისასა ანტიოქიას გრიგო-  
ლი პატრეაქისა თანა. და მოვიდა მუნ იერუსალმით ამბა კოზმან<sup>25</sup>  
საქურისი, მონაზონი ფარაჲსა მონასტრისაჲ, კაცი მართლმადი-  
დებელი და ფრიად მოშურნჳ ღმრთისა მართლისა სარწმუნოვე-  
ბისათჳს და მიწვეულნი<sup>11</sup> ყოველთა წიგნთა საღმრთოთა. და დაყენა  
მუნ მცირედნი დღენი და აღესრულა იგი კეთილითა სარწმუნოვე-  
ბითა და ღმრთისა მივიდა. და ბრძანა პატრეაქმან, რაჲთა პატივ-  
სკენ ნაწილთა<sup>12</sup> მისთა და დადევან იგი საფლავსა, რომელსა შინა  
დადებულ იყო ეპისკოპოსი ვინმე ერთი უცხოჲ. და შემდგომად  
ამისა<sup>13</sup> დღე რავდენმე მივედ მე საფლავსა მას ზედა, რაჲთა ვი-  
ლოყო. და მოვიდრიკენ სამ გზის მუჳლნი და ვიხილე მუნ გლახა-

<sup>1</sup> უსხენ S. <sup>2</sup> ექუსორია S. <sup>4</sup> ბრწყინვალედ] ბრწყინვალითა სამოსლითა S. <sup>5</sup> აქუნდეს წიგნი S. <sup>6</sup> დაწერილნი S. <sup>7</sup> მათ S. <sup>8</sup> წელთა A. <sup>9</sup> შენისათა A. <sup>10</sup> საკურთხეველთა S. <sup>11</sup> მიწვეული S. <sup>12</sup> ნაწილთა]ქუალთა S. <sup>13</sup> ამისსა S.

კი ვინმე, რომელი ითხოვდა ქველის საქმარსა შემავალთაგან ტაძრად. და ვითარცა მიხილა მე გლახაკმან მან ლოცვად საფლავსა მას ზედა, მრქუა მე:

უფალო და მამაო, ქეშმარიტად დიდ არს წინაშე ღმრთისა  
 \* კაცი იგი<sup>1</sup>, რომელი დაიდვა უწინარსს დღეთა ამათ საფლავსა ამას<sup>2</sup>.  
 და მე ვარქუ მას: და შენ, რაჟთა უწყი ესე?

ხოლო მან მომიგო და მრქუა მე: მე კაცი ვიყავ განრლუეული ათორმეტით წლითგან და ვიდევ მე ტაძარსა ამას შინა, და ვითარცა დადევს იგი საფლავსა პატივითა, ვთქუ, ვითარმედ დი-  
 10 დი ვინმე არს; და ვილოცევდ ღმრთისა მიმართ<sup>3</sup> სახე(ვ)ლითა მისითა, და მუნთქუესვე განმკურნა მე ღმერთმან მის მიერ უძლურებისაგან ჩემისა. და დღითი-დღედ მოვალს და ნუგეშინის-მცემს<sup>4</sup> მწუხარებასა ჩემსა. და კუალად სხუად საქმს მოგაქსენო მისთჳსა სწაული, რამეთუ ვინაჟთგან დაჰმარხეთ იგი აქა<sup>5</sup>, ვიდრე დღესა-  
 11 მომდე ყოველთა. ლამეთა მესმის მე საფლავით გამო, ეტყუნ რაჟ იგი ებისკოპოსსა მას, რომლისა თანა დამარბულ არს: ნუ შემომეხები მე, ჰ მწვალებელო, განმეშორე ჩემგან, მტერო წმიდისა კათოლიკე ეკლესიისაო.

და ვითარცა მესმა მე ესე<sup>6</sup> განრლუეულისა მისგან გლახაკი-  
 20 სა<sup>7</sup>, რომელი განკურნებულ იყო, მივედ მე პატრეაქისა და წარმოუთხარ მას ესე ყოველი და ვევედრებოდე მას, რაჟთა მიბრძანოს და გამოვილო<sup>8</sup> გუამი მისი საფლავისა მისგან მწვალებელისა და სხუასა ადგილსა დაედვა იგი.

მომიგო და მრქუა მე გრიგოლი პატრეაქმან: დაიჯერე ჩემ-  
 25 გან, შვილო ჩემო, ვითარმედ ამბა კოზმანს არარაჟ ევენების ებისკოპოსისა მისგან მწვალებელისა, არამედ ესე ამისთჳს იყო, რაჟთა ჩუენ გუეუწყენენ სათნოებანი ბერისანი და მჭურვიალ<sup>9</sup> შური მისი მართლისა სარწმუნოეებისათჳს<sup>10</sup> შემდგომად[დ]ცა სიკუდილისა მისისა, და რაჟთა გუეუწყოს ებისკოპოსისა მისცა მწვალებელობაჟ და  
 30 არამართლმადიდებლობაჟ.

ლა (40). მითბრობდა ჩუენ ეს[ე]ვე ამბა ბასილი აპის ბერი-სათჳს, ამბა კოზმანისა, ვითარმედ: მივედ ოდესმე მისა<sup>10</sup>, იყო რაჟ იგი ფარაჟსა მონასტერსა, ლოცვისა მოღებად მისგან. და მან<sup>11</sup> მრქუა მე: შვილო ჩემო, დღესა შინა ერთსა ვჯედ რაჟ სენაკსა

<sup>1</sup> იგი]—A. <sup>2</sup> ~ ამას საფლავსა S. <sup>3</sup> ღმრთისა მიმართ]—A. <sup>4</sup> + მე S.

<sup>5</sup> აქა]—S. <sup>6</sup> ~ ესე მე S. <sup>7</sup> გლახაკისა]—S. <sup>8</sup> განვილო A. <sup>9</sup> სათნოეებისათჳს S.

<sup>10</sup> მისსა S. <sup>11</sup> ამან A.



შინა ჩემსა და ვიკითხვედ<sup>1</sup> წმიდასა სახარებასა, მივემთხვე<sup>2</sup> მე სიტყუასა მას,<sup>3</sup> რომელი ჰრქუა უფალმან მოწაფეთა თჳსთა, ვითარმედ: რომელსა არა აქუს მახული, განყიდენ სამოსელი თჳსი და მოიგენ თავისა თჳსისა მახული. და<sup>4</sup> მათ ჰრქუეს: არიან ჩუენ თანა (227) ორ დანაჲ. და მან ჰრქუა მათ: კმა არს თქუენდა<sup>5</sup>. და გულს ვეტყოდე მე ამისთჳს, ვითარმედ რაჲმე არს სიტყუაჲ ესე? და ვერ გულისხმან<sup>6</sup> ვყავ და დავადგერ ურვასა შინა მისთჳს. მაშინ მომიჯდა მე გულსა ჩემსა, რაჲთა წარვიდე მე<sup>6</sup> იორდანედ კოშკებისა მონასტერსა მამისა თეოფილსსა, რაჲთა მას ვჰკითხო სიტყუაჲ ესე.

და გამოვედ მე შოვა სამხრის<sup>7</sup> ოდენ, ჟანსა სიცხისასა, სენაკით ჩემით და წარვემართე იორდანედ. და ვითარცა მივიწიე მე უღაბნოსა მას, მახლობელად კალამონისა მონასტერსა, ვიბილე, და აჰა ესერა ვეშაპი დიდი და ფრიად საშინელი ჩამოვიდა<sup>8</sup> მთისა მისგან, რომელ არს დასავალით კალამონსა, და მოიწია ჩემდა. და ვითარ თანა-წარვევიდოდე<sup>9</sup>, ვიწყე მე მწუხარებით შეწევნად ლოცვასა ბერისასა, რაჲთა განმარინოს მე საშინელისა მისგან ვეშაპისა და ვითარ თანა-წარმვიდოდა<sup>10</sup>, აღზრთებოდა იგი კამარედად ხოლო ჩე განვლე ერთსა კამარასა ქუეშე მისსა ლულარქნილობისა მისისასა და მშდლობით განეერი და უქენებელად დავიცევე ლოცვითა მის ბერისაჲთა. და ვითარცა მივიწიე მისა, წარმოუთხარ მას<sup>11</sup> ესე ყოველი ყოფილი. ხოლო მან მრქუა მე ესრეთ<sup>12</sup>, რამეთუ მტერსა ენება დაწრეტად სიმეტრვალს<sup>13</sup> სარწმუნოებებისა შენისაჲ და მისთჳს გეჩუენა შენ ვეშაპი იგი საშინელი. ხოლო ორთა მათ და ნაკთა მოგებაჲ მახლისაჲ ესე არს მტკიცეს და მართალი სარწმუნოებებაჲ და საქმეს სათნოებებაჲ, და რომლისა თანა ესე ორნი საქმენი იყუნენ, იგი სრულ არს<sup>13</sup>. და ესე კმა არს მისა ცხობებად<sup>11</sup>.

ლბ (40). მისრულ ვიყავ მე<sup>15</sup> ამბა კონზანისა<sup>16</sup> ფარაჲსა მონასტერსა და დავყავ<sup>17</sup> მის თანა ათი წელი. და ოდეს ზრახავენ იგი<sup>17</sup> სულისა ცხობებისათჳს, და შემოვარდის სიტყუაჲ წმიდისა იოვანე ოქროპირისაჲ, თქჳს ბერმან: (v) ოდეს<sup>18</sup>. გესმეს სიტყუაჲ წმიდისა იოვანე ოქროპირისაჲ<sup>19</sup> და არა გაქუნდეს შენ ქარტაჲ, რომელსაამცა

<sup>1</sup> ვიკითხვედი S. <sup>2</sup> და მივემთხვე A. <sup>3</sup> მას]—A. <sup>4</sup> და|ხოლო S. <sup>5</sup> გულის-  
 ჯმა A. <sup>6</sup> მე]—S. <sup>7</sup> შუა სამხარს S. <sup>8</sup> შთამოვიდოდა A. <sup>9</sup> წარვიდოდე A.  
<sup>10</sup> წარმოვიდოდა A. <sup>11</sup> მას]—A. <sup>12</sup> ესრეთ]ეს S. <sup>13</sup> სრულ არს იგი S. <sup>14</sup> ცხორე-  
 ბა S. <sup>15</sup> ვიყავ მე]ვიყვენით A. <sup>16</sup> კონზანისა S. <sup>17</sup> იგი]—A. <sup>18</sup> ოდეს]და რაჲმას A.  
<sup>19</sup> სიტყუაჲ წმიდისა იოვანე ოქროპირისაჲ]—S. \*მდრ. ლ უ კ ა 22,36—38.

დასწერე, დაიწერე იგი სამოსელსა შენსა და უნდოდ ნუ განუტე-  
ვებ მას, რამეთუ ესევეთარი სიყუარული აქუნდა მას<sup>1</sup> მოძღუარ-  
თა მიმართ ეკლესიისათაჲსა.

ლგ (43). თესალონიკეს იყო ვინმე ებისკოპოსი, სახელით თე-  
ლანიოს, რომელსა ღმრთისა არა ეშინოდა და არცა ჰრწმენა<sup>2</sup>  
აღდგომამ მკუდართამ და შეურაცხ-ეყო პატიოსნებამ მღდელთ-მო-  
ძღლ[უ]რობისამ, და ნაცვალად მწყემსობისა იყო იგი მგელ. ამან უფარ-  
ყო სარწმუნოვებამ სამებისამ, წმიდამ<sup>3</sup>, და ჰმონა მან ეშმაკთა და უგო  
კერპთა. მაშინ ვითარცა იხილეს იგი მღდელთ-მოძღუართა მათ<sup>4</sup>  
და მწყემსთა ეკლესიისათა<sup>5</sup>, რომელნი იყვნეს ეანთა მათ ესევეთარ-  
სა შინა განრყუნილებასა, განკუეთეს იგი და განჯადეს ეკლესიით  
მსგავსად ბრძანებისა მის<sup>6</sup> ეკლესიისა კანონისა. და ვითარ წარ-  
ჯდეს ღღენი მცირედნი<sup>7</sup>, კუალად ენება სავესეა მას ყოვლითა ცოდ-  
ვითა და უშჯულოვებითა, რაჲთამცა დაიპყრა საყდარი იგი თჳსი  
მღდელთ-მოძღლ[უ]რობით დიდძალითა ოქროჲთა და ვეცხლითა, რო-  
მელი აქუნდა მას, ვითარცა წერილ არს სოლომონ ბრძენსა, ვითარ-  
მედ: ყოველივე ოქროჲთა განემარჯჳს. და ესე ესევიდა ოქროსა  
თჳსსა და უნდა კუალად დაპყრობად საყდარი ქალაქისა თჳსისამ,  
რამეთუ კოსტანტინეს შინა იყო იგი.

ხოლო ღმერთმან არა განწირა ეკლესიამ თჳსი. და ღღესა  
ერთსა შეიმკო იგი შუენიერად, და აღილო ოქროჲ დიდძალი და  
შეიკრიბნა თჳსნი შემწენი და გამოვიდა, რაჲთა შევიდეს იგი წი-  
ნაშე მეფეთა და მიუპყრას ოქროჲ იგი და მით დაიპყრას კუალად  
მღდელთ-მოძღურობამ იგი თჳსი. და ვითარცა შეიმკო იგი და  
გამოვიდა საყოფლით თჳსით და ერი მისი მის თანა, მყისსა შინა  
შეელმო მას<sup>8</sup> მუცელი და შევიდა იგი გარეგანსაჲვალთა და დაჯდა  
იგი მუნ შინა<sup>9</sup>. და დაყოვნდა იგი ვითარ (212) ორ ეამ ოდენ.  
და შ[ე]მწენი იგი მისნი გარეშე ღვეს და ელოდეს გამოსლვასა  
მისსა. და ვითარ დაყოვნდა, შევიდა ერთი მათგანი, რაჲთა გამოუ-  
წოდოს მას და რაჲთა იხილოს მიზეზი იგი დაყოვნებისა მისისამ.  
და ვითარცა შევიდა იგი, იხილა, რამეთუ თავი მისი შთაეყო კუ-  
რელსა მას გარეგანსაჲვალისასა და ფერჯნი მისნი იყუნეს ზედათ  
კერძო და ნაწლევნი მისნი ყოველნი გამოსრულ იყუნეს და ზე  
ეკიდნეს, ვიდრე თავადმდე მისა. და ვითარცა იხილა მან ხილვამ

<sup>1</sup> მას]—A. <sup>2</sup> + მას S. <sup>3</sup> წმიდამ]—A. <sup>4</sup> მღდელთ-მოძღუართა მათ]მღდელ-  
თა A. <sup>5</sup> და მწყემსთა ეკლესიისათა]კრებულმან ეკლესიასამან A. <sup>6</sup> მისებრ A.

<sup>7</sup> ~ მცირედნი ღღენი A. <sup>8</sup> მას]—A. <sup>9</sup> მუნ შინა] მას ზედა S.

იგი საშინელი, შემოუწოდა მოყუასთა თჳსთა და პოვეს იგი, რამეთუ მომკუდარ იყო ბოროტითა სიკუდილითა, ჳორციითა სულისა თანა<sup>1</sup> საუქუნოდ. და რომელთა ესმა და იხილეს, ჳმადლობდეს იგინი<sup>2</sup> ღმერთსა.

ლღ (44). მითხრობდა ჩუენ ერთი ვინმე ბერთაგანი, ეიყვენით რაჲ ჩუენ თებჳიდას, ვითარმედ: ბერი ერთი მკჳდრ იყო გარეშე დიდსა ქალაქსა ანტიუნსა. ამას დაეყო სენაკსა შინა თჳსსა გამოუვალად სამეოცდაათი წელი. და ესხნეს მას ათნი მოწათენი სათნოვებითა შეჳკულნი, თჳნიერ ხოლო<sup>3</sup> ერთი მათგანი დიდად უღეზი იყო სულისა თჳსისათჳს. და დღითი-დღედ ასწავებნ მას ბერი<sup>10</sup> და ეტყჳნ: იზრუნე, ძმაო, სულისა შენისათჳს, რამეთუ მოსიკუდიდ ხარ. ხოლო იგი ყოლადვე ურჩ იყო სიტყუათა ბერისათა და არა შეიწყნარებდა. და შემდგომად მცირედთა დღეთა მოკუდა ძჳჲ იგი და შეწუხნა ბერი ფრიად მისთჳს, რამეთუ უღბად წა[რ]ვიდა. და იწყუო ლოცუად ღმრთისა მიმართ და იტყოდა: უფალო ღმერთო<sup>11</sup> ჩემო, იესუ ქრისტე, მიჩუენე მე ადგილი იგი ძმისაჲ მის, სადა მიიწია იგი. და იხილა ბერმან მდინარს ცეცხლისაჲ და ურიცხუნი სულნი შთაყრილნი მას შინა, და ძმადჳ იგი იხილა და[ნ]თქმული ცეცხლსა მას შინა ვიდრე<sup>5</sup> ყელადმდე<sup>6</sup> მისა.

მიუგო ბერმან<sup>7</sup> და ჰრქუა მას: შვილო ჩემო, ამისთჳს გეტყო-<sup>20</sup> დე მე შენ<sup>8</sup> დღითი-დღედ, რაჲთა იზრუნო სულისა შენისათჳს.

მაშინ მიუგო ძმამან მან<sup>9</sup> (v) ბერსა და ჰრქუა: ეჳმადლობ ღმერთსა, ძანაო, რამეთუ თავსა ჩემსა აქუს მცირედ განსუენებაჲ და ნუგეშინის-ცემაჲ. უწყის ლოცვამან შენმან, რამეთუ ფერჳნი ჩემნი დგანან თავსა ზედა ებისკოპოსისასა.

ლღ (46). მივიწიენით ოდესმე აშბა კჳრიაკოზ ხუცისა კალამონელისა იორდანედ. და ესე მითხრობდა ჩუენ და თქუა: ლამესა ერთსა ვიხილე მე აქა დედაკაცი ფრიად შუენიერი<sup>10</sup>, მოსილი სამოსლითა პორფირითა, ბრწყინეალს, და ორნი კაცნი მის თანა, იგიცა ბრწყინეალედ, შუენიერად შემკობილნი და მდგომარენი<sup>20</sup> გარეშე კარსა სენაკისა ჩემისასა. და გულისხმა-ყყავ, ვითარმედ დედაკაცი იგი წმიდაჲ ღმრთის მშობელი არს და ორნი იგი კაცნი—ერთი იოვანე ნათლის-მცემელი არს და ერთი—იოვანე მახარებელი. მაშინ გამოიედ სენაკით ჩემით და ვევედრებოდე წმიდასა ღმრთის

<sup>1</sup> ~ სულით და ჳორციით A. <sup>2</sup> იგინი—A. <sup>3</sup> ხოლო—S. <sup>4</sup> ღმერთო—S.

<sup>5</sup> ვიდრე—S. <sup>6</sup> ~ ყელადმდე ცეცხლსა მას შინა A. <sup>7</sup> მიუგო ბერმან] და მიუგო მას ბერმან S. <sup>8</sup> მე შენ—A. <sup>9</sup> მან—A. <sup>10</sup> +და S.

მშობელსა და ვარქუ: შემოვედ საყოფელსა მონისა შენისასა და  
 ყავ ლოცვაჲ მას შინა. ხოლო მან არა ინება შემოსლვად. და ვითარ  
 ფრიად ვევედრებოდე და ვაიძულებდ, რაჲთამცა შემოვიდა სენა-  
 კად ჩემდა, და არა<sup>1</sup> კულად-ვიქეც მე სირცხულეული, მაშინ მო-  
 5 მიგო მე რისხვით და მრქუა: სენაკსა შენსა შინა არს მტერი ჩემი  
 და<sup>2</sup> ვითარ შემოვიდე მე მას შინა? და ვითარცა ესე მრქუა.  
 წა[რქვიდა ჩემგან. ხოლო მე ვითარცა<sup>3</sup> განმელჳდა ძილისაგან<sup>4</sup>, შე-  
 მიპყრა მე<sup>5</sup> მწუხარებამან მიუთხრობელმან და გულის ზრახვად  
 ვდგე. ნუჴუჴე სადამე გმობაჲ გულსა მომიჯდა მე წმიდისა მისთვის  
 10 და ვერარაჲ შევაცან ცოდვაჲ თავაჲ ჩემსა, და სხუჲა არავინ იყო  
 სენაკსა შინა ჩემსა თჯინერ<sup>6</sup> ჩემსა. მაშინ მრავლისა მისგან მწუხა-  
 რებისა აღვიხუენ წიგნნი და ვიწყე კითხვად მათ შინა, რაჲთა ნუ-  
 გეშინის-მეცეს მე მცირედ. ხოლო წიგნსა მას შინა იყუნეს თქუმულ-  
 ნი ევსუქი ხუცისა იერუსალჴმელისანი და მეთხოვნეს მე ერ(213)-  
 15 თისაგან ძმათაგანისა, რაჲთა ვიკითხვიდე მათ შინა. და ვითარცა  
 წარვიკითხენ თქუმულნი იგი, ვპოვენ უკუანა კერძო მათსა ორნი  
 თავნი თქუმულნი ნისტორის უღმრთოჲსანი და გულისხმა-ყავ, ვი-  
 თარმედ იგი არს მტერი დედოფლისა ჩუენისა<sup>7</sup>. ღმრთის მშობე-  
 ლისაჲ, და მუნთქუესვე წარვიხუენ იგინი და მივართუენ უფალსა  
 20 ზათსა.

და ვარქუ ზას: მიიხუენ წიგნნი შენნი, ძმაო<sup>8</sup>, რამეთუ სარგე-  
 ბელისა წილ უფროჲს-ლა ვივნე მა[გა]თგან.

ხოლო იგი მაიძულებდა მე, რაჲთამცა ვაუწყე მას მიხეზი-  
 იგი<sup>9</sup> ვნებისა ჩემისაჲ. და მე ვაუწყე მას ყოველი იგი ყოფილი  
 25 და საკითხავთა მათთვის ნისტორის უღმრთოჲსათა.

ხოლო იგი მუნთქუესვე აღივსო საღმრთოჲთა შურითა და  
 მოილო დანაკი და აღმოჴკუეთნა საკითხავნი იგი წინაშე ჩემსა და  
 ცეცხლსა შთაყარნა იგინი, და თქუა: არა უტეო სენაკსა შინა ჩემ-  
 30 სა მტერი დედოფლისა ჩემისა<sup>10</sup> წმიდისა ღმრთის მშობელისაჲ.

ღგ (48). მითხრობდა ჩუენ ანასტასი ხუცესი წმიდისა აღ-  
 დგომისაჲ<sup>11</sup>, ვითარმედ: მოვიდა ოდესმე აქა დედაკაცი წარჩინებულ-  
 თავანი, ცოლი გერმანა ერისთვისაჲ, და კჯრიაკისა ლამესა უნდა.  
 მას ლოცვაჲ საფლავსა შინა მკსნელისა ჩუენისასა. და ვითარცა  
 შევიდოდა იგი, კარსა საკურთხეველისასა, შეემთხვა მას წმიდაჲ.

<sup>1</sup> არა]-A. <sup>2</sup> და]-S. <sup>3</sup> ვითარცა]-S. <sup>4</sup> +და S. <sup>5</sup> მე]-S. <sup>6</sup> ჩემსა თჯინ-  
 ერ[გარეშე S. <sup>7</sup> + წმიდისა S. <sup>8</sup> ძმაო]-S. <sup>9</sup> იგი]-S. <sup>10</sup> ჩემისა]ჩუენისა A.

<sup>11</sup> აღგომისაჲ S.

დედოფალი ღმრთის მშობელი და მის თანა მრავალნი დედანი დიდებულნი.

და ჰრქუა დედაკაცა მას: ვიდრე უკუე ხუალ შენ აქა? რამეთუ არა ჩუენგანი ხარ და ვერცალა<sup>1</sup> ძალ-გიც შენ აქა შემოსლვად ჩუენ<sup>2</sup> თანა.

რამეთუ იყო იგი შჯულითა სევეროს უთაოხსადათა.

და<sup>3</sup> იგი ევედრებოდა მას ღმობიერად, რაჟთა აცადოს შეს[ლ]ვად და ლოცვად წმიდასა საფლავსა.

მიუგო და ჰრქუა მას წმიდამან ღმრთის მშობელმან: გრწმენინ ჩემი, ჰ დედაკაცო, ვითარმედ ვერ შემძლებელ ხარ შენ შენოსლვად აქა, უკუეთუ არა ეზიარო ჩუენ თანა.

მაწინ გულისხნა-ყო დედაკაც(ვ)მან მან, ვითარმედ ამისთჳს არა უფლა<sup>4</sup> შესლვად, რავდენ არს<sup>5</sup> იგი მწველებელი. და მუნთქუესვე შეაჩუენა წველებაჲ თჳსი. და უბრძანა და მოჰგუარეს მას სადიაკონოჲთ გორცი და სისხლი ქრისტისი. და ვითარცა ეზიარა იგი, <sup>15</sup> ესრჳთ დაუბრკოლებელად შევიდა და თაყუანის-სცა განმაცხოველებელსა საფლავსა მკსნელისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტისსა.

ღ<sup>6</sup> (49). კუალად იგივე ანასტასი ხუცესი წმიდისა აღდგომისაჲ მითხრობდა, ვითარმედ: მთავარი ვინმე იყო კელმწიფჳ ფილის-ტიმესა ზედა, სახელით ბეჲმარ. და დღესა ერთსა მოვიდა იგი<sup>7</sup> ერთთა თჳსითა ლოცვად წმიდასა აღდგომასა<sup>8</sup>. და ვითარცა ეგულებოდა შესლვად წმიდად აღდგომად<sup>9</sup>, იხილა მან ვერძი ერთი, რომელი მოეგება და სცა მას რქითა თჳსითა ძლიერად, და უკ[უ]-მოაგდო იგი კარისაგან საფლავისა. ხოლო იგი შეშინდა და კუალად-<sup>25</sup> იქცა შეძრწუნებული.

ჰრქუა მას დევტელარმან<sup>10</sup> და ფარგალიტთა: რაჟსა არა შეხუალ<sup>11</sup>, უფალო, საფლავად?

მიუგო მთავარმან მან<sup>12</sup> და ჰრქუა მათ: რაჟსათჳს შემოგიყვანებიეს აქა შინა ვერძი ესე, რომელი მირქენს მე და არა ნიტე-<sup>30</sup> ვებს შესლვად საფლავად?

ხოლო მათ, ვითარცა ესმა ესე მთავრისა მისგან, განკვრდეს და შთახედნეს საფლავსა მას, და არარაჲ იხილეს.

და ჰრქუეს მას: შევედ, უფალო, რამეთუ არარაჲ არს აქა შინა.

<sup>1</sup> ვერცა S. <sup>2</sup> ჩუენშენ S. <sup>3</sup> დახოლო S. <sup>4</sup> უფლო S. <sup>5</sup> რავდენ არს[რამე-  
თუ იყო A. <sup>6</sup> აღდგომისაჲ S. <sup>7</sup> იგი—S. <sup>8</sup> აღდგომასა S. <sup>9</sup> აღდგომად S. <sup>10</sup> დევ-  
ტელარმან A. <sup>11</sup> შეხუედ A. <sup>12</sup> მან—A.

და ვითარცა ენება შესლვად საფლავად, კუალად იხილა ვერძი იგი, და მოეტევა და სცა მას რქითა თვისითა და ზეუკუნ აგდო იგი და არა უტევა შესლვად საფლავად<sup>1</sup>. და ვითარცა მრავალ გზის ყო ესე, და ჰხედვიდა იგი ჩუენებასა მას, და სხუანი იგი

• არარას ჰხედვიდეს.

პრქუა მას დევტელარმან<sup>2</sup>: გრწმენინ ჩემი, უფალო ჩემო, ვითარმედ გონებასა შინა<sup>3</sup> შენსა არს ზაკუვაა რამე<sup>4</sup> და ამისთჳს არა გაუფლა<sup>5</sup> შესლვად მას შინა, არამედ კეთი(214)ლად ჰყო, უკუეთუ აღიარნე საქმენი შენნი წინაშე მისსა, რამეთუ იგი სახიერ არს და მოწყალე და შეგიწყალოს შენ, რამეთუ ჰნებავს ცხორებაა შენი. ამისთჳს გიჩუენა შენ<sup>6</sup> ესე სახილავი საკვრველი.

მაშინ მიუგო კაცმან მან დიდითა ტირილითა და პრქუა: ქეშმარიტად. რამეთუ სავსე ვარ მე ყოვლითა ცოდვითა და უშჯულოვებისა საქმითა.

15 და დავარდა იგი წინაშე ღმრთისა და აღიარებდა ყოველთა ცოდვათა თჳსთა<sup>7</sup> დიდითა ტირილითა.

და შემდგომად მისა<sup>8</sup> აღდგა და კუალად აზმნო შესლვად საფლავად. და კუალად გამოუჩნდა მას ვერძი იგი და არა აუფლა<sup>9</sup> შესლვად საფლავად.

20 მაშინ მიუგო და პრქუა მას დევტელარმან<sup>10</sup>: მართლიად გეტყვ შენ<sup>11</sup>, რამეთუ სიუაა რამე მიზეზი არს<sup>12</sup> შენ თანა, რომლითა დაეყენები შესლვად წმიდად საფლავად.

მაშინ მათუგო<sup>13</sup> მთავარმან<sup>14</sup> და პრქუა<sup>15</sup>: ნუუკუე ამისთჳს დაეყენები მე შესლვად წმიდად საფლავად, რამეთუ<sup>16</sup> ვარი<sup>17</sup> მე შჯულსა ზედა სევეროსისსა და არა ვეზიარები მე მართლმადიდებელთა თანა.

მიუგო მას<sup>18</sup> დევტელარმან<sup>10</sup> და პრქუა: ქეშმარიტად, რამეთუ ამისთჳს არა ღირს<sup>19</sup> ხარ შენ შესლვად წმიდად<sup>20</sup> საფლავად.

და ვითარცა ესმა ესე მთავარსა მას, მუნთქუესე<sup>21</sup> შეაჩუენა შჯული იგი თჳსი. და მოჰგუარეს მას ჯორცი და სისხლი ქრისტისი და ეზიარა იგი<sup>22</sup>. და ესრეთ შევიდა იგი საფლავად და არღარაა იხილა. და ჰმადლობდა იგი ღმერთსა, რომელმან იქსნა იგი წვალებისა მისგან ბოროტისა.

<sup>1</sup> საფლავად]—S. <sup>2</sup> დევტელარმან A. <sup>3</sup> შინა]—S. <sup>4</sup> ~ზაკუვაა რამე არს S. <sup>5</sup> გაუფლა S. <sup>6</sup> + შენ S. <sup>7</sup> მისთა A. <sup>8</sup> მისსა S. <sup>9</sup> უფლო S. <sup>10</sup> დევტელარმან A. <sup>11</sup> შენ]—S. <sup>12</sup> ~ არს მიზეზი S. <sup>13</sup> +და პრქუა მას S. <sup>14</sup> +თან S. <sup>15</sup> და პრქუა]—S. <sup>16</sup> რ]რავდენ S. <sup>17</sup> ვარ A. <sup>18</sup> მას]—A. <sup>19</sup> ღირ S. <sup>20</sup> წმიდად]—A. <sup>21</sup> მუნთქუეს S. <sup>22</sup> ეზიარა იგი] ეზიარა და ეზიარა S.

ლ<sup>5</sup> (50). ბეასანს შინა, ქალაქსა საკათალიკოზოსა, შევეწმხვე-  
ნით ანასტასის ხუცესსა და მან<sup>1</sup> მითხრა ჩუენ ამბა გიორგისთვს  
დაყუდებულისა<sup>2</sup>, და გურქუა<sup>3</sup>, ვითარმედ: დეკანოზი ვიყავ მე და  
ლამესა ერთსა აღვდეგ<sup>4</sup>, რაჟთამცა დავჰრევე ეამსა ცისკრისასა.  
და მესმა მე, რამეთუ გიორგი დაყუდებული (v) ტიროდა მჭურ-  
ვალედ მწარითა ცრემლითა. და მივედ მისა<sup>5</sup> და ვჰკითხე ნას და  
ვარქუ:

— რაჲ არს, მამო, რაჲსა ესრეთ<sup>6</sup> განმწარებულად სტირ?  
მაუწყე მე.

ხოლო მან არა მომიგო მე სიტყუაჲ.

მაშინ ვიწყე მე<sup>8</sup> ვედრებად მისა ტირილით<sup>7</sup>, რაჟთა მაუწყოს  
მე მიზეზი იგი ტირილისა მისისაჲ. და ვითარცა ფრიად<sup>9</sup> ვაიძუ-  
ლე მას მრავლითა ვედრებითა, მაშინ სულთ-ითქუნა სიღრმითა  
გულისაჲთა, მომიგო და მრქუა მე:

— ვითარ არა ვტიროდი, შვილო ჩემო, რამეთუ ქრისტე, ღმერ-  
თი ჩუენი, განრისხებულ არს ცოდუათა<sup>10</sup> ჩუენთა ზედა და არა ჰნე-  
ბავს შეწყალებაჲ ჩუენი, რამეთუ<sup>11</sup> ვიხილე, შვილო ჩემო, თავი ჩე-  
მი<sup>12</sup> მდგომარ<sup>13</sup> წინაშე საყდარსა საშინელსა მწსნელისა ჩუენისასა,  
და გარემოჲს მისსა ბევრეული სიმრავლ<sup>14</sup> ანგელოზთაჲ და წმიდა-  
თაჲ ევედრებოდეს მას შენდობად ჩუენდა. ხოლო მან არა შეიწყნა-  
რა ვედრებაჲ მათი. და შემდგომად ამისა<sup>15</sup> მოიწია წმიდაჲ დედო-  
ფალი, ღმრთის მშობელი, შემოსილი სამოსლითა პორფირითა,  
თაყუანის-სცა მას<sup>16</sup> და თქუა: მე მომძადლე შეცოდებაჲ მათი და  
შეუნდევე. ხოლო მან არცალა ვედრებაჲ მისი ისმინა. და ამისთვს  
ვტირ, შვილო ჩემო, რამეთუ მეშინის მე რისხვისა მისგან და<sup>18</sup>  
წარწყმედისა, რომელი მოწეენად არს ეამთა ამათ ჩუენ ზედა.

და ესე სიტყუაჲ მრქუა მე ბერმან ხუთშაბათად განთენებასა.  
და მეორესა დღესა პარასკევსა იქმნა ძრვაჲ საშინელი და მრავალ-  
ნი ქალაქნი ზღუს კიდესა დაეცნეს და მრავალნი სულნი წარწყმდეს.  
და აღესრულა სიტყუაჲ იგი ბერისაჲ.

ლთ (50). იგივე ანასტასი მითხრობდა გიორგი დაყუდებუ-  
ლისათვს, ვითარმედ: ვიყავ ოდესმე მდგომარე მახლობელად სარ-  
კუმელსა ბერისასა, და იწყო ტირილად, და<sup>15</sup> მომიგო და მრქუა

<sup>1</sup> მას]—A. <sup>2</sup> გიორგი დაყუდებულისათვს S. <sup>3</sup> გურქუა]თქუა A. <sup>4</sup> ~ აღ-  
ვდეგ ერთსა შინა ლამესა S. <sup>5</sup> მისსა S. <sup>6</sup> ესრეთ]ესერე S. <sup>7</sup> ტირილით]—S. <sup>8</sup> მე]  
—S. <sup>9</sup> ფრიად]—S. <sup>10</sup> ცოდუა S. <sup>11</sup> რამეთუ]—S. <sup>12</sup> ჩემი]თუი S. <sup>13</sup> მისა S.  
<sup>14</sup> მას]—A. <sup>15</sup> და]—A.

მე: ვაჲ ჩემდა, ძმაო, რამეთუ არა მაქუს ლმობიერებაჲ, არამედ უღებებასა შინა წარვჰქნდით<sup>1</sup> დღეთა ჩუენთა და მეშინის მე, ვითარმედ მცირედ-(215)ლა და შემდგომად რისხვება ლ<sup>2</sup>ჲ მოწევნად არს ჩუენ ზედა. და ხვალისა<sup>3</sup> დღე გამოჩნდა ჩუენ ზედა<sup>4</sup> ცეცხლი სა-  
შინელი და აღვივსენით ჩუენ ყოველნი შიშითა მიუთხრობელითა.

8 (51). ქალაქსა ანაზარბოსსა<sup>5</sup>, რომელ არს საკათალიკოზოჲ, ვითარ ათორმეტით მილიონით არს ლავრაჲ, რომელსა ეწოდების მეგვპტელთაჲ. ამას მონასტერსა შინა იყო ბერი ვინმე<sup>6</sup>, რომელი გარდაიცვალა უწინარჱს ხუთისა წლისა, სახელით ივლიანოს. ამას  
10 დაეყო ქუაბსა შინა მცირესა სამეოცდაათი წელი და არაოდეს სადა რაჲ მოეგო ამის საწუთროსა საჭმარი, არამედ ერთი ხოლო პალეკარტი და ფიჩჲ და კათხაჲ ერთი ძელისაჲ და სახარე-  
ბაჲ. და ამისთვის გვთხრობდეს<sup>7</sup>, ვითარმედ ყოველთა დღეთა ცხო-  
რებისა მისისათა სანთელი არა ოდეს<sup>8</sup> აღენთო ღამით, არამედ  
15 გამოუჩნდის მას ზეგარდამო ნათელი ბრწყინვალე<sup>9</sup>, და ჰხედაენ იგი წერილსა და იკითხაენ წიგნსა ვითარცა დღისი, ვიდრე აღსრუ-  
ლებადმდე მისა<sup>10</sup>.

მა (52). მო-ოდესმე-ვიდა ძმაჲ ვინმე ელია დაყუდებულისა, რომელი იყო ქუაბსა შინა სპილიონისასა, რომელ არს წმიდისა  
20 მამისა ჩუენისა საბაჲსი, და ჰრქუა მას:

—მითხარ მე, მამაო, სიტყუაჲ, რომლითა ვცხონდე.

მიუგო<sup>11</sup> ბერმან და ჰრქუა<sup>12</sup>, ვითარმედ: დღეთა მამათა ჩუენთა-  
პირველთასა სამი ესე სათნოეებაჲ დაემარხა მტკიცედ<sup>13</sup>, რომლი-  
თა შემძლებელ იქმნნეს ცხოვრებად: მარხვამ ძლიერი, და სიმდაბლ<sup>14</sup>  
25 მიუთხრობელი, და სიგლახაკ<sup>15</sup> მიუწუდომელი, ხოლო დღეს მოუგეის მონაზონთა ნაყროვნებაჲ სიხარბით, და გულ-ფიცხელობაჲ მანკიერე-  
ბით, და შეკრებაჲ მრავლისა მონაგებისაჲ. აწ, რომელიცა სათნო  
არს წინაშე თუალთა შენთა ორთა ამათგანი, იგიცა შეიკრძალე.

მზ (53). მითხრობდა ჩუენ ამბა სტეფანე თმოსანი ბერისა  
30 ვისთვისმე, რომელი მკვდრ იყო ლავრასა წმიდისა მამისა ჩუენისა საბაჲსსა, სახელით კვრიაკოზ, (v) ვითარმედ: შთა-ოდესმე-სრულ  
იყო იგი უდაბნოსა მას კვტილისასა პირსა ზღუა-მყუდრისასა. და-  
დაყო მუნ ჟამი რავედენიძე. და კუალად-იქცეოდა იგი სენაკადე

<sup>1</sup> წარვჰქნდით)წარმოვასრულებთ S. <sup>2</sup> რისხვამ ლ<sup>2</sup>ჲ—A. <sup>3</sup> ხვალის S.  
<sup>4</sup> ჩუენ ზედა—A. <sup>5</sup> ანაზარბულისასა A. <sup>6</sup> ბერი ვინმე იყო S. <sup>7</sup> მითხრობდეს  
მისთვის S. <sup>8</sup> ოდეს—S. <sup>9</sup> ბრწყინვალე S. <sup>10</sup> მისა—S. <sup>11</sup> მიუგო)ჰრქუა მას S.  
<sup>12</sup> და ჰრქუა—S. <sup>13</sup> მტკიცედ—A.



თქსა. და<sup>1</sup> იყო ჯამი სიცხისაჲ და შეეურვა მას ფრიალისა მისგან სიცხისა<sup>2</sup> და წყურილისა, ვიდრემდის სულმოკლე იქმნა და დაეცა ქუეყანასა ზედა, და<sup>3</sup> განიპყრნა ჯელნი თქსნი ზეცად ღმრთისა მიმართ და თქუა: უფალო, შენ უწყი, ვითარმედ ვერღარა შემძლებელ ვარ სლვად წყურილისაგან და სიცხისა<sup>3</sup>. და ვითარცა ესე<sup>4</sup> თქუა, გამოუჩნდა მას ზეცით ღრუბელი ცუარითა სავსე და აგრილობდა, და განაძლიერა იგი. და აღდგა და წარვიდა. და ვიდრე შესლვადნდნე მისა სენაკად არა განეშორა მისგან. და იყო სიშორე გზისაჲ მის ვითარ ათორმეტ<sup>4</sup> მილიონ.

მგ (53). მითხრობდა იგივე სტეფანე ამის ბერისათჳს კჳრი-<sup>10</sup> აკოზისა<sup>5</sup>, ვითარმედ: მო-ოდესმე-ვიდეს სოფლით<sup>6</sup> ნათესაენი მისნი, ერისა კაცნი, ხილვად მისა<sup>7</sup> და იკითხეს ლაგრასა შინა სენაკი მისი<sup>8</sup>. და უჩუენეს მამათა სენაკი მისი, და მივიდეს, და ჰრეკეს კარსა მისსა. და ვითარცა<sup>9</sup> იქჳრა ბერმან საკჳშელით სენაკისა მისისაჲთ და იცნნა იგინი, ილოცა ღმრთისა მიმართ, რაჲთა არა<sup>10</sup> იხილონ იგი. და გამოვიდა ბერი სენაკისაგან და წარვიდა უდაბნოდ და არა მოიქცა იგი, ვიდრემდის არა წარვიდეს იგინი ლავრით. და მაშინ-ლა მოიქცა იგი სენაკად თქსა.

მდ (54). მი-ოდესმე-ვედით<sup>10</sup> ჩუენ თევდორე ალექსანდრიელისა ტარნუდინს. და მრქუა ჩუენ ბერმან: მართლიად გეტჳჲ თქუენ, <sup>10</sup> შეილნო ჩემნო, ვითარმედ განრყუნეს მონაზონთა თქუმული მამათაჲ. რამეთუ იყო ჟამთა მათ პირველთა მამათასა სკიტეს სიყუარული ფრიადი, მარხვაჲ<sup>11</sup> და სათნოებთაჲ. და მე ვეწიფე მუნ მამათა<sup>12</sup> ბერთა, რომელთა, უკუეთუ არა<sup>13</sup> მოვიდის მამათა უცხოჲ სტუმარი. (216) არა მიიღიან მათ საზრდელი ყოლადვე. და იყო მუნ ერთი<sup>14</sup> ბერთაგანი, რომელსა სახელი ერქუა ამონიოს. ესე ჯდა<sup>15</sup> მახლობელად ჩემსა<sup>15</sup>, და მე<sup>15a</sup> ვიციოდე წესი და განგებთა მისი<sup>16</sup>, რამეთუ არასადა ქამის მარტომან. მაშინ მივიდი მისა ყოველთა შაბათთა, რაჲთა ჩემითა მიზეზითა პირ-იქსნეს ბერმან, რამეთუ ესე იყო წესი მათ ყოველთაჲ მათ ჟამთა<sup>17</sup>,—უკუეთუ<sup>15</sup> მოვიდის მათა უცხოჲ <sup>20</sup> მონაზონი. ჰრქჳნ მას: ყაფ ლოცვაჲ, მამაო; და ვიდრე იგი ილოცავენ, იგინი ტაბლასა განჰშაბდებელ და მუნთქუესვე დასხდიელ პურისა კამად.

<sup>1</sup> და]—A. <sup>2</sup> სიცხი S. <sup>3</sup> და]—A. <sup>4</sup> წყურილისა და სიცხისაგან S. <sup>5</sup> ათხუთმეტი A. <sup>6</sup> კჳრიაკოზისა S. <sup>7</sup> სოფლით A. <sup>8</sup> მისსა S. <sup>9</sup> მისიქბერისაჲ S. <sup>10</sup> ვითარ A. <sup>10</sup> მი-ოდეს-ვედით A. <sup>11</sup> მარხვაჲ]და მარხვაჲ S. <sup>12</sup> ~ მამათა მუნ S. <sup>13</sup> არავინ S. <sup>14</sup> ესე ჯდა]—S. <sup>15</sup> ჩემსა] + მჯდომარე S. <sup>15a</sup> მე]—A. <sup>16</sup> ~ მისი და განგებთა A. <sup>17</sup> მათ ჟამთა]რ რომელსა ჟამსა S. <sup>18</sup> უკუეთუ]—S.

მე (55). გვთხრობდა ამბა ირინიოს, ვითარმედ: ბერი ვინმე იყო სკიტეს მჯდომარე<sup>1</sup>. ამან იხილა ეშმაკი, რამეთუ მისცენდა იგი<sup>2</sup> ძმათა რომელთამე ცულებსა და რომელთამე ნიჩბებსა და რომელთამე გოდრებსა.

5 მაშინ ჰკითხა მას ბერმან და ჰრქუა: რასა უკუე იქმ ამას, ეშმაკო?

ხოლო ეშმაკმან მან<sup>3</sup> ჰრქუა ბერსა: ამას განუყოფ საშუოთველად და შესაქცეველად, რაჟთა ამას საქმარსა მიექცენ და ლოცვისათჳს უღებ იქმნენ.

10 მვ (55). იგივე ანბა ირინიოს გვთხრობდა კუალად<sup>4</sup>, ვითარმედ: ოდეს ბარბაროსნი მოვიდეს სკიტედ, ვივლტოდ<sup>5</sup> მიერ და მოვედ მე ლაზაჲთ კერძოთა ადგილთა, რამეთუ ქუეყანაჲცა ჩემი მუნ იყო. და შევედ ერთსა მონასტერსა, ვითხოვე სენაკი და დაეჯედ მას<sup>6</sup> შინა, რაჟთა მუნ ვიყოფოდოი. და მოვიტხოვე მამასახლი-

15 სიააგან წიგნი მამათაჲ, რაჟთა ვიკითხვილედ მას შინა. და ვითარცა განუყავ კითხვად, ეპოვე მე თავი ესე, ვითარმედ: ძმაჲ ვინმე მივიდა ბერისა რომლისაჲმე წმიდათაგანისა და ჰრქუა მას:

—ლოცვა ყავ ჩემთვის, მამაო.

ჰრქუა მას ბერმან: შევილო, ოდეს ჩუენ<sup>7</sup> თანა იყოფოდე, თანა-მედვა ლოცვაჲ შენთვის ხარკით, ხოლო აწ, ვინაჲთგან წარსრულ ხარ შენ ჩუენგან თჳსთა შენთა თანა, არლარა თანა-მაც ლოცვაჲ შენი.

20

ხოლო მე, ვითარ წარვიკითხე თავი ესე, მუნთქუესვე შეყავ<sup>8</sup> წიგნი იგი და ვარქუ თავესა ჩემსა: ვაჲ შენდა, ირი(v)ნეოს, ვაჲ

25 შენდა, რამეთუ მოსრულ ხარ თჳსთა შენთა თანა და მამანი არლარა გილოცვენ ამიერითგან და თჳთ უღებ ხარ, არამედ იზრუნეს ულისა შენისათჳს.

და აღვდეგ მუნთქუესვე<sup>9</sup> და მივართუ წიგნი<sup>10</sup> იგი უფალსა თჳსსა და გამოვედ, და მოვედ ადგილსა ამას. და ვიყოფვი<sup>11</sup> უღებ-ბებით. და ესე არს მიზეზი მოსლვისა ჩემისაჲ.

30

მზ (57). ქალაქისაგან ელონესა<sup>12</sup> ვითარ ოთხ მილიონ იყო მესუ[ე]ტს ერთი კილიკიას, სახელით სუმეონ. და ესე მოკლულ იქმნა მეხის-ტეხისაგან<sup>13</sup>. ხოლო იყო სხუაჲ მესუეტს, სახელით ივლიანოზ, განშორებულად მისგან ვითარ ოცდაოთხით მილიონით.

<sup>1</sup> მჯდომარე A. <sup>2</sup> იგი — S. <sup>3</sup> მან — A. <sup>4</sup> იგივე ანბა ირინიოს კუალად გვთხრობდა S. <sup>5</sup> ვივლტოდე + მე S. <sup>6</sup> მასქმუნ S. <sup>7</sup> ჩუენქ ჩემ A. <sup>8</sup> შეყვენ S. <sup>9</sup> ~ მუნთქუესვე აღვდეგ A. <sup>10</sup> მივართვენ წიგნი S. <sup>11</sup> ვიყოფები S. <sup>12</sup> ~ ქალაქისაგან ელონესა ელონ ქალაქისაგან A. <sup>13</sup> მეხის-ტეხითა S.

და მასვე ეამსა ჰრქუა მოწათეთთა თჳსთა: შექმენით ცეცხლი და მოიხუ[ე]ნით საცეცხურნი და საკუმეველი.

და ვითარ ჰრქუა ესე<sup>1</sup> უწინარსს ლოცვისა ეამისა, ჰრქუეს მას:

— რაჲსათჳს, მამაო<sup>2</sup>, უწინარ[სს] ლოცვისა ეამისა<sup>3</sup> ითხოვ<sup>4</sup> ცეცხლსა და საკუმევე[ე]ლსა მიუბერ?

მიუგო ბერმან და ჰრქუა მათ, რამეთუ: აჰა ესერა ეამსა ამას გარდაიცვა[ლა] ამბა სუმეონ, რამეთუ იყო მესუეტს ელონ ქალაქისაჲ და ეგერა სული მისი სიხარულით აღვალს ზეცად<sup>5</sup>.

მე (58). გვთხრობდა ამბა სტეფანე, რომელი იყო ლავრისა-<sup>10</sup> გან წმიდისა მამისა ჩუენისა საბაჲსა<sup>6</sup>; რ იყო იგი<sup>7</sup> მოსილ ძაძითა ივლიანოს დაყუდებულისათჳს, რომელი იყო მესუეტე<sup>8</sup>, ვითარმედ: გამოჩნდა ლომი ერთი ქუეყანასა მათსა და მრავალნი სულნი უცხონი და მის ქუეყანისანი მოწყუდნა<sup>9</sup>. და დიდსა შინა მწუხარებასა იყუნეს ყოველნი მის ქუეყანისანი<sup>9</sup> მკაცისა მისგან ბოროტისა. და დღესა შინა ერთსა ჰრქუა ბერმან მოწათეთსა თჳსსა:

— წარვედ, შვილო, დასაავალით კერძო. ვითარ ორ მილიონ, და ჰპოვო მუნ ძმაჲ ერთი მჯ[დ]ომარს და არქუ მას: გეტყჳს შენ გლახაკი ივლიანოს სახელითა იესუ ქრისტესს, ძისა ღმრთისაჲთა, წარვედ ამიერ აღგილით და ნულარა იყოფვი აქა ეამ ერთცა.<sup>20</sup>

(217) მაშინ წარვიდა ძმაჲ იგი, ვითარცა უბრძანა მოძღუარმან მისმან. და პოვა ლომი იგი საშინელი მწოლარს და ჰრქუა მას სიტყუაჲ იგი ბერისაჲ<sup>10</sup>. ხოლო მას, ვითარცა ესმე, ჰუნთქუესვე იელტოდა მიერ, ვითარცა დევნული.

მთ (59). გვთხრობდა ჩუენ ამბა პეტრე, ხუცესი ლავრისა<sup>25</sup> წმიდისა საბაჲსი, ამბა თალელსთჳს, რომელი იყო კილიკიელი, ვითარმედ სამეოცი წელი დაეყო მონაზონებასა და ყოლადვე არა დასცხრებოდა ტირილისაგან. და რამეთუ იტყჳნ, ვითარმედ: მცირედი ესე<sup>11</sup> ეამი მოუცემიეს ჩუენდა ღმერთსა სინანულისათჳს და მოსწრაფებჲა გვღირს, რაჲთა არა დავიქირვოთ და ნერმე უღებად<sup>12</sup>. ვინანდეთ.

ნ (61). გვთხრობდეს ამბა ლეონტი კილიკიელისათჳს, ვითარმედ მეჴამეთაგანი იყო წმიდისა ღმრთის მშობელისა ეკლესიაჲსათაჲ<sup>13</sup>, რომელ არს ნიაჲ, სპოდონელთაგანი. და დაყო ორმეოცი

<sup>1</sup> ~ ესე ჰრქუა A. <sup>2</sup> მამაო] + აწ A. <sup>3</sup> უწინარსს ლოცვისა ეამისა] ლოცვისა ეამისა უწინარეს A. <sup>4</sup> ~ აღვალს ზეცად სიხარულით A. <sup>5</sup> საბაჲსი S. <sup>6</sup> იგი]—S. <sup>7</sup> სუეტსა S. <sup>8</sup> მოწყუდნა S. <sup>9</sup> იყუნეს ყოველნი მის ქუეყანისანი] იყო ქუეყანაჲ იგი მათი A. <sup>10</sup> სიტყუაჲ იგი ბერისაჲ] სიტყჳსებრ ბერისა S. <sup>11</sup> ~ ესე მცირედი S. <sup>12</sup> ურგებად S. <sup>13</sup> ეკლესიისათა S.

წელი და ეკლესი[ი]თ არა გამოვიდა სადამე, არამედ ფრიად მჭურ-  
ვალე იყო იგი სათნოებებათა მოგებისათჳს. და ოდეს გლახაკი მო-  
ვიდის მისა<sup>1</sup> ქველის საქმრისა თხოვად, უკუეთუ მწუხარეა<sup>2</sup> არნ, კელ-  
თა მისციის ქველის საქმარი იგი; და რომელი იხედავენ, ქუე დაუდ  
ვის სუეტისა ძირსა, გინა სკამსა<sup>1</sup> ზედა, გინა საკურთხეველად  
აღსაეალსა, რომელსა იგი მისცემნ და ჰრქჳს: აღილე და ვილოდე-  
და ჰკითხა ამისთჳს ბერმან ვინმე:

— რაჲსა კელთა არა მისცი ევლოგიაჲ გლახაკსა?

ხოლო მან ჰრქჳთა, რამეთუ: ესე ევლოგიაჲ წმიდისა ღმრთის  
მშობელისაჲ არს და მე მისგან მომაქუს, და გლახაკსა ცა იგივე  
მისცემს, ჩემი არარაჲ<sup>4</sup> არს, და ამისთჳს<sup>5</sup> ეგრეთ ვუვი, რაჲთა არა  
ვთქჳთა, თუ მე რასმე მივსცემ გლახაკსა.

ნა (62-63). გვთხოვდეს<sup>6</sup> ამბა სტეფანე ხუცისათჳს, რომელი  
იყო ლავრასა შინა წმიდისა საბაჲსსა, ვითარმედ დღესა შინა ერთ-  
სა ჯდა რაჲ იგი სენაკსა შინა თჳსსა, გამოეცხადა მას ეშმაკი  
პირისპირ და ჰრქჳთა მას: წარვედ ამიერ ლავრით, რამეთუ არა-  
რას სულისა სარგებელსა ჰპოვებ აქა.

მაშინ<sup>7</sup> მიუგო ბერმან და ჰრქჳთა: არა დაგემორჩილო შენ,  
რამეთუ მე უწყი უკეთურებაჲ შენი, არავისთჳს სულისა სარგებელ-  
სა იურვი და (v) არცა ვისთჳს<sup>8</sup> მართალსა ჰზრახავ<sup>9</sup> და არცა  
გნებავს ცხოვრებაჲ კაცისაჲ, თუ ვითარ შეუძლო.

და კუალად იყო ბერი<sup>10</sup> იგი მჯდომარე სავრძელსა ზედა და  
იკითხვიდა წიგნსა. და კუალად გამოეცხადა ეშმაკი იგი და  
ჰრქჳთა:

— წარვედ ამ[ი]ერ ლავრით.

ჰრქჳთა მას ბერმან: უკუეთუ<sup>1</sup> ქეშმარიტად გნებავს წარსლვაჲ  
ჩემი ამიერ, მაშა შეძრენ სავრძელნი ესე, რომელთა ზედა ვზი,  
და წარვიდე.

მაშინ ყო ეშმაკმან მან სავრძელი<sup>12</sup> იგი, და მას ზედა მჯდო-  
მარ<sup>13</sup> ბერი, მიმომავალი სენაკსა შინა.

მაშინ, ვითარცა იხილა ბერმან ლონისძიებით უცნებაჲ იგი  
ეშმაკისაჲ მის, ჰრქჳთა მას:

— ოდეს-ლა<sup>13</sup> ესთენ<sup>14</sup> მოსწრაფე ხარ წარსლვასა ჩემსა ამიერ,

<sup>1</sup> მისსა S. <sup>2</sup> მწუხარ<sup>1</sup> S. <sup>3</sup> სკამსა] კამარასა A. <sup>4</sup> არარაჲ] არაჲ S. <sup>5</sup> ამი-  
სთჳს] მისთჳს S. <sup>6</sup> გვთხოვდეს] გვთხოვდდა ვინმე A. <sup>7</sup> მაშინ]—S. <sup>8</sup> ვისთჳს]—S.  
<sup>9</sup> ჰზრახავ] რას ჰზლახავ S. <sup>10</sup> ბერი]—S. <sup>11</sup> რომელსა S. <sup>12</sup> ყენა ეშმაკმან სავარ-  
ძელნი A. <sup>13</sup> ოდეს S. <sup>14</sup> ესთენ] ესრეთ A.

აპა ესერა კეშმარიტსა გეტყვ შენ<sup>1</sup>, ვიდრე სიკუდილადმდე არა დაუტეო ადგილი ესე<sup>2</sup> ჩემი.

და აღდგა იგი და ყო ლოცვაჲ, და ეშმაკი იგი ვითარცა კუამლი განქარდა.

ნბ (64). სამნი ვინმე ბერთაგანნი მოვიდეს ამის ამბა სტე-  
ფანსსა და ზრახვიდეს სულთა სარგებელისათჳს. ხოლო ბერი  
დუმნა. ჰრქუეს მას ბერთა მათ:

—რად არარას<sup>3</sup> გუეტყვ, მამაო, რამეთუ მოსრულ ვართ,  
რათა სარგებელ გუეყოს სიწმიდისაგან შენისა.

მიუგო მათ ბერძან და ჰრქუა: შემინ[ნ]დვეთ მე, მამანო წმიდა-  
ნო, და გრწმენინ, რამეთუ<sup>4</sup> არარაჲ მასმიეს სიტყუათა თქუენთა-  
განი, რომელსა ჰზრახვედით. ხოლო რომელი ჩემ თანა არს, იგი  
გიტხრა თქუენ. არარას სხუასა ვხედავ ღამს და დღს წინაშე თულთა  
ჩემთა, არამედ ქრისტესა, ღმერთსა ჩემსა, ჯუარცუმულსა ძელსა  
ზედა, და გონებაჲ ჩემი მას წარუტყუენავს.

ხოლო მათ, ვითარცა ესა ესე, ფრიად სარგებელ იყვეს და  
წარვიდეს.

ნგ (65). გვტხრობდა ამბა იოანე<sup>5</sup> ამის ამბა სტეფანე ხუცი-  
სათჳს, ვითარმედ შეელჩა მას ღძლი ფრიად და ძლიერად, რომ-  
ლისაგანცა აღესრულა. და მოვიდეს მკურნალნი და აიძულებდეს<sup>6</sup>  
მას, რათამცა კამა მფორინველისაჲ. ხოლო მას არა უნდა ესე  
ყოფის, არამედ ქირისა მიათჳს და მორჩილებისა თავს-იდვა  
ყოფად ესე. და ესუა მას ძმაჲ ჯორციელად მსოფლიოჲ, მორწ(216)-  
მუნს და ფრიად მდაბალი. და მუნ დახუდა იგი ჟამსა მას, ოდეს-  
იგი აიძულეს ბერსა კამად მფორინველისაჲ. და ვითარცა იხილა  
ესე, ფრიად შეწუხნა ძისთჳს და თქუა: ჰ, ვითარ შემდგომად ესო-  
დენტა მარხვათა და მოლუაწებათა<sup>7</sup>, აწ ჟამსა სიკუდილისასა ვი-  
ხილე ძმაჲ ჩემი კამად ჯორცისა! და მუნთქუესვე დაეცა მის ზედა<sup>8</sup>  
განკვრებაჲ და იხილა კაცი ვინმე დიდებული, რომელი ეტყოდა:  
რახსათჳს შესწუხენ და განიკითხე ძმაჲ შენი, იხილე რაჲ იგი ქა-  
მად ჯორცისა? არა უწყია, ვითარმედ ქირისაგან და მორჩილები-  
სათჳს აიძულა ამას ყოფად? ხოლო უკუეთუ გნებავს, რათათა იხილნე  
საქმენი ძმისა შენისანი, მოიქეც აღმოსავალით და იხილე.

და ვითარცა მოიქცა იგი<sup>9</sup>, იხილა ქრისტე ჯუარ-ცუმული  
ძელსა ზედა და მარჯუენით მისსა ძმაჲ მისი ჯუარ-ცუმული ძელსა-  
ვე ზედა.

<sup>1</sup> შენ]—S. <sup>2</sup> ესე]—S. <sup>3</sup> არარას|არას S. <sup>4</sup> რ'ვ'დ S. <sup>5</sup> იანე S. <sup>6</sup> აიძუ-  
ლეს S. <sup>7</sup> მოლუაწებათა|+და A. <sup>8</sup> მის ზედა]მას A. <sup>9</sup> იგი]—A.

პრქუა კაცმან მან: იხილეა ძმაჲ შენი ჯუარ-ცუმული ძელსა ზედა ქრისტის თანა? ამიერითგან გრწმენინ, რომელსა მოციქული იტყვს: უკუეთუ მის თანა ვივნოთ, მის თანაცა ვიდიდნეთ.

- ნჯ(67-68). გვთხოვდა მოწათს ამბა თევდოსი დაყუდებულ-  
 3 საჲ, ვითარმედ: დაუო მან სენაკსა შინა დაყუდებით ორმოცდაათ-  
 ხუთმეტე წელი. და სიტყუაჲ არაოდეს მიეგო კაცისა. და იმარხაენ  
 იგი ორ-ორით. და ეამსა პირისა ქსნისასა ასოჲ ერთი დაუსკს  
 მოწათესა თუსსა<sup>1</sup>, და მან მიაართუს საზრდელი. და ამისთუს აუწყეს  
 ამბა აბრამის<sup>2</sup>, მამასახლისსა წმიდისა ნიაჲსასა<sup>3</sup>, ვითარმედ არა  
 10 აქუს მას სამოსელი საზამთროჲ. და იყიდა მან ბურნუსი ერთი და  
 წარსცა იგი მას, რაჲთა შეიმოსოს. და რომელთა მოიღეს, პოვეს  
 იგი მძინარს, რამეთუ საჲ რძელთა ზედა მიიძინის მან. და დაუდ-  
 ვეს იგი მას გუერდით და წარვიდეს. და ვითარცა განიღჳძა,  
 შეიმოსა იგი და მუნთქუესვე მოვიდეს სპარსნი და განსძარცუეს<sup>4</sup>  
 15 იგი და წარვიდეს<sup>5</sup>. ხოლო იგი არცა შეწუხნა<sup>6</sup> და არცა სიტყუა-  
 უგო მათ.

- ნე (69). მივედით ოდესმე მე და<sup>7</sup> სოფრონი ბრძენი აღე-  
 ქსანდ(ν)რიად წმიდისა პალადისა, მონასტერად, და ვჰკითხეთ მას  
 სიტყუაჲ სულთა ცხორებისათუს. ხოლო ბერმან მოგვგო და გურ-  
 20 ქუა: შეიღნო ჩემნო, მოსწრაფე ვიქმნეთ აქა მცირედსა ამას ეამ-  
 სა სულთა ჩუენთათუს, რაჲთა მუნ საუკუნოდ ვიხარებდეთ და ვი-  
 ხილოთ მოთმინებაჲ იგი<sup>8</sup> წმიდათა მოწამეთაჲ სატანჯველთა შინა  
 ურჩულოთა მიერ, ვითარ-იგი იგუემებოდეს ქრისტესთუს და სიხა-  
 რულით მოითმენდეს. რომელთამე მათგანთა აღმოჰქდიდეს თუალთა  
 25 მათთა და რომელთამე ძუალთა მათთა დაჰლეწდეს და რომელთამე ცე-  
 ცლითა დასწუვიდეს და რომელთამე ზღუასა დაათქმიდეს. და აღუ-  
 რაცხელ იყო სატანჯველი იგი მათი, რომელთა-იგი ეშმაკი ასწა-  
 ვებდა მათ. და უკუეთუ ჩუენცა ვილუაწოთ ეამსა ამას, მათ თანავე  
 შევირაცხნეთ, რამეთუ თქუა ქრისტემან, ვითარმედ: ძესა კაცისასა  
 30 არა აქუს ადგილი, სადა თავი მიიდრიკოს\*.

ნვ (69). ვჰკითხეთ ჩუენ ამასვე<sup>10</sup> ამბა პალადიოსს, ვითარმედ:  
 — გუაუწყე ჩუენ, ვითარ მოხუედ შენ<sup>11</sup> დასაბამსა მონაზონე-  
 ბად.

ხოლო ბერმან მრქუა ჩუენ<sup>12</sup>: მე სიყრმესა ჩემსა ვიყავ ქუეყა-  
 ნასა ჩემსა თესალონიკეს. და იყო მუნ ზღუდესა ქალაქისასა გარე

<sup>1</sup> თუსსა)—S. <sup>2</sup> აბრამს A. <sup>3</sup> ნიისასა S. <sup>4</sup> განსძარცუეს S. <sup>5</sup> წარვიდეს S.

<sup>6</sup> შეძრწუნდა S. <sup>7</sup> და)—A. <sup>8</sup> იგი)—A. <sup>9</sup> მათთა)—A. <sup>10</sup> ამას S. <sup>11</sup> შენ)—S.

<sup>12</sup> ჩუენ]მე S. \* მათე მ, 20.

დაყუდებული ერთი, რომელსა სახელი ერქუა ამბა დავით. ესე<sup>1</sup> კაცი იყო<sup>2</sup> წმიდაჲ და სათნოჲ ღმრთისაჲ და მოწყალე, და დაეყო დაყუდებასა მას<sup>3</sup> შინა ვითარ ორმოცდაათი წელი. და ერისაგანნი სცვიდეს ქალაქსა მას ბარბაროსთაგან. და მცველნი იგი ვიდოდეს ღამე<sup>4</sup> ზღუდესა<sup>5</sup> ზედა. და იხილეს ცეცხლი დიდძალი ყოვლით<sup>6</sup> აკერძოვე სენაკსა მის დაყუდებულისასა და განკვრდეს, და ჰგონებდეს, ვითარმედ ბარბაროსთა აღუდვეს ცეცხლი იგი, რაჟთა დაწუნ ბერი იგი. და ვითარცა განთენა, მოვიდეს და პოვეს სენაკი მისი გებულად და ბერი იგი წმუდობით. და მეორესა ღამესა კულად იხილეს ცეცხლი (219) იგი და დაუკვრდა ფრიად<sup>7</sup>. და<sup>8</sup> დაადგრა ნათელი იგი<sup>9</sup> სენაკსა მას ვიდრე აღსრულებადმდე ბერისა მის. და მრავალნი კაცთაგანნი ზღუდესა ზედა ღამესა ათევედ, რაჟთა იხილონ ნათელი იგი. და მე, ოდეს ვიხილე ნათელი იგი, გულისხმა-ვეყვე და ვთქუ გონებასა ჩემსა, ვითარმედ: უკუეთუ ამას ქუეყანასა ესევეითარსა მადლსა მიანიქებს ღმერთი მონა[თა] მისთა<sup>10</sup> სათნოთა, რაედენ უფროჲს საუკუნოსა მას განაბრწყინენეს უფროჲს მზი[ს]-თუალისა!<sup>11</sup> და<sup>12</sup> დაუტევე ქუეყანაჲ ჩემი და მოვედ აქა და მონაზონ ვიქმენ. და ესე არს მიზეზი მონაზონებისა ჩემისაჲ.

ნ<sup>13</sup> (71). გვთხრობდა პალადიოს, ვითარმედ ქუეყანასა თესალონიკისასა შე-ოდესმე-იპყრეს ავაზაკი ერთი, რომელსა მოეკლა<sup>14</sup> კაცი. და გამოჰდა ბრძანებაჲ მის ზედა მთავრისაგან, რაჟთა მოიკლას იგი ადგილსა მას, რომელსაცა მოეკლა მას კაცი იგი. და ვითარ წარჰყვანდა იგი ერისა კაცთა მათ<sup>15</sup> მოკლვად, თანა დახულდა ვინმე ერთი მონაზონი და შეუდგა მათ, რაჟთა იხილოს, ვითარ მოკლან ავაზაკი იგი. და ვითარცა მივიდოდეს გზასა მას, მისდევ-<sup>16</sup> და მათ ერიცა მრავალი. მაშინ მიხედა ავაზაკმან მან მონაზონსა მას და ჰრქუა:

— მიხედენ ღმერთსა, მონაზონო, სენაკი არა გიდგესა და კელთსაქმარი არა გიცა!<sup>17</sup>

ჰრქუა მას მონაზონმან მან: ჰე, ძმაო, სენაკიცა ვიდგეს და<sup>18</sup> კელთ-საქმარიცა.

ჰრქუა მას ავაზაკმან მან<sup>19</sup>: რაჟსა არა დაშჯდები სენაკსა შენსა და სტირ ცოდვათა შენთა, ვიდრე არა<sup>20</sup> აქა ურგებად იარები?

ჰრქუა მას მონაზონმან მან: კემმარიტად, ძმაო, მართალსა მეტყვ, არამედ მე<sup>21</sup> კაცი უარ<sup>22</sup> უდები და არა მაქუს მე ღმობიერე-

<sup>1</sup> ესე]—S. <sup>2</sup> იყო]—S. <sup>3</sup> მას]—A. <sup>4</sup> ღამით S. <sup>5</sup> ზღუდეთა S. <sup>6</sup> ფრიად]—S. <sup>7</sup> იგი]—A. <sup>8</sup> და]—A. <sup>9</sup> მათ]—S. <sup>10</sup> კელთ-საქმარი არა გიცა]არცა კელთ-საქმარიცა S. <sup>11</sup> მან]+და S. <sup>12</sup> არა]—A. <sup>13</sup> მე]—S. <sup>14</sup> ვარ]+მე S.

ბაჲ<sup>1</sup> და მისთჳს<sup>2</sup> შევიდღე<sup>3</sup>, რაჲთა ვიხილო სიკუდილი შენი და მის მიერ ლმობიერ იქმნეს გონებაჲ ჩემი.

მიუგო ავაზაკმან და ჰრქუა<sup>4</sup>: წარვედ. მამაო, სენაკად შენდა და ჰმადლობდ ქრისტესა. რომელი ჯუარს-ეცუა ჩუენთჳს ავაზაკთა შორის და მივსნ(ვ)ნა ჩუენ ცოდვათაგან და მან<sup>5</sup> მოგცეს ლმობიერებაჲ<sup>6</sup> და ცხორებაჲ საუკუნოჲ.

68 (72). გვთხრობდა კუალად ამბა პალადიოს, ვითარმედ: შეიპყრეს ბერი ვინმე, რომელსა კაცი მოეკლა. და მიიყვანეს იგი მთავრისა. და ვითარ იწყეს გუემად მისა აღექსანდრიას, აღიარა, ვითარმედ: არს ჰაბუკი ერთი<sup>7</sup> მოყუას მისა<sup>8</sup> კლვასა მას თანა. და ვითარ სახელ-სდვა, მოიყვანეს ჰაბუკიცა იგი. და იყო იგი ოცის წლის. და იწყეს ტანჯვად მათა. და ვითარ ფრიად გუემნეს იგინი, იწყო ჰაბუკმან მან უვარის-ყოფად, ვითარმედ: არა-რაჲ ესევეთარი მიქმნიეს. ხოლო ბერი იგი აღიარებდა, ვითარმედ: 10 ეგრეთ არს, ჩუენ მოვკალთ იგი. ამისა<sup>9</sup> შემდგომად გამოვდა ბრძანებაჲ მთავრისაგან, რაჲთა ორნავე იგი ჯუარს-აცუნენ. და წარიყვანნეს იგინი მვედართა<sup>10</sup> ადგილსა, რომელსა ჰრქვან პანტონ, სადა-იგი ბოროტის მოქმედნი<sup>11</sup> ჯუარს-აცუნიდ. და ვითარ მიიწინეს იგინი ადგილსა მას, უნდა მვედართა მათ, რაჲთა ყრმაჲ იგი პირ-15 ველად ჯუარს-აცუან. და ვითარ ამას იქმოდეს, მიუგო ყრმამან მან მვედართა მათ და ჰრქუა:

— გაფუცებ თქუენ ღმერთსა ცხოველსა, მვედარნო, რაჲთა ესე სათხოველი მომმადლოთ მე ღმრთისათჳს, და აღმოსაველით მიქციოთ პირი ჩემი, ოდეს ჯუარს-მაცუათ.

25 ჰრქუეს მას მვედართა მათ: და რაჲსათჳს ესრეთ ითხოვ<sup>12</sup>?

ჰრქუა მათ ყრმამან მან: ამისთჳს, უფალნო ჩემნო, რამეთუ არლა მაქუს მე, ვინაჲთგან ნათელ-მიღებებს და ქრისტეანე ქმნულ ვარ, თჯნიერ შუდისა თოჯსა<sup>13</sup>, ბარე მკუდარი აღმოსაველით<sup>14</sup> ვჰხედვიდღე.

30 ესმა რაჲ<sup>15</sup> ესე მვედართა მათ ყრმისა<sup>16</sup> მისგან, ლმობიერ იქმნეს მის ზედა და იწყეს ყოველთა<sup>17</sup> ტირილად დიდითა მწუხა-

<sup>1</sup> ლმობიერობაჲ S. <sup>2</sup> ამისთჳს S. <sup>3</sup> შევიდღე S. <sup>4</sup> და ჰრქუა მან S. <sup>5</sup> მან

— A. <sup>6</sup> ლმობიერობაჲ S. <sup>7</sup> ერთი ჰაბუკი S. <sup>8</sup> მოყუასი მისი A. <sup>9</sup> იწყო ჰაბუკმან მან უვარის-ყოფად ჰაბუკმან მან არა აღიარა, არამედ იტყოდა S. <sup>10</sup> ამისსა S. <sup>11</sup> მვედართა მათ A. <sup>12</sup> ბოროტისა მოქმედნი S. <sup>13</sup> ითხოვე A. <sup>14</sup> თთუისა S, თჳსა A. <sup>15</sup> აღმოსაველად S. <sup>16</sup> ესმა რაჲ და ესმა S. <sup>17</sup> ყრმისა — S. <sup>18</sup> ყოველთა — A.



რებითა. და მცირედ დააცადეს ჯუარს-ცუმად მისი, ვიღრემდე<sup>1</sup> ბერი იგი პირველად<sup>10</sup> ჯუარს-აცუან. და ვითარცა ჯუარს-აცუმიდეს ბერსა მას, და ესმოდა<sup>2</sup> ყრმისა მისგან, რაჲ-იგი<sup>3</sup> ჰრქუა მათ, და მან ჰრქუა მათ<sup>4</sup>:

—მე მიქციეთ პირი კერპთა ტაძრით კერძო, ღმრთისა ჩემისა მამართ სერაპიონისა<sup>5</sup>.

ესმა რაჲ<sup>6</sup> ესე მვედართა მათ გმომ(294)ბად იგი ბერისაჲ მის, მუნთქუესვე ჯუარს-აცუეს იგი და დაუტევეს ყრმაჲ იგი. და ვიღრე იგინი<sup>7</sup> ჯუარს-აცუმიდეს ბერსა მას<sup>8</sup>, მუნთქუესვე მოიწია მვედარი მთავრისაგან, რაჲთა არა ჯუარს-აცუან ყრმაჲ იგი; არაჲედ უუენ-იყვანონ<sup>9</sup> იგი მუნვე მთავრისა, რამეთუ ეუწყა მას ჰენმარიტად, ვითარმედ ბერმან მან შურიტა ნაცილი დასდუა მას ზედა ქრისტეანე ყოფისა მისისათჳს, რამეთუ კერპთ-მსახურთაგანი იყო და თჳნი ბერისაჲ მის. და ვითარცა ესნა მვედართა მათ, და ყოველნი რომელნი მუნ დაჰხუდეს, ფრიად განიხარეს სიხარულიტა დიდითა<sup>10</sup> ყრმისა მისთჳს. და მიიყვანეს იგი მთავრისა, და ბრძანა განტევებად მისი. ხოლო მან არლარა მიაქცია სახედ თჳსა, არაჲედ წარვიდა უდაბნოდ და მონაზონ იქმნა.

და ესე სარ[გ]ებელისათჳს დავერეთ, რაჲეთუ ღმერთი იქსნის მორწმუნეთა თჳსთა და წარწყმედს ურწმუნოთა.<sup>30</sup>

ნთ (75). და კუალად<sup>11</sup> იგივე პალადიოს გვთბრობდა<sup>12</sup>, ვითარმედ: აქა, ალექსანდრიას, იყო კაცი ვინმე<sup>13</sup> ქრისტეს მოყუარს და გლახაკთ მოწყალს. და ისტუმრებდა იგი უცხოთა და მონაზონთა. და ესუა მას ცოლი ფრიად<sup>14</sup> მორწმუნს, მსგავსი<sup>15</sup> მისი. და ამათ ესუა ასული მცირს, ვითარ რვისა წლისაჲ. და დღესა<sup>16</sup> ერთსა განიზრახა კაცმან მან აღსლუა კოსტანტინედ ვაჰრობად. და ვითარ შევიდოდა ნავსა, დაუტევა მწვდობად ცოლსა თჳსსა და ასულსა, და ერთი მონათაგანი დაუტევა მსახურად მათა. და ვითარ წარემართებოდა იგი, ჰრქუა მას ცოლმან მისმან<sup>16</sup>:

—ვის შეგუვედრენ?<sup>30</sup>

ხოლო მან ჰრქუა: წმიდასა ღმრთის მშობელსა შემვივდრე-ბიეთ და მან დაგიცვანეს თქუენ.

<sup>1</sup> ვიღრე A. <sup>2</sup> პირველ S. <sup>3</sup> ესმოდა]+რაჲ A. <sup>4</sup> რაჲ-იგი—A. <sup>5</sup> და მან ჰრქუა მათ—A. <sup>6</sup> მიმართ სერაპიონისა| სერაპიონისსა მიმართ S. <sup>7</sup> ესნა რაჲ|და ვითარცა ესნა S. <sup>8</sup> იგინი—A. <sup>9</sup> ~ ბერსა მას ჯუარს-აცუმიდეს S. <sup>10</sup> უუენიყვანონ S. <sup>11</sup> სიხარულიტა დიდითა—S. <sup>12</sup> კუალად—S. <sup>13</sup> გვთბრობდა|კუალად S. <sup>14</sup> ~კაცი ვინმე იყო S. <sup>15</sup> ფრიად| დედაკაცი S. <sup>16</sup> მსგავსივე S. <sup>16</sup> მისმან| თჳსმან S.

და წარვიდა იგი<sup>1</sup>.

და დღესა ერთსა შეუქდა ეშმაკი მონასა მას<sup>2</sup> და ალაზრზინა-  
იგი, რაჟთა მოკლას დედოფალი თვისი და ყრმაჲ იგი, და წარილოს  
მონაგები ნათი და წარვიდეს. და აღილო დანაკი და აღვიდა იგი  
კორსა მას, სადა მსხდომარე იყუნეს იგინი და იქმოდეს ჯელთ-  
საქმარსა. და ვითარ მიიწია შუვა<sup>3</sup> ოდენ კარსა და ენება შეს-  
ლვაჲ, (V) დაშთა იგი საშუვალ<sup>4</sup> კარსა და ვერ შეუძლო ვერცა<sup>5</sup> შინა  
შესლვაჲ და ვერცა ზეუქუნ სლვაჲ<sup>6</sup>. მაშინ იწყო კმობად დედოფ-  
ლისა თვისისა: მომეახლე მე ვიდრე აქამომდე<sup>7</sup>. ხოლო მან<sup>8</sup>, ვი-  
თარცა იხილა, რამეთუ დაშთა იგი შუვა<sup>9</sup> ოდენ კარსა, განკვრდა  
გონებითა თვისითა, თუ რაჟსა არა შევალს მათა. ჰრქუა მას  
დედაკაცმან მან:

— რაჲ გნებაჲს, შემოვედ და მაუწყე მე, ხოლო მე მანდა არა  
მოვალ<sup>10</sup>.

მაშინ იწყო ფიცებად და ვედრებად მისა<sup>11</sup>, რაჟთა მივიდეს  
მისა<sup>12</sup> ოდენ. ხოლო იგი ეფუცა, რაჟთა არა მისა მივიდეს<sup>13</sup>.

და<sup>14</sup> ჰრქუა მას<sup>15</sup> მონამან მან: მაშა ყრმაჲ ეგე მომივლინე<sup>16</sup>.  
და მან არცალა იგი მიუვლინა მას.

მაშინ, ვითარცა იხილა მონამან მან, ვითარმედ ვერას შემ-  
ძლებელ არს ნებისა თვისისა ბოროტისა აღსრულებად<sup>17</sup>, განიგმირა.  
დანაკითა მით<sup>18</sup> თავი თვისი. და ვითარცა იხილა დედაკაცმან მან,  
რაჲ-იგი ყო მონამან მან, ჯმა-ყო ძლიერად. და შემოკრბეს<sup>19</sup> მო-  
ძმენი მისნი და შურტანი ჯელმწიფისანი და იხილეს საკვრველი  
იგი. და უთხრა ყოველი ნებაჲ თვისი ბოროტი და მოკუდა იგი<sup>20</sup>.  
და დაუკვრდა ყოველთა, ვითარ<sup>21</sup> იქსნა დედაკაცი იგი და ასული  
მისი და მოკლა ძვრის მზრახველი იგი, და აღიდებდეს ღმერთსა.

ღ (77). დღესა ერთსა წარვედით მე და უფალი ჩემი სოფრონი-  
ერთისა ვისამე ფილოსოფოსთაგანისა სწავლად მისგან სიტყუათა,  
ვიყვენით რაჲ აღექსანდრიას. და ვითარ მივედით<sup>22</sup> მისა, იყო  
უამი სამხრისაჲ, და დავჰრეკეთ კარსა. და გამოვიდა ქალი ერთი კი-  
თხვად. და ვიყამეთ შესლვად. ხოლო მან მრქუა ჩუენ: აწლად<sup>23</sup> ოდენ

<sup>1</sup> იგი]—S. <sup>2</sup> მას]+მათსა ზედა S. <sup>3</sup> შოვა S. <sup>4</sup> საშოვალ S. <sup>5</sup> ვერცა]—A.

<sup>6</sup> სლვაჲ]ქცევად A. <sup>7</sup> აქამდე A. <sup>8</sup> მან]—S. <sup>9</sup> შოვა S. <sup>10</sup> ~ არა მოვალ მან-  
და S. <sup>11</sup> და ვედრებად]—A. <sup>12</sup> მისსა S. <sup>13</sup> ~ რაჟთა არა მისა მივიდეს] ვითა  
არა მივიდეს მისა S. <sup>14</sup> და]—S. <sup>15</sup> მას]—A. <sup>16</sup> მოვლინე A. <sup>17</sup> ~ აღსრულებად  
ბოროტისა S. <sup>18</sup> მით]—A. <sup>19</sup> შეკრბეს A. <sup>20</sup> იგი]—S. <sup>21</sup> ვითა S. <sup>22</sup> შევე-  
დით A. <sup>23</sup> აწ A.

დაწოლილ არს, არამედ ჰგებდით მცირედ, ვიდრემდის განიღძოს. მაშინ ვარქუ მე სოფრონის: გუალე და წარვიდეთ ადგილსა, რომელსა ეწოდების ტიტირალუნ, რომელი იყო შორის ქალაქსა, ადგილი პატივეცემული ალექსანდრელთაგან ფრიად, და მუნ დავსხედეთ<sup>1</sup> ჩუენ<sup>2</sup>. და რამეთუ იტყვანცა, ვითარმედ ალექსანდრე წარილო<sup>3</sup> გუა(შონ)ში იერემია წინაწარმეტყუელისაჲ ეგვიპტით და დადვა მას ადგილსა, და აღაშშბა და შეაბჱო. და კაცნი დასხდიან მუნ სიტყვს მზრახვალნი.

და ვითარცა მივედით ადგილსა მას, არლარავინ კაცთაგანი ვპოვეთ მუნ, რამეთუ სამხრისა ჯამი იყო, თჯნიერ სამნი მწუხარე-<sup>18</sup> ნი სხდეს და ზრახვიდეს ურთიერთას. და ვითარცა ვიხილენით იგინი<sup>3</sup>, მივედით მდუმრიად და დავსხედით მათ თანა თჯნიერ ცნობისა მათისა. მაშინ<sup>4</sup> იწყეს სიტყუად<sup>5</sup> ბრძანათა მათ და<sup>6</sup> კითხვად ურთიერთას, თუ ვითარ დაბრმეს.

და ჰრქუეს ერთსა: მიხედენ ღმერთსა და გვთხარ შენ, თუ<sup>7</sup> ან ვითარ დაბრმი.

მიუგო მან და ჰრქუა: მე გაუწყო საქმე ჩემი, ვითარ<sup>8</sup> დაემწუხარდი. ოდეს ვიყავ მე ქაბუკ, წარვედ მე<sup>9</sup> იფრიკეთა ვაქრობად. და ვითარ მოვიდოდე ნავითა, თუალთა ტკივილი შეგედვა ნავსა შინა და<sup>10</sup> საოლავე და საკურნებელი არა მაქუნდა, და<sup>11</sup> მძათრისა მისგან ტკივილისა მიმელო სინათლმ თუალთა ჩემთაგან<sup>11</sup>.

და ჰრქუეს მეორესა მას<sup>12</sup>: გვთხარ აწ შენ<sup>13</sup>, თუ<sup>11</sup> ვითარ დაჰმწუხარდი<sup>15</sup>.

მიუგო და ჰრქუა<sup>14</sup>: მე ქიქისა მოქმედი ვიყავ და მჭურვალე-<sup>16</sup> ბისა მისგან ცეცხლისა დაებრმი<sup>17</sup>.

და ჰკითხეს მესამესა მას: გვთხარ შენცა, ვითარ<sup>18</sup> დაჰბრმი.

ჰრქუა მათ<sup>19</sup>: გაუწყო ქეშმარიტი, ვითარ<sup>18</sup> დაებრმი. ოდეს ვიყავ მე ქაბუკ, ვიყავ მე ყოვლით სახით უკეთურ და ბოროტ და<sup>20</sup> მოძულე კელთ-საქმრისა და არარაჲ მაქუნდა, რაჲმცა ვკამე, და ვიპარევედი იქი და აქა. და ესრეთ ბოროტად და ქირით ვიზარ-<sup>20</sup> დებოდე. და დღესა შინა ერთსა ვდეგ მე სავაქროს და ვიგონებდი უკეთურებასა. და მივხედენ და აჰა ესერა<sup>21</sup> მკუდარი ვინმე

<sup>1</sup> დავსხედით A. <sup>2</sup> ჩუენ]—S. <sup>3</sup> ვიხილენით იგინი]—A. <sup>4</sup> მაშინ]—A. <sup>5</sup> სიტყუად]—S. <sup>6</sup> და]—S. <sup>7</sup> შენ თუ]—S. <sup>8</sup> ვითა S. <sup>9</sup> წავედ მე]—S. <sup>10</sup> და]—A. <sup>11</sup> თუალთაგან ჩემთა S. <sup>12</sup> მას]—S. <sup>13</sup> ~ შენ აწ S. <sup>14</sup> თუ]—S. <sup>15</sup> დაჰმწუხარდი]დაჰბრმი S. <sup>16</sup> მიუგო და ჰრქუა]თქუა მან S. <sup>17</sup> დაებრმი]მიმელო ნათელი S. <sup>18</sup> ვითა S. <sup>19</sup> მათ]+მე S. <sup>20</sup> და]+ვიყავ მე S. <sup>21</sup>ესერა]—S.

ქაბუცი მოაქუნდა ზეარცხილთაგანი, შემოსილი სამოსლითა რჩეულითა, დამარხვად. და ვითარ<sup>1</sup> ვიხილე იგი, მრქუა<sup>2</sup> მე გულის სიტყუამან უკეთურმან<sup>3</sup>, რაჲთა<sup>4</sup>ცა განვსძარცუე სამოსელი იგი. და შეუდეგ მათ, რაჲთა ვიხილო ადგილი, სადა დაღ(ვ)იან იგი. და დაღვეს<sup>4</sup> იგი ეკლესიასა უკუანა, დიდსა<sup>5</sup>, წმიდისა იოვანშს[ა] და წარვიდეს. და ვითარცა წარვიდეს<sup>6</sup> და არლარავინ დაშთა მუნ კაცთაგანი<sup>7</sup>, მაშინ განვაღე მე<sup>8</sup> საფლავი იგი და განვსძარცუე<sup>9</sup> ყოველი იგი სამოსელი თუნიერ ერთისა, რომელი შინაგან ემოსა. და ვითარცა გამოვედ მიერ<sup>10</sup> საფლავით, მრქუა მე უკეთურმან მან<sup>11</sup> გულის სიტყუამან ჩემმან: განძარცუე<sup>12</sup> იგიცა, რაზეთუ ლბილ და შეუნიერ არს. და კულად-ვიქეც მე საწყალობელი ესე და შევედ საფლავად, რაჲთა განვსძარცო იგიცა. და ვითარცა მივეახლე განძარცუვად, წარმოჲდა მკუდარი იგი წინაშე ჩემსა<sup>13</sup> და მოყო ჴელი თჳსი და ორითა თითითა წარმოწყარნა ორნივე თუალნი ჩემნი. მაშინ დაუტევე ყოველივე მე, უბადრუკმან<sup>14</sup> ამან, და მრავლითა ქირითა გამოვედ მე<sup>15</sup> საფლავით. და ესე არს მიზენი მწუხარებისა ჩემისა<sup>16</sup>.

ხოლო ჩუენ, ვითარცა გუესმა ესე<sup>17</sup>, თუალ-ნიყუნა<sup>18</sup> სოფრონი, და წარვედით მიერ.

და მრქუა მე: მართლიად გეტყვ<sup>19</sup>, უფალო იოვანე, რამეთუ არლარაჲ ვისწაოთ დღეს, რამეთუ სარგებელ გუეყო ჰამბავი იგი<sup>20</sup> მკუდრისაჲ მის.

და ესე<sup>21</sup> ამისთჳს დაეწერეთ, რაჲთა რომელნი იკითხვიდენ, მათცა სარგებელ ეყოს, რამეთუ არარაჲ იქმნების კეთილი, გინა ბოროტი, რომელიმცა არა ცხად იყო წინაშე ღმრთისა, დათარულთა მეცნიერისა<sup>22</sup>.

ჲა (78). ესე სასწაული ჩუენ თჳთ ყურთა ჩუენთა გუესმა, ხოლო მეორე ესე<sup>23</sup>, მსგავსი ამისი, გჳთხრა მამასახლისმან ჯელონტელმან ამბა იოვანე, მო-რაჲ-ვიდოდა იგი ანტიოქიით.

და გურქუა ჩუენ, ვითარმედ: მო-ვინმე-ვიდა ჩემდა ქაბუცი ერთი და მრქუა მე: ყავ სიყუარული ღმრთისათჳს, მამაო, და შემმოსე მე<sup>24</sup> სქემაჲ მონაზონებისაჲ. და რამეთუ ტიროდა იგი მწარედ დიდითა სულ-თქუმიითა დაუცადებელად.

<sup>1</sup> ვითარცა S. <sup>2</sup> მარქუა S. <sup>3</sup> ~ უკეთურმან გულის სიტყუამან S. <sup>4</sup> დაღვეს[დაჲფუს S. <sup>5</sup> დიდისა A. <sup>6</sup> და ეა წარვიდეს]-A. <sup>7</sup> კაცთაგანი]-S. <sup>8</sup> მე]-S. <sup>9</sup> განვსძარცუე A. <sup>10</sup> მიერ]-S. <sup>11</sup> მან]-A. <sup>12</sup> განძარცუე S. <sup>13</sup> ~ ჩემ წინაშე S. <sup>14</sup> უბედმან A. <sup>15</sup> მე]-S. <sup>16</sup> ჩემისა[ჩუენისაჲ S. <sup>17</sup> ~ ეა გუესმა ესე ჩუენ S. <sup>18</sup> ნიყუნა]+ჩუენ S. <sup>19</sup> გეტყვ]-A. <sup>20</sup> იგი]-S. <sup>21</sup> ესე]-S. <sup>22</sup> მეცნიერისა]. მხედველისა S. <sup>23</sup> ~ ესე მეორე S. <sup>24</sup> მე]-A.

ხოლო მე, ვითარცა ვიხილე იგი ესრეთ შეურვებული, ვარქუ მას: ვინაჲ მოიპოვე, ძმაო, ესევეითარი ლმობიერებაჲ.

ხოლო მან ნრქუა მე: ქეშმარიტად, მამაო, (206) რამეთუ მე გარდარეულად ცოდვილ ვარ.

ხოლო მე ვარქუ მას: შეილო ჩემო, ვითარცა ყოველთა სენ-<sup>ა</sup>თა და უძლურებათა თავად<sup>1</sup> მსგავსად საღმობისა საკურნებელი წამალი არს<sup>2</sup>, ეგრეთვე ცოდვისა მსგავსად სინანული არს. აწ უკუე მაუწყე მე<sup>3</sup> ცოდვაჲ შენი და მსგავსად მისა საკურნებელი მიიღე, რამეთუ სხუაჲ არს სინანული ჯაცის ნკლეჯლთაჲ და სხუაჲ მსიძაფთაჲ<sup>4</sup> და სხუაჲ<sup>5</sup> გრძნეულთაჲ და სხუაჲ<sup>6</sup> ნპარაფთაჲ, და რაათა<sup>10</sup> არა ყოველნი ვნებანი წარმოვთუალნე<sup>6</sup> სულისა და ჯორცთანი<sup>7</sup>, რამეთუ ყოველთა საკურნებელი იპოვების მსგავსად ვნებისა.

მაშინ სულთ-ითქუნა სიღრმითა გულისაჲთა და იცენდა მკერდ-სა და გარმოჰყრიდა<sup>8</sup> ცრე[მ]ლთა მჭურვალეთა ვითარცა წყაროთა. და დიდისა მისგან აღდუღებისა ვერ შემძლებელ იყო სიტყუად<sup>9</sup>.<sup>15</sup> და ნე, ვითარცა ვიხილე იგი ესრეთ აღშფოთებულად, ვარქუ მას:

— შეილო ჩემო, აიძულე თავსა შენსა და ნითხარ მე, რაჲ არს საქმის შენი და შეწვევითა ღმრთისაჲთა მიიღო კურნებაჲ, რამეთუ მან მხოლომან სახიერებითა თვისითა ჩუენისა ქსნისათჳს ჯორცნი შეიმოსნა<sup>10</sup> და კამდა იგი მეზუერეთა თანა და ცოდვილთა,<sup>11</sup> და ცოდვათა ჩუენთათჳს დასთხინა სისხლნი თჳსნი უბიწონი ჯუარ-სა ზედა და ავაზაკსა სამოთხის მიანიკა<sup>11</sup>. ეგრეთვე შენცა შეგი-წყნაროს, ოდეს მოიქეე მისა<sup>12</sup> მიმართ.

მაშინ მრქუა მე:

— უფალო ჩემო, სავსე ვარ ყოვლითა ცოდვითა, რომელსა<sup>15</sup> ვერ იტვრთვენ ვერცა<sup>13</sup> ცანი და ვერცა<sup>13</sup> ქუეყანაჲ, რანეთუ უწა-ნარის ორისა დღისა ქალწული ერთი, ასული მთავართაგანისა ამის ქალაქისაჲ, აღესრულა და შემოსეს იგი სამოსლითა პატროს-ნითა მსგავსად სიმდიდრისა მათისა და დაჰმარხეს იგი. ხოლო მე, მწარედ საწყალობელი ესე, რომელი ამას ბოროტისა საქმესა<sup>10</sup> ჩუეულ ვიყავ, წარვედ საფლავად და შეევედ, და ვიწყე განძარცუ-ვად მისა. და ვითარცა განვსძარცუვე<sup>14</sup> ყოველი, რომელი (v) ემოსა მას, და დაუტევე შიშუელი, ვა დედისა შობილი<sup>15</sup>, და შევეკრიბე

<sup>1</sup> თავად]+თავად S. <sup>2</sup> არის S. <sup>3</sup> მე]-A. <sup>4</sup> მსიძაფთაჲ]არს მეძაფთა A. <sup>5</sup> სხუაჲ]+არს A. <sup>6</sup> წარმოვთუალნე]წარმოვითხრნე S. <sup>7</sup> სულისა და ჯორცთანი] ჯორცთანი და სულიერნი S. <sup>8</sup> გარმოჰლურიდა S. <sup>9</sup> სიტყუად] საზრახავად S. <sup>10</sup> შეიმოსნა]შეისხნა A. <sup>11</sup> მიანიკა]+და S. <sup>12</sup> მისსა S. <sup>13</sup> ვერ S. <sup>14</sup> განვსძარცუე S. <sup>15</sup> ვა დედისა შობილი]ყოლადვე A.

იგი და აღვიღე, რაჟთამცა გამოვედ სამარისა მისგან, მაშინ წა[რ]-  
მოჯდა მკუდარი იგი ქალწული წინაშე ჩემსა და მოყო კელი თვისი  
მარცხენს<sup>1</sup> და შემიპყრა მე კელი მარჯვენს<sup>1</sup> მტკიცედ და დამიქირა  
მე<sup>12</sup> ძლიერად.

8 მომიგო<sup>2</sup> და მრქუა მე: ზ კაცო, ვინმე განწირულო, ესრძთ  
სათნო იჩინეა განძარცუეა ჩემი<sup>3</sup> და განშიშულეა<sup>4</sup>! არა შეიშინეა  
ღმრთისაგან და არცა შემიწყალე მე ვითარცა მკუდარი? არა შეირ-  
ცხენეა წარდგომა ჩემი შიშუელისაჲ წინაშე ქრისტესა<sup>5</sup> და არა  
მოივსენეა, ვითარმედ ამის ბუნებისაგან გამოსრულ ხარ, და ოდეს-  
10 ლა მე განმაშიშულე, დედაჲ შენი განაქიქე. აწ რაჲ უკუე შენდო-  
ბაჲ და მიზეზი გაქუს წინაშე ღმრთისა, რამეთუ ჩემი ცოცხლისა<sup>6</sup>  
პირი არა უხილავს კაცსა, თვნიერ მშობელთა ჩემთასა, და შენ  
გუამი ჩემი ესრძთ ურცხვოდ განაშიშულე! რომლითა კადნიერე-  
ბითა წარსდგე<sup>7</sup> წინაშე ღმრთისა, ანუ რომლითა კელითა მოვა-  
15 ქუს ქორცი ქრისტესი, ზ საწყალობელო ვინმე!

ხოლო მე, ვითარცა<sup>8</sup> ვიხილე, რაჲ-იგი<sup>9</sup> ვიხილე, და მესმა,  
რაჲ-იგი მესმა, შემედეა<sup>10</sup> ძრწოლაჲ ძუალთა ჩემთა და ზარ-განჯდილ-  
მან შიშით მიუგე მას:

— შემინდვე და განმიტევე აწლა, თუ და არლარა შევსძინო<sup>11</sup>  
20 საქმედ ბოროტსა ამას საქმესა<sup>12</sup>.

8 მომიგო და მრქუა მე: შენ ვითარცა გინდა, შემოხუედ აქა,  
ხოლო ვითარცა გნებავს, ვერლარა განხუალ ამიერ, არამედ ესე  
ყოფად არს საფლავ შენდა, ვითარცა ჩემდა, და ნუ ჰგონებ, ვითარ-  
მცა მსწრაფლ მოჰქუედი, არამედ მრავლითა ქირითა განვიდეს  
15 სული შენი ბოროტად.

მაშინ ვიწვე მე ტირილით ვედრებად მისა<sup>13</sup> და ვეფუცე<sup>14</sup>  
ღმერთსა ცხოველსა, ვითარმედ უკუეთუ განმიტეო მე, არლარა  
შევსძინო ბოროტისა საქმედ. მაშინ, შემდგომად ფრიადისა ტირი-  
ლისა და მრავლისა (207) ვედრებისა, მომიგო და მრქუა მე:

20 — უკუეთუ გნებავს განრინებად ამის ქირისაგან და განსლვად  
ამიერ, მომეც მე სიტყუაჲ წინაშე ღმრთისა, რაჟთა ოდეს განივდე,  
არა ხოლო თუ ამათ ოდენ<sup>15</sup> ბოროტისა საქმეთაგან<sup>16</sup> განეყენო,  
არამედ მუნთქუესეე მსწრაფლ<sup>17</sup> განსვდე სოფლით და მონაზონ  
იქნენ და ინანდე ღმრთისა მიმართ ბოროტთა საქმეთა შენთათჳს.

<sup>1</sup> მარჯვენაჲ S. <sup>12</sup> მე]—A. <sup>2</sup> და მომიგო S. <sup>3</sup> ჩემი]—S. <sup>4</sup> + ჩემ სახისა გუა-  
მისაჲ S. <sup>5</sup> ~ წინაშე ქრისტესა შიშუელისაჲ S. <sup>6</sup> ცოდვილისა S. <sup>7</sup> წარდგები A.  
<sup>8</sup> ვითარცა]—A. <sup>9</sup> მე რაჲ-იგი S. <sup>10</sup> შეედეა S. <sup>11</sup> შევსძინო]+ მე S. <sup>12</sup> ამას საქმესა].  
მას A. <sup>13</sup> მისსა S. <sup>14</sup> ვეფუცებოდ S. <sup>15</sup> ოდენ]—A. <sup>16</sup> საქმეთა S. <sup>17</sup> მსწრაფლ]—A.

და ზე ვეფუცე მას და ვარქუ: უწყის უფალზან, დაფარულთა მეცნიერმან, ვითარმედ არა ხოლო თუ, რომელი შენ მრქუა<sup>1</sup>, იგი ოდენ ვყო, არამედ აქაჲთვე წარვიდე მონასტრად და არლარა მივაქციო სახიდ ჩემდა, არამედ მონაზონ ვიქმნე.

მაშინ მრქუა მე ქალწულმან მან მკუდარმან: შემმოსე მე, <sup>5</sup> ვითარცა მპოვე.

და ვითარცა შევმოსე იგი, მიეყრდნა და მოკუდა. და ნე გამოვედ და მოვედ შენდა.

მაშინ ვითარცა მესმა მე ესე ქაბუკისა მისგან, ვასწავენ მას სინანულისა გზანი და განგებაჲ მონაზონებისაჲ. და შევკმოსე მას <sup>10</sup> წმიდაჲ სქემაჲ და დავაყუდე იგი ქუაბსა შინა ერთსა მთისასა, და ფრიად ჰმადლობდა იგი ღმერთსა ტირილითა და მკურვალედ მოსწრაფე იყო სულისა ცხორებისათჳს.

ახ (79). ნივიწიენით ჩუენ<sup>12</sup> ოდესმე<sup>2</sup> სელევეკიად, რომელ არს მაილობელად ანტიოქიასა, და ვიხილეთ ამა თვედორე, ებისკო- <sup>15</sup> პოსი ქალაქისა სელევეკიისაჲ. და ზან გვთხრა ჩუენ, ვითარმედ: იყო ვინმე კაცი ვაქარი შერაცხილთაგანი და მდიდარი ფრიად ნეტარისა დიონოსიოს ებისკოპოსისა ზე, რომელი იყო უწინარს ჩენსა ქალაქსა ამას შინა. ესე<sup>3</sup> კაცი იყო შჯულსა ზედა სევეროსის მწვალებელისასა. და ესუა მას ყრმაჲ ერთი, ზონაჲ კეთილად მსა- <sup>20</sup> ხური, და უყუარდა იგი მას ფრიად კეთილად ნსახურებისა მისისათჳს. ესე<sup>4</sup> ყრმაჲ არა ეზიარებოდა უფლისა თჳსისა თანა მწვალებელთა ეკლესიასა, არამედ ეზიარებოდა იგი მართლმადიდებელთა თანა წმიდასა შინა კათოლიკე ეკლესიასა, დაღაცათუ<sup>5</sup> ფრიად მძიჲ იყო იგი უფალსა მისსა ზედა, არამედ სიყუა(ვ)რულისა მი- <sup>25</sup> სისათჳს ნიეშუა იგი<sup>6</sup> ზიარებად მართლმადიდებელთა ეკლესიასა.

ამან ყრმამან დიდსა ხუთშაბათსა წარიყვანა<sup>8</sup> ნაწილი წესისაებრ მის ქუეყანისა, რაჲთა ეზიარებოდის<sup>7</sup> იგი ეამსა, დასნეულებასა მისსა<sup>9</sup>, გინა ოდესცა ენებოს, და დაუსუენა იგი სარკუმელსა შინა თჳსსა. და შემდგომად წმიდისა აღესებისა<sup>9</sup> წარავლინა <sup>30</sup> იგი უფალმან მისმან ქალაქად კოსტანტინედ ვაქრობად. ხოლო მას<sup>10</sup> დაავიწყდა წმიდაჲ იგი ნაწილი სარკუმელსა შინა და განსაღებელი სარკუმელისაჲ მის მისცა უფალსა თჳსსა და წარვიდა იგი<sup>11</sup>.

<sup>1</sup> მარქუა S.<sup>12</sup> ჩუენ]—A. <sup>2</sup> ოდესმე]—S. <sup>3</sup> ესე]და ესე S. <sup>4</sup> დაღაცათუ] და დაღაცათუ S. <sup>5</sup> იგი]მისა S. <sup>6</sup> წარიყვანის S. <sup>7</sup> ეზიაროდის S. <sup>8</sup> დასნეულებასა მისსა]დასნეულებისა მისისასა A. <sup>9</sup> აღესებისა]აღდგონისა A. <sup>10</sup> მას]—A. <sup>11</sup> იგი]—A.

და შემდგომად ღღეთა რაედენთამე<sup>1</sup> განალო კაცმან მან სარკუმელი იგი ყრმისაჲ მის და პოვნა მუნ შინა კოლოფნი იგი, რომელთა შინა იყო წმიდაჲ იგი ნაწილი. და ვითარცა იხილა იგი, შეწუხნა ფრიად და დაშთა იგი განცუბრებული, რანეთუ არა უწყოდა, რაჲმცა უკუე ყო ნაწილი იგი, რამეთუ არა დაჯერებულ იყო იგი ზიარებისა<sup>2</sup> მისგან, ვინათგან იყო იგი წმიდისა კათოლიკე ეკლესიაჲსაგან<sup>3</sup> მოყვანებულ, რამეთუ იყო იგი იაკობთა შჯულსა ზედა. მაშინ დაუტევა იგი ეგრძთვე შეუხებელად ეამსა მას, რამეთუ თქუა გულსა თვისსა: აწ ოდენ მოვიდეს ყრმაჲ ჩემი და ეზიაროს ამით. და ვითარცა წარკვდა წელიწადი იგი და არა მოვიდა მონაჲ იგი მისი, და მოიწია დიდი ხუთშაბათი<sup>4</sup>, და<sup>5</sup> ენება კაცსა მას<sup>6</sup>, რაჲთა გამოიღოს ნაწილი იგი და დაწუას ცეცხლითა, რაჲთა არღარა დაშთეს იგი<sup>6</sup> სხუასა წელიწადსა. და ვითარცა განალო სარკუმელი იგი, იხილა რამეთუ ყოველი იგი ნაწილი აღორძინებულ იყო და გამოელთ თავწარსხმული იფქლისაჲ ქურქელსა<sup>7</sup> მას შინა, რომელსა ესუენა. იხილა რაჲ იგი<sup>8</sup> კაცმან მან, შეიბყრა იგი<sup>9</sup> ძრწოლამან და შიშმან<sup>10</sup> მიუთხრობელმან უცხოჲსა ნისთჲს სასწაულისა, საშინელისა და დიდებულისა. მაშინ მან და ყოველთა კრებულთა მისთა გამოიყვანეს ნაწილი იგი დიდითა დიდებითა და იტყოდეს მგზავრ კვრ[ი]ელესონსა, ვიდრემდის მიიწინეს წმიდად (208) კათოლიკე ეკლესიად წმიდისა დიონოსიოს ებისკოპოსისა<sup>11</sup> და აუწყეს მას ყოველი იგი<sup>12</sup> ყოფილი. და ესე სასწაული საშინელი იხილეს ყოველთა მკვდრთა ქალაქისათა და სხუთ მოსრულთა. და ამის გამო კაცმან მან და ყოველმან ერმან მისმან და აურაცხელთა<sup>13</sup> სულთა, რომელთა იხილეს ესე, დაუტევეს შჯული იაკობთაჲ და მოვიდეს წმიდად კათოლიკე ეკლესიად და ეზიარნეს მას შინა. და<sup>13</sup> ვითარცა მოიწია მონაჲ იგი კაცისაჲ მის<sup>14</sup>, მშვდობით პოვა უფალი თვისი და ყოველი სახლი თვისი<sup>15</sup>, რამეთუ დაეტევა მათ ბილწი იგი წვეალებაჲ მათი და აღეარა მართალი სარწმუნოებაჲ. და აღიესო იგი სიხარულითა და ყოველნი ერთბამად აღიდებდეს ღმერთსა სასწაულთა მოქმედსა, რომელმან იქსნნა იგინი ბოროტისა მისგან წვეალებისა.

<sup>1</sup> ღღეთა რაოდენთამე | რაოდენისამე ეამისა A. <sup>2</sup> ზიარებასა S. <sup>3</sup> ეკლესიისაგან S. <sup>4</sup> ~ და მოიწია დიდი ხუთშაბათი და არა მოვიდა მონაჲ იგი მისი S. <sup>5</sup> და | S. <sup>6</sup> კაცსა მას | S. <sup>6</sup> იგი | A. <sup>7</sup> კორქელსა S. <sup>8</sup> იხილა რაჲ იგი | და ვა იხილა იგი S. <sup>9</sup> იგი | A. <sup>10</sup> ~ შიშმან და ძრწოლამან S. <sup>11</sup> ებსკოსი S. <sup>12</sup> ყოველი იგი | ესე ყოველი A. <sup>13</sup> აურაცხელთა | ურიცხუთა A. <sup>13</sup> შინა. და | შიდა S. <sup>14</sup> მის | A. <sup>15</sup> თვისი | მისი S.



გ (92). გუთხრობდა მამაჲ ჩუენი მართალი ამაჲ გიორგი არქიმანდრიტი<sup>1</sup> მონასტრისა მამისა ჩუენისა წმიდისა თეოდოსისი, რომელი არს უდაბნოსა წმიდისა ქალაქისა, კრისტსა ღმრთისა ჩუენისა, იერუსალჴმისასა, მე და სოფრონის ბრძენსა და თქუა, ვითარმედ:

— იყო აქა შინა ძმაჲ ერთი, სახელით გიორგი. და იყო იგი ნსახურებასა ადგილისასა აგარაქსა ერთსა. და იყო იგი ზემკულ მრაველითა სათნოებითა და ფრიად ზორჩილ. და დღესა შინა ერთსა ენება ძმათა საქნეჲ პურისაჲ. და ვითარცა განაჭურვის ლუენელი ფრიად, ვითარცა რვალი, ენება ძმათ[ა] მათ გამოცდაჲ ძმისა გიორგისი. და განზრახვით დაუმალნეს მას ლუემლისა საგველნი<sup>2</sup>. და უბრძანეს მას გამოგვაჲ ლუემლისაჲ. ხოლო იგი ეძიებდა საგველთა, და არა პოენა. და ზორჩილებითა მით, რომელი აქუნდა მას უდრტვენელად, იძულა იგი შესლვად ლუემელსა მას განჭურვებულსა და გამოგვაჲ იგი სამოსლითა თუსითა და გამოვიდა. და არარაჲ<sup>3</sup> ეენო მას ცეცხლისა მისგან. და ვითარცა მეუწყა ესე ძმათა მათგან, რომელთა ესე ყვეს, ფრიად შევრისხენ<sup>4</sup> მათ და ვაბრალე გამოცდისათჳს ძმისა მის. ხოლო იგინი სიმდაბლით შემიფრდეს და შენდობაჲ ითხოვეს.

გდ (92). და კუალად მითხრობდა მამაჲ ჩუენი გიორგი ძმისა<sup>5</sup> მის გიორგისთჳს, ვითარმედ: დღესა შინა ერთსა ნწყსიდა იგი (V) ღორთა. და მოიწინეს მის ზედა ორნი ღორნი, რაათამცა მისტაცეს მას რომელიმე ღორთა მათგანი<sup>6</sup>. მაშინ, ვითარცა იხილნა იგინი, მოილო კუერთხი თუსი და განიოტნა იგინი და სდევდა იგი<sup>7</sup> მათ ვიდრე წმიდად მდინარედ იორდანედმდე, ვითარცა საცხოვართა, და მუნ დაუტევენა იგინი<sup>8</sup>.

გე (92). და<sup>9</sup> კუალად მითხრობდა მამაჲ ჩუენ[ი] გიორგი და თქუა, ვითარმედ: რაჲამს-იგი მენება აღშენებაჲ ტაძრისა წმიდისა კვრიკეასთჳს ადგილსა მას, ვიწყე მოთხრად საფუძველისა, რაათა საძირკუელი დავედა. მაშინ მეჩუენა მე ძილსა შინა მონაზონი,<sup>10</sup> ფრიად შრომითა შემოსილი, რომელსა ემოსა პალეკარტი ფინიკისა ფურკლისაგან თხზული, და ბექთა მისთა იყო მკირს[ი] კენდონი<sup>7</sup> დანაკის კუდისა ფურკლისაჲვე. და<sup>8</sup> მომიგო და მრქუა მე სიტყუთა მდაბლითა: მითხარ-ლა, ჳ გიორგი, ვითარ დაჯერებულ

<sup>1</sup> აღქიმანდრიტი S. <sup>2</sup> დაუმალეს ლუემლისა საგველი A. <sup>3</sup> შევრისხენ[ანჭურვისხენ S. <sup>4</sup> ღორთა მათგანი]ღორთაგანი A. <sup>5</sup> იგი]-A. <sup>6</sup> იგინი]-S. <sup>7</sup> და]-A. <sup>8</sup> კინდონი S.

იქმენ, შემდგომად ეგოდენთა ლუაწლთა და შრომათა ჩემთა<sup>1</sup> დამიტეო მე გარეშე<sup>2</sup> ტაძრისა ამის, რომლისაჲ გეგულების შსნებაჲ. ხოლო მე ფრიად დამრცხუენა ზარისა მისგან ბერისა და ვარქუ მას: არა უფალო, ნუ იყოფინ ჩემდა, ვითარმცა ესე ვყავ. ხოლო მან მრქუა მე: ჰე კეშმარიტად, რამეთუ გიყოფიეს ესე. მაშინ მიუგე და ვარქუ: მითხარ მე, მამაო, კეშმარიტად<sup>3</sup> ვინ უკუე<sup>4</sup> ხარ შენ. მომიგო და მრქუა: მე ვარ პეტრე მძოვარი იორდანისაჲ. და ვითარცა განთენა, უმატე სიგრძესა მის საფუძველისასა<sup>5</sup>. და ვითარ ვთხრიდი, ეპოვე გუამი მისი წმიდაჲ<sup>6</sup>, დაფლული ქუეყანასა<sup>7</sup> განუხრწნელად ქორცითა, შემოსილი დანაკის კუდისა ფურცლისა თხზულითა, და მცირე იგი კენდონი ბექთა მისთა, ვითარცა ვიხილე მე ჩუენებასა ღამისასა. და ვითარ<sup>8</sup> აღვაშსნე<sup>9</sup> ტაძარი იგი<sup>9</sup>, ვქმენ ლუსკუნაჲ ფრიად<sup>10</sup> შუენიერი მარჯუენით კერძო საკურთხეველისა და დაედევ იგი მას შინა.

<sup>11</sup> აგ (93). კუალად მითხრობდა მამაჲ ჩუენი გიორგი და თქუა, ვითარმედ: ღღესა ერთსა წარვედ მე ამბა სისინი მძოვრისა. და<sup>11</sup> ამას ნეტარსა ღმრთისათჳს დაეტევა ებისკოპოსობაჲ თჳსი და მოწვევულ იყო იგი მახლობელად სოფელსა, რომელსა ეწოდა<sup>12</sup>(209) ბეათმურანი. და იყო იგი მახლობელად<sup>13</sup> წმიდასა იორდანესა; ვითარ<sup>14</sup> ექუსით მილიონით, და მუნ დაყუდებულ იყო. და ვითარცა მივიწიენით მისა<sup>14</sup> და<sup>15</sup> ვპრეკეთ კარსა სენაკისა მისისასა ფრიად. და<sup>16</sup> შემდგომად მრავლისა ჟამისა განმილო ჩუენ მოწათემან მისმან და მრქუა მე: კეშმარიტად<sup>17</sup> გეტყვ, მამაო წმიდაო, ვითარმედ ბერი დასნეულდა სნეულებითა დიდითა<sup>18</sup>, ვიდრემდე მიიწია სიკუდილ, და<sup>19</sup> ითხოვა ღმრთისაგან ვედრებით, რაჲთა არა განიყუანოს ქორცთაგან, ვიდრემდის ესმეს მოწვევაჲ შენი ქუეყანასა ამას<sup>19</sup>, რამეთუ შემესწავა იგი ქალაქსა სამეუფოსა კოსტანტინეს, რაჲამს-იგი აღსრულ ვიყავ მე<sup>20</sup> წინაშე ტიბერის მეფისა საქმისა რომლისათჳსმე მონასტრისა ჩემისა. და ღმრთისამიერითა სიყუარულითა<sup>21</sup> უყუარდი მე. და ვითარცა შევიდა მოწათე იგი, რაჲთა აუწყოს ბერსა მოსლვაჲ ჩემი, დაყოვნდა იგი ფრიად და მერმე გამოვიდა და მრქუა ჩუენ<sup>21</sup>: შემოვედით. და ვითარცა შევედით შინა, ეპო-

<sup>1</sup> ჩემთა]+რაჲთა S. <sup>2</sup> გარეშე]-A. <sup>3</sup> კეშმარიტად]-A. <sup>4</sup> უკუე]-A.

<sup>5</sup> საფუძველისასა]+ტაძრისა მის S. <sup>6</sup> ~წმიდაჲ მის S. <sup>6a</sup>+ ზედა A. <sup>7</sup> ვითარცა S. <sup>8</sup> აღვაშსნე]აღვასრულე A. <sup>9</sup> იგი]-A. <sup>10</sup> ფრიად]-S. <sup>11</sup> და]-A. <sup>12</sup> ეწოდების A. <sup>13</sup> მახლობელ S. <sup>14</sup> მისსა S. <sup>15</sup> და]-S. <sup>16</sup> და]-A. <sup>17</sup> კეშმარიტა S. <sup>18</sup> სნეულებითა დიდითა]მძიმითა სენითა S. <sup>19</sup> ამას]-A. <sup>20</sup> მე]-S. <sup>21</sup> ჩუენ]-A.

ვეთ ბერი, რამეთუ გარდაცვალებულ<sup>1</sup> იყო. მაშინ მეუწყა გონებისა ჩემისაგან<sup>2</sup>, ვითარმედ ვითარცა ესმა ბერსა ჩემოვს, რამეთუ<sup>3</sup> მიწეულ ვარ მისა, მუ<sup>4</sup>[ნ]თქუესვე წარვიდა იგი უფლისა თვისისა, ვითარცა-იგი აღეთქუა. და ვითარცა<sup>5</sup> მოეხზე გუამსა მისსა წმიდასა, მრქუა მე მკულდარმან მან ვითარცა ცოცხალმან: კეთილად მოხუედ, ძმაო, ამბა გიორგი. და მიიძინა ეგრძეთვე. მაშინ ვაუწყეთ მსოფლიოთა, რაათა მოვიდენ დამარხვასა ბერიასა. და ვითარცა მოიწინეს და მოთხარეს საფლავი, ჰრქუა მოწაფემან ბერისამან საფლავისა მთხრელთა მათ: ყავთ სიყუარული, ძმანო, და მკირედ გარე-აფართეთ საფლავი ეგე, რაათა ორნი ეტინენ მას შინა. და ვითარცა იგინი თხრიდეს, მიწვა მოწაფე იგი სირასა<sup>6</sup> ზედა და შეისუენა. და<sup>7</sup> და[ვ]ჰტლენით ორნივე იგი ერთად—ბერი და მოწაფე მისი.

ჯე (94). ესევე, მაშაჲ ჩუენი გიორგი არქიმანდრიტი<sup>8</sup>, გუბრობდა ჩუენ და თქუა ანბა ლულიანსთვს, რომელი იყო ებისკოპოსი ბუსრას, ვითარმედ: ვითარცა წარვიდა იგი მონასტრით და იქმნა ებისკოპოს ბუსრას<sup>9</sup>, კაცი ვინმე იყუნეს<sup>7</sup> ქალაქსა მას შინა ქრისტის მოძულენი და ენება მოკლვაჲ ებისკოპოსისაჲ გრძნებითა და წამლითა. მაშინ მისცეს ქრთამი დიდძა<sup>(v)</sup>ლი გრძნელსა მეწამლესა, რაათა შეასუას მას წამალი საკუდინებელი. და მისცეს მას წამალი, რაათა იგიცა შეასუას სასუმლითა უცნობელად კათალიკოზ[ი]სა. და ვითარცა ესე შეჰმზადეს, მისცეს ყრმასა მისსა, რომელი ასუამნ სასუმელსა, რაათა შეასუას<sup>8</sup> მას. ხოლო ყრმამან მან განზავა იგი კათხასა შინა სასუმელსა და მისცა იგი კათალიკოზსა ლულიანეს ჩუეულებისაებრ<sup>9</sup> სავსე წამლითა მაკუდინებ[ე]ლითა. ხოლო მან ღმრთისამიერიითა უწყებითა გულისხმა-ყო ბოროტი იგი განზრახვაჲ მათი, რომელნი ამას იქმოდეს. და მოილო კათხაჲ იგი წამლეანი ყრმისა მისგან და დაიდგა იგი წინაშე მისა<sup>10</sup> და არარაჲ ჰრქუა ყოლადვე ყრმასა მას, რომელმან მისცა წამალი<sup>11</sup> იგი<sup>12</sup>. მუნთქუეს[ვე]<sup>13</sup> წარაველინა<sup>13</sup> და მოუწოდა ყოველთა<sup>14</sup> მოქალაქეთა მისთა და მათ თანა იყუნეს ყოველნი, რომელთა შეეზავა<sup>14</sup> წამალი იგი მაკუდინებელი წმიდისა მისთვს. მაშინ წმიდამან ლულიანე<sup>15</sup> არა ინება ცხადად მხილებჲა მათი, რომელთა

<sup>1</sup> ~გონებისა ჩემისაგან მეუწყა S. <sup>2</sup> რამეთუ]ვითარმედ S. <sup>3</sup> ვითარცა] ვითარ A. <sup>4</sup> ასირას S. <sup>5</sup> და]—S. <sup>6</sup> აღქიმანდრიტი S. <sup>7</sup> ბუსრას]ბუსრასა ზედა S. <sup>8</sup> ~იყუნეს კაცი ვინმე A. <sup>9</sup> შეასუასუს S. <sup>10</sup> ~ჩუეულებისაებრ კათალიკოზსა ლულიანეს S. <sup>11</sup> მისსა S. <sup>12</sup> წამალი]—S. <sup>13</sup> იგი]+მას S. <sup>14</sup> და მუნთქუესვე S. <sup>15</sup> წარაველინა A. <sup>16</sup> შეეზავა]შეემზადა S. <sup>16</sup> ივლიანე S.

საქმე იგი კმნეს სიკუდილისა მისისათჳს, არამედ სიმდაბლით  
 ჰრქუა ყოველთა: უკუეთუ ჰგონებთ, რაათამცა მოჰქალთ გლახაკი  
 ლუღიანე<sup>1</sup>, აჰა ესერა კათხაჲ ესე, რომელ განგვიზადებდებეს სიკუ-  
 დილისა ჩემისათჳს, შევსუა იგი წინაშე თქუენ ყოველთასა. და  
 5 აღილო კათხაჲ იგი სავსე წამლითა და დასწერა მას სამ გზის  
 ჯუარი ორითა თითითა თჳსითა და თქუა: სახელითა მამისაჲთა  
 და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა შევსუამ კათხასა ამას. და  
 შესუა იგი წინაშე მათ ყოველთასა და არარაჲ ბოროტი ენო მას.  
 ხოლო ვითარცა შესუა, და<sup>2</sup> იხილეს ესე მათ, რომელთა შეეზავა<sup>3</sup>,  
 10 შეინანეს და შეუერდეს მას სინანულით. ხოლო მან აღადგინნა  
 ივინი და შეუნდო მათ და მშჯღობით განუტევენა ივინი და შიში  
 ღმრთისაჲ ასწავა მათ და წარვიდეს.

ჟმ (96). მითხრობდეს ჩუენ მონაზონნი წმიდისა თევდოსის  
 მონასტრისანი, ვითარმედ: ბერი ვინმე იყო ნათესავით არაბი,  
 11 რომელსა სახელი ერქუა ლუღიანე. ესე ბერი მწუხარე<sup>4</sup> იყო თუა-  
 (210)ლითა და ურწმუნო იყო მაკარი ებისკოპოსისა იერუსალმ-  
 მელისათჳს<sup>5</sup>. და არა ეზიარებოდა იგი ეამსა, რომელსა ზედა სახე-  
 ლი მისი ივსენებოდა<sup>6</sup>. და წარავლინა მან<sup>7</sup> მოციქული ანტიოქიად  
 წმიდისა სუმეონ მესუეტისა, რომელი იყო მთასა საკვრველსა  
 20 ცხრით<sup>8</sup> მილიონით განშორებულად ანტიოქიასა, და მიჰრქუა მას,  
 ვითარმედ: მწუხარე ვარ მე თუალითა და ვერ შემძლებელ ვარ<sup>9</sup>  
 წარსლვად ვიდრემე, და არა<sup>10</sup> მაქუს, ვინ დამაჯეროს<sup>11</sup> ზიარებად  
 ეამსა მაკარი პატრეაქისასა, და ამისთჳს მოვაველინე სიწმიდისა  
 შენისა, რაათა მაუწყყო მე, რაჲ ჯერ-არს ჩემდა ყოფად<sup>12</sup>. მაშინ  
 25 მოამცნო<sup>13</sup> წმიდამან სუმეონ მოციქულსა ბერისა მის თანა<sup>14</sup> და  
 ჰრქუა: ნუ განეშორები ადგილისაგან შენისა და ნუცა კიდე-იქმნე-  
 ბი ეკლესიისა შენისა<sup>15</sup> ზიარებისაგან, რამეთუ არარაჲ<sup>16</sup> არს ბო-  
 როტი მას შინა მადლითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა.  
 და ესეცა უწყოდე, რამეთუ მონასტერსა შინა თქუენსა არს ბერი  
 30 ერთი ფრიად დიდი წინაშე ღმრთისა, რომელსა სახელი ჰრქვან  
 პატრიკიოს. და ესე მამასახლია იყრ ქუეყანასა თჳსსა მონასტერ-  
 სა მრავალთა ძმათა ზედა და ღმრთისათჳს დაუტევა მწყემსობაჲ  
 თჳსი<sup>17</sup> და მანდა მოიწია მრავლით ეამითგან და მდგომარე არს

<sup>1</sup> + გრძნებითა S. <sup>2</sup> შესუა და]—S. <sup>3</sup> შეეზავა] შეეზავადა S. <sup>4</sup> მწუხარე S.

 5 დღე იმარხვიდა და ილოცვიდა ტაძარსა შინა წმიდისა პეტრჳსსა, რაჲთა მეოხ-ეყოს წინაშე ღმრთისა ცოდვათა ნოტევებისათჳს. და ვითარცა აღასრულა ორმეოცი დღე<sup>2</sup>, გამოეცხადა მას წმიდაჲ პეტრე მოციქული და ჰრქუა: აჲა ესერა მე ვევედრე ღმერთსა შენთჳს და მოგიტევენა ყოველნი შეცოდებანი შენნი თჳნიერ ხოლო  
 10 კელთ-დასხნისა, რომლისაგან განკითხვად ხარ მისთჳს, უკუეთუ გიყოფიეს შეპოვნებით გინა ქრთამითა.

პდ (150). მითხრობდა ამბა თევდორე ჰრომი და თქუა, ვითარმედ: განშორებულად ჰრომისა, ვითარ ოცდაათი<sup>3</sup> მილიონით<sup>4</sup>, არს მცირჳ ქალაქი, სახელით რომითა<sup>5</sup>. ამას ქალაქსა შინა  
 15 იყო ებისკოპოსი<sup>6</sup> დიდებული და სათნოებითა შემკული. და მივიდეს კაცნი მოქალაქენი მისნი წმიდისა აღაპითოს ჰრომთა პატრეაქისა და შეასმინეს ებისკოპოსი მათი, და ჰრქუეს მას<sup>7</sup>, ვითარმედ: კამს იგი საკმელსა ფეშხუენსა შინა წმიდასა. და ვითარცა ესმა ესე პატრეაქსა, განცჳფრდა<sup>8</sup> და წარავლინნა მისა ორნი  
 20 მღღელთაგანნი, და შეკრეს იგი და მკარცლ მოიყვანეს<sup>9</sup> ჰრომედ და შეაყენეს იგი შეკრული<sup>10</sup> საპყრობილესა. და დაყო<sup>11</sup> სამი დღჳ საპყრობილესა შინა. და ვითარ<sup>12</sup> მოიწია დღჳ კურიაკჳ და<sup>13</sup> ეწინა პატრეაქსა კურიაკისა ღამესა, და<sup>14</sup> იხილა მან ჩუენებით კაცი ვინმე დიდებული<sup>15</sup>, რომელი ეტყოდა მას, ვითარმედ: ამას<sup>16</sup>  
 25 კურიაკესა ნუ სწირავ შენ ჟამსა და ნუცა ვინ სხუაჲ ებისკოპოსთა და მღღელთაგანი ამის ქალაქისაჲ, არამედ ებისკოპოსი, რომელ არს საპყრობილესა, მისი მნებაჲს ჟამისწირვაჲ დღეს. და ვითარცა განიღჳდა პატრეაქმან, განკვრდა იგი ჩუენებისა მისთჳს და თქუა გულსა თჳსსა: ებისკოპოსი იგი შესმენილ არს უნასისათჳს და ვითარ  
 30 თარ (ჲპ7) წიროს მან დღეს ჟამი<sup>16</sup>? ეჩუენა მას კუალად<sup>17</sup> და ჰრქუა<sup>18</sup>: ებისკოპოსი, რომელ არს საპყრობილესა შინა<sup>19</sup>, გარქუ შენ, ვითარმედ დღეს მან წიროს ჟამი წმიდასა შინა ეკლესიასა.

<sup>1</sup> ~ მონისა შენისა ცოდვილისაჲ S. <sup>2</sup> აღასრულნა ორმეოცნი დღენი S. <sup>3</sup> ოციოთ S. <sup>4</sup> მილიონი A. <sup>5</sup> რომით S. <sup>6</sup> + ფრიად S. <sup>7</sup> მას]—S. <sup>8</sup> განცჳფრდა S. <sup>9</sup> + იგი S. <sup>10</sup> კრულივე S. <sup>11</sup> + მან S. <sup>12</sup> და ვითარ]—S. <sup>13</sup> + ვითარცა S. <sup>14</sup> და]—S. <sup>15</sup> დიდებული]—S. <sup>16</sup> ამას]—A. <sup>17</sup> ~ მან ჟამი წიროს დღეს S. <sup>18</sup> ~ და კუალად ეჩუენა მას S. <sup>19</sup> + მას S. <sup>20</sup> ~ საპყრობილესა შინა არს S.



და კუალად<sup>1</sup> ეჩუენა ეგრძთეე. და კუალად,<sup>2</sup> ვითარცა განილძძა პატრეაქმან, განკვრეებულ იყო ამისთჳს. და მიავლინა საპყრობილელ და მოიყვანა ებისკოპოსი იგი და გამოჰკითხებოდა მას და ჰრქუა<sup>3</sup>: რაჲ არს საქმჳ შენი? ხოლო ებისკოპოსმან არარაჲ სხუჲჲ სიტყუჲჲ მიუგო, გარნა ესე ხოლო, ვითარნედ: ფრიად ცოდვილ ვარ. და ვითარცა ვერარაჲ სხუჲჲ ათქუჳია, მაინ<sup>4</sup> ჰრქუა მას პატრეაქმან: წარმოდევ და წირე დღეს ეამი<sup>5</sup>. ხოლო იგი არა, ლამოდა<sup>6</sup> სიმდაბლით, არამედ<sup>6</sup> ეტყოდა: ნემინდევ, არა ღირს ვარ.

მაშინ აიძულა მას პატრეაქმან ჟამისწირვად<sup>7</sup>. და, ვითარცა წარდგა იგი წირვად წინაშე წმიდასა<sup>8</sup> საკურთხეველსა და პატრე-<sup>10</sup> აქი მდგომარე იყო მახლობელად ჴისა და დიაკონთა მოეცვა საკურთხეველი, და<sup>9</sup> იწყო ებისკოპოსმან ჟამისწირვად, და ვითარცა განიშორა ლოცვაჲ აღპყრობისაჲ<sup>10</sup>, არა განასრულა იგი, არამედ კუალად-ექცა თავითვე მეორედ და მესამედ და ნეოთხედ, ვიდრემდის<sup>11</sup> ყოველთა მუნ მდგომარეთა დაუკვრდა. და ჰრქუა მას პატრე-<sup>18</sup> აქმან: რაჲ არს ესე, რამეთუ მეოთხედ იტყჳ ამას ლოცვასა და არა განასრულებ მას? მიუგო ებისკოპოსმან და ჰრქუა მას: შემინდევ მე, წმიდაო მამაო, რამეთუ არა ვიხილე სული წმიდაჲ გარდამო-<sup>20</sup> მავალი<sup>12</sup> ჩუეულებისაებრ და ამისთჳს არა განვასრულე ლოცვაჲ იგი. არამედ ჯეჲ სიყუარული ღმრთისათჳს და განავლინე დიაკონი<sup>20</sup> ესე, რომელსა სამწერობელი უპყრიეს, რამეთუ მე ვერ კაღნიერ ვარ განვლინებად მისა<sup>12</sup>. მაშინ უბრძანა დიაკონსა მას განსლვად პატრეაქმან<sup>13</sup>. და ვითარცა განვიდა, მუნთქუესვე იხილა ებისკოპოსმან და პატრეაქმან სული წმიდაჲ გარდამოს(ვ)რული და ა[ლ]საპყრობელი იგი, რომელი ებურა საკურთხეველსა ა[ლ]პყრობისა<sup>22</sup> ჟამსა ვიდრე დიაკონთა ა[ლ]პყრობადმდე, აღმაღლდა თავით თჳსით ზედა საკურთხეველსა და დაფა[რა] ებისკოპოაი და პატრეაქი და ყოველნი დიაკონნი, რომელნი ჰუნ მ[დ]გომარე იყვნეს საკურთხეველსა ზედა, და დგა იგი ა[ლ]მაღლებულად და<sup>15</sup> ჴელმეუბებულად ვითარ სამ ჟამ ოდენ<sup>16</sup>. და მაშინ-ლა<sup>17</sup> უწყებულ[ლ] იქმნა პატრეაქი, ვი-<sup>28</sup> თარმედ ებისკოპოსი იგი დიდ<sup>14</sup> არს წინაშე ღმრთისა, და ვითარმედ<sup>19</sup> უსამართლოდ შეასმინეს იგი. და ფრიად შეწუხნა, ვინაფთგან

<sup>1</sup> +მესამედ S. <sup>2</sup> კუალად—S. <sup>3</sup> +მას S. <sup>4</sup> ~ეამი წირე დღეს S. <sup>5</sup> ლამოდა ] თავი-იღებდა A. <sup>6</sup> არამედ სიმდაბლით A. <sup>7</sup> წირვად S. <sup>8</sup> წმიდასა—S. <sup>9</sup> და—S. <sup>10</sup> აღსაპყრობელისა S. <sup>11</sup> ვითარნედ A. <sup>12</sup> გარდამომაველი—A. <sup>13</sup> მისსა S. <sup>14</sup> პატრეაქმან განსლვად დიაკონსა მას S. <sup>15</sup> და—S. <sup>16</sup> სამ ჟამ ოდენსაჲჲ ჟამსა S. <sup>17</sup> მაშინ S. <sup>18</sup> დიდი S. <sup>19</sup> ვითარმედ—A.

განუკითხველად შეაყენა იგი საპყრობილესა, და კანონად<sup>1</sup> დაიდგათავსა ზედა თვისსა<sup>2</sup>, რაჲთა არა მწრაფლ და განუკითხველად რაჲმე ქმნეს საქმე, არამედ სულგრძელებით<sup>3</sup> გამოიწულილოს<sup>4</sup> ყოველივე<sup>5</sup> პირველ საქმისა.

3 პე (173). იყო ვინმე მონაზონი იორდანისა არეთა, საქურისი, რომლისა სახელი თევდორე. მაშინ იიძულა იგი რომლისაჲმე საქმისათჳს აღსლვად ქალაქად კოსტანტინედ. და ვითარცა აღვიდა იგი ნავსა, არა დააუღა<sup>6</sup> ნიაფი სავალად ნავსა. და დაყვეს მრავალი ეამი ზღუასა მას<sup>6</sup> შინა ნავითა მით<sup>7</sup>, ვიდრემდის დაილია წყალი მათი. და იყვნეს იგინი ჳირსა შინა დიდსა<sup>8</sup> და მწუხარებასა მიუთარობელსა<sup>9</sup>, ძენავენი და ყოველნი, რომელნი იყვნეს ნავსა<sup>10</sup> მას შინა. მაშინ აღდგა მონაზონი იგი თევდორე და აღიპყრნა ჳელნი თჳსნი ზეცად ღმრთისა მიმართ, მგსნელისა სულთა ჩუენთაჲსა სიკუდილისაგან. და ვითარცა ილოცა მან განგრძობილად ღმრთისა მიმართ, მაშინ დასწერა ზღუასა ნიშითა<sup>10a</sup> ჯუარისაჲთა და ჰრქუა მენავეთა მათ: კურთხეულ არს ღმერთი, აღმოივსეთ აწ წყალი ზღუსა ამისგან<sup>11</sup> საქმარად თქუენდა, რომელ კმა გეყოფოდის<sup>12</sup>. მაშინ აღაღეს<sup>13</sup> ყოველი სარწყული მათი წყლითა ტკბილითა და დაუკვრდა და ადიდებდეს ყოველნი ღმერთსა მარადის<sup>14</sup> დიდებულსა.

3გ (176). მითხრობდა ჩუენ<sup>15</sup> ანბა ანდრეა, ვიყვენით რაჲ ჩუენ<sup>16</sup> აღეკ(მზმ)სანდრიას. და თქუა, ვითარმედ: რაჲემს ვიყავ მე ჳაბუკ, დიდად უკეთურ და ურჩ ვიყავ. და იყო ეამსა მას ბრძოლაჲ და განდგომილებჲჲ. მაშინ ვიელტოდეთ მე და ცხრანი მოყუასნი ჩემნი<sup>17</sup> ფილისტიმედ, და ერთი ჩუენგანი იყო ფილობონისი და ერთი ჳურიაჲ. და ვითარცა ვილოდეთ ჩუენ გზასა უდაბნოჲსასა, დასნეულდა ფრიად ჳურიჲ იგი, მოყუასი ჩუენი, და მოიწია სიკუდილ<sup>18</sup>. და ვიყვენით ჩუენ დიდსა შინა მწუხარებასა და ვერაჲ უწყოდეთ, რაჲმცა რაჲ უყავთ მას. არამედ მსგავსად მოყუასთა სიყუარულისა ვერ დაუტეობდით მას, რამეთუ ყოველნივე, მსგავსად ძალისა, თითოეული ჩუენი იტვრთვიდა, და გუენება, რაჲთა მივაწიოთ იგი ქალაქად რომელადმდე, გინა სოფლად,

<sup>1</sup> კანონად|საკოდ A. <sup>2</sup> ~ თვისა ზედა S. <sup>3</sup> +და A. <sup>4</sup> გამოწულილივით A. <sup>5</sup> ყოველი S. <sup>6</sup> +მათ S. <sup>7</sup> მას|—S. <sup>8</sup> მით|—A. <sup>9</sup> ~ დიდსა შინა ჳირსა S. <sup>10</sup> მიუთარობელსა|—S. <sup>10a</sup> ნიშითი S. <sup>11</sup> მისგან S. <sup>12</sup> გეყოს S. <sup>13</sup> აღმოივსეს. <sup>14</sup> მარადის|—S. <sup>15</sup> ჩუენ|—S. <sup>16</sup> რაჲ ჩუენ|—A. <sup>17</sup> ჩემნი|ჩემ თანა S. <sup>18</sup> და მოიწია სიკუდილ|ვ'ე სიკუდილ მიწვენადმდე S.

რამათა არა მოკუდეს იგი უდაბნოსა ზედა. მაშინ ჰურიაჲ იგი უსაზრდელობითა<sup>1</sup>, საღმრთისა განძნებითა და მზისა სიციბითა, კირითა და მოგინებითა და წყურილითა ყოლადვე დაჯანნილ იქმნა და სიკუდილ მიიწია<sup>2</sup>. და შემდგომად მისა<sup>3</sup> სიკუდილი<sup>4</sup> ქეშმარიტი მოაწია მის ზედა. და ვითარცა ვერლარა შესაძლებელ იყო ტვრთ-<sup>5</sup> ვაჲ მისი, განვწირეთ იგი<sup>6</sup> მრავლითა ცრემლითა, და განვე-  
მზადენით დატევებად მისა უდაბნოსა მას და წარსლვად, რამათა არა ყოველნი მოვწყდეთ წყურილითა. და ვითარცა დავედეთ იგი ქვასა ზედა და ვტიროდეთ ყოველნი<sup>7</sup>, გზალნა, რანეთუ დაუ-  
ტეობდით<sup>8</sup> და წარვიდოდეთ. და სული მისი მის თანა-ლა იყო. ხოლო<sup>9</sup>  
გონებასა ეგო იგი უქცეველად, მაშინ იწყო ფუცებად ჩუენდა და მეტყოდა:

—მიჰხედენით ღმერთსა, დამბადებელსა ცათა<sup>7</sup> და ქუეყანისასა, რომელმან მოდრიკნა ცანი და გარდამოცნა ჯანისათჳს კაცთაჲსა<sup>8</sup>, რომელი კუალად მოსლვად არს განშჯად ცხოველთა და მკუდარ-<sup>15</sup> თა. (V) ნუ დამიტევებთ<sup>9</sup> მოსიკუდილ ჰურიაებასა შინა, არამედ ყავთ ჩემთჳს წყალობაჲ და ნათელ-ნეცით მე, რამათა ქრისტიანმ<sup>10</sup> განვიდეთ ამიერ სოფლით და მივიდეთ წინაჲ ღმრთისა ნათელ-ღე-  
ბული.

მიუგეთ მას და ვარქუთ<sup>10</sup>: მართლიად გეტყვთ<sup>11</sup>, ძეგო<sup>12</sup>, რამე-<sup>20</sup> თუ არა ჯერ-არს ჩუენდა ააქმედ ესე, რამეთუ ჩუენ ყოველნი ერისა კაცნი ვართ და ესე საქმ<sup>13</sup> ებისკოპოსთა და მღვდელთაჲ არს, და კუალად არცა წყალი ნაქუეს ჩუენ აქა.

მაშინ კუალად იწყო ცრემლითა<sup>12</sup> ფუცებად და ვეღრებად ჩუენდა და მრქუა:

—ნუ დანაკლებთ მე ამას ნიქსა ღმრთისა მიერ მოცნულსა, ჯ ქრისტიანენო!

მაშინ განვეცფრდი<sup>14</sup> ყოველნი და არა უწყოდეთ რამ-  
მცა უყავთ ზაჲ ამისთჳს<sup>15</sup>. მაშინ მრქუა ჩუენ თილობანის ღმრთი-  
სა მიერითა აღძრვითა:

—ალადგინეთ და განმარტუეთ<sup>16</sup> ეგე. და შემდგომად ნრავლი-  
სა შრომიასა შემძლებელ ვიქმნენით<sup>17</sup> განმარტუვად და<sup>18</sup> აღადგინე-

<sup>1</sup> + და S. <sup>2</sup> სიკუდილ მიიწია|სიკუდილსა დაეახლა S. <sup>3</sup> მისსა S. <sup>4</sup> + და A. <sup>5</sup> დაუტეობდით| + მას S. <sup>7</sup> ცისა S. <sup>8</sup> კაცთაჲსა|კაცთა ნათესაჲსა S. <sup>9</sup> + მე S. <sup>10</sup> + მას A. <sup>11</sup> გეტყვ S. <sup>12</sup> + ჩუენთ S. <sup>13</sup> ცრემლით S. <sup>14</sup> გან-  
ვეცვბრდით S. <sup>15</sup> რამეცა უყავთ მას ამისთჳს|—A. <sup>16</sup> განმარტუეთ S. <sup>17</sup> ვიქ-  
მენენით A. <sup>18</sup> განმარტუვად და|—S.

ბად მისა<sup>1</sup>. მაშინ ფილოზანის აღივსნა ორნივე პეეშნი თვსნი<sup>1ა</sup> ქვში-  
თა და გარდაასხა თ[ა]ქსა მისსა და ესრეთ იტყოდა: ნათელ-იღებს  
თვედორე სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲ-  
თა. და მიუგებდა თითოეული ჩუენი ამენსა. და უწყის მხოლომან  
5 ღმერთმან, ამანო ჩემნო, ვითარმედ<sup>2</sup> მუნთქუესვე<sup>3</sup> განიკურნა იგი  
ძალითა ქრისტჱს ღმრთისა ჩუენისაჲთა. ვიდრემდის არარაჲ  
გერში საღმობისაჲ იყო მის თანა ყოლადეე. არამედ განცხოველ-  
და და მკნედ განძლიერდა იგი, და მოსწრაფედ და მკურვალედ  
წინა-მიძლოდა ჩუენ ყოველთა ნეშტსა მას უდაბნოჲსასა<sup>4</sup>, ვიდრემ.  
15 ღის ჩუენ ყოველნი განკურვებულ ვიყვენით მყის შეცვალეზასა მას<sup>5</sup>  
მისსა და ვჰმადლობდით სახიერეზასა ქრისტჱს ღმრთისა ჩუენისა-  
სა. და ვითარცა მოვიწიენით ასკალონდ, ვაუწყეთ საქმჱ მისი  
(239) დიონოსიოს ებისკოპოსსა, რომელი-იგი იქმნა ძმისა მის  
ზედა გზასა მას ჩუენსა. და ვითარცა ესმა ესე ებისკოპოსსა, გან-  
25 კურვებულ იქმნა იგი სასწაულისა მისთჱ დიდებულისა<sup>6</sup>, წარაე-  
ლი[ნა] და მოუწოდა მღდელთა თვსთა და აუწყა მათ საქმჱ იგი  
და ჰკითხა: უკუეთუ შეერაცხეზის ძმასა მას ნათლის-ღებად ქვშისა  
იგი გარდასმზაჲ, ანუ არა? მაშინ რომელთამე ზეთგანთა თქუეს:  
30 დიდებულისა, რომელი იქმნა მის ზედა. და რომელთამე თქუეს:  
არა. რამეთუ გრიგოლი ღმრთის მეტყუელმან აღრაცხა ყოველი  
ნათლის-ღებაჲ, და რამეთუ მოსე ნათელ-სცა, არამედ წყლითა,  
და ამისა<sup>7</sup> პირველად—ღრუბლითა და ზღვთა; და ნათელ-სცა იო-  
ვანე ჰურიასტანს წყლითა სინანულად; და ნათელ-სცა იესუ სული-  
25 თა, რომელ არს სისრულჱ; და კუალად ნათლის-ღებაჲ მეოთხჱ,  
რომელ არს სისხლითა წამებისაჲთა<sup>8</sup>. და კუალად უწყი<sup>9</sup> ნათლის-  
ღებაჲ მეხუთე<sup>10</sup> ცრემლითა. აწ რომლითა ამათგანითა ნათელ-ულე-  
ბიეს ამას, რაჲთა შეერაცხოს ნათლის-ღებად? და კუალად უფალი  
ეტყუჱ ნიკოდემოსს: ამენ, ამენ გეტყუჱ შენ, უკუეთუ არა იზვეგს  
30 კაცი წყლისაგან და სულისა, ვერ შემძლებელ არს შესღვად სასუ-  
ფეველსა ღმრთისასა\*.

<sup>1</sup> +და განძარცუვად S. <sup>1ა</sup> მისნი S. <sup>2</sup> ვითარმედ]—S. <sup>3</sup> +მწრაფელ S.  
<sup>4</sup> უდაბნოსა S. <sup>5</sup> მას]—S. <sup>6</sup> +და S. <sup>7</sup> და ამისსა] მისსა S. <sup>8</sup> სისხლითა წამები-  
საჲთა]სისრულჱ S. <sup>9</sup> უწყი]—S. <sup>10</sup> მეოთხჱ S +რ'ლ არს სისხლითა წამებისაჲთა  
და კუალად უწყი ნათლის-ღებაჲ მეხუთჱ S.

და სხუათა თქუეს: აწ უკუე ვინათგან არა წერილ არს მოციქულთა ნათლის-ღებაჲ, არა შევლენანა იგი[ნი] სასუფეველსა ღმრთისასა?

მიუგეს სხუათა და ჰრქუეს: ჰე ქენმარიტად ნათელ-ულეებიეს, ვითარცა თქუა კლემის თქუმულსა მას შინა თუსსა<sup>1</sup> ნენათესა, <sup>5</sup> მოაჯსენა და თქუა თქუმულისაგან მოციქულისა, ვითარმედ ვჰმადლობ ღმერთსა, რომელ არავის თქუენგანსა ნათელ-ვეც<sup>2</sup>: და ქრისტსთჳს თქუმულ არს, ვითარმედ: პეტრეს ნათელ-სცა მარტოდ და პეტრე ანდრიას (v) ნათელ-სცა, და ა[ნ]დრეა<sup>2</sup> ნათელ-სცა იაკობს და იოვანეს და<sup>3</sup> სხუათა ყოველთა მოციქულთა. <sup>10</sup>

და ვითარცა ზრახეს ესე ყოველი<sup>4</sup>, განიზრახა დიონოსიოს ებისკოპოსმან, რაჲთა წარავლინოს იმაჲ იგი წმიდად იორდანედ და ნათელი მოიღოს მას<sup>5</sup> შინა. და ფილოზონის აკურთხა დიაკონად.

პჳ (178). მითხრობდა გიორგი ხუცესი სხოლარისაჲ, ვითარმედ: იყო ვინმე ადგილსა რომელსამე ბერი ფრიად შრომითა გან-<sup>15</sup>კაფული. და იყო იგი წრფელ სარწმუნოვებითა, და სადაცა დაემთხვის ეკლესიასა მართლმადიდებელთასა გინა მწვალებელთასა, განუკითხველად ეზიარის იგი. და ჟამსა ერთსა გამოეცხადა მას ანგელოზი უფლისაჲ და ჰრქუა მას<sup>6</sup>:

— მაუწყე მე, ბერო, ოდეს მოჰკუდე, ვითარ გნებავს, რაჲთა <sup>20</sup> შეგმურო შენ, ვითარ-იგი შეჰმურვენ მეგჳპტელნი მონაზონნი ანუ ვითარ იერუსალმელნი<sup>7</sup>?

მიუგო ბერმან მან<sup>8</sup> და ჰრქუა: არა უწყი.

ჰრქუა მას ანგელოზმან მან: განიზრახე აწ და შემდგომად სამისა კჳრიაკისა მოვიდე და მაუწყე მე<sup>9</sup>. და განეშორა იგი. <sup>25</sup>

მაშინ მივიდა ბერი იგი სხჳსა ბერისა გამოცდილისა და განშორებულისა და წარმოუთხრა მას, რაჲ-იგი ჰრქუა მას ანგელოზმან მან. და ვითარცა ესმა ესე ბერსა მას, დაუკჳრდა და ღმრთისა მიერ აღიძრა იგი. მიხედა ბერსა მას და ჰრქუა:

— მაუწყე მე, ბერო, სადა ეზიარი შენ წმიდასა საილუწლოსა? <sup>30</sup>

ხოლო მან ჰრქუა მას: სადაცა დაემთხვი, ვეზიარი.

მაშინ ცნა ბერმან საქმს მისი და ჰრქუა მას: ეკრძალე და <sup>35</sup> ნუ ეზიარები გარეშე წმიდისა კათოლიკე ეკლესიისა, რომელსა შინა იქსენებიან ოთხნი კრებანი, ვითარცა ოთხნი თავნი სახარე-

<sup>1</sup> თუსსაქმისა S. <sup>2</sup> ადრია S. <sup>3</sup> და]+მათ S. <sup>4</sup> ყოველი|სხუაჲ მრავალი S.

<sup>5</sup> ნათელი მოიღოს მას|ნათელ იღოს მუნ S. <sup>6</sup> მას]—A. <sup>7</sup> ილ|მლნი S. <sup>8</sup> მან]—A.

<sup>9</sup> მე]—A. \* 1 კორინთ. 1,14.

ბანი. და ოდეს მოვიდეს კუალად ანგელოზი იგი და გკითხვიდეს, არქუ მას—იერუსალშმელთა<sup>1</sup> მონაზონთაებრ მნებაეს, რაათა შემპურო<sup>2</sup> მე.

(240)და შემდგომად სამისა კვრიაკისა მოვიდა კუალად ანგელოზი იგი ბერისა<sup>3</sup> და ჰრქუა მას:

—რაჲ განიზრახე, ბერო?

ჰრქუა მას ბერმან: იერუსალშმელთაებრ<sup>4</sup> მნებაეს, რაათა შენმოსო მე<sup>5</sup>.

ჰრქუა მას ანგელოზმან მან: კეთილ, კეთილ.

და მუნთქუესევე შეისუენა ბერმან. და ესე ამისთჳს იყო, რაათა არა წარწყმდეს ბერი იგი და შრომანი მისნი და დაისაჯოს მწვალებელთა თანა.

35. მითხრობდა კაცი ვინმე საქმესა რომელსამე, რომელი ჯერ-არა დაწერად. და თქუა, ვითარმედ: დღეთა თეოფილე ილექსანდრიელ<sup>6</sup> პატრეაქისათა კაცი ვინმე იყო დიდებული, რომლისა სახელი ეპიმან.ის. და იყო იგი ჳელწიფე და მდიდარ ფრიად. და ბრწყინვიდა იგი მონაგებთა სიმრავლითა. ამან დაივიწყა სულგრძელებჲა ღმრთისაჲ და ვიდოდა იგი გზათა უშჯულოებისათა<sup>7</sup>. და პოენილ იყო იგი ყოველსა შინა საქმესა ცოდვისა და ურჩულოებისასა<sup>8</sup> და სიძულილსა კაცთასა. და იყო იგი ჳურ ყოვლისა უკეთურებისა და იყო სიქადულ მისა<sup>9</sup> ტაცებაჲ და მოხუეჳაჲ და უსაპართლოებაჲ, ვითარმედ ეძლია<sup>10</sup> მისა ბოროტსა ჩუეულებასა უშჯუაეროებისასა, ბუნებასა კაცობრაესა. და იყო ხილვაჲ მისი უცხო ყოველთა<sup>11</sup> კაცთაგან, ვითარცა მჯეცისა მძუნეარისაჲ. და ვერვინ კაცთაგანი იკადრებდა შესმენად მისა, რამეთუ მონაგებთა მათ, რომელთა მოიტაცებდა უშჯუაეროდ კაცთაგან, ამით განიგებდა საქჳთა თჳსთა<sup>12</sup> ჳელმწიფეთა თანა უფროხსთა<sup>13</sup> მისთა. და დაყო ამას ესევეითარსა<sup>14</sup> განრყუნილებასა შინა<sup>15</sup> ეამი მრავალი, და ვერვინ იკადრებდა სიტყჳს-გებად მისა ყოლადვე.

და ვითარცა იყო იგი ესევეითარსა შინა განწირულებასა, აღიძრა სულისა მიერ წმიდისა თეოფილე პატრეაქი და მიავლინა მისა და მოუწოდა საპატრეაქოდ და ჰრქუა მას: ვიდრემდის,

<sup>1</sup> იშ<sup>1</sup>მლთა S. <sup>2</sup> შემპურო]შემმოსო S. <sup>3</sup> ბერისა ანგელოზი იგი S. <sup>4</sup> იშ<sup>2</sup>მთა-ებრ S. <sup>5</sup> მე]-S. <sup>6</sup> ალექსანდრელ S. <sup>7</sup> უშჯულოებისათა]უჯეროებისათა S. <sup>8</sup> უშჯულოებისასა S. <sup>9</sup> მისსა S. <sup>10</sup> ვითარცა იძლია S. <sup>11</sup> ყოველთა]-A. <sup>12</sup> თჳსთა]მისთა S. <sup>13</sup> უფროხსა A. <sup>14</sup> ესევეითარსა]-S. <sup>15</sup> შინა გარყუნილ-ებას S.

ძნაო ჩემო, იქცეოდი ამას<sup>1</sup> (v) უსამართლოებასა შინა<sup>14</sup> და შინსა ღმრთისასა არა მოიგონებ გონებასა შენსა და არა დასცხრები უკეთურთა ამათ და ბოროტთა საქმეთაგან? მიუგო მან და ჰრქუა: არად გინებს, # პატრეაქ<sup>2</sup>, ამითჳა გრძელი საზრახავი, რამეთუ რომელი-ესე შეთხზულ არს ბუნება[სა] ჩემსა, ვერლარა შემძლებელ<sup>5</sup> ვარ მე ცვალებად მისა. მაშინ პატრეაქი მოართუმიდა მრავლით კეძო სიტყუათა ნუგეშინის-ცეშისათა. და ჰრქუა მას: მრავალნი სხუანი პირველ შენსა იყვნეს უბოროტს და უძკსს<sup>6</sup> შენსა, ძნაო ჩემო, და მოიქცეს და შეევედრნეს საბიერებასა ღმრთისასა და ცხონდეს. და აწ შენცა, უკუეთუ დამემორჩილო მე, მრწანს მე უფ-<sup>10</sup> ლისა ჩემისა იესუ<sup>7</sup> ქრისტსი<sup>8</sup>, რანეთუ<sup>9</sup> დღესა მას განკითხვისასა შეგინდნეს ყოველნი შეცოდებანი<sup>8</sup> შენნი. რომელნი აქამომდე გიქმნიან? მიუგო, კაცმან მან და ჰრქუა: და სადაჲთ ანუ რომლითა საქმითა ვენუქევედე ღმერთსა შენდობასა ცოდვათა ჩემთასა? რამეთუ მიქმნიან მე აურაცხელი ბოროტნი და უკეთურებანი<sup>10</sup>. აწ რაჲ უკუე გაქუა სიტყუა-გებად ჩემდა, რომლითაცა ღირს ვიქმენ მოტევებასა, ნუჳუე მრქუა მე<sup>11</sup> მონაზონებისათჳს, რაჲთა ვიზარხვიდე და ღამეთა ვათევედე და ზედგომით ცრემლითა და სულ-თქუმიითა ვევედრებოდი ღმერთსა შრონითა და ქირითა და მრავლითა ღუაწლითა, რომელ თანა-აც მონაზონთა აღსრულებად,<sup>10</sup> მე ამას ვერ შემძლებელ ვარ ტვრთვად. აწ უკუე რაჲა მეტყჳ მე<sup>12</sup> სიუასა საქმესა, რომლითა შემინდნენ ღმერთმან ბოროტნი საქმენი ჩემნი. მარქუ მე!<sup>12</sup> მაშინ, ვითარცა იხილა პატრეაქმან, ვითარმედ ეშაჳა ფრიად განუჩემებიეს იგი<sup>12</sup>. ჰრქუა მას: უკუეთუ ვერ შემძლებელ ხარ საქმესა მონაზონებისასა ტვრთვად და ვერცა<sup>13</sup> ძალ-გიც მარხვად, ხოლო<sup>15</sup> მე გვედრები, რაჲთა ისმინო სიტყუაჲ ჩემი და შეხვდე ერთსა მონასტერსა, რომელი მე გრქუა შენ, (241) და თანა შეიღო ყოველი მონაგები შენი<sup>16</sup>, და<sup>17</sup> მონანი და მსახურნი შენნი, რომლითა იშუე[ბ]დე შენ სოფელსა შინა, და განსაუენებელი ქორცთა შენთაჲ, რომლითა განისუენებდე, გაქუნდეს შენ<sup>30</sup> თანა. არამედ მო-ხოლო ჰრიდე მცირედ უსამართლოებათა მათ და უშეჯავოოებათა, რომელთა იქმოდე, და მე დაგიწერო შენ

<sup>1</sup> ამას + განრყუნილებასა შინა და S. <sup>14</sup> შინა]—S. <sup>2</sup> პატრიაქო A. <sup>3</sup> ამისთჳს]—A. <sup>4</sup> და უძკრს]—A. <sup>5</sup> იესუ]—S. <sup>6</sup> ქრისტსი]ქრისტს ღმრთისაგან S. <sup>7</sup> რამეთუ]ვითარ S. <sup>8</sup> შეცოდებანი]ცოდვანი და უსამართლოებანი S. <sup>9</sup> + შენ S. <sup>10</sup> უკეთურებანი]უღმრთოლოებანი S. <sup>11</sup> მე]—A. <sup>12</sup> შე]—S. <sup>13</sup> იგი]—S. <sup>14</sup> ვერ S. <sup>15</sup> ხოლო]—S. <sup>16</sup> + რომლითა იშუებდე შენ A. <sup>17</sup> და]—A.

ჯელითა ჩემითა ჯელით წერილი, და თავს-ვიდვა<sup>1</sup> მე გლახაკმან  
 ღმრთისაგან, რომელმან-იგი აღმითქუა, ვითარმედ: რომელი შეჰ-  
 კრა ქუეყანასა ზედა, კრულ იყოს იგი ცათა შინა, და რომელი  
 განჰქსნე ქუეყანასა ზედა, ჯანილ იყოს იგი ცათა შინა\*, ვითარმედ:  
 5 ღმერთმან შეგიწოდნეს ყოველნი ცოდვანი შენნი, რომელნი დღე-  
 სანომდე გიქმნიან, რაჟთა ყოველთა, რომელთა უხილავს ბორო-  
 ტისა<sup>2</sup> საქმე შენი<sup>3</sup>, რაჟაჲს იხილონ შეცვალებამ შენი, ჰმად-  
 ლობდენ და აღიღებდენ ღმერთსა, რომელი-იგი პირველ იგმებოდა  
 შენ ძლით. და უჯრდეს ყოველთა საქმე შენი. და ამით ესევითა-  
 10 რითა სიტყუთა და აღთქუმითა პატრეაქისაჟთა დაჯერებულ იქ-  
 მნა გონებამ კაცისაჟ მის და ღმობიერ იქმნა გული მისი ღმრთი-  
 სა მადლითა. მიუგო და ჰრქუა პატრეაქსა: დამიწერე მე<sup>4</sup> ამას  
 ზედა ჯელით წერილი, ვითარცა აღმითქუ მე. და მე ვყო ყოველი  
 ესე, რომელ მიბრძანე მე, და წარვილო ჩემ თანა საფლავად ჯელით  
 15 წერილი შენი დასტურებისათჳს სიტყუსა შენისა. მაშინ პატრეაქმან  
 სიხარულით დაუწერა მას ჯელით წერილი და მისცა იგი მას. ესე  
 კაცი, რომელ ვაჯსენეთ ესრეთ უკეთურად, ამან მყის შეცვალა  
 ყოველი იგი საქმე მისი უსახური, ვითარცა უბრძანა მას პატრე-  
 აქმან და მრავალთა კაცთა უკუნ-სცა<sup>5</sup> მონაგები მათი. და შევიდა  
 20 იგი მონასტერსა, რომლისაჟ ებრძანა პატრეაქისაგან<sup>6</sup>. და იყო  
 განგებამ ცხორებისა მისისაჟ მუნ შინა<sup>7</sup>. და შემდგომად ექუსისა-  
 თჳსა დასნეულდა იგი და შეიტყუა თავსა თჳსსა, ვითარმედ მო-  
 წვეწულ არს<sup>8</sup> განსლვამ<sup>9</sup> მისი ამიერ სოფლით<sup>10</sup>. მაშინ<sup>11</sup> მია,  
 ვლინა თეოფილე პატრეაქისა მონაჟ თჳსი<sup>12</sup> (v) და ჰრქუა: აჰა  
 25 ესერა, წმიდაო მამაო, ვითარცა მიბრძანა<sup>13</sup> სიწმიდემან შენმან<sup>14</sup>  
 დღით, რომლითგან დამიწე[რე] ჯელით წერილი ესე, არარაჟ გარ-  
 დავაქციე მცნებამ შენი აჲამომდე, და მინდობილ ვარ, ვითარმედ  
 ქრისტემან აღმისრულოს აღნათქუმეში<sup>15</sup> შენი. აწ იხილე შენცაჲ  
 უკუეთუ დასტურ არს აღთქუმამ იგი, რაჟთა აღმისრულოს მე  
 30 ღმერთმან. მაშინ, ვითარცა ესმა ესე<sup>16</sup> პატრეაქსა, ღმობიერ იქმნა  
 მის ზედა და ტიროდა და მიჰრქუა მოციქულსა მისსა<sup>17</sup> თანა ეს-  
 რთ<sup>18</sup>: გულ-ჰყრობილ იყავ, შეილო ჩემო, ვითარმედ აწ ოდენ

<sup>1</sup> თავს-ვიდვა ] მოვიდვა S. <sup>2</sup> ბოროტის S. <sup>3</sup> + ხოლო A. <sup>4</sup> მე]—S.

<sup>5</sup> + მონახუეკი იგი უმშჯავროდ S. <sup>6</sup> პატრეაქისაგან]—S. <sup>7</sup> + ბრძანებისაგან  
 პატრეაქისა S. <sup>8</sup> მოწვეწულ არს]—S. <sup>9</sup> მოსლვამ A. <sup>10</sup> მისი ამიერ სოფლით]  
 სოფლისა ამისგან მოახლებულ არსა S. <sup>11</sup> მაშინ]—A. <sup>12</sup> მონაჟ თჳსი] მონათა  
 მისთა თანა S. <sup>13</sup> მიბრძანე S. <sup>14</sup> სიწმიდემან შენმან]—S. <sup>15</sup> აღთქუმული S.  
<sup>16</sup> ესე]—A. <sup>17</sup> მოციქულთა მისთა S. <sup>18</sup> ესრეთ]—S. \* მათე 16,19.



ქრისტემან დაგაჯეროს შენ და სხუათა ყოველთა სიდასტურს ჩემ გლახაკისა აღთქმულისა მისთჳს<sup>1</sup>. და კჳლად ჰრქჳა კაცმან მან პატრეაქსა: აჰა ესერა მე<sup>2</sup> შევიმოს ჳელით წერილსა შენსა მსგავსად სარწმუნოვებისა ჩემისა და სიტყუათა შენთა, და<sup>3</sup> ესრჳთ წარვალ წინაშე ღმრთისა, და გაფუცებ ქრისტესა, ძესა ღმრთისასა, რაჲთა ჩემ თანა დაჰმარხოთ საფლავსა შინა ჳელით წერილი შენი მისანდობელად და დასაჯერებელად სულისა ჩემისა ცოდვილისა, და ჴბრძანა პატრეაქმან მონათა მისთა, რაჲთა ყონ ეგრე, ვითარცა ინება. და გარდაიცვალა ამას შინა და დაჰმარხეს ჳელით წერილი იგი პატრეაქისაჲ მის თანა საფლავსა შინა<sup>4</sup> მონათა მისთა.<sup>5</sup>

მაშინ წმიდაჲ თეოფილე პატრეაქი ზრუნეასა შინა იყო მისთჳს და იტყოდა: ნეტარ რაჲ უქუე ეყო კაცსა მას ჳელით წერილისა მის ჩემისათჳს? და ვითარცა იყო იგი ამას ზრუნეასა შინა და<sup>6</sup> ვითარცა ენება უფალსა, ღღესა მესამესა უჩუენა საბიერებაჲ მისი მას და სხუათა ყოველთა. მოვიდა მისა ღამე ანგელოზი<sup>7</sup> უფლისაჲ და აქუნდა მას ჳელით წერილი იგი, აქენა<sup>8</sup> მას, განაღჳდა<sup>9</sup> იგი<sup>8</sup> და ჰრქჳა მას<sup>9</sup>: ჰხედაჲ<sup>10</sup> ჳელით წერილსა ამას? ხოლო პატრეაქმან ჰრქჳა: რომელსა? ჰრქჳა მას ანგელოზმან მან: იხილე. და უჩუენა მას წიგნი იგი. მაშინ მოულო პატრეაქმან და განჰჳსნა იგი და წარიკითხა და იცნა იგი. და ჰრქჳა ანგელოზსა (242) მას: რაჲსე ჳელით წერილი ჩემი არს. რომელი დაუწერე მე<sup>11</sup> ეპიმახოსს, რომელი იყო ჳელმწიფეთაგანი, შე-რაჲ-ვიყუანე იგი მონასტრად. ჰრქჳა მას ანგელოზმან მან: მიიღე ესე და უზრუნველ იყავ<sup>12</sup> მისთჳს, რამეთუ ქრისტემან წარმოშცა ესე შენდა და გეტყჳს: მიიღე ჳელით წერილი შენი და მხიარულ იყავ ეპიმახოსსთჳს, რომელსა- იგი თავს-მდებ ექმენ, რამეტუ თავს-მდებებაჲ შენი მოთუალულ არს, და შენდობილ არიან შეცოდებანი მისნი ყოველნი. და მისცა ანგელოზმან ჳელით წერილი იგი და წარვიდა. მაშინ დაუჳჯრდა პატრეაქსა ღმრთისა კაცთ-მოყუარებაჲ და საბიერებაჲ<sup>13</sup> ჳოწყალებათა მისთაჲ და ჰმადლობდა ყოვლისა მჳყრობელსა. და აღუწყა ესე ყოველთა და უჩუენა მათ<sup>14</sup> ჳელით წერილიცა იგი, და აღიდებდეს ყოველნი ღმერთსა ყოვლისა მჳყრობელსა<sup>14</sup>.

30 (192). მითხრობდა ჩუენ ხუცესი, რომლისა სახელი პეტრე, რომელი მოსრულ იყო ჰრომით წმიდისა გრიგოლისთჳს ჰრომ-

<sup>1</sup> აღთქმულისა მისთჳს A | აღთქმულისა S. <sup>2</sup> მე]—A. <sup>3</sup> და]—S. <sup>4</sup> შინა]—A. <sup>5</sup> და]—S. <sup>6</sup> და აქენა S. <sup>7</sup> და განაღჳდა S. <sup>8</sup> იგი]—A. <sup>9</sup> მას]—A. <sup>10</sup> ჰხედავ S. <sup>11</sup> იყავ]იქმენ S. <sup>12</sup> და საბიერებაჲ]—A. <sup>13</sup> მათ]—A. <sup>14</sup> ყოვლისა მჳყრობელსა]—A.

თა პატრეაქისა, ვითარმედ: რაჟამს პატრეაქი იქმნა იგი, აღაშენა მონასტერი დიდი მონაზონთათჳს<sup>1</sup> და შეეკრიბნა მამანი მას შინა და დაუდგა მათ კანონი, რაჟთა არაეის მათგანსა რაჟმე<sup>2</sup> აქუნდეს მონაგებთაგანი<sup>3</sup> ვიდრე ერთ ქრთილადმდე. ხოლო ჳორცთა საჯ-  
 5 მარსა მათ ყოველთასა იგი უღუწიდა მათ. და იყო მუნ შინა მონაზონი ერთი<sup>4</sup>, რომელსა ძმად ესუა მსოფლიოჲ<sup>5</sup> და ევედრა მას და ჰრქუა:

— არა მიც მე კუნჯული, არამედ ყავ სიყუარული<sup>6</sup> და მიყიდე მე კუნჯული ერთი.

10 და ჰრქუა მას ძმამან მან ერისა კაცმან: მიიღე ესე სამი დრაჰკანი და ვითარი სათნო არს შენდა<sup>7</sup>, თჳთ იყიდე.

და მიიღო მონაზონმან მან სამი იგი დრაჰკანი და იპყრა იგი მის თანა. მაშინ იხილა იგი ერთმან ვინმე ძმათაგანმან, მის თანა რაჟ იყო სამი იგი (v) დრაჰკანი, წარვიდა და აუწყა ესე  
 15 მამასახლისსა. და ვითარცა ესძა ესე მამასახლისსა, წარვიდა იგი და აუწყა მისთჳს პატრეაქსა. და ვითარცა ეუწყა პატრეაქსა<sup>8</sup> გრიგოლის მამასახლისისაგან, განაყენა ძმად იგი<sup>9</sup> ზიარებისაგან, ვითარცა გარდამავალი კანონსა მონასტრისასა<sup>10</sup>. და მცირედისა ჟამისა შემდგომად აღესრულა ძმად იგი უზიარებელი, და არა  
 20 უწყოდა ესე პაპმან. და შემდგომად ორისა დღისა გინა სამისა<sup>11</sup> მივიდა მამასახლისი და აუწყა ძმისა მის<sup>12</sup> გარდაცვალებად. მაშინ ფრიად შეწუხნა<sup>13</sup> პატრეაქი ამისთჳს, რამეთუ არა განეგნა იგი პირველ გარდაცვალებისა კრულებისაგან. მაშინ დაწერა ქარტასა ლოცვად და მისცა იგი მთავარ-დიაკონსა და უბრძანა, რაჟთა  
 25 თანა<sup>14</sup>-წარვიდეს და წარიკითხოს იგი<sup>15</sup> საფლავსა ზედა მის ძმისასა. და იყო ლოცვად იგი მკუდრისა განსაჯნელი კრულებისაგან. წარვიდა მთავარ-დიაკონი იგი და წარიკითხა წიგნი იგი, რომელსა ეწერა ლოცვად იგი საფლავსა ზედა მის ძმისასა. და მას ლაშვსა იხილა მამასახლისმან ძმად იგი მკუდარი და ჰრქუა მას:

30 — არა მოჰყუედა<sup>16</sup> შენ, ძმაო?

ჰრქუა მას: ჰე.

და კუალად ჰკითხა მას მამასახლისმან და ჰრქუა: და<sup>17</sup> სადა უკუე იყავ აქამომდე?

1 მონაზონთათჳს]—A. 2 რაჟ A. 3 მონაგებთანი აქუნდეს S. 4 ერთი მონაზონი S. 5 მსუფლიოჲ S. 6 ად ყავ სიყუარული]—A. 7 შენ A. 8 პატრეაქსა]ესე ნეტარსა S. 9 +ჯამის S. 10 კანონსა მონასტრისასა]კანონისა A. 11 გინა სამისა]—A. 12 მის]—A. 13 +მისთჳს S. 14 თანა]—S. 15 იგი]—A. 16 მოჰყუედა S. 17 და]—S.

პრეტუა მას ძმამან შან: მართლიად გეტყვ, ნაწაო. რამეთუ ვიყავ მე საპყრობილეს შეყენებულ და ვერ გამოვიღოდე მიერ ვიდრე გუშინდლამდე.

მაშინ ყოველთა გულისხმა-ვყაქთ<sup>1</sup>, ვითარმედ მას ეამსა წა-რიკითხა მთავარ-დიაკონმან ლოცვაჲ იგი საფლავსა ზედა მის ძმი-სასა და განიქსნა კრულებისაგან და სული მისი განთავისუფლდა პატივთაგან კრულებისათა<sup>2</sup>.

ჟ (193). მითხრობდეს წმიდისა აპოლინარიოს<sup>3</sup> ალექსანდრი-ელ<sup>4</sup> პატრეაქისათჳს, ვითარმედ (243) ფრიად მოწყალე<sup>5</sup> იყო იგი და სახიერ გლახაკათჳს. მითხრეს ჩუენ ქეშმარიტად მის[თჳს]<sup>6</sup>, ვი-თარმედ: იყო ვინმე ალექსანდრიას ქაბუჯი ერთი, მ<sup>7</sup> მთავრისა ერთისა მის ქალაქისაჲ, და აქუნდა მათ მონაგები ფრიადი<sup>7</sup> და სიმდიდრ<sup>8</sup> მიუწოდომელი. და<sup>8</sup> ვითარცა გარდაიცვალნეს დედა-მამა-ნი იგი<sup>9</sup> მისნი<sup>10</sup>, დაუტევეს მას<sup>11</sup> სიმდიდრ<sup>8</sup> მათი<sup>12</sup> ყოველი: ოქროჲ ფრიადი და ნაენი საეპრონი. მაშინ ებრკუეა მას და მყის<sup>13</sup> წარქდა ყოველი მონაგები მისი<sup>13</sup> ზლუასა შინა და ქმელსა, ვიდრემდის არა დაშთა მის თანა არარაჲ. და მიიწია იგი დიდსა სიგლახაკესა. და ესე არა თუ უდბობით განრყუნნილებასა შინა რაჲმე<sup>14</sup> წარაგო, არამედ შემთოუევით შეემთხუა ყოვლისა დაქირვებაჲ და<sup>15</sup> მრავალ გზის ზლუასა დაენთქა და მრავალ გზის ქმელსა წარუღეს და<sup>16</sup> სიმდიდრისაგან იჯუნა იგი ყოველთა უმცირეს და უგლახაკეს<sup>16</sup>.

და ვითარცა ესმა ესე<sup>17</sup> ნეტარსა აპოლინარიოსს, პატრეაქსა. და იხილა იგი ესევეითარსა შინა სიგლახაკესა და ქიოსა, და<sup>18</sup> რამეთუ იცოდა მთავრობაჲ იგი და სიმდიდრ<sup>8</sup> მშობელთა მისთაჲ და<sup>19</sup> ენება, რაჲთა შეიწყალოს და მისცეს მცირედი<sup>19</sup> ევლოგიაჲ, <sup>20</sup> რომლითა ცხონდების<sup>20</sup>, და ჰრცხუნოდა. ხოლო, რაჲამს იხილის იგი საპატ[რ]ეაქოს ეგევითარსა შინა სიგლახაკესა და შეურაცხებასა, შეწუნის ფრიად<sup>21</sup> მისთჳს სულითა, რანეთუ მოსილ არნ იგი სამოსლითა ძონძითა და<sup>22</sup> ბაყლენითა და შესურთილ<sup>22</sup> არნ იგი<sup>23</sup> მწინკულევენებითა, მქმუნვარე პირითა და მწუხარე გულითა. და ვი-თარცა ფრიად იურვოდა მისთჳს პატრეაქი და სწყალობდა, მოუქდა მას ღმრთისამიერი გულის სიტყუაჲ<sup>24</sup> და განიზრახა მან<sup>25</sup> საქმ<sup>25</sup> ქეშ-

<sup>1</sup> -ყვეს S. <sup>2</sup> კრულებისათა]-S. <sup>3</sup> აბულინარის S. <sup>4</sup> ალექსანდრელ S. <sup>5</sup> მოწყალე S. <sup>6</sup> ამისთჳს ქეშმარიტად S. <sup>7</sup> ფრიად S. <sup>8</sup> და]-A. <sup>9</sup> იგი]-A. <sup>10</sup> მისნი] მის ქაბუჯისანი S. <sup>11</sup> მას]მათ A. <sup>12</sup> მათი]იგი S. <sup>13</sup> მისი]დედა-მამათა მისთაჲ S. <sup>14</sup> რაჲმე]-A. <sup>15</sup> და]რ S. <sup>16</sup> უმცირე და უგლახაკე S. <sup>17</sup> ესე]მისთჳს S. <sup>18</sup> და]-A. <sup>19</sup> მცირედ S. <sup>20</sup> ცხონდებოდის S. <sup>21</sup> ფრიად]-S. <sup>22</sup> და]-S. <sup>23</sup> და შესურთილ]-A. <sup>24</sup> იგი]-S. <sup>25</sup> გულის სიტყუაჲ]გულის თქუმაჲ S. <sup>26</sup> მან]-A.

მარიტად განსაკრვებელი და სათნოვებათა მისთა დამამტკიცებელი, და მიაველინა და მოუწოდა მწიგნობარსა ეკლესიისასა<sup>1</sup> თუსაგან და<sup>2</sup> ჰრქუა მას ზარტოდ:

— შემძლებელ ხარა, მწიგნობარო, დაფარვად საიდუმლო-  
სა, რომელი მე<sup>3</sup> გამოგიცხადო<sup>4</sup> შენ?

ჰრქუა მას მწიგნობარმან მან: ვესაე მე ძესა ღმრთისასა, უფალო ჩემო, რაზეთუ ყოველი, რომელი მიბრძანო, არავის გამოუცხადო უკუნისამდე კაცთაგანსა<sup>4</sup>.

მაშინ ჰრქუა მას აპოლინარიოს<sup>5</sup> პატრეაქმან: წარვედ აწ<sup>6</sup>  
და დაწერე კელი ორბეოცდაათისა ლიტრისა ოქროსსა მთაერი-  
სა მის, კაბუჯისა მამისა, ეკლესიასა ზედა და შთაწერენ მას შინა  
მოწამენი, რომელნი მომკუდარ არიან და მომართუ<sup>7</sup> მე იგი აქა.

მაშინ მწიგნობარმან მან ყო ეგრე, ვითარცა უბრძანა მას პატრეაქმან და მოართუ<sup>8</sup> კელი იგი. და რამეთუ იყო, ვინაჲთგან  
გარდაცვალებულ იყო მთავარი იგი, მამაჲ კაბუჯისაჲ მის, ათი წე-  
ლი და კელი ესე ახალი იყო, ჰრქუა მწიგნობარსა:

— წარიღე ესე და დაჰვალ ხუარბალსა შინა, რაჲთა ფერი  
იქციოს და მერმე მომართუ<sup>7</sup>.

და ყო ეგრე და მოართუ<sup>7</sup> კულად მწიგნობარმან<sup>9</sup> კელი  
იგი პატრეაქსა.

მაშინ<sup>9</sup> ჰრქუა მწიგნობარსა<sup>10</sup>: წარვედ აწ და თუსაგან განი-  
ყვანე კაბუჯი იგი და არქუ მას: რაჲ მოცე, უკუეთუ მიგცე შენ  
წიგნი ერთი კელი მამისა შენისა, რომელსა შინა წერილ არს  
ხუასტაგი არამცირედი? და იხილე და ნუ წარმოგაქუს მისგან  
სამისა დრაჰკნისა უფროსს<sup>11</sup> და მიეც მას<sup>12</sup> კელი ესე.

ჰრქუა მას მწიგნობარმან: და<sup>13</sup> თუ მიბრძანო, უფალო ჩემო<sup>14</sup>,  
ყოლადვე არაჲ მოვილო მისგან.

ჰრქუა მას პატრეაქმან: არა, არამედ წარმოიღე მისგან სამი  
დრაჰკანი.

მაშინ წარვიდა მწიგნობარი იგი კაბუჯისა მის და ჰრქუა მას  
მარტოდ:

— რაჲ მომცე მე<sup>15</sup>, უკუეთუ მიგცე რაჲმე, რომელი ფრიად  
სარგებელ გეყოს შენ<sup>16</sup>?

1 + და S. 2 და]—S. 3 მე]—S. 3<sup>a</sup> გამოგიცხადოს S. 4 კაცთაგანსო A. 5 აპოლინარიოს|აპოლირინოს A, აპოლიანოს S. 6 მოართო S. 7 მოართო S. 8 მწიგნობარმან]—A. 9 მაშინ]—S. 10 მწიგნობარსა|მას პატრეაქმან S. 11 უფროსს|უმცროს S. 12 მას]—S. 13 და]—S. 14 ჩემო]—S. 15 მე]—S. 16 შენ]—S.

ხოლო მან აღუთქუა, რაჲთა მისცეს მას<sup>1</sup> ყოველი, რომელი  
თბოვოს მისგან. მაშინ ჰრქუა მას მწიგნობარმან მან, ვითარმედ:

— ხუთით დღით წინა ვეძ[ი]ებდი მე წიგნსა სახლსა შინა ჩემსა  
და ვბოვე მე ჯელი ესე და მომეჭსენა, რამეთუ სანატრელ(244)სა  
მამასა შენსა მოეცა ჩემდა ნამარბევად დასტურობისა ჩემისათჳს. <sup>5</sup>  
და იგი გარდაიცივალა, და ესე ჯელი დაშთა<sup>2</sup> ჩემ თანა აქამომდე,  
რამეთუ დამავიწყდა მე ეგე<sup>3</sup>, რაჲთა მიგცე შენ.

ჰრქუა მას კაბუქმან მან: და აწ რასა მიბრძანებ მე, რაჲთა  
მიგცე შენ ამისთჳს?

ჰრქუა მწიგნობარმან: საძი დრაჰკანი. <sup>10</sup>

ჰრქუა მას კაბუქმან მან: და შენ ქეშმარიტად უწყია, ვითარ-  
მედ ჯელი ესე დასტური არს და მართალი?<sup>4</sup>

ჰრქუა მას მწიგნობარმან მან: ჰე ქეშმარიტად, დასტური  
არს, და ესე ოქროჲ უშრომელად წარმოგაქუს.

ჰრქუა მას კაბუქმან მან: უწყის მხოლოდმან ღმერთმან, ვითარ- <sup>15</sup>  
მედ დღეს არარაჲ მაქუს, ხოლო უკუეთუ წარმოვილო მე, მიგცე  
შენ სამი დრაჰკანი და უუროგს მისა<sup>5</sup>, გენებოს თუ<sup>7</sup>.

და<sup>8</sup> მისცა მას ჯელი იგი მისი<sup>9</sup>.

მაშინ მოილო კაბუქმან<sup>10</sup> მან ჯელი იგი და აღვიდა პატრე-  
აქისა და თაყუანის-სცა მას და მისცა მას<sup>11</sup> ჯელი იგი. და<sup>12</sup> <sup>20</sup>  
შიილო პატრეაქმან და წარიკითხა. და<sup>13</sup> ყო თავი თჳი ვითარცა  
კაცი შემფოთებული, და შეჰრისხნა მას ფიცხლად.

მიუგო და ჰრქუა: სადა უკუე იყავ აქამომდე, რამეთუ ვინაჲთ-  
გან მამაჲ შენი მომკუდარ არს, დღეს მეთაჲ წელი არს წინაშე  
ჩუენსა<sup>14</sup>, წარვედ ჩემგან, რამეთუ არარაჲ არს შენი ჩემ თანა. <sup>25</sup>

ჰრქუა მას კაბუქმან მან: მართლიად გეტყჳ შენ, უფალო  
ჩემო<sup>15</sup>, რამეთუ არა იყო ჩემ თანა, არამედ იყო ეგე მწიგნობარ-  
სა თანა ეკლესიისასა, და მე არა უწყოდე მისთჳს, არამედ ღმერთ-  
მან ყავნ წყალობაჲ<sup>16</sup>. მის თანა<sup>16a</sup>, რამეთუ მომცა მე ეგე დღეს და  
მრქუა მე, ვითარმედ: წიგნსა სხუასა ვეძიებდ<sup>17</sup> და ესე ვბოვე. <sup>30</sup>

მაშინ განაელინა იგი გარე<sup>18</sup> პატრეაქმან და ჰრქუა:

— წარვედ ჩემგან აწ, ვიდრემდის ვიხილო.

<sup>1</sup> მას]—S. <sup>2</sup> დარჩა S. <sup>3</sup> ეგე]—A. <sup>4</sup> მრთელია S. <sup>5</sup> მან]—A. <sup>6</sup> უფრო მისსა S.

<sup>7</sup> გენებოს თუ]თუ გნებავს S. <sup>8</sup> და]მაშინ S. <sup>9</sup> მისი]—S. <sup>10</sup> კაბუქმან]—A. <sup>11</sup> მას]  
—A. <sup>12</sup> და]ვითარ S. <sup>13</sup> და]—S. <sup>14</sup> წინაშე ჩუენსა]—S. <sup>15</sup> ჩემო]—S. <sup>16</sup> ყავნ  
წყალობაჲ] შეიწყალენ S. <sup>16a</sup> მის თანა]—S. <sup>17</sup> ვეძიებდი S. <sup>18</sup> გარე]—A.

და კელი იგი დაიყენა მის თანა. და მოუწოდა მღვდელთა და დიაკონთა ეკლესი[ი]სათა და უჩუენა მათ კელი იგი და ჰრქუა: ყრმან მან, იქმან მის<sup>1</sup> მთავრისამან, მომართუა კელი ესე და ითხოვს ამას ოქროსა, რომელ წერილ არს აქა<sup>2</sup>, და შეეშფოთენ და არა უწყი, რაჲ ვყო<sup>3</sup>.

ხოლო მათ, ვითარცა წარიკ[ით]ხეს და იხილეს, (v) რამეთუ დასტური იყო. ჰრქუეს მას: და რაჲ ეგების, მამაო, არა უქმს ეკლესიაჲა მონახუეკი გლახაკისაჲ მის<sup>4</sup> და უფროდს-ლა წყალობაჲ გიღირს მისი<sup>5</sup>, რამეთუ მდიდართა შეილი არს და<sup>6</sup> დღეს ესევი-თარსა<sup>7</sup> სიგლახაკესა მიცემულ არს იგი<sup>8</sup> და თავისა სამართალსა ითხოვს.

ჰრქუა მათ პატრეაქმან: ესე მეათჲ წელი არს აწ. ვინაჲთგან მამაჲ მისი მომეუდარ არს და უკუეთუ ვახში მისი არა ითხოვოს<sup>9</sup>, თავნი<sup>10</sup> სიხარულით მივსცნეთ.

და შენგლოზად კვრიაკისა ერთისა აღვიდა<sup>11</sup> კაბუკი იგი პატრეაქისა.

მაშინ აბრალეზდა მას პატრეაქი ესოდენ დაყოენებისათჲს<sup>12</sup>. და გამოილო კელი იგი და იწყო მიზეზობად, ვითარმცა ყოლადვე არას<sup>12</sup> მისცემდა მას<sup>13</sup>.

ჰრქუა მას კაბუკმან<sup>14</sup>: უწყის ღმერთმან და<sup>15</sup> ლოცვამან შენ-მან, წმიდაო მამაო, ვითარმედ არა მაქუს მე დღისა ერთისაცა სალუაწი სახლსა შინა ჩემსა<sup>16</sup>. ხოლო<sup>16a</sup> აწ, ვითარცა გარწმუნოს ღმერთმან<sup>17</sup> წყალობაჲ ჩემი, შემიწყალე მე.

ჰრქუა მას პატრეაქმან მღუმრიად, ვითარცა<sup>18</sup> ისინი ვედრებაჲ მისი<sup>19</sup>: ესე რომელ კელსა ამას შინა წერილ არს ოქროჲ<sup>20</sup>, მიგცე იგი, არამედ ამას ვითხოვ შენგან, ძმაო ჩემო, რაჲთა ვახში არა ითაოვო ეკლესიისაგან.

მაშინ თაყუანის-სცა კაბუკმან მან პირსა თჲსსა ზედა<sup>21</sup> და ჰრქუა:

—ყოველი, რომელი ენებოს უფალსა ჩემსა, მომცინ<sup>22</sup>, და რაჲცა მიბრძანოს, ვყო. და უკუეთუ მიბრძანოს სიწმიდემან შენ-ნან<sup>23</sup>, რომელიმე თავთაგანიცა განუტეო.

<sup>1</sup> მისი—A. <sup>2</sup> აქა—S. <sup>3</sup> ვყო]უყო მას S. <sup>4</sup> ~ეკლესიასა მის გლახაკისაჲ მონახუეკი არა უქმს S. <sup>5</sup> მის S. <sup>6</sup> და—S. <sup>7</sup> ესეთსა S. <sup>8</sup> იგი—S. <sup>9</sup> გუთხოვოს S. <sup>10</sup> თავნი]ათისა წლისაჲ თავნი S. <sup>11</sup> აღვიდა]~ყოლად S. <sup>11a</sup> დაგვანებისათჲს S. <sup>12</sup> ყოლადვე არას]არარას S. <sup>13</sup> მას]მას ყოლადვე S. <sup>14</sup> კაბუკმან]კაბუკმან მან S. <sup>15</sup> და]—A. <sup>16</sup> სახლსა შინა ჩემსა]სახლისა ჩემისაჲ S. <sup>16a</sup> ხოლო] —S. <sup>17</sup> გარწმუნოს ღმერთმან]ღმერთმან შთაგიდოს გულსა შენსა S. <sup>18</sup> ვითარმცა AS. <sup>19</sup> ვედრებებისა მისისაჲ S. <sup>20</sup> ოქროჲ]~მე S. <sup>21</sup> ზედა თჲსსა S. <sup>22</sup> მომცინ]მომიბოძენ S. <sup>23</sup> შენმან]თქუენმან S.

ჰრკუა მას პატრეაქმან: კმა არს ჩუენდა ვახშისა ცა განტე-  
ვებაჲ <sup>1</sup>.

მაშინ გამოილო ორმოცდაათი ლიტრაჲ ოქროჲ და მისცა  
მას და განუტევა მშჯდობით<sup>2</sup>, და ულოცა<sup>3</sup> მას ვახშისა განტე-  
ვებისათჳს.

ესე არს საქმე<sup>4</sup> სათნოებისაჲ დაფარული<sup>5</sup>, რომელი ყო აპო-  
ლირიანოს პატრიაქმან<sup>6</sup> და ეგრძთვე ღმერთი შეეწია მიგრით-  
გან ჰაბუქსა მას და უკურთხა მონაგები<sup>6</sup> წმიდისა მის მიცემული<sup>7</sup>  
და განმდიდრდა იგი უფროჲს მშობელთა თჳსთა<sup>8</sup> და ჰმადლობდა  
ღმერთსა.

(245) ესე აპოლირიანოს სხუაჲ არს, რომელი ბრწყინავს სათ-  
ნოვე<sup>9</sup> პათა შემკული<sup>9</sup>, და სხუაჲ არს მწვალბებელი იგი და მაცთური  
და მკლველი სულისა თჳსისაჲ.

ჟა (195). რაჲმს ვიყვენით ჩუენ<sup>10</sup> ალექსანდრიას, შოვიდა  
ლეონ ფემიტრაბულსით. და იყო კაცი ესე სარწმუნოჲ და ქრის-  
ტეს მოყუარე. და იყო იგი მკვდრ ფიკრინის პრაუალთა წელთა.  
და მოვიდა ევლოჯის<sup>11</sup> ალექსანდრიელ<sup>12</sup> პატრიაქისა, რაჲთა ების-  
კოპოს იქმნეს იგი<sup>13</sup> ქალაქსა ზედა ფიკრინის. და<sup>14</sup> ესე მითხრობ-  
და, ვითარმედ: დღეთა ნეტარისა თეოფილე ალექსანდრიელ<sup>12</sup> პა-  
ტრიაქისათა ებისკოპოსი იყო ფიკრინის, რომელსა სახელი ერქუა <sup>15</sup>  
სუნესიოს, ფილოსოფოსი იყო იგი. და ვითარცა ჩოიწია იგი ბუნ,  
პოვა ჭაცი ფილოსოფოსი, სახელით ევაგრიოს. ესე მოყუას ყოფილ  
იყო მისა სწავლასა მათსა სიყრმესა, და ფრიად ნოყუარე იყო იგი  
მისა, რამეთუ იყო იგი<sup>16</sup> შჯულითა წარმართ და ფრიად მჭურვა-  
ლე მსახურებასა კერპათსა. და ენება მისი სუნესიოსს ებისკოპოს-  
სა. რაჲთამცა მოაქცია იგი კერპთ-მსახურებისაგან<sup>16</sup>, და ფრიად  
მოსწრაფებით<sup>17</sup> ილუწიდა მისთჳს და ზრუნვიდა, თუ ვითარ ყოს მათ  
შორის სრული სიყუარული, რომელ არს სულთა ცხორებისათჳს. და  
ფრიად ასწავებნ<sup>18</sup> მას ქრისტეანობისათჳს. და ესე არად სარგებელ  
ეყოფოდა, რამეთუ ყოლადვე არა შეიწყნარებდა სწავლასა მისსა, არა-  
მედ დიდისა მის სიყუარულისათჳს<sup>19</sup> არა მოიწყინა და არცა დაეყენა  
იგი დღითი-დღედ მოძღურებისაგან<sup>20</sup> და სწავლისა მისისა<sup>21</sup>. რაჲთა

<sup>1</sup> ვახშისა განტევებაჲცა S. <sup>2</sup> მშჯდობით—S. <sup>3</sup> ულოცვიდა S. <sup>4</sup> დაფა-  
რულისაჲ S. <sup>5</sup> პატრიაქმან] სანატრელმან S. <sup>6</sup> უკურთხაცა მონაგები]+იგი S.  
<sup>7</sup> მიცემული A. <sup>8</sup> თჳსთა]მისთას S. <sup>9</sup> შემკული—S. <sup>10</sup> ჩუენ]—A. <sup>11</sup> ევლოჯისვე  
S. <sup>12</sup> ალექსანდრელ S. <sup>13</sup> იგი]—A. <sup>14</sup> და]—A. <sup>15</sup> მისა, რამეთუ იყო იგი]—S.  
<sup>16</sup> კერპთ-მსახურებისა მისგან S. <sup>17</sup> მოსწრაფებით]მოსწრაფე იყოთ S. <sup>18</sup> ასწავებდა  
S. <sup>19</sup> +ებისკოპოსისა მისსა მიმართ S. <sup>20</sup> მოძღურებისა S. <sup>21</sup> მისისაგან S + და  
ვედრებისაგან S.

პრწმენეს მას ქრისტე ღმერთი და შეიწყნაროს მეცნიერებაჲ მისი<sup>1</sup>.  
 დღესა ერთსა პრქუა ფილოსოფოსმან მან:

— ქეშმარიტად, ჭებისკოპოს! ყოველსა თანა ესეცა არავე მრწამს  
 ქრისტეანეთაჲ<sup>2</sup>, რომელსა იტყუთ<sup>3</sup>, ვითარმედ აღსასრული ყოფად არს  
 ამის სოფლისაჲ, და შემდგომად აღსრულებისა ყოველნი კაცნი,  
 რომელნი ჯორცითა ამით წინა ყოფილ იყვნენ, კუალად ამითვე ჯორ-  
 ცითა აღდგენ უხრწნელად, და საუკუნოდ ცხონდენ<sup>4</sup>, და კუალად<sup>5</sup>  
 მიიღოს ყოველმან მისაგებელი (v) საქმეთა თვსთაჲ, რომელნი  
 ექმნენ სოფელსა ამას. და ყოველი<sup>6</sup> რომელი წყალობდეს გლახა-  
 სა<sup>7</sup>, იგი ღმერთსა ავასხებს, და რომელმან განუყოს მონაგები თვისი  
 უქონოთა, ცათა შინა დაიუნჯებს, და მერმე მოიღოს მან ასი წი-  
 ლი და ცხობებაჲ საუკუნოჲ ქრისტესგან დღესა მას აღდგომისა-  
 სა. და ესე ყოველი ჩემ თანა საცთუარი და ბასრობაჲ არს<sup>8</sup>, რო-  
 მელსა არა აქუს სიმტკიცე და არცა დასტურობაჲ ჩემ თანა.

მაშინ დაუმტკიცებდა ებისკოპოსი ყოველსა საქმესა ქრისტე-  
 ანობისასა, და<sup>9</sup> ვითარმედ ქეშმარიტ არს და<sup>10</sup> არარაჲ არს მას  
 შინა ტყუვილი და ცუდის მეტყუელებაჲ, და უზუნებდა ცხადად  
 საქმესა ქეშმარიტებისასა.

და შემდგომად მრავლისა ჟამისა<sup>11</sup> დაარწმუნა<sup>12</sup> მას ქრისტე-  
 ანე ყოფად<sup>13</sup>, და ნათელ-იღეს მან<sup>14</sup> და ყოველთა სახლეულთა მის-  
 თა<sup>15</sup>. და შემდგომად ნათლის-ღებისა<sup>16</sup> მისცა მან ებისკოპოსსა  
 სამი კენტარი ოქროჲ და პრქუა მას:

— მიიღე ესე და განუყავ გლახაკთა და დამიწერე<sup>17</sup> ჯელით  
 წერილი ჯელითა შენითა, და<sup>9</sup> რაჲთა ქრისტემან მომცეს მე იგი  
 საუკუნესა მას მომავალსა.

მაშინ წარმოიღო მისგან ოქროჲ იგი ებისკოპოსმან და დაუ-  
 წერა მას ჯელით წერილი ქარტასა ზედა<sup>18</sup>, ვითარცა ენება მას.

და შემდგომად ნათლის-ღებისა მცირედსა ჟამსა<sup>19</sup> ცხონდა  
 ფილოსოფოსი იგი<sup>20</sup> და დასნეულდა სენითა სიკუდილისაჲთა. და  
 ოდეს მოკუდებოდა, პრქუა შეილთა თვსთა: ოდეს შემმოსოთ მე  
 და შემმუროთ, ესე ჯელით წერილი ებისკოპოსისაჲ მომეცით ჯელსა  
 ჩემსა, და ესრჷთ დამმარხეთ, და ნუმცა ვინ უწყის ესე<sup>21</sup>. და რა-

<sup>1</sup> + ვიდრემდის S. <sup>2</sup> ქრისტეანეთაჲ—S. <sup>3</sup> + თქუნ ქრისტეანენი S.  
<sup>4</sup> ცხონდენ|ცხობებდენ S. <sup>5</sup> კუალად|ვითარმედ S. <sup>6</sup> ყოველი|ვ<sup>6</sup> S. <sup>7</sup> გლახაკთა S.  
<sup>8</sup> + და საზრახავი არს S. <sup>9</sup> და—S. <sup>10</sup> ქეშმარიტ არს და—A. <sup>11</sup> ჟამისა|შრომი-  
 სა S. <sup>12</sup> არწმუნა S. <sup>13</sup> ყოფაჲ S. <sup>14</sup> ნათელ-იღეს მან|მოინათლა იგი S. <sup>15</sup> ყო-  
 ველნი სახლეულნი მისნი S. <sup>16</sup> + და ქრისტეანე ყოფისა S. <sup>17</sup> დამიწერე მე S.  
<sup>18</sup> ქარტასა ზედა—A. <sup>19</sup> მცირედ ჟამ A. <sup>20</sup> იგი—S. <sup>21</sup> ნუმცა ვინ უწყის  
 ესე|წიგნი ესე ჩემ თანა S.



ქამს აღესრულა, ყვეს ეგრძთ ძეთა მისთა, ვითარცა-იგი უბრძანა ფილოსოფოსმან, და დაჰტლეს მის თანა წიგნი იგი. და მესამესა დღესა<sup>1</sup> ეჩუენა ღამე<sup>2</sup> ებისკოპოსსა ფილოსოფოსი იგი (246) და ჰრქუა მას<sup>3</sup>: მოვედ შენ საფლავსა ჩემსა<sup>3a</sup> და მიიღე ჯელით წერილი შენი, რამეთუ მომიღებებს ვალი იგი ქრისტესგან და გარდაგიჭიდებს და არლარაჲ არს ჩემი შენ თანა<sup>4</sup>. და ამისთა დაჯერებისათჳს დამიწერიეს მე ჯელითა ჩემითა წიგნსა მას შინა გარდაქდილობაჲ. და ვითარცა განიღჳდა ებისკოპოსმან, არა უწყოდა, ვითარმედ ჯელით წერი[ლი] მისი დაუწარხავს ფილოსოფოსისა თანა საფლავსა შინა.

და ვითარცა განთენა, ზიავლინა და მოუწოდა ძეთა მისთა და ჰრქუა მათ:

— და-რაჲ-ჰმარხეთა ფილოსოფოსისა<sup>5</sup> თანა საფლავსა შინა? ხოლო ნათ ეგონა ოქროჲსათჳს და ჰრქუეს მას: არა, უფალო, არარაჲ დაგჳმარხავს მის თანა<sup>6</sup> თუნიერ სამოსლისა მისისა.

ჰრქუა მათ:

— და არცა ქარტაჲ დაწერილი<sup>7</sup> დაჰმარხეთა მის თანა? მაშინ<sup>8</sup> მოვესენა მათ წიგნისა მისთჳს, და ჰრქუეს:

— ჰე უფალო, რამეთუ რაჲმს მოკუდებოდა იგი, მომცა ჩუენ ქარტაჲ წერილი და მრქუა: ოდეს დამმარხვიდეთ მე<sup>9</sup>, მომეციოთ<sup>10</sup> წიგნი ესე<sup>10</sup> ჯელსა ჩემსა, და ნუმცა ვინ უწყის ესე ყოლადღე.

მაშინ ჰრქუა მათ ებისკოპოსმან ჩუენებაჲ იგი, რომელი იხილა<sup>11</sup>. და წარიყვანნა იგინი და მღდელნი თჳსნი და კაცნი მოქალაქენი, და მივიდა საფლავად ფილოსოფოსისა. და განაღეს საფლავი იგი და პოვეს ფილოსოფოსი იგი<sup>12</sup> ზღებარს და ჯელთა ე-<sup>13</sup> ყრა მას ჯელით წერილი იგი ებისკოპოსისაჲ. და გამოუღეს მას და განჰქსნეს და პოვეს მას შინა წერილი ახალი ჯელითა ფილოსოფოსისაჲთა ესრეთ, ვითარმედ: მე, ევაგრეოს ფილოსოფოსი, შენ, წმიდასა ებისკოპოსსა სუენისიოსს<sup>13</sup>, მოგიკითხავ. უწყებულ იყავნ სიწმიდს შენი, ვითარმედ ზომილებებს ვალი იგი, რომელ ამას წიგნსა შინა<sup>14</sup> დაგეწერა<sup>15</sup> და არლარაჲ არს ჩემი შენ ზედა ოქროჲსა მისგანი, რომელი-იგი შენ მიერ მივეც მე<sup>15</sup> ქრისტესა, ღმერთსა და მჳსნელსა ჩუენსა, რამეთუ მომცა მე იგი მრავალ წილად აღნადგინებ-

<sup>1</sup> + დაფლვითგან S. <sup>2</sup> ღამით S. <sup>3</sup> მას]—S. <sup>3a</sup> +სადა ვჰმარხავ S. <sup>4</sup> თანა] ზედა S. <sup>5</sup> ფილოსოფოსსა S. <sup>6</sup> მის თანა]—A. <sup>7</sup> დაწერილი]რაჲ წერილი S. <sup>8</sup> მაშინ-ღა S. <sup>9</sup> მე]—S. <sup>10</sup> ~წიგნი ესე მომეციოთ S. <sup>11</sup> + ღამესა S. <sup>12</sup> იგი]—S. <sup>13</sup> ~სონესიოს ებისკოპოსსა S. <sup>14</sup> დაგეწერა S. <sup>15</sup> მე]—A.

თურთ. და ყოველთა, რომელთა იხილეს ესე, განკვრეებულნი აღი-  
დებდეს ღმერთსა, სასწაულთა მოქმედსა, (v) რომელი მისცემს მო-  
ნათა იუხსთა<sup>1</sup> ესევეითარსა დაჯერებასა საკვრეველებითა.

და ესეცა მითხრა ჩუენ ლეონ, ვითარმედ: ვიდრე აქამომდე  
წიგნი იგი, ფილოსოფოსისა ჯელითა დაწერილი, კიმილიასა თანა  
ეკლესიისასა<sup>2</sup> ძეს ქალაქსა: შას შინა<sup>3</sup>. და ოდეს მეკიმილიესა<sup>4</sup>  
ახალსა<sup>5</sup> დაადგენედ<sup>6</sup>, წიგნიცა იგი კიმილიასა თანა მიუთუალიან,  
რახთა კრძალულად დაჰმარხონ იგი მოსაქსენებელად სასწაულისა  
მისთვის დიდებულისა<sup>7</sup>.

<sup>1</sup> მისთა S. <sup>2</sup> ეკლესიისა S. <sup>3</sup> შინა]—S. <sup>4</sup> მეკიმილიესა]კიმილიარხსა S.

<sup>5</sup> ახალსა]—S. <sup>6</sup> დაადგენდენ S. <sup>7</sup> მისთვის დიდებულისა]ამის S.

(689) ესე თავები იპოვა კვპრეს, ადგილსა, რომელსა ჰქვან  
თეომორფო, მიმსგავსებული სამოთხესა

1. ძმა ვინმე მონაზონ იქმნა და განუყო ყოველი მონაგები  
თქს[ი] გლახაკთა, და დაიყენა დაბაჲ ერთი კეთილი თავისა თქსი-  
სათს. და ერისა კაცი ვინმე (690) შერაცხილთაგანი ეტრფიალა და-  
ბასა მას და მრავალ გზის ევედრა ძმასა მას, რაჲთა მიჰყიდოს იგი,  
გინა თუ სხუაჲ მისცეს ნაცვალად მისა. ხოლო მან არა ინება. და  
ერისკაცი იგი იქმნა მთავარ მას ქუეყანასა და [ა]იძულა მონაზონსა  
მას დატევებამ დაბისაჲ მის, რამეთუ მრავალნი განსაცდელნი მოა-  
წიენა მის ზედა. და ვითარცა იხილა ძმამან მან ჰირი იგი მრავა-  
ლი და არაჲ პოვა, რომლითამცა ევედრა მას და არცა სხუაჲ ვინ  
პოვა, რომელიმცა შემწე ეყო მას, რამეთუ ყოველნივე მიიქცინა  
მთავარმან მან. ხოლო ამისა შემდგომად მივიდა იგი ბერისა ვისამე,  
რომელი დაყუდებულ იყო მათ ადგილთა, და იყო იგი განთქმულ  
სათნოებითა. და მოვიდის მისა ძმაჲ იგი მრავალ გზის და ევედრე-  
ბინ მას, რაჲთა მი-ვინმე-უვლინოს მთავარსა მას, გინა თუ მიწე-  
როს მისა წიგნი, რაჲთა დააცადოს ჰირი მისი. ხოლო ბერმან  
არწმუნის მას, რაჲთა უკუნიქცეს სენაკად თქსა და არა მიუწეს.

ვითარ იხილა ძმამარ მან, რამეთუ ჰეშმარიტად მიუღებს და-  
ბასა მას მთავარი იგი, მოვიდა იგი ბერისა და ჰრქუა მას: აჰა<sup>20</sup>  
ერისმთავარი იგი მიმიღებს დაბასა ჩემსა, გარნა, ღმრთისათს,  
შემეწიე მე და მიწერე მისა, გინა შიავლინე. და ვითარ აიძულა  
ბეოსა მრაველითა ვედრებითა, მიწერა წიგნი სახე ესევეთარი მთავ-  
რისა მის: მონაზონი ამისთჳ (691) იქმნის მონაზონ, რაჲთა არარაჲ  
მოიგოს, რომლითამცა უსამართლოდ ვინმე უყო მას, ხოლო უკუეთუ<sup>21</sup>  
მო-რაჲმე-იგოს, მოელენ მას იგი, რამეთუ არა არს იგი მონაზონ.  
და დაჰბეჰდა წიგნი იგად და მისცა ძმასა მას. ხოლო მან არა უწყო-  
და, რაჲ წერილ არს მას შინა. და წარვიდა ძმაჲ იგი და მისცა  
წიგნი იგი მთავარსა მას. ხოლო მთავარმან მან ძიითუალა იგი ღი-  
ღითა პატივითა და ამბორს-უყო მას. და ვითარ აღმოიკითხა,<sup>22</sup>

პრქუა ძმასა მას: უწყია, რაჲ წერილ არს წიგნსა ამას? ხოლო მან პრქუა: რაჲთა დაუტეო დაბაჲ ჩემი. მაშინ დაუკვრდა მთავარსა სათნობეჲ ბერისაჲ და მოუწოდა ყოველსა კრებულსა და ბრძანა, რაჲთა წარიკითხონ წიგნი იგი წინაშე მათსა. და მიერიტვან არ-  
 5 ლარა მიაქცია დაბასა მას მთავარმან მან სიკეთისათჳს ბერისა. ამის გამო გკვრს ჩუენცა გონებეჲ იგი კეთილი, ვითარ-იგი მან მიწერა, რომელსა შინა არა იყო ყოლადვე ედრებეჲ, და დააჯერა მას დატევებეჲ დაბისაჲ მის.

2. მოვიდეს ოდესმე ფილოსოფოსნი ბერისა ვისამე. და ვი-  
 10 თარცა ყვეს ლოცვაჲ, დასხდეს. ხოლო ბერმან არარაჲ მიუგო მათ სიტყუაჲ და არცა ზე აღიხილნა თუალნი. და იგინი ევედრებოდეს მას და პრქუეს: აბბა, გუარქუ ჩუენ სიტყუაჲ. ხოლო იგი ღუმნა და თხზვიდა სირასა. და კუალად პრქუეს მას: მოვედით შენდა, რაჲთა გუესმეს შენგან სიტყუაჲ, რომელი სარგებელ ვიყოთ. მაშინ-  
 15 ლა პრქუა ბერმან: თქუენ წარაგეთ მონაგები თქუენი, რაჲთა ის-წავოთ სიტყუაჲ; ხოლო მე დაუტევე ყოველი სოფელი, რაჲთა ვის-წაო ღუმილი. და მათ, ვითარცა ესმა ესე, დაუკვრდა და წარვი-დეს აღშენებულნი.

3. (682) გვხრობდა ბერი ვინმე, ვითარმედ: ალექსანდრიას იყო  
 20 ვინმე მდიდარი, და დასნეულდა იგი და შეეშინა სიკუდილისაგან. და მოიღო ოცდაათი ლიტრაჲ ოქროჲ და მისცა იგი გლახაკთა. და ამისა შემდგომად განიკურნა, და შეინანა, რომელი-იგი ყო. და ესუა მას მეგობარი, კაცი გონიერი. და მივიდა მისა და უთხრა, რაჲ-იგი ყო და ვითარ შეინანა. ხოლო მან პრქუა მას: აწ უფროჲს გიღირს  
 25 სიხარული, რამეთუ მიეც იგი ღმერთსა. და მან არა დაიჯერა. მაშინ პრქუა მეგობარმან მისმან: აჰა ესერა ოცდაათი ლიტრაჲ ოქროჲ (რამეთუ იყო იგიცა მდიდარ ფრიად), არამედ მოვედ ჩემ თანა შინა-წმიდას და თქუ, ვითარმედ: არა მე ვყავ შესაწირავი იგი, არამედ ამან, და მიიღე ესე ოქროჲ. და მივიდა კაცი იგი  
 30 შინა-წმიდას და ყო ეგრე. და მიიღო ოცდაათი იგი ლიტრაჲ ოქროჲ. და ვითარცა განვიდოდა ეკლესიით, დაეცა და მოკუდა. ხოლო მღდელთა მათ პრქუეს კაცსა მას, ოქროჲსა უფალსა: მიიღე ოქროჲ შენი. ხოლო მან თქუა: ნუ იყოფინ ეგე ჩემდა წინაშე ღმრთისა, ვინაჲთგან მივეც იგი ქრისტესა, არამედ მიეცეს ეგე გლახაკთა. და მასვე ჟამსა განუყვეს გლახაკთა. და რომელთა ესმა ესე, შეე-შინა, და აღიდებდეს ღმერთსა სარწმუნობასა ზედა მის კაცისასა.

4. ერისკაცსა ვისმე ესუა ასული და შეემთხვა მას სიცოფე. ხოლო მშობელნი მისნი ევედრებოდეს მრავალთა მონაზონთა, რაჲთა ლოცვა-ყონ მისთჳს, და არა განიკურნა. და უკუანაჲსკენელ ჰრქუა მათ მონაზონ(693)მან ვინმე, რომელი ზეგობარ იყო მათა: უჴეთუ გნებაჲს, რაჲთა განიკურნოს ასული თქუენი, მივედით უდაბნოსა უმინაგანესსა, რამეთუ არიან მუნ კაცნი წმიდანი, და მე მრწამს, ვითარმედ განკურნოს ღმერთმან ლოცვითა მათითა. და ვითარცა ესმა ესე, წარემართნეს უდაბნოდ. და შეემთხვა მათ ჰაბუკი ერთი მონაზონი. და ვითარცა იხილეს შორით, განიხარეს და თქუეს: აჰა ესერა ღმერთსა მოუვლინებიეს ჩუენდა ერთი წმიდათაგანი, რაჲთა არა დავშურეთ ყოველსა ამას უდაბნოსა. და შეიმთხვენეს ურთიერთას და დაცკვეს მშობელნი მისნი ქალითურთ ქუეყანასა ზედა და ევედრებოდეს და ეტყოდეს: ასული ესე ჩუენი აღშფოთებულ იქმნა ეშმაკისაგან, არამედ, ღმრთისათჳს, ლოცვა ყავ მისთჳს. ხოლო მან ჰრქუა მათ: მე კაცი ვარ ცოდვილი. ხოლო იგინი ევედრებოდეს მას და ეტყოდეს: ნუ, ღმრთისათჳს, ნუ იტყუ მგავს, არამედ უფროჲს-ლა იზრუნე ჩუენთჳს, და ასულისა ჩუენისათჳს ლოცვა ყავ. რამეთუ ჰგონებდეს იგინი, ვითარმედ სიმდაბლისათჳს იტყუს ამას. ხოლო იგი მასვე სიტყუასა იტყოდა. და ვითარცა [ა]იძულეს მას ფრიად, აღიძრა იგი გონებითა თჳსითა და გამოიღო მახალა-კისაგან თჳსისა მცირე წიგნი და ჰრქუა მათ ფიცით, ვითარმედ: ესე წიგნი მით აღვილით მოვიპარე და გამოვედ. და ვითარცა ესე თქუა, მეყსეულად განვიდა ეშმაკი იგი ქალისა მისგან, რამეთუ ვერ თავს-იღვა აღსაარებაჲ იგი სიმდაბლისაჲ ჰაბუკისაჲ მის სარწმუნოებასა თანა მათსა, ვითარ იგინი არა შეორ-გულდეს სიტყუასა მას ზედა მონაზონისასა, არამედ ეპყრა მათ ვითარცა წმიდათაგანი, თაჲლ(694)ანის-სცემდეს მას და ევედრებოდეს. და ჩუენცა უფალმან მოგუეცინ სარწმუნოებაჲ მათი სადიდებელად მისა უკუნისამდე, ამენ.

5. ალექსანდრიას ქალაქსა, რომელ არს ეგჳპტიისაჲ, ტაძარსა წმიდისა მარიამისსა კაცთა მორწმუნეთა, ქრისტეს მოყუარეთა, შესლევასა მათსა და გამოსლევასა ეკლესიით იხილეს ბერი ვინმე მჯდომარე გარეშე კართა, რომელი ჰყიდდა სფირიდსა და თქუეს ურთიერთას: ვინაჲთგან გუხილავს ბერი ესე სყიდასა სფირიდისასა, არასადა გუესმა სიტყუს-გებაჲ მისი ვის თანამე ყოლადვე. მოვედით და გამოვცადოთ იგი. და მივიდეს მისა და ჰრქუეს: თქუ, ბერო, ჰყიდია სფირიდსა ამას? ხოლო მან ჰრქუა: ჰე. და ჰრქუეს: ვითარ?

პრქუა: ათ ფოლად. ხოლო მათ პრქუეს: დიდ არს, არამედ მიიღე ხუთ-ხუთი ფოლი რა სფირიდი<sup>1</sup>. ხოლო მან პრქუა: ვითარცა გნებავს, ეგრეთცა წარიღეთ. და კუალად პრქუეს მას: ესეცა დიდ არს, არამედ უკუეთუ გნებავს, მოგუეც თითო ფოლად. და კუალად პრქუა მათ: ვითარცა გნებავს, ეგრეთცა მიიღეთ. და მისცეს მას თითო ფოლი და წარიღეს ყოველი იგი სფირიდი.

და აღილო ბერმან არგანი თჳსი და წარემართა სენაკად თჳსა. ხოლო მათ ცნეს სათნოებაჲ მისი, მიეწინეს და პრქუეს მას: რაჲ ჰყავ აბბა? და მან თქუა: რაჲ ვყავ? და მათ პრქუეს, რამეთუ გუარქუ ჩუენ, ვითარმედ—ათი ფოლი რაჲ სფირიდი<sup>1</sup>. და გარქუთ, ვითარმედ: დიდ არს, არამედ მოგუეც ხუთ-ხუთ ფოლად. და შენ თქუ: ვითარცა გნებავს, ეგრეთცა წარიღეთ. და კუალად გარქუთ: უკუეთუ გნებავს, თითო ფოლად (695) წარვიღოთ. და დაჯერებულ იქმენ და მიიღე ჩუენგან თითო ფოლი. არამედ გევედრებით შენ (და შეუვრდეს მას), ღმრთისათჳს, გუარქუ ჩუენ, რაჲსათჳს ესრეთ ჰყავ? ხოლო მან პრქუა მათ: ესრეთ არს ჩუეულებაჲ ჩემი.—ერთ-ჯერ ვთქუ ფასი, და რაჲცა ვინ მომცის, წარვიღი. და ევედრებოდეს მას, რაჲთა მივიდენ მის თანა სენაკად მისა. და წარვიდეს.

და ვითარცა შევიდეს სენაკად მისა, პოვეს სტამნითა წყალი და ერთი ქოთანნი და კოში. და კუალად პრქუეს: გზბრძანე, რაჲთა ვქმნეთ ხევისი მცირედ და ვქამოთ შენ თანა და ვიკურთხნეთ შენგან. და პრქუა მათ: ქმენით. და ქმნეს. და იყო სენაკი მისი ადგილსა ერთსა, სადა იყვნეს ოთხნი ბქენი ქალაქისანი. ვითარცა ქმნეს, პრქუა მათ ბერმან მან კეთილმან: წარვიდით ადგილსა მას, რომელსა პრქვან უბანი თევედოსისი და ჰპოვოთ მუნ ბერი ერთი რომელი ჰყიდის სფირიდსა და არქუთ მას: გეტყუს შენ ბერი იგი, მოყუასი შენი, მოვედ, რაჲთა ჰქამო ძმათა თანა ხევისი. და წარვიდეს იგინი და პოვეს მუნ ბერი ვინმე, ვითარცა-იგი პრქუა კეთილმან ბერმან. და პრქუეს მას: გეტყუს ბერი იგი, მოყუასი შენი, მოვედ, რაჲთა ჰქამოთ სევისი ძმათა თანა. პრქუა მათ: და არა გრქუაჲ, ვითარმედ ვქამოთ? და თქუეს: არა. მაშინ პრქუა მათ: უწყოდეთ, ძმანო, რამეთუ მიუწოდა ღმერთმან. ხოლო იგინი შეშფოთნეს სიტყუასა მისსა ზედა და წარიყვანეს ბერი იგი სფირიდითურთ და პოვეს, რამეთუ აღსრულებულ იყო ბერი იგი. და განუწარტნეს ჳელნი მისნი და ფერჯნი და ტიროდეს მყოვარ ჳამ და (696) დაჰმარხეს.

და ევედრებოდეს ბერსა მას და პრქუეს: ღმრთისათჳს, ჯედ სენაკსა შენსა და ჩუენ მოგართუათ პური შენი დღითი-დღე, რაჲთა ლოცუა-ჰყო ჩუენთჳს. ხოლო მან პრქუა მათ: მოვედით ჩენდა

<sup>1</sup> ასეა ი. ბანძელის გადმონაწერში.

დღესა მეშვდესა, და უკუეთუ მპოვით მე ცოცხალი, ყავთ ეგრე, ვითარცა სთქუთ, რამეთუ აღთქუმაჲ მაქუს ნეტარისა თანა ბერისა და მას ჩემ თანა, რაჲთა როზელიცა უწინარეს მოგკუდეთ, ვევედრნეთ ღმერთსა, რაჲთა ნიიყვანოს მეორეცა დღესა მეშვდესა. და ყვეს ეგრეთ ქრისტეს მოყუარეთა მათ. და მოვიდეს დღესა მეშვდესა და პოვეს იგი აღსრულებული და დაჰმარხეს გუერდით ბერისა მის, და ტიროდეს მყოვარ ჟამ ამათ ორთათუხვე საფუძველთა სათნოებისათა. და წარვიდეს და ჰმადლობდეს ღმერთსა, რომელმან გამოუცხადა მათ ესევეითარი საკრველებჲაჲ.

6. გვთხრობდა ვინმე, ვითარმედ ჰაბუკი ვინმე იყო დიასპანთა ზედა მეფისათა. და იყო იგი ქმნულკეთილ ფრიად. და ესუა მას მეგობარი კაცი შერაცხილთაგანი კოსტანტინეპოლის, და ესუა მას ცოლი ჰაბუკი. და ვითარცა მოვიდის ჰაბუკი იგი, შეიწინარის მეგობარნან მისმან სიყუარულით და მოწლედ ისტუმრის. რამეთუ ერთობით ჰამედ ცოლითურთ მის კაცისაჲთ სიყუარულითა უბიწოდ. და დაყოვნებასა მას მისსა მათ თანა შეუჭდა დედაკაცსა მას გულის სიტყუაჲ ჰაბუკისა მისთჳს, და ვერ ცნა. და იცვიდა თავსა თჳსსა და არა(697)რაჲ ჰრქუა მას, არანედ ითენნდა იგი შრომით.

და ვითარცა წარვიდა ჰაბუკი იგი ჩუეულებისაებრ თჳსისა, ხოლო დედაკაცი იგი გულის სიტყუათაგან დაეცა სნეულად, და ჰმარმან მისმან მოიყვანნა მკურნალნი. და ვითარცა განიხილეს იგი, ჰრქუეს ჰმარსა მისსა: არა არს ამას თანა სენი ჯორცთაჲ, არამედ გონებისაჲ. ხოლო ჰმარი მისი დაუჯდა მის თანა, ევედრა ფრიად და ჰრქუა: ნითხარ მე, რაჲ არს საქმე შენი? ხოლო იგი შეიბრწუნდა და ჰრცხუნა პირველად და არა აღიარა. ხოლო უკუანაჲსკენელ აღიარა და თქუა: შენ იცი, უფალო ჩემო, გინა თუ სიყუარულითა, გინა თუ მარტივობითა ნოიყვანნი აქა პიონი ჰაბუკთანნი და მე, ვითარცა დედაკაცსა, შენემთხუა გულის თქუმაჲ ჰაბუკისა მისთჳს, რომელი არს დიასპანთა ზედა. და წარვიდა ჰმარი მისი ჰაბუკისა მის და ჰრქუა მას: შენ უწყი, ვითარ შეკიყუარე და შენისა სიყუარულისათჳს შეგიყვანი სახიდ ჩემდა, და ცოლისა ჩემისა თანა ჰჰანდი. ხოლო მან ჰრქუა: ეგრეთ არს, უფალო ჩემო, ვითარცა ჰბრძანე. ხოლო მან ჰრქუა: აჰა ესერა გულის თქუნასა შეუბყრიეს იგი. ხოლო მას, ვითარცა ესმა ესე, შეწუნნა ფრიად, რამეთუ შეკრულ იყო იგი სიყუარულითა მისითა და ჰრქუა მას: ნუ იურვი, რამეთუ ძალ-უც ღმერთსა შეწივენაჲ ჩუენი ხოლო.

წარვიდა ქაბუკი იგი, და დაიყვნა თმამ მისი და მოილო კი-  
 რი და იცხო თავსა და პირსა მისსა, ვიდრემდის მოსწუნა წარბნი  
 მისნი და წამწამნი, და წარვიდა მისგან ყოველი შუენიერებაჲ პი-  
 რისა მისისაჲ, (696) და იქმნა იგი ვითარცა გონჯი მრავალჯამისაჲ. და  
 5 შეიხვა თავის-სახუეველი და მივიდა საბიდ მის კაცისა. და ჰოვა  
 დედაკაცი იგი მდებარე და ქმარი მისი მჯდომარე მის თანა. და  
 მოიჭადა თავის-სახუეველი იგი მისგან, და უჩუენა ნათ პირი თუსი  
 და თავი, და თქუა: გან-რად-გეშორე თქუენგან, ესრეთ შემქმნა მე  
 ღმერთმან. ხოლო დედაკაცმან ღან, ვითარცა იხილა შუენიერებისა  
 10 მისგან ვითარსა უშუერებასა მიწევნულ იყო, დაუკვრდა მას  
 ფრიად. და იხილა ღმერთმან საქმე მისი და განაშორა დედაკაცსა  
 მას ბრძოლაჲ იგი, და მუნთქუესვე აღდგა და განაგდო ყოველი  
 იგი გულის სიტყუაჲ. მაშინ ქაბუკმან მან მიიყვანა ქმარი მისი  
 თუსაგან და ჰრქუა მას: აჰა ესერა ცოლსა შენსა თანა არარაჲ არს  
 15 ვნებაჲ მადლითა ღმრთისაჲთა. ხოლო ამიერითგან არლარა იხი-  
 ლოთ პირი ჩემი. ესე არს ნიქი სიწმიდისაჲ და დადებამ თავი-  
 სჲ სიყუარულისათჳს და მიგებაჲ კეთილის წილ კეთილი.

7. თქუა ვინმე მამათაგანმან იგავი ესე სიმდაბლისაჲ, ვითარ-  
 მედ, ჰრქუა კჳპაროსმან ლერწამსა, ვითარმედ: თქუენ უსუსურნი  
 20 ხართ და არა გარდასტყდით ზამთრის, და ჩუენ ესრეთ შევიმუს-  
 რნით და ოდესმე ძირითურთ აღვიფხურნით. მიუგო ლერწამმან და  
 ჰრქუა: ჩუენ, ოდეს მოვიდის ზამთარი და მოჰბერის ქარმან ძლიერ-  
 მან, მივდრკით ქარსა თანა იქი და აქა, იმიერ და ამიერ, და  
 ამისთჳს არა გარდავსტყდით, ხოლო თქუენ წინააღუდგებით ქარ-  
 25 სა და ამისთჳს იჭირვით. ესე თქუა ბერმან, ვითარმედ: არა ჯერ-  
 არს წინააღდგომამ, არამედ უფროჲს-ლა, რადთა მიჰრიდოს კაცმან  
 ჟამსა შეთოთი(699)სასა, ანუ თუ მიცემისათჳს, გინა შოღებისათჳს, გინა  
 ესევეითარისათჳს, და რადთა ადგილ-სცე რისხვასა და არა წინააღუდ-  
 გე, რადთა არა შეჰვარდე შრომასა და გულის სიტყუათა ბოროტ-  
 30 თა, ვითარცა თქუა ჰავლე: ადგილ-ეც რისხვასა\*.

8. თქუა ვინმე ქრისტეს მოყუარემან, რომელსა თანა იყო  
 მადლი მოწყალებისაჲ, ვითარმედ: ჯერ-არს მისა, რომელი ქველის  
 საქმესა იქმოდის, რადთა შეჰრაცხოს თავი თუსი, ვითარმედ იგი

\* რომელთა 12,19.



არს, რომელი მიიღებს, და ესრეთ ჯერ-არს მისა მიცემაჲ, და ესე-  
ვითარი მოწყალებაჲ მიაახლებს ღმერთსა.

9. გვთხრობდა ვინმე ქრისტეს მოყუარე და თქუა, ვითარმედ:  
შევედით ოდესმე მონასტერსა ბერიისა ვისანე წმიდისაჲსა თეზაიდას,  
რომელნი ზოგად ცხონდებოდეს. და ვითარცა მივეახლენით მონას-  
ტერსა, და ძაღლები დიდ-დიდები, თმოსნები და საშინელები დგეს  
ზღუდეთა ზედა და ყუფდეს. ხოლო მე შემეშინა და მეგულეობდა,  
რამთამცა გარდავჰქედ ცხენსა. ხოლო ჩემთანათა მათ აქუნდა გა-  
მოცდილებაჲ ჩუეულებისაგან ნათ ძაღლთაჲსა, და მრქუეს მე: ნუ  
გარდახუალ, უფალო, რამეთუ მაგათ ძაღლთა აქუს ბრძანებაჲ,  
რამთა არა გარდამოქდენ ზღუდით, არამედ მით ყუფდენ. და ეგრეთ  
იყო, ვითარცა-იგი თქუეს, რამეთუ ერთჯერ დაესხნეს ვისმე და  
ავნეს ფრიად. და ვითარცა ცნა ესე ბერმან, უბრძანა ძაღლთა  
მათ, რამთა არლარა გარდამოვიდენ ზღუდით.

და შევედით მონასტრად და ვიკუროთხენით ბერიისა მისგან  
წმიდისა და სხუათაგანცა მამათა. და მიგუყვანნეს ჩუენ ჯურღმუ-  
ლად ეამსა ლოცვისასა. და იყო აქლემი იგი, რომელი წყალსა აღმო-  
ასხამნ, მდგომარე შეუძრველად. და ვჰკი(700)თხეთ: რამსათჲს არა  
იქცევის აქლემი ესე? და გურქუეს ჩუენ: უფალმან, მამამან ჩუენმან,  
უბრძანა მაგას, რამთა ეამსა ლოცვისასა, ოდეს სარეკელსა ჰრეკონ,  
ნუ იქცევი, ვიდრემდის განუტეონ ლოცვაჲ. რამეთუ იყო ოდესმე  
ლოცვაჲ და ემისაგან დოლაბისა მეჯურღმულესა არა ესმა რეკაჲ  
და ვერ მოვიდა ეკლესიად ეამისწირვასა. ხოლო ბერი მივიდა  
ჯურღმულად და ჰრქუა მეჯურღმულესა მას: რამსათჲს არა მო-  
ხუედ ლოცვად? ხოლო მან ჰრქუა: შემინდვე, მამაო, რამეთუ არა  
მესმა რეკაჲ, რამეთუ ძრვაჲ ამის დოლაბისაჲ არა მიტევებს სმენად.  
მაშინ უბრძანა ბერმან აქლემსა მას და ჰრქუა: კურთხეულ არს  
ღმერთი, ოდეს ჰრეკონ ეამისწირვისათჲს, ნუ შეიძრვი, ვიდრემ-  
დის განუტეონ ლოცვაჲ. და მიერთგან დაიმარხა ბრძანებაჲ ბერი-  
საჲ. და ვითარცა გუესმა ესე, დაგუკურდა და ვადიღებდით ღმერთსა.

10. ფილასოფოსი ვინმე მიეცა სიკუდილისა წამებისასა მკვე-  
ლისაგან თჲსისა, და ვითარცა იხილა ქალი იგი, განიჭადა ბექე-  
დი იგი თჲსი ოქროსაჲ, მიუგდო მას და ჰრქუა: გმადლობ შენ,  
დედაკაცო, რამეთუ მექმენ მე ნიზეზ ესევეითარისა კეთილისა.  
და ესრეთ სიხარულით იწაზა ძალითა იესუ ქრისტეს უფლისა  
ჩუენისაჲთა.

11. იყო ვინმე ერთი განშორებული, რომელი კეთილად ცხოვრებდა. და ევედრა ღმერთსა და ჰრქუა: უფალო, მაუწყე მე სარჩელი შენი უკუნადასკნელი, ვითარ ყოფად არს? და მრავალ გზის ამის მიზეზისათჳს ყო მრავალი ლოცვაჲ. ხოლო ღმერთმან არა გა-  
 5 მოუცხადა მას, რამეთუ ესევეითარსა ვერ შე(701)მძღებელ არს კაცი ცნობად. და ვითარცა დაადგრა მრავალსა შრომასა და ვედრებასა, უნდა ღმერთსა, რაჲთა დააჯეროს მას. და მოიწია მის ზედა გულის სიტყუაჲ, რაჲთა წარვიდეს და იხილოს მძოვარი ერთი, რომელი იყოფოდა შორს მისგან ფრიად. და ვითარცა აღი-  
 10 ლო მახალაკი თჳსი და წარემართა გზასა, მოავლინა ღმერთმან ანგელოზი ხატითა მონაზონისაჲთა, და შეემთხვა ბერსა მას და ჰრქუა: ვიდრე ხუალ, ბერო? ხოლო მან ჰრქუა მას: მძოვრისა მის მონაზონისა მივალ. ჰრქუა მას ანგელოზმან მან, რომელი ჩნდა ხატითა მონაზონისაჲთა: და მეცა მისა მივალ, არამედ გუაღე და  
 15 მივიდოდით ზოგად. და ვითარცა ველსა პირველსა მას მივიდეს, ადვილსა ერთსა, რომელსა შინა იყო ქრისტეს მოყუარე ვინმე, და შეიწყნარნა იგინი და განუსუნა მათ. და ვითარცა ჰამდეს იგინი, აღილო ანგელოზმან მან საქმელი, რომელი მოელო ქრისტეს მოყუარესა მას ლანკითა ვეცხლისაჲთა, და აღადგო იგი ჰაერსა.  
 20 ხოლო ბერმან იხილა ესე და შეწუხნა ფრიად.

და მეორესა დღესა ვლეს. და ვითარ მოიწია ეჲმი, დაადგრეს ადვილსა ერთსა, რომელსა შინა იყო მონაზონთ მოყუარე ვინმე. და შეიწყნარნა იგინი და ისტუმრნა იგინი. და განთიად, ვითარ ეგულებოდა წარსლვაჲ, ესუა მას ძე მხოლოდ-შობილი და მოიყვანა  
 25 იგი, რაჲთა იკურთხოს მათგან. და შეუპყრა ანგელოზმან მან უელი ყრმასა მას და მოაშთო იგი. (702) ხოლო ბერმან იხილა ესე და შეიპყრა განკრვებნან, გარნა თქუა არარაჲ.

და დღესა მესამესა ვლეს და არა პოვეს, ვინმცა შეიწყნარნა იგინი. და იყო მუნ დაბაჲ ერთი ოქერი მრავლით ეჲმითგან. და  
 30 მიეახლნეს მას და დასხდეს სიჩრდოსა ქუეშე ზღუდისასა და ჰამდეს. იხილა ანგელოზმან მან კედელი ერთი, რომელი დაეცემოდა. აღდგა და შეიკუართა და იწყო დაჰსნად კედლისა მის და კუალად შენებად. მაშინ ვერლარა დაითმინა ბერმან მან და აფუცა და ჰრქუა მას: ანგელოზი ხარ ანუ ეშმაკი, მითხარ მე, რაჲ ხარ? რაჲეთუ  
 35 ამათ საქმეთა, რომელთა შენ იქმ, არა არს ესე საქმე კაცისაჲ. ჰრქუა მას ანგელოზმან მან: და რაჲ ვყავ? ჰრქუა მას ბერმან: გუშინ და ძულუან შეგწყნარნეს ქრისტეს მოყუარეთა მათ და განგუსუნეს, და ერთისაჲ მის წარწყმიდე ლანკნაჲ მისი, ხოლო მეო-

რისაჲ მის ნოუკალ ძე მისი, და აქა არარაჲ ვპოვეთ განსუენებაჲ, აღდგომილ ხარ და აშენებ. მაშინ ჰრქუა მას ანგელოზმან მან: ის- მინე და მე გითხრა შენ, რამეთუ პირველმან მან კაცმან, რომელ- მან შეგვწყუნარნა ჩუენ, არს იგი ღმრთის მოყუარე და ყოველი, რაჲცა აქუს, ღმრთისა მოცემული არს. ხოლო ლანკნაჲ იგი მოგე- ბულ იყო გზისაგან ბოროტისა, და რაჲთა არა მის წილ წარწყმიდოს სასყიდელი სხუათა მათ კეთილთაჲ, ამისთჳს წარწყმიდე იგი, და იქმნა ყოველივე მისი წმიდა. ხოლო მეორე იგი, რომელმან გვსტუმრ- ნა, კაცი არს შემკული სათნოებითა, და უკუეთუმცა ცხონდა ყრმაჲ იგი მისი, ყოფად (703) იყო ყრმაჲ იგი საღვთრი ეშმაკთაჲ და დაღვიწყებად ესხნეს ღმერთსა კეთილნი იგი მამისა მისისანი, და ამისთჳს მოვაკუდინე იგი, ვიდრე ყრმა-ლა იყო, რაჲთა იგი განერეს და კეთილნი იგი მამისა მისისანი ეგნენ დაუღვიწყებელად წინაშე ღმრთისა. ჰრქუა მას ბერმან: და აქა რაჲსათჳს ჰყავ ესრე? ხოლო მან ჰრქუა მას: ამის დაბისა უფალი კაცი არს მეღგარი და ეძიებს ბოროტსა მრავალთათჳს, და არს იგი გლახაკ და ამისთჳს ვერ შეუძ- ლებს ყოფად მას. ხოლო მამის-მამამან მისმან, რომელმან აღაშე- ნა ესე დაბაჲ, დაუპყრა კედელსა ამას საფასე, და რაჲთა არა შენე- ბასა მისსა პოვოს საფასე იგი. და უყოს მათ ბოროტი, რომელთა ჰნებაჲს. აჰა ესერა აღმიშენებინეს ესე და დამიქსნიეს მიზეზი მისი. ხოლო შენ, ბერო, მიიქეც სენაკადვე შენდა და ნუ გამოგძიებ საქ- მეთა ღმრთისათა, ვითარცა თქუა სულმან წმიდამან: განკითხვანი უფლისანი არიან, ვითარცა უფსკრულნი მრავალნი. და ვითარცა ესე თქუა, უჩინო იქმნა. მაშინ მოეგო ბერი გონებასა და მიიქცა სენაკად თჳსა და აღიდებდა ღმერთსა განკითხვათა მისთა ზედა მიუწლომელთა.

### თავები საკვრველებათაჲ

12. ჯერ-არს ჩუენდა პირველად, რაჲთა მიგიტხრა თქუენ თა- ვისა მის მოწაფთაჲსა წმიდისა პეტრესი და სარწმუნოებაჲ ჰრომ- თაჲ, რომელთა-იგი ეწამების მოციქული იგი წმიდაჲ პავლე და იტყჳს: ვჰმადლობ ღმერთსა ჩემსა იესუ ქრისტეს მიერ თქუენ ყოველთათჳს, რამეთუ სარწმუნოებაჲ თქუენი განითქუმის ყოველსა სოფელსა\*. მივიწიენით მუნ ნებითა (704) ღმრთისაჲთა ლოცვად. ხოლო აბბა პავლე მწერალმან, ნათესავეთ კილიკიელმან, გვთხრა ჩუენ, ვითარ- მელ ჟამთა გრიგოლი პატრეაქისათა, რომელსა ერქუა საკვრველთ

\* რომელთა 1,8.

- მოქმედი, მოვიდეს მისა კაცნი ფრაგუნი და სთხოვდეს ნაწილსა წმიდისა პეტრესსა, რაჟთა დადვან იგი ტაძარსა მას შინა, რომელი-იგი მათ აღეშენა სახელად წმიდისა პეტრესა. ხოლო მას უნდა თხოვაჲ მათი აღსრულებად. და მიიყვანნა მღვდელნი თჳსნი და
- 9 მოვიდა ტაძრად წმიდისა პეტრესა და მოილო მან, ვითარცა-იგი ჩუეულემაჲ აქუნდა, სამოსლისაგან საკურთხეველისა ნახევი ერთი ძუელი, და მოჰკუეთა მას ვითარ მტკაველი ერთი და შთადეა იგი გუადრუცსა შინა და ზედა კერძო მისა ენქერი; და ყო ლოცვაჲ, დაჰბეჭდა და დადვა საფლავსა ზედა წმიდისა პეტრესსა, და დაჰ-
- 10 კრძალა კარი და წარილო კლიტე. და შემდგომად სამისა დღისა მივიდა და იგინიცა მათ თანა. ყო ლოცვაჲ და განალო კარი, და მისცა მათ გუადრუცი იგი ეგრეთვე დაბეჭდული. ხოლო მათ მიიღეს იგი სიხარულითა დიდითა და წარვიდეს.
- და ვითარცა მიიწინეს მახლობელად ქალაქისა მათისა, ნები-
- 11 თა ღმრთისაჲთა შეუქდა გულის სიტყუაჲ, რაჟთა აღსტებონ ბექედი იგი და იხილონ გუადრუცი რომელი. და ვითარცა განახუნეს გუადრუცნი იგი, პოვეს ნახევი იგი მცირე. აღივსნეს გულის წყრომითა, ვითარცა მოკიცხულნი ჰრომთაგან, და მუნთქუესვე უემოიქტეს და მოვიდეს (705) ჰრომედ წმიდისა პაპისა, არამცირედ
- 20 ჰრისხვიდეს და აბრალებდეს ვითარცა მოკიცხულნი. ხოლო იგი სარწმუნოებითა მით, რომელი აქუნდა მას, მინდობილ იყო და ენება მას, რაჟთა განკურნნეს იგინი, და რაჟთა უჩუენოს მათ, რამეთუ ყოველი სარწმუნოებაჲ ქეშმარიტი დაამტკიცებს ყოველსა საქმესა ქრისტიანებისასა. და უბრძანა მათ, რაჟთა დაჰბეჭდონ გუად-
- 21 რუცთა მათ და დაუტეონ მის თანა. და ზეალისა დღე მიიყვანნა მის თანა მღვდელნი თჳსნი და ერი მრავალი და იგინიცა მათ თანავე. და მოვიდეს ლიტანიჲთა ტაძრად წმიდისა პეტრესა. და ყო ლოცვაჲ, და აღსტება ბექედი, და აღალო გუადრუცი იგი, და მოიხუნა საპარსველნი და იწყო დაჰკრად წმიდისა მის ნახევისა. არა-
- 20 მცირედი სისხლი გაშოქდა მისგან. და ვითარცა იხილეს, შეეშინა ფრიად. და დაეცნეს პირთა ზედა მათთა და ევედრებოდეს მას, რაჟთა შეუნდოს მათ მცირედ მორწმუნეობაჲ იგი მათი. და მისცა მათ გუადრუცი იგი ნახევითურთ. ხოლო წმიდასა მას უნდა არღარა მიცემის მათა, ვითარცა არაღირსთა. არაჲედ შეეწყალნეს იგინი
- 25 ვითარცა სახიერსა, და მისცა იგი მათ. და ესე არა მათ ხოლო უყო, არამედ მრავალთა სხუათა, რომელნი-იგი იკითხვედ ნაწილსა წმიდისა მოციქულისასა, რამეთუ ესეკითარი ჩუეულემაჲ აქუნდა ყოფად. და უკუეთუ სხუათაცა წმიდათა მოწამეთა ვისმე უნებნ

ნაწილი მიღების, და აღუშენიან ტაძარი სახელად მათა, ესრეთვე უყვის მათცა, რამეთუ შევიდის, სადა-იგი წმიდათაგანი ვინ ძენ და მიილის ნახევი ერთი ვითარ (706) მტკაველი ერთი, და დადვის იგი გუმბა ზედა მის[სა] და ყვის ღამის თევაჲ. და განთიად ხეალისა დღე კუალად განზომის და იხილის, უკუეთუ არა შემატებულ არნ ნახევსა მას? ყვის ღამის თევაჲ მეორედ და მესამედ და დაადგრის ვედრებასა და არა განწყვდის ლოცვაჲ, ვიდრემდის პოვის შემატებაჲ. მაშინ-ლა მისცის მათ, და წარვიდიან და ყვიან სატფური ტაძრისაჲ მის, და დადვიან იგინი მუნ ნაცვალად ნაწილისა, რამეთუ არა ეგების მათა, ვითარ-იგი სხუათა ყვიან, ვითარცა დაუტე-  
 10 ვა ნახევი იგი და წარვიდა და სხუასა ნაწილსა ეძიებდა. ხოლო რომელმან ყვის ესე, დასდვიან მას პატიგი დიდი. აწ უკუე იხილეთ სარწმუნოებაჲ ბერძენთაჲ, რამეთუ არა ცუდად ეწამების მათ რჩეული იგი მოციქული და მისთჳ ვიდრე აქანომდე ნებითა ღმრთისაჲთა დაცულ არიან შეუძრველად ყოველთაგან მწუა-  
 15 ლებელთა.

13. წარმოვედით ოდესმე პროზით ადგილსა, რომელსა ჰრქვან რაბენი, და მიგვწოდა ჩუენ პალატად გრიგოლიოს, ძემან ბოოტის-  
 მან, რამეთუ იყო იგი ადგილსა მთავრისასა და მეგობარ იყო ჩუენ-  
 და პირველითგანვე. და იყო მუნ დიაკონი ვინმე ბიზინტიელი,  
 რომელი დაედგინა მსახურად ეკლესიისა მის, რომელი იყო მუნ.

გვთხრობდა იგი და თქუა, ვითარმედ: ჯამთა ერაკლე მეფე-  
 სათა წარვიტყუენე მე აბარონთაგან და მრავალი ეამი დაეყავ მათ  
 თანა. და უკუანაჲსკნელ მეოტ ვიქმენ სხუათა თანა მოყუასთა ჩემთა,  
 რომელ წარტყუენულ იყენეს ჩემ თანა. და ღამე (707) ვიდროდეთ უდაბ-  
 25 ნოსა მას თრაკეთისასა მრავალთა დღეთა, რამეთუ დღისი ვერ  
 ვიდროდეთ შიშისაგან. და არარაჲ დაშთა ჩუენ თანა საზრდელისა-  
 გან ყოლადვე, ვიდრემდის მივიწიეთ სიკუდიდ. და იყო დღე იგი  
 განთიად კვრიაკე და შეეწუხენით ფრიად არა ხოლო თუ საზრდე-  
 30 ვრ ზიარებისა საიდუმლოთა ღმრთისათა. იწყეს ჩემთანათა მათ  
 ვედრებად ჩემდა ფიცით და იძულებით და მეტყოდეს მე: ნუ გჯტე-  
 ვებ ჩუენ სიკუდიდ თჳნიერ ზიარებისა, უკუეთუ არა, შენ მიუგო  
 ღმერთსა სიტყუაჲ ჩუენთჳს დღესა მას საშინელსა სარჩელისასა.  
 ხოლო მე მიუგე მათ და ვარქუ: რაჲსათჳს ესრეთ უგუნურებით  
 35 მაფუცებთ მე და ურვასა მოაწივთ ჩემ ზედა, პირველად, რამეთუ არა  
 ვარ მე ხუცესი და კუალად, არა გუაქუს პური, და ვინაჲ ძალ-მიც

- მე ზიარებად თქუენდა? და აღდგა ერთი მათგანი და წარმოხერ-  
ტყა ყოველი მალაკები ჩუენი და პოვა მცირე ნატეხი პურისაჲ.  
და ვითარცა იხილეს იგი, აღდგეს ყოველნი და მომართუეს მე და  
მრჩუეს: მიიღე ესე და, ვითარცა გნებავს, გკჳმენ ჩუენ ნაწილი.  
8 ხოლო მე ვაცილობდი მათ და ვეტყოდე, ვითარმედ: არა ეგების  
ესე ყოფად. ხოლო მათ იწყეს იძულებად ჩემდა მრავლითა ტირი-  
ლითა. მაშინ მივენდვე მოწყალებათა ღმრთისათა და სარწმუნოებასა  
მათსა, (708) და აღვდგე და ეპოვე მას აღგილსა განგებითა ღმრთი-  
საჲთა კლდე ერთი დიდი და წმიდაჲ. და კანდიერ ვიკმენ და მო-  
9 ვიღე ნატეხი იგი და დავდევ მას ზედა. და დავარდი ქუეყანასა  
ზედა მუკლთ-მოდრეკით, მოყუსებითურთ ჩემით მრავალყამ ტირი-  
ლით. და აღვდგე და ვყავ ლოცვაჲ დიაკონებისაჲ და ვთქუთ, ვი-  
თარცა განახლებასა თქვან, და „მრწამსი“ და „მამაო ჩუენოჲ“.  
და იყვნეს თუალნი ჩუენნი ზეცად მიმართ მხედველ. და ვთქუთ  
15 „ერთ არსი“ და რომელი შეუდგს მას. და იკმნა ნატეხი იგი პუ-  
რად დიდად და წმიდად. და ვითარცა ვიხილეთ ესე, ვადიდებდით  
ღმერთსა და ვჳნადლობდით ესევეითარისა საკარველებისათჳს, და  
ვეზიარენით მისგან და განვძლიერდით. მსგავსად სიტყუსა მის გან-  
ვახლდით და უფროჲს პირველისა განვძლიერდით, და ვჳამდით  
20 მისგან ოც დღე. და მერმეცა, ვიდრემდის მოვედით სოფლად.

14. აბბა თეოდორე ასიელი, რომელი იყო პირველ მძოვარ-  
უდაბნოსა წმიდისა იორდანისასა და გუთხრობდა ჩუენ, ვითარმედ:  
ვიყავ მე ფილატრონს, რომელი-იგი არს მთაჲ ასიაჲსაჲ, ვ'დ მო-  
ვიდეს სივლაზნი სოფელსა ერთსა, რომელი იყო მათ აღგილთა,  
25 და შევიდეს ეკლესიად დღესა კვრიაკესა. და იყო ყოველი ერი შე-  
კრებულ ეკლესიად ეამისწირვად. ხოლო აღესრულა ყოველი წესი  
ეამისწირვისაჲ, და მღდელი აზიარებდა ერსა, და უნდა ბილწთა მათ,  
რათამცა აღიტაცეს საიდუმლოჲ ქრისტეს ღმრთისა ჩუენისაჲ, წმი-  
დაჲ და საშინელი. ხოლო მღდელი იგი ჳეშმარიტი აყენებდა მათ  
30 მსგავსად ძალისა თჳსისა. (709) და ჳრჩუეს მას მტერთა მათ ბოროტ-  
თა: რათსათჳს ესავთ ამას, ესე არს ღმერთი თქუენი? ხოლო მან ჳრჩუა  
მათ: გორცი მისი არს ეგე, რომელი-იგი ჯუარს-ეცუვა ჩუენთჳს,  
იესუ ქრისტესი, მჳსნელისა ჩუენისაჲ, რომელი-იგი არს ღმერთი  
ჳეშმარიტი. და ეცინოდეს მათ ბილწნი იგი და ჳრჩუეს: არა  
35 გრცხუენისა თქუენ, რომელნი ესავთ ამას, რომელი-ესე განიხრწნე-  
ბის და იკმნების სკორე. ხოლო მან ჳრჩუა მათ: ნუ იყოფინ ეგე  
წინაშე ღმრთისა, და არა ვერწმუნოთ, ვითარმცა ეგრეთ იკმნა ესე.

ხოლო ვითარცა ესმა ესე, აიძულეს მას, რაათა შექამოს ყოველი იგი ნაწილი, და მუნთქვესვე განუბეს მუცელი ცოცხალსავე, და არა-  
 რაჲ პოვეს მისგანი ყულადვე. და ეა იხილეს ესე, განკვრებამან  
 შეიპყრნა იგინი ქეშმარიტად საკვრველისა მისგან საკვრველებათა-  
 სა. და გამოვიდეს სოფლისა მისგან და არაეინ წარიყვანეს მუნით, <sup>5</sup>  
 არამედ მსწრაფლ განვიდეს იგინი. ხოლო მწყემსმან მან ჰქმარიტ-  
 მან მისცა სული თვისი უფალსა და შესწირვიდა მადლოიასა, რო-  
 მელმან ღირს ყო იგი სიკუდილსა მას წაგებისასა.

15. მონაზონი ვინმე იყო ქოზიბას, და განვიდა უდაბნოდ და-  
 ყუდებად, და იქცეოდა იგი ფსალმუნებითა და ლოცვითა. ესმა მას, <sup>10</sup>  
 იტყოდეს რაჲ ეშმაკნი ურთიერთას: გუალე და მივისწრაფოთ სრბით  
 სოფელსა რომელსამე (და იყო სოფელი იგი აბრამეანით კერძო),  
 რაჲთა დავსცეთ მუნ ხუცესი სიძვითა, რამეთუ გამოსრულ არს მის  
 თვის ბრძანებაჲ, რაჲთა ხვალე (710) მეორესა ეამსა დღისასა ნოკუდეს.  
 და ვითარცა ესმა ესე ბერსა მას, რამეთუ იყო იგი მოწყალე, და ნყის <sup>15</sup>  
 წარემართა სოფლად, სადა იყო ხუცესი იგი. და ელო ღანე ყო-  
 ველ. და ვითარცა იყო განთიად, ვითარ ერთ ეამ დღისა მის, მი-  
 ვიდა მუნ და პოვა ხუცესი ეკლესიისაჲ მჯდომარე გარეწე კართა  
 ეკლესიისათა. და შეეპყრა იგი ურვასა ფრიადსა. და ვითარცა  
 იხილა იგი, აგონა, ნუუკუე იგი არს, და ჰკითხა მას და ჰრქუა: <sup>20</sup>  
 შენ ხარა ხუცესი ამის სოფლისაჲ და მიუგო მას ძლით და ჰრქუა:  
 მე ვარ. და ჰრქუა მას ბერმან: აღდეგ, რაჲნეთუ მაქუს რაჲნე სი-  
 ტყუაჲ საშინელი შენ თანა. ხოლო მან არა დაიჯერა წუხილისა მის-  
 გან, რომელსა შეეპყრა იგი. და ევედრა მას ბერი და აღადგინა  
 და მიიყვანა ყურესა ერთსა ეკლესიისასა თვისაგან და წარმოუთხრა <sup>25</sup>  
 მას, რაჲ-იგი ესმა ეშმაკთაგან. ხოლო მას, ვითარცა ესმა ესე,  
 სულთ-ითქუნა ღიდად ტირილით და ჰრქუა მას: ნეტარ თუმცა  
 ძმო, უწინარეს ერთისა ჟამისა მოსრულ იყავ, რაჲნეთუ აჰა ესერა  
 უწინარეს მცირედისა ეამისა მოვიდა აჰა ქალი ერთი, რაჲთამცა  
 აღანთო სანთელი კანთლისაგან, და დავეცი მის თანა სიძვითა. და <sup>30</sup>  
 ვითარცა თქუა ესე, დაეცა მეყსეულად და სულნი წარჰქდეს. და  
 ესე რაჲ იხილა ბერმან წმიდამან, შეიპყრა განკვრებამან და შეშ-  
 მან, ვითარ-იგი ღმერთი მიუწუებს, და ვითარ ეშმაკნი მოსწრაფე  
 არიან წარწყმედასა ზედა კაცთასა. და საცნაურ არს ესე, უკუეთუ-  
 მცა არა არხანიგ ყოფილ იყო იგი ამას, (711) არამცა ღმერთსა <sup>35</sup>  
 მიეშუა მის ზედა ეშმაკთა, რაჲთამცა ესევეითარი შეამთხვეს მას.

აწ უკუე ყოვლითა მოსწრაფებითა და ყოვლითა ღონითა შე-  
წევნასა თანა ღმრთისასა დავიცუნეთ თავნი ჩუენნი საყოფელთაგან  
ეშმაკთაჲსა, რომელ არიან დედანი, რამეთუ არარაჲ სხუაჲ ესე-  
ვითარი აქუს საკურველი ჩუენთჲს მბრძოლსა მას ნათესავისა ჩუე-  
ნისასა, ვითარ იგინი, ხოლო ჩუენ თჳნიერ სიცონილისა მარადის  
ვითხოვდეთ ღმრთისაგან მოწყალისა, რაჲთა დაგვცუნეს ესევეითარ-  
თაგან მახეთა ეშმაკისათა.

16. გუბნობდა აბბა სტეფანე, მთავარი მღვდელი, თევდოსი-  
წმიდელი, და თქუა, ვ'დ: არა მინდა ოდესმე ზიარებად მონასტერ-  
თა ჩემთა თანა, ვითარცა-იგი თქუენ, რამეთუ სახელ-სდებდეს  
ლოცვათა შინა დიდებულთა მეფესა კოსტანტინეს ურჩულოსა შორ-  
წმუნედ, რომელმან-იგი მოკლა ძმაჲ თჳსი და განდევნა სამართალი  
და ქმნა მრავალი ბოროტი. და მე ვერ მეძლო განსლვად გარე  
მონასტრისა უძლურებისაგან. და ყოველნი, რომელნი იყვნეს მო-  
ნასტერსა შინა, ბრძანებაჲ მიიღეს მამასახლისისაგან, რაჲთა არა  
მომცენ პური, გინა მო-რაჲმე-მიტანონ ქალაქით. და ვიყავ მე დიდ-  
სა შინა იწროებასა და ქირსა არამცირედსა, რამეთუ მრავალი  
ჟამი მაქუნდა უზიარებელსა.

ხოლო ღამესა ერთსა ვიხილე ძილსა შინა, ვ'დ ვიყავ მე ეკლე-  
სიასა მდგომარე საულავსა თანა წმიდათა მოწამეთასა და ვილოც-  
ევდ ტირილით. ხოლო არამრავლისა ჟამისა შემდგომად ვიხილე  
ქეშმარიტად დედოფალი წმიდაჲ და ყოვლად ქებული და მარა-  
დის ქალწული (712) ღმრთის მშობელი მარიამ, გარდამომავალი სა-  
კურთხეველით. და მოიწია ვიდრე ჩემდამდე. ხოლო მე ვიცან იგი და  
თაყუანის-ვეც. და მრქუა მე: რაჲ შეგემთხვა? ხოლო მე წარმო-  
უთხარ მიზეზი იგი ქირისა ჩემისაჲ და ვარქუ, ვ'დ: არა მიც თჳნი-  
ერ ე[რ]თი ნაწილი, რომელსა-იგი ვესავ, რაჲთა ვეზიარო დღესას-  
წაულსა ერთსა საუფლოსა. და განიღიმა და მრქუა მე: წარვედ  
და მოიხუენ კოლოფნი შენნი. და სრბით მოვიხუენ. და მიიხუნა  
იგინი და განახუნა ჳელითა თჳსითა და აღავსნა საბლარდნელისა-  
გან თჳსისა. და მრქუა მე: მიიხუენ ესენი და ნუ გუღსა გაკლს,  
არამედ იხილე და ნუ ვის ზიარებ ამისგან, რომელნი აჳსენებენ  
სახელსა მას, და რომელი ეზიაროს მათ თანა, იგი ეშმაკთა თანა  
ეზიარებჲს. ხოლო მე აღვივსე სიხარულითა და აღვდეგ. და ვპოვენი  
კოლოფნი სავსენი ნაწილითა წმიდითა, ვითარცა-იგი ვიხილე ძილსა  
შინა. და იყო იგი სპეტაკ ფრიად, რომელ არასადა მიხილავს ეგე-  
ვითარი ცხოვრებასა ჩემსა, რომლისაგან მარადის ვეზიარებოდეთ



მე და მოწაფე ჩემი აბბა ბასილი, რამეთუ იგიცა მოხუცებულ იყო, ვიდრემდის მიუწოდა მას ღმერთმან და აღასრულა ცხობებაჲ ესე.

17. სერჯიოს მშუდმან, დიაკონმან წმიდისა პავლესმან, გვთხრა ესე და თქუა, ვითარმედ: რაჲნა მოკლა კოსტანტი მეფემან ძმად თვისი და გიორგი ერისთავი, და დღესა ერთსა მეყსეულად ერთ-ბამად სრბით მიიწია ყოველი ერი ეკლესიას წმიდათა კოზმან-დამიანეთასა. და მეცა მივედ, რაჲთა ვიხილო, (713) თუ რომლისა სახისათჳს ესრეთ სრბით მივიდეს მუნ. და ვითარცა შევედ ტაძარსა მას წმიდასა, ვპოვე ერი მრავალი, რომელნი ჳკობდეს კირიელესონსა, რამეთუ კანდელი იგი, რომელი იყო წინაშე საკურთხეველსა, იქმნა იგი სავსე სისხლითა. და ვითარცა ვიხილე ესე, ვჳკონებდ, ვითარმედ ღონისძიებითა რაჲთაჲ იქმნა ესრეთ, და სხუანიცა ჩემ თანა ეგრეთვე ჳკონებდეს. და ვიწყე ლალვად იკონომოსისა და ვარქუე: ჳეშმარიტად, თქუენ ძლით წარწყედად არს ქალაქი ესე. ხოლო მან არა მომიგო სიტყუაჲ, არანედ სრბით მივიდა და მოი-ლო კანდელი იგი და სხუანი ორნი კანდელნი, რომელნი ეკიდნეს მას თანა. და დასთხინა იგინი წინაშე ჩუენსა და კუალად მუნვე დაჳკიდნა. და მყის, ვე ვიყვენით-ლა ჩუენ მდგომარე და ვხედვე-ლით, და აჳა ესერა იწყეს სამთავე მათ, ვითარცა წყაროჲსაგან მდინარისა და აღივსებოდეს სისილითა. და მოიხუნეს იგინი და წარსცნეს დასარწმუნებლად: ერთი მეფისა და ერთი დედოფლისა და მესამე ჳეტრე პატრეაქისა, რომელი-იგი იყო ძირითგანვე მისით იაკობი, და არა ხოლო თუ ესე სამნი კანდელნი, არამედ სხუანიცა საკურთხეველისანი და სხუათა ადგილთა ჩინებულთანი, რომელნი ეკიდნეს ტაძარსა მას შინა წმიდასა, იქმნეს ესრეთვე, ვიდრემდის ყოველთა უკვრდა. და შეიპყრნა იგინი შიშმან ამის საკვრველები-სათჳს. და იყენეს იგინი ძრწოლასა შინა და ზარსა მოლოდებითა რისივისაჲთა. (714) და არა ხოლო თუ ესე, არამედ გარეშე ქალაქსა ერთ გზის და ორ გზის პოვეს სისხლი ქუეყანასა ზედა, ვითარცა წჳმისაგან, რომელი არა ხოლო ერთმან და ორმან იხილა, არამედ მრავალთა.

18. გვთხრობდა თევდორე ღმრთის მოყუარე, მთავარ-დიაკონი დიდისა მოწამისა თევდორესი, რომელი-იგი არს გარეშე კართა ქალაქისათა იერუსალემს, და თქუა, ვითარმედ: ცოლი ზაქარია დიაკონისაჲ, რომელსა ერქუა ოქროვან, მოვიდა წმიდისა და სამ გზის სანატრელისა სოფრომი პატრიაქისა, იერუსალიმელისა, და შეიასმენ-

და ქმარსა თვისსა, ვითარმედ ისიძავს. ხოლო კაცმან მან ღმრთისა-  
 მან ჰრქუა მას: **Ⴤ** დედაკაცო, ნეტარ თუმცა დაყოფილ იყვნეს  
 ყურნი ჩემნი ჟამსა ამას და არამცა სმენილ იყო ჩემდა ესევეთარი!  
 და მოუწოდა ქმარსა თვისსა და ჰკითხა მას, უკუეთუ ქეშმარიტ  
 5 არს, რაჲ-იგი ესმა მისთჳს. ხოლო მან უვარ-ყო საწყალობელმან.  
 ჰრქუა პატრიაკმან დედაკაცსა მას, შემძლებელ ხარა ჩინებად,  
 დედაკაცო? მრავალთა უწყიან ესე, ვითარმედ ქეშმარიტ არს, ხოლო  
 ჩინებად ვერ შემძლებელ ვარ, რამეთუ არავის ჰნებავს, რაჲთამცა.  
 შეაყო თავი თვისი ესევეთარსა საქმესა. მას ჟამსა მიხედა დედა-  
 10 კაცმან მან ქმარსა თვისსა და ჰრქუა მას: იხილე, ძმაო, და ნუ  
 დასტკებნი სჯნდისსა შენსა, რომელ-იგი არს გონებაჲ მამხილებელი,  
 და ჰგონებდე, ვითარმცა დაჰფარე იგი ღმრთისაგან, რომელი-იგი  
 ჰხედავს ყოველსა (715) და არარაჲ დაეფარვის გულის სიტყუაჲ ჩუენი.  
 ხოლო უკუეთუ იცი რაჲმე ამისგანი, ნუ კადნიერ იქმნები შესლვად  
 15 წმიდასა საკურთხეველსა, და უკუეთუ გონებაჲ შენი არა გამხი-  
 ლებს, აჰა ესერა არს წმიდაჲ საკურთხეველი, და თუ კადნიერ ხარ,  
 შევედ მას. ხოლო დიაკონმან მან, რომელი-იგი იყო მიზეზი შესმე-  
 ნისაჲ ამის, არა განიზრახა განმკითხველი იგი გულისაჲ და თირ-  
 კუმელთაჲ და ლირბად და ურცხუნოდ შევიდა საკურთხეველად,  
 20 და შემდგომად მცირედისა ჟამისა იქმნა იგი თავითგან ვიდრე  
 ფერკადმდე კეთროვან. და უჩუენა ღწერთმან დიდად ძლიერმან  
 საკჯრველი ესე, რაჲთა არა კადნიერ იქმნეს კაცი, ვითარცა შე-  
 ურაცხ-ყო საქმე ღმრთისაჲ.

19. და ესეცა მანვე გუთხრა და თქუა, ვითარმედ: სარკინოზ-  
 25 ნი უღმრთონი შემოვიდეს წმიდად ქალაქად, ქრისტეს ღმრთისა  
 ჩუენისად, იერუსალემდ, მიშუებითა ღმრთისაჲთა სასწავლელად მედ-  
 გრობისა ჩუენისა, რომელი აურაცხელ არს. და მუნთქუესვე სრბით  
 მიიწინეს ადგილსა მას, რომელსა ჰრქვან კაპიტოლიონ, და შეიპ-  
 ყრნეს კაცნი, რომელნიმე იძულებითა და რომელნიმე ნეტესით გან-  
 30 წმიდად ადგილისა მის და აღშენებად წყეული იგი, რომელ არს  
 სალოცველად, რომელი-იგი წოდებულ არს მათ მიერ მიძგითაჲ.  
 და იყო მათ შორის იოვანე მთავარ-დიაკონი წმიდისა მოწამისა  
 თევდორესი, რამეთუ იყო იგი ხუროებით მარმარილოჲსაჲ მომ-  
 სხმელ, და შესცთა მათგან შესაძინელისათჳს ბოროტისა და წარვი-  
 35 და ნებსით თვისით საქმედ (716) მუნ. და იყო მარჯუე ფრიად ჴელითა.  
 და ვითარცა ცნა ესე კაცმან მან ყოველად სანატრელმან, რომელი-იგი  
 ვაქსენეთ, წმიდამან სოფრომი, მიუვლინა მას დღესა პარასკევსა

და მოიყვანა იგი და ევედრა მას, ვითარცა მამამ და მეძიებელი  
 კრავთა მათ მეტყუელთაჲ, რომელი მისცნა მას ლმერთმან, რაჲთა  
 არა შეაგინნეს კელნი თჳსნი ყოლადეჲ, არამედ რაჲთა განეშოროს  
 ესევეითარსა საქმესა საძაგელსა. და დაარწმუნა მას და ჰრქუა,  
 რამეთუ: წმიდაჲ აღდგომამ მოკცემს შენ საქმარსა, რაოდენცა გინ- 5  
 დეს, და ფასსა ორ წილ, გარნა ნუ ხოლო ურჩ ექმნები მცნებასა  
 ჩემსა. და თავსა თჳსსა იენებ და ექმნები მიზეზ წარწყმედისა მრ-  
 ვალთა, რაჲმან ნეფსით თჳსით აშენებ აღგილსა მას, რომელი-იგი  
 დაწყევლა ქრისტემან, და შენ წინააღუდგები ბრძანებათა მისთა,  
 რომელსა-იგი ვერვინ შემძლებელ არა წინააღდგომად მისა. და 10  
 უკუეთუ არა, ვერ შემძლებელ ხარ საქმედ მუნ და ცოფად უღელსა  
 მას ქუეშე, რომელსა განეწესე, რომელი-იგი არცაღა ერისკაცსა  
 რომელი წოდებულ არს ქრისტეანედ, უღირს საქმედ მუნ. და ეს-  
 რევე სახედ დიაკონნიცა, მოყუასნი მისნი, ევედრებოდეს მას. ხოლო  
 მან ჟამსა მას აღუთქუა ფიცით და არწმუნა ძალითა პატროსნიისა 15  
 ჯუარისაჲთა, რაჲთა არღარა იქმოდის მუნ მიერითგან. და შემ-  
 დგომად ორისა დღისა იპოვა იგი მუნვე, რამეთუ იქმოდა იგი ფა-  
 რულად. ხოლო ვითარცა ეუწყა მისთჳს (717) მწყენსსა მას კეთილსა,  
 აღიძრა გონებითა წარწყმედასა ზედა მისსა და აღიღო შური ფი-  
 ნებისი, მიაველინა დაჲ მოუწოდა მუნთქუესვე. და ეჲ მახულითა, 20  
 განგმირა იგი სიტყუთა ღმრთისაჲთა და შეაჩუენა წმიდისა ეკლე-  
 სიისაგან ქრისტეს ღმრთისა ჩუენისა. ხოლო შემდგომად შეჩუენე-  
 ბისა წმიდისა მის ღმრთისა მიერ შემწყობითა სარკინოზთაჲთა  
 შევიდა მძლავრებით ეკლესიასა თჳსსა. ხოლო შემდგომად მცირედ-  
 თა დღეთა იქმოდა იგი მონასტერსა შინა, რომელსა ჰრქვან შეყე- 25  
 ნებულთაჲ, წმიდასა მთასა, და დგა იგი ზედა კიბესა. და იყო გან-  
 შორებულ ქუეყანისაგან ვითარ კაც ერთ. და შეუბრკემა მას და  
 შთამოიქრა ქუეყანად, და აღმოვარდა ფერჯი მისი, და შეჰქდა ტყავი  
 და ქორცი, და დაყო მრავალი ჟამი უძღურებასა შინა, და არარაჲ  
 სარგებელ ეყო მას კელოვნებაჲ მკურნალთაჲ. მაშინ აღიარა მედ- 30  
 გრობაჲ თჳსი და თქუა: არა თუ სხჳსა სახისათჳს შეგემთხჳა ესე, არამედ  
 ამისა მიზეზისათჳს, რომელ ვყავ ურჩებაჲ მღდელთ-მოძღუროსაჲ,  
 და მოიწია ჩემ ზედა რისხეჲჲ ესე, რომელსა არა აქუს ნუგეშინის-  
 ცენაჲ. და ჰკითხა ვისმე ერთსა მოყუასსა სისსა ამისთჳს, რომელი  
 იყო მოშიში ღმრთისაჲ, რომელმანცა წარმოგვთხრა ესე, თუ რაჲ 35  
 ეგების ყოფად. ხოლო მან აზრახა, რაჲთა მიაველინოს საფლავად  
 წმიდისა მის და აღანთოს კანთელი და იცხოს მისგან წყლულსა  
 (718) მისსა, და ნეშტი იგი შესუას. და ყო ეგრეთ. და პოვა ნცირედ  
 ლხინებაჲ, ვითარმედ შემძლებელ იყო სლვად არგნითა.

- და კუალად კადნიერად ყო და დაავიწყდა მოწყალებამ ღმრთისაჲ. და შევიდა წმიდასა საკურთხეველსა და დასდვა ჳელი ტრაპეზსა ზედა, რამეთუ ვერ ეძლო ზე დგომად. და მცირედისა ჟამისა შემდგომად დაყროლდა წყლული იგი მისი და მოჰშემა(!) ფერკი მისი.
- 5 ვიდრე ბარკლადმდე მისა და დაჰქსნდა და მრავლითა ქირითა ზოკლა საწყალობელი იგი. აწ უკუე იხილე, ძნაო, რამეთუ არა შეჰგავს ურჩებამ სიტყუასა მლდელისასა; რომელ არს კურთხევაჲ, რაჲსაცა ზომისაჲ იყოს და უფროჲს ჲა უკუე ესევეითარისა მლდელთ-მოძღურისაჲ, რამეთუ არა იგი არს, რომელი შეჰკრავს, არამედ მით,
- 10 რომელი-იგი იესუ ქრისტემან თქუა: რომელი შეჰკრათ ქუეყანასა ზედა, კრულ იყოს იგი ცათა შინა, და რომელი განჰსნეთ ქუეყანასა ზედა, ჳსნილ იყოს იგი ცათა შინა\*. აწ უკუე ყოვლითა კრძალულებითა და ყოვლითა ძალითა ჩუენითა ვისწრაფოთ დაცვად სიტყუაჲ და მცნებამ მლდელისაჲ, რაჲთა არა ვიჰმნეთ განკითხვასა
- 15 ქუეშე მძიმესა, რამეთუ არა ცუდად კანონნი პატრიოსანნი განკითხვენ ესევეითარსა, რამეთუ არა კაცთა შეურაცხ-ჰყოფენ, არამედ სულსა წმიდასა.

20. ორესტი, ხუცესი წმინდისა გიორგის მონასტრისაჲ, რომელი იყო ადგილსა, რომელსა ჰრქვან ტაქინონ, მათაჲ ფემისათა,
- 25 საველმწიფოსა ქუეშე ანტიოქიისასა, რომელ არს პისიდიისაჲ და (719) ფრიგაჲსაჲ, გვთხრობდა ესე, ვითარმედ: იოვანე, რომელი იყო სოფლისაგან ბონიტონით მათ არეთა, ესმა კოსტანტინეს შინა დიაკონისაგან ასიელისა, რომელი-იგი იყო მენავეთ მოძღუარი, რამეთუ ჰყიდდა იგი ტურთსა ნავისა თვისისასა ვაჰარსა ვისმე. და ვითარ იგინი აცილობდეს ურთიერთას, თქუა მიმსყიდველმან მან: კურთხეულ არს უფალი, რამეთუ არა წარვიღებ თნიერ ესრეთ. და მეყსეულად დააგდო სასწორი დიაკონმან მან, რომელი ჰყიდდა და ჰრქუა: შემინდვე, არლარა ვჰყიდი ამიერითგან, რამეთუ მრავალნი განსაცდელნი შეგემთხვნეს სიტყუსა მაგისტუსს. და შემ-
- 30 დგომად მისა ევედრებოდა მას ურიად მიმსყიდველი იგი, რაჲთამცა მიჰყიდა მას, და ვერლარა ხოლო ჩუენ ვჰკითხეთ მიზეზი იგი სიტყუსაჲ მის.

- და იწყო თხრობად ჩუენდა და თქუა. ვითარმედ: ჩემსა ქუეყანასა იყო ეკლესიაჲ, რომლისაჲ ვიყავ მე დიაკონი. და იყო მას
- 35 შინა ხუცესი. და იქმნა ჩუენ შორის მქსინვარებაჲ. და მე სი-

ტყუასა უგებდი. და მან კრულ მყო და თქუა: კურთხეულ არს უფა-  
 ლი, კრულმცა ხარ საიდუმლოთაგან ქრისტესთა. ხოლო მე თავ-  
 მოთნებითა ჩემითა განვძვინდი და არად შევძარცხე სიტყუად მიიპი.  
 და მოიწია წმიდაჲ კარიაკე, წარვედ სხუად სოფლად, რაჲთამცა  
 ვყავ მსახურებაჲ მუნ, რამეთუ იყო ხუცესი იგი ზუნი ნეგობრი 5  
 ჩემი. ხოლო მან, ვითარცა მიხილა, სიხარულით შემიწყნარა, გამო-  
 კითხა და მრქუა: რომლისა მიზეზისათჳ იქმენ გარეშე ეკლესიისა  
 შენისაგან (720) ესევეითარსა დღესა? ხოლო მე ვპკონებდ, ვითარნედ  
 საქმე ესე არარაჲ არს და ურცხუნენლად წარმოუთხარ, ვითარნედ  
 მკსინვარებაჲ იყო ჩემ შორის და ხუცისა, და კრულ-მყო. და ანის- 10  
 თჳს მოვედ აქა, რაჲთა ვყო მსახურებაჲ და ვეზიარო და დაუტეო  
 იგი, რაჲთაჲ განკუდეს. და ვითარცა ესმა ესე ხუცესსა მას, მრქუა  
 მე: შეძინდვე, უფალო, ოდეს მას კრულ-უყოფიე, ვერ ძალ-მიც  
 შეწყნარებად შენდა. ხოლო მე არცაღა ესრეთ შევირცხუნე, არა-  
 მედ წარვიღე ძლუენი და წარვედ ეპისკოპოსისა ჩუენისა. ხოლო 15  
 მან იკითხა ჩემთჳს და ცნა რაჲ იგი, არცა მან შეპიწყნარა. არანედ  
 მრქუა მე: მივედ ხუცისა შენისა და დაუძღაბლე თავი შენი, რამე-  
 თუ ვერ ეგების განჯსნაჲ შენი სხჳსაგან, ეჲ კანონი იტყჳს, და ნუ  
 აცთუნებ თავსა შენსა ცუდად. ხოლო მე მაშინ-ღა დავიჯერე, რამე-  
 თუ არა არს სხუაჲ თჳნიერ მისა, და მოვიტყე, რაჲთა ვეცდრო 20  
 მას, თანაშეწყენითა კაცთაჲთა. და ვიდრე მივიდოდე, რაჲთამცა  
 ვყავ ესე, ვპოვე იგი, რამეთუ აღსრულებულ იყო. მას ეჲჳსა ვიძი-  
 ლე წარსლვად მიტროპოლიტისა ჩუენისა, ხოლო მან წარწავლინა  
 პატრიარქისა ბიზინტიად. და მას, ვითარცა ესმა მიზეზი ჩემი,  
 წარმავლინა ჰრომედ და თქუა: გრწნენინ, შეილო ჩემო. რამეთუ 25  
 ავნე სულსა შენსა ფრიად, რაჲამს არა დაუძღაბლე თავი შენი და  
 დააჯერე, რაჲთა განჯსნას ცხოვრებასა მისსა, (721) რამეთუ არავინ  
 შემძლებელ არს ამიერითგან განჯსნად შენდა, გარნა თუ პატრიარქი  
 ჰრომისაჲ, რამეთუ იგი არს თავი ყოველთა ეკლესიათა ღმრთისა-  
 თაჲ, პეტრესთჳს, რომელმან-იგი მიილო კვლმწიფება ქრისტეს 30  
 ღმრთისა ჩუენისაგან შეკრვად და განჯსნად, რომლისაჲ მიკჳრს, თუ  
 ყოს ესე. ხოლო მე ვითარცა ნესმა ესე, წარვედ ჰრომედ. და მან,  
 ეჲ ცნა საქმე ჩემი, ყოლადვე არა თავს-იღუა ხილვად ჩემი, არა-  
 მედ მიბრძანა მთავარ-ღიაკონისა ჰიერ და მრქუა: წარვედ წმიდად  
 ქალაქად იერუსალემდ, ნუჟკუე პატრიარქმან ნუნმან შეუწლოს აღ- 35  
 გილთა მათგან წმიდათა ვედრებად ღმრთისა განჯსნად შენდა,  
 რომლისათჳს არცა მისსა ვპკონებ, ვითარმცა ყო ესე. და ამისა  
 შემდგომად წარვედ იერუსალემდ და მოვედ პატრიარქისა და არცა

მან შემიწყნარა, ად წარმავლინა უდაბნოდ მამათა თანა მუნ მყოფ-  
 თა და თქუა: ნუუკუე ვინ იპოვოს მათგანი ღირსი და შეუძლოს  
 ვედრებად ღმრთისა მოწყალისა და განგვსნეს შენ ამის მძიმისა  
 კრულებსაგან. ხოლო მე, საწყალობელი ესე, ვილოდე ყოველსა მას  
 5 უდაბნოსა, რომელსა მყოფ იყენეს წმიდანი მამანი, და ვა მივიდი  
 ერთისა, მიმავლინის მეორისა, და ეგრეთვე მან სხვსა. და მრქუა  
 მე მონაზონმან ვინმე: რაჲსა დაშურები ფრიალ? უკუეთუ ბერი იგი  
 წმიდაჲ, რომელი არს უშინაგანეს ჩუენსა, ვერ შემძლებელ არს  
 განჯსნად შენდა, მაშინ უწყოდე, ვითარმედ ვერვინ შემძლებელ  
 10 არს სხუაჲ ქუეყანასა ზედა ამას ყოფად. და ვევედრე მას ფრიალ,  
 რაჲთა მიმიძლუეს (722) მისა. ხოლო იგი აღიძრა ღმრთისა მიერ ღმო-  
 ბიერად და წარმიყვანა. და ვითარცა მივიწიენით, ვპოვეთ ადგილი  
 იგი, სადა იყოფოდა წმიდაჲ იგი ბერი, რამეთუ იყო საყოფელი მისი  
 ქუეყანასა ქუეშე. და ვყავთ ლოცვაჲ და მუქლთ-მოდრეკაჲ ფრიალ და  
 15 ვიტყოდეთ კირიელეისონსა მრავალ ეამ. და მოუგო მონაზონსა მას,  
 რომელი იყო ჩემ თანა, და სახელ-მღვა მე და თქუა: რაჲსა მოა-  
 შურე ძნაჲ ეგე, რომლისა ვერვინ შემძლებელ არს შეწვენად მისა?  
 ხოლო იგი მეტყოდა: ნუ უსასო იქმნები, არამედ დაადგერ ვედრე-  
 ბასა ტირილით და მეცა ეგრეთვე დაუადგრე. და მრავლისა ვედრე-  
 20 ბისა შემდგომად აღმოიხილა ჩუენდა ვითარცა ქუესქნელით. და  
 იყო იგი შიშუელ, ხოლო შემოსილ იყო თმითა. და იყო იგი სპე-  
 ტაკ, ვა მატყლი. და მრქუა მე: რაჲ გნებაჲს, რაჲთა გიყო შენ?  
 საქმე მძიმე ჰქმენ შენ, რამეთუ განარისხე ხუცესი შენი და არა  
 თავს-იდეჲ სიმდაბლე. აჰა ესერა რაოდენი მოგივლიეს და რაო-  
 25 დენი შრომაჲ გიხილავს ღმ არარაჲ სარგებელ იყავ. აწ არღმ გიც-  
 ნობიესა, ვდ არა კეთილ არს შეურაცხ-ყოფად სიტყუაჲ მღდელი-  
 საჲ? უფროჲს-ლა უკუეთუ ვინმე ღირსი იყოს წინაშე ღმრთისა, რა-  
 მეთუ არა იგი არს შემკრველი და განმკსნელი, ად უფალი ჩუენი  
 იესუ ქრისტე, რომელმან-იგი ჰრქუა მოწაფეთა თჳსთა, ვითარმედ:  
 30 რომელი შეჰკრათ ქუეყანასა ზედა, კრულ იყოს იგი ცათა შინა, და  
 რომელი განჰქსნეთ ქუეყანასა ზედა, ქსნილ იყოს იგი ცათა შინა\*.  
 და ვინ შემძლებელ (723) არს განჯსნად შენდა, რამეთუ იგი აღსრუ-  
 ბულ არს? ხოლო მოყუასმან ჩემმან თუალ-მიყვნა და დავეარდით  
 ქუეყანასა ზედა ტირილით ვედრებად მისა. მაშინ გურქუა ჩუენ:  
 35 დაადგერით აჰა სამ დღე და ევედრენით ღმერთსა, რომელი-იგი  
 ბუნებით არს მოყუარე კეთილისაჲ და წყალობისაჲ, ნუუკუე შეე-

წყალო და მოგხედოს შენ აურაცხელისა მოწყალებისა მისისათჳს. და შევიდა იგი ქუაბსა მას, რომელი იყო ქუეყანასა. ხოლო ჩუენ დავადგერიოთ გარეშე. და შემდგომად სამისა დღისა გამოვიდა ქუაბით და გურქუა ჩუენ: აღდეგით, ძმანო, ლოცვად. და აღდეგით. და იგიცა ჩუენ თანა. და ვილოცვედით მყოვარ ეამ. და ვიხილეთ ჰაერთა შინა ცხედარი მოზავალი. და იყო მას შინა ხუცესი იგი, რომელმან კრულ-ყო მე. მაშინ მრქუა მე კაცმან მან ღმრთისამან: იცნობა ამას? ხ მე მიუგე და ვარქუ: ჰე. მამაო. და მრქუა მე: ევედრე მას. ხოლო მე დაუვარი მას და ვევედრებოდე ფრიად და ყდვე არა შეისმინა ჩემი. და ჰრქუა მას, რომელი-იგი ქეშმარიტად მონაჲ არს ღმრთისაჲ: შეისმინე, მამაო, სიმრავლისათჳს მოწყალებათა: ღმრთისათა და რომლისათჳს მოივლინე, შეიწყალე ესე, რამეთუ ფრიად დაშურა. მაშინ მრქუა მე ხუცესმან მან: რაჲ სარგებელ გეყო, ძმაო, რაჲამს ესრეთ განმამწარე, გარნა აწ მოწყალებისათჳს ღმრთისა და ვედრებისათჳს ამის წმიდისა მამისა და კადნიერებისა ამისისათჳს წინაშე ღმრთისა, კურთხეულ არს უფალი, (724) ვსნილმცა ხარ კრულებისაგან შენისა, წარვედ მშჯდობით ადგილსავე შენსა და ადიდებდ ღმერთსა. და ნუ ხარ შეურაცხისყოფელ სიტყუასა მღდელისასა. და ვა ესე მრქუა მე, მეყსეულად მიიიჩინა ცხედარსავე მას ზედა. და აღმალდა იგი, ვა ზოვიდა, და უჩინო იქმნა. მაშინ იწყო ბერმან სწავლად ჩუენდა და განკრძალვად და განმტკიცებად არა მცირედ, და წარმოვილეთ ჩუენ თანა ლოცვაჲ მისი საგზლად და ზოვიქეცით მშჯდობით და ვადიდებდით ღმერთსა მოწყალებსა და მოყუარებსა წყალობისასა. და მივედ ქუეყანასა ჩემსა, და არლარავინ შეიძნო მიერ ეამითგან შეწყნარებჲა ჩემი, არამედ ყოველთა, რომელთა მიილიან ბრძანებჲაჲ, ესრეთ სიხარულით შეიწყნარეს, და კურთხეულ არს ონი, რლნ ადიდნის მადიდებელნი თჳსნი, რომლისათჳს ვაკურთხევთ მას აწ და ნარადის და ოკნი ოკნი, ამენ.

21. და ქეშმარიტად, დასარწმუნებელად და დასამტკიცებელად ამის პირველისა თავისა არა გუცონის მოთხრობად საკრველებისა მია, რომელი-იგი შეწვენითა ღმრთისაჲთა იყო წმიდისა თველორეს მიერ, რომელი-იგი იყო შეყენებულ, რომელსა ეწოდა სოკონელი. წარმოვიდოთ შორის ესე, რომელი ქეშმარიტად წმიდაჲ არს, და რომელი-იგი სიყრბითგან თჳსით იქმნა მონაჲ ღმრთისაჲ საკუთარი. და ამას ოდესმე ესმა მრავალთაგან, არა ხოლო მღდელ-

თაგან, არამედ ერისა კაცთაცა უშიშად თქუნიდა: კურთხეულ (725) არს უფალი. და მრავალ გზის ევედრებინ და ასწავებნ ამისთვის. და ვერ შეუძლო დარწმუნებად ნათესავსა კაცთასა, რომელნი ძნად დაიჯერებენ. და ღღესა ერთსა ესმა ერისა კაცისა ვისგანმე, იტყოდა რაჲ ამას სიტყუასა: კურთხეულ არს უფალი არარაჲსათვს. ნას ეამსა ფრიად შეწუხნა იგი სიბრმესა ზედა და უგუნურებასა კაცთასა და ჰრქუა მსახურსა თვისსა: წარვედ და მოუწოდე ყოველთა, რომელნი არიან აქა, და მომართუ მე ქიქაჲ, სავსე წყლითა. და ვა ყო ესე და შეკრბეს ყოველნი, მაშინ მიილო წმიდამან ქიქაჲ

10 იგი და თქუა: გნებავსა, რაჲთა უწყოდით, თუ რაჲ ძალი აქუს სიტყუასა მავას? და მუნთქუესევე დასწერა ჯუარა ქიქასა მას სასელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა. და აღადგო წყალი ზე ჰაერსა და თქუა: კურთხეულ არს უფალი, დადგე მანდა. და დაადგრა წყალი იგი ზე ჰაერსა და ეკიდა მყოვარ გამ წინაშე

15 ყოველთა. და ყოველი იგი ერი გმობდა კირიელეისონსა, ვიდრემდის თქუა მან იგივე სიტყუაჲ: კურთხეულ არს უფალი, შთამოვედ! და შთამოვიდა. მაშინ-და გულისხმა-ყვეს ძალი სიტყუასაჲ მის საღმრთოჲსაჲ და ყოველნი დასცკვეს მუქლთ-მოდრეკით წინაშე მისა და ითხოვეს შენდობაჲ და ლოცვაჲ, რაჲთა მოიქცენ მიერითგან

20 და დაინარხონ სიტყუაჲ იგი.

22. და ესევე, რომელ ვაქაენით, ძმად საკუთარი ღმრთისაჲ აბბა თევდორე (726) მითხრობდა, ვითარმედ: რაჲმს ვიყავ ბიზინტიას, მესმა კაცთა ღმრთის მოყუარეთაგან, ვითარმედ იმლერდეს ოდესმე ყრმანი ადგილსა, რომელსა ჰრქვან სირჯიოს. და ქმნეს მათგანნი

25 ზოგნი ხუცად და რომელნიმე დიაკონად. მოიღეს პური და დადვეს ლანკანსა ზედა მსგავსად სეფისკუერისა, და რეცა თუ ეამსა წირვენ. და ვა თქუეს „ერთ არსი“, აღმაღლდა პური იგი ლანკნითურთ, და იპოვა იგი მდებარე საკურთხეველსა ზედა წმიდისა მარიამისსა, რომელ არს ურბიკისაჲ. და ესე სასწაული იქმნა განცხადებულად

30 ყოველთა შორის. და მოიღეს და დადვეს პური ესე ნაწილსა თანა წმიდასა, რომელი-იგი მღდელთაგან ქეშმარიტთა შეწირულ იყო. ხოლო ყრმანი იგი დაისწავლნეს აღნიშნვით ესრე საბედ. ხოლო ვითარცა აღიზარდნეს, და რომელი-იგი ხუცესი იყო, აკურთხეს იგი ხუცად, და დიაკონი—დიაკონად, და წიგნის მკითხველი—წიგნის

35 მკითხველად ეკლესიასა მას წმიდისა ღმრთის მშობელისასა, რომელ არს ურბიკისაჲ.



23. კაცი ვინმე ვაქარი დიამიტელი, სახელით სტეფანე, მოვიდა ჩემდა და მითხრა ესევეითარი რაჲმე, ვითარმედ,—ქალაქსა შინა სოზოისასა ყრმანი მრავალნი ქრისტეანენი და ჰურიათან[ი] ჰმწყსიდეს საცხოვართა მათთა, და იმღერდეს ვა ჩუეულემაჲ არს ყრმათა ქრისტეანეთაჲ. და ყენეს მათგანნი, რომელნიმე ხუცად, რომელნიმე დიაკონად და რომელნიმე მოწესედ ეკლესიისად, და იქმოდეს რეცა თუ სახესა წმიდისა (727) ვამისწირვისასა მიგუეებით.

ხოლო ყრმაჲ ერთი ჰურიათაგანი მიუდგნ მათ და არა ჰნებავენ განწორებაჲ მათგან. ხოლო ყრმათა მათ ქრისტეანეთა განაძიან იგი და არა უტეეებედ მათ თანა ვა ჰურიასა. ხოლო იგი მისდევნ მათ კდ და ეძიებნ, რაჲთა არა განეწოროს მათგან. და ჰრქუეს მას: უკუეთუ გნებაეს ჩუენ თანა ყოფის, მოვედ, რაჲთა მოგნათლოთ შენ. ხოლო მან შეიწყნარა ესე სიხარულით. და რომელნი იყენეს ნათესაეთა მისთაგანნი, აყენებდეს მას ყოფად ამას. ხოლო უკუანაჲსკენელ მიიყვანეს და დაადგინეს ყრმაჲ იგი კიდესა ზღვასა, და აღასრულეს მის ზედა წესი ნათლის-ღებისაჲ, ვითარცა ასწავა მათ ღმერთმან, და ნათელ-სცეს ზღუასა მას შინა სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა. და ერთმან მან ყრმათაგანმან მიიქუა იგი ნათლითა. და ესე საკვრვილი იქმნა ნებითა ღმრთისაჲთა. ხოლო ყრმასა მას მივირთვან არლარა უნდა, რაჲთამცა მივიდა მშობელთა თუსთა თანა, არამედ ყრმათა თანა ქრისტეანეთა დაადგრის, და მივიდა მათ თანა წმიდასა ეკლესიასა ლოცვად.

და ესე საქმე იქმნა განცხადებულად ყოველთა შორის. და ეძიებდეს მშობელნი ყრმისანი, რაჲთა წარიყვანესცა იგი. ხოლო ყრმასა მას არა უნდა მისღვად მათ თანა, და არცა ქრისტეანენი მისცემდეს. ხოლო უკუანაჲსკენელ მივიდეს მსაჯულისა, და ბრძანა, რაჲთა მიეცეს ყრმაჲ იგი მშობელთა თუსთა. (728) ხოლო მათ წარიყვანეს მძლავრ სახედ თუსა თუნიერ ნებისა თუსისა. მრავალი ღონე ყვეს და ვერ შეუძლეს დაყენებად მისა, რამეთუ ოდესმე სციან მას და ოდესმე ჰლიქნიდიან და ოდესმე დააადიმრიან. და ამას ყოველსა თანა ვერ შეუძლეს დაყენებაჲ მისი.

მაშინ განცუფრდა მამაჲ მისი და განიზრახა ზრახებაჲ ჰურიებრი და მივიდა მესაჭუმილესა თანა აბანოხსასა. და მისცა დრაჰკანი ერთი და ჰრქუა მას: ღმრთისათუს, მაგრიად და კეთილად განაჭურვე საჭუმილი ეგე და მწუხრი, ოდეს გინდეს დაქმვად, მაუწყე შე, რამეთუ მნებაეს რაჲმე შეწუვად მას შინა, და შექმენ თიჯაჲ,

რამეთუ მინებს პირი საჯუმილისაჲ დაყოფის. ხოლო ზან აღუთქუა ესე ყოფად და ყო ეგრე, ვა ჰრქუა მას.

და იყო ეამი მწუხრისაჲ, და აუწყა მას. ხოლო კაცმან მან შეიტკბო ძე თჳსი, რომელი იქმნა ქრისტიანე, რამეთუ სხუანიცა შვილნი ესხნეს. და არწმუნა, რაჲთა მიიყვანოს აბანოდ და დაბანოს. და ვა წარვიდეს, პოვეს საჯუმილი იგი განჯურევებული მაგრიად. და ევედრა მესაჯუმილესა, რაჲთა წარვიდეს. და ვითარ იხილა, რამეთუ არავინ არს მუნ, შეკრა ყრმაჲ იგი თჳსი და შეაგლო მას შინა, და დაუგოზა პირი მისი კეთილად და დაჯდა ეამ ერთ. და მერმე აღდგა და წარვიდა. და ხვალისა დღე (729) აღდგა და მივიდა მესაჯუმილე იგი. და განალო პირი საჯუმილისაჲ, და პოვა ყრმაჲ იგი, ვითარცა საყდარსა ზედა მჯდომარე; რანეთუ მეყსეულად, რაემს შთააგდო ყრმაჲ იგი, დანელდა საჯუმილი იგი, ვა იყო სამთა ყრმათა წმიდათა ზედა ძალითა ძლიერისა ღმრთისაჲთა, კმა-ყო

და გამოიყვანა ყრმაჲ იგი და მიიყვანა ეკლესიად.

და შეკრბეს ყოველნი ქრისტიანენი და მივიდეს მსაჯულისა. და უთბრეს, რაჲ-იგი იყო. ხოლო იგი განკჳრდა ამას ზედა და აღიდა ღმერთი, მიავლინა და მოუწოდა მამასა მის ყრმისასა და წარჩინებულთა ჰურიათა. ხოლო იგი საწყალობელი არა დაიფარა, არამედ ჰგონებდა, ვითარმედ არარაჲ იპოვოს ყოლადვე ყრმისაჲ მის, რამეთუ უწყოდა, ვითარმედ უფროჲს ზომისა განჯურევებულ იყო საჯუმილი იგი. და შემდგომად მისა აღიარა, რამეთუ ვერ ეგებოდა მისგან დაფარუაჲ მას ეამსა, რამეთუ საქმე იგი განცხადებულ იყო ნებითა ღმრთისაჲთა და თქუა, ვითარმედ: გრძნებითა ქრისტიანეთაჲთა არა დაიწუვა ყრმაჲ ესე.

და ვითარცა ესმა ესე მსაჯულსა მას, აჰა ესე არს, რომელმან-იგი მაშინ აღაგზნა და აწცა მანვე აღაგზნეს, და შენცა ყავ გრძნებაჲ, რომელი გნებაეს, და შევედ შენ და ორნი ძენი შენნი საჯუმისა მას, და უკუეთუ განერნეთ, დავირწმუნოთ, ვითარმედ იგიცა გრძნებითა განერა. ხოლო სხუანი იგი ჰურიანი ევედრებოდეს ფრიად ამისთჳს და აღუთქუეს ქრთამად ოქროჲ დიდძალი და (730) ვერ შეუძლეს დარწმუნებად, არამედ განაჯურევეს საჯუმილი იგი ფრიად და შეაგდეს იგი და ძენი მისნი მას შინა. და არცალათუ ძუალი მათი იპოვა ყოლადვე.

მაშინ სირცხლეულ იქმნეს, რომელნი-იგი კეშმარიტად ჰურიანი იყვნეს. ხოლო ქრისტიანეთა წარიყვანეს ყრმაჲ იგი უშიშად და კმა-ყვეს ნათლის-ღებაჲ იგი ყრმათაჲ საკრველისა მისთჳს საკრველებათაჲსა, არამედ სცხეს მას წმიდაჲ მირონი და შეჰპოსეს

მას სამოსელი სპეტაკი და მიიყვანეს მათ თანა ეკლესიასა ღთისასა და აღიდებდეს ღმერთსა.

24. აბბა სუმეონ ალოვანელი არამცირედსა ეამსა იყო ჩემ თანა და მითხრობდა მე საკვრველებათა მრავალთა ღმრთისათა, და პირველი—წმიდისა ზაქარიაჲსთჳს, რომელი იყო პატრიაქი იერუსალემისაჲ, ვითარმედ: რაგამს იყო ტყუობაჲ იგი საშინელი სპარსთაგან უღმრთოთა ქალაქსა წმიდასა ქრისტეს ღმრთისა ჩუენისასა, და წარიღეს ძელი იგი წმიდისა ჯუარისაჲ განმაცხოველებელი, და ნებითა თჳსითა პატროსანი ესე კაცი წარვიდა, რამეთუ აღირ. 10 ჩია სიკუდილი, ვიდრე ცხოვრებაჲ, ვინაჲთგან წარიღეს ძელი იგი თაყუანის-საცემელი. და ესე წარვიდა ძელსა მას თანა წმიდასა ხუასრო მეფისა მის სპარსთაჲსა. და დიდსა პატიესა უყოფდეს თჳთ მეფე და მთავარი მისნი მოწყალებითა ღმრთისაჲთა, რომელი-იგი ყოველსა ეამსა პატივ-სცემს და აღიდებს მათ, რომელნი ქემმარიტად პატივ-სცემენ მას, ვა თქუა სიტყუამან (731) საღმრთომან: ვადიდნე მადიდებელნი ჩემნი\*. რამეთუ იპოვა დედაკაცი ვინმე ცოლთა შორის ხუასროსთა, რომლისა მიერ პატივცემულ იქმნა ძელი იგი წმიდისა ჯუარისაჲ. და კაცი ესე წმიდაჲ პირველ მოცსენებული, რამეთუ იყო იგი სახელით ქრისტეანე, ხოლო იყო იგი წეალებისაგან ნისტორის უღმრთოჲსა და მოძულეებულისა ღმრთისა მიერ, და ევედრა მეფესა და მიიღო ძელი იგი წმიდისა ჯუარისაჲ ეგრეთევე დაბეჭდული პატრიაქისაგან და სხუანი წარტყუნულთაგანნი, რომელთაჲ ინება მან. პალატად თჳსა წარიყვანა და მისცა მათ ადგილი კეთილი და დაყუდებულნი. და დიდსა პატიესა უყოფდა და ძლუნსა მიუძღუნებდა მათ და საკუმეველთა სულნელთა და სანთელსა ფრიადსა, და ყოველსა საკმარსა უხუებით მისცემდა მათ.

და შემდგომად რაოდენისაჲმე ეამისა კაცთა ვიეთმე ჰურიათა აქუნდა კადნიერებაჲ წინაშე მეფისა, და ემშაკისა მიერ, კეთილის-მოძულისა, აღიშურავეს მათ პატივისა მისთჳს, რომელსა უყოფდეს ყოველნი, და შეასმინეს იგი და თქუეს, ვითარმედ ისიძაეს. და ქალსა ვისმე საწყალობელსა, რომელსა-იგი მათ ეამთა ოდენ ემვა, აღუთქუეს ფასი და დააჯერეს, რაჲთა წმიდაჲ იგი შეასმინოს. ხოლო მეფემან მოუწოდა წმიდასა მას და მისცა იგი განსაკითხავად მსაჯულთა. და აღდგეს ჰურიანი იგი, წინააღმდგომნი ღმრთისანი 30

\* 1 მეფ. 2,30 .

(732) ქალითურთ, კმობდეს და დაამტკიცებდეს, ვითარმედ ყრმაჲ იგი, რომელი აქუნდა, მისი არს. და იყო ყრმაჲ იგი ვითარ ათხუთმეტისა დღისაჲ. ხოლო ქალი იგი ფ'დ კმობდა მრავალ ჟამ. ხოლო წმიდაჲ იგი დგა განწორებულად მსაჯულთაგან და მიყრდნობილ იყო არგანსა თუსსა და მრავალ ჟამ დუმნა. ხოლო მსაჯულნი იგი ეტყოდეს, რაჲთა მიუგოს მათ სიტყუაჲ. მაშინ მოითხოვა ყრმაჲ იგი და მიიქუა ველთა თუსთა ზედა და ჰკითხა წინაშე ყოველთაჲსა. და დასწერა ჯუარი პირსა მისსა და ჰრქუა მას: სახელითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, თქუ, ყრბაო, კეშმარიტად, მე ვარ მამაჲ შენი? და მოუგო ვ'ა სრულმან კაცმან და თქუა: ნუ იყოფინ! და ესმა ესე ყოველთა, რომელნი იყვნეს მუნ. და შეიპყრნა იგინი განკრკრეებაჲმან საკრველებისა მისთს, რომელი იქმნა ღმრთისა მიერ. ხოლო ესმა რაჲ ესე მეფესა მსაჯულთაგან, უფროჲს-ლა შესძინა პატრიის-ცემად მისა და ეპყრა იგი ვ'ა წინაწარმეტყუელი.

25 25. და სხუაჲ ამისვე მსგავსი გვთხრა მანვე სკძონ ამის წმიდისა პატრიარქისათს, ვითარმედ: მთავრისა ვისიმე მის ქუეყანისა ცოლი იყო ბერწ, და მრავალთა გრძნეულთა მისანთა სთხოვდა, რაჲთა მოსცენ შვილიერებაჲ. და ვერ მიიღო თხოვაჲ თსი. ხოლო ქმარი მისი მოვიდა სარწმუნოებით კაცისა მის ღმრთისა, პირველ მოქსენებულისა, და ევედრა მას, რაჲთა მოსცენ მათ ღმერთმან შვილი ლოცვითა მისითა. (733) ხოლო მან არა თავს-იდგა, არამედ თქუა, ვითარმედ: მე ცოდვილი ვარ. ხოლო დაადგრა ვედრებასა მრავალ ჟამ. მაშინ დადგა აღმოსავალად კერძო წინაშე წმიდისა მის ძელისა და ყო ლოცვაჲ და თაყუანის-ცემაჲ. და მოითხოვა წყალი და დაიბანა პირი წინაშე მის კაცისა და მისცა იგი მას და ჰრქუა: წარიღე ესე და მთართუ ცოლსა შენსა და არქუ მას, რაჲთა იცხოს და სუას ამისგანი. ხოლო მან წარსცა მუნთქუესვე წყალი იგი. და ვ'ა მიიღეს, ჰკითხა დედაკაცმან მან: რაჲ არს ესე? და ესმა კეშმარიტი. ხოლო მან შეურაცხ-ყო იგი და ბრძანა, რაჲთა დასთხოონ. და ვ'ა მოვიდა ქმარი მისი, იწყო ბრალობად დედაკაცმან მან საწყალობელმან და თქუა: ნაბანი ესე ვითარისაჲ ჯერ-იყოა შენდა, რაჲთამცა წარმოეც ჩემდა შესასუმელად? ხოლო მას, ვ'ა ესმა ესე, ჰრქუა მას: და არა ჰსუ მისგანი და არცა იცხე? და თქუა მან: არა, არამედ ვბრძანე, რაჲთა დაითხოოს. და ჰკითხა მას: სადა დაითხია იგი? და წარვიდა და პოვნა ორნი ყუავილნი მას ადგილსა, რაჲმეთუ მყის აღმოსცენდეს. და მოიხუნა იგინი და მიართუნა ცოლსა თუსსა და ჰრქუა მას: ჰხედავა, საწყალო, ვითარ

შურად აღუდგე თავსა შენსა? რამეთუ ღმერთსა ენება შეწევნაჲ ჩუენი, და უქუეთუშკა გენება და შეგესუა, ესევეითარნი ყუავილნი, ორნი ყრმანი, შობად გესხნეს. არამედ არცა ღირს იყავ, და აძის-თჳსცა ვერ (734) მიემთხვე ნებასა შენსა. ხოლო იგი აბრალედა თავსა თჳსსა ფ'დ განძვნებასა და ამპარტავენებასა ზედა თჳსსა და არა-რაჲ სარგებელ ეყო მას, არამედ უნაყოფო დაადგრა ვიდრე აღსა-სრულადმდე მისა.

26. და მანვე გჳთხრა, ვითარმედ: თავჲმან ხუცისა სოფლისა ჩემისამან მითხრა, ვითარმედ ჰაბუკი ვინმე სპარსი შემოვიდა სა-ხედ ჩემდა და იხილა ტაძარსა ჩემსა შინა ხატი წმინდისა ღმრთის 10 მშობელისაჲ და მრქუა მე: უწყია, რაჲ არა ხატი ესე? და ვარქუ: ჰე. მაშინ მრქუა მე: ჰეშარიტად, თქუენ არა უწყით, გარნა ზე ჰეშ-მარიტად უწყი ძალი მისი. მიუგე და ვარქუ მას: და ვითარ შენ წარმართი ჩუენსა უფროჲს მეცნიერ ხარ?

და მრქუა მუ, ვ'დ: ჯამთა ზუასრო მეფისათა მივედით ქართ- 15 ლად. და იყო ქალი ერთი სახლსა მას შინა, რომელსა ვიყავ ზე, და დავსბედით მე და იგი სიმღერად ვაშლითა, რამეთუ ვესროდით ურთიერთას. და ერთ კერძოსა მას, რომელსა ვიყავ მე, იყო მუნ ხატი ესევეითარი მდგომარე. და მტყორცა ქალმან მან მრავალ გზის, და ეცა ერთ გზის ვაშლი იგი ხატსა მას. და ზუნთქუესვე დაეცა 20 ქალი იგი პირსა ზედა თჳსსა, ეშმაკისაგან იშთეებოდა და პეროო-და და სხუასა მრავალსა იქმოდა ბოროტსა, ვა-იგი ეშმაკეულნი და გრძნეულნი. და მრავალნი მკურნალნი მოვიდეს და ვერ შეუძ-ლეს განკურნებად მისა, ვიდრემდის მოვიდა ქრისტეანე ვინმე და 25 ცნა მიზეზი იგი. და მოუწოდა (735) მღღელსა მუნსა ქრისტეანესა და ჰრქუა მას: ყავ ლოცვაჲ საწყალობელსა ამას ზედა. და დასდვა ხატი იგი მის ზედა და მუნთქუესვე განიკურნა ეშმაკისა მისგან. აღდგა და აღიღებდა ღმერთსა, რომელი-იგი იშვა ქალწულისაგან მიუწოდომელად, და მიერ ჯამითგან ფრიად პატივ-სცემდა ხატსა მას და ითხოვენ შენდობასა ცოდვათასა. 30

27. ძმამან გიორგი, ქალაქით სუნადით, გჳთხრა. ვითარმედ: ქალაქსა შინა ფილამილიოჲთ მთასა მას პისიდისასა ხუცესი ვინ-მე დგა ჯამისწირვად. და შევიდა ვინმე მოძმეთა მისთაგანი ეკლე-სიად, ემობდა და იტყოდა, ვითარმედ: ყრმაჲ შენი მგელთა წარიღეს. ხოლო იგი არა შეშფოთნა ყოლადვე და არცა განეშორა წმიდასა 35 საკურთხეველსა, და არცა აღმოთქუა სიტყუაჲ თჳნიერ სიტყუათა

ეამისწირვისათა, ვიდრემდის აღასრულა შეწირვაჲ მსხუერპლისაჲ და განუტევა ერი მშჯლობით. და აკრიბა ნაწილი იგი ნეშტი წესისაებრ და დაჰკრძალა სამოსელი საკურთხეველისაჲ. და მაშინ-ღა იკითხა, თუ სადაჲ წარვიდეს მგელნი იგი, რომელთა აღიტაცეს

1. ყრმაჲ ჩემი? იწყო დევნად ხუცესმან და პოვნა იგინი შორს, ვითარ ორით მილიონით. და სხდეს იგინი კლდესა ქუეშე გარემოს ყრმასა იმიერ და ამიერ, და საშუალ ყრმა იგი იმღერდა ქჷშითა, და არა (734) იყო მის თანა ენებისაგანი ყოლადვე. დიდებაჲ შენდა, კაცთ-

2. მოყუარეო უფალო, რომელი პატივ-სცემ და აღიდებ, რომელთა

3. მცნებაჲ შენი წმიდაჲ უფროჲს ყოველთა ნათესავთა და შეილთა მათთა შეიყუარეს.

28. თვედორე ეპისკოპოსმან მითხრა ესევეითარი რაჲმე, ვითარმედ: ეამთა არკადის წმიდისა მთავარ-ეპისკოპოსისათა ხუცესი ერთი გრძნეული შეიპყრეს ორთა დიაკონთა თანა გრძნეულთა. და

1. იწყო მთავარმან მან გუემად მათა, რაჲთა აღიარონ. და მრქუა მთავარ-ეპისკოპოსმან: წარვედ, ძმაო. და ყავ, რაჲთა გამოჰკითხოს მთავარმან იძულებით ყოველი ქეშმარიტად. და მე ვარქუ მთავარსა, რაჲთა გამოკითხოს, ვინაჲთგან იქმნნეს ამას წარწყმედა[სა] შინა. და ვითარ ა[რა] შეიშინეს ღმრთისა, ოდეს იყენეს ამას მოწყ-

2. სეობასა შინა და ჰმსახურებდეს, და ნუუკუე გამოეცხადის რაჲ ეამთა შინა, რამეთუ მე არა დავიჯერებ, ვითარმცა ღმერთმან არა ამხილა მათ დაბადებულთა თუსთათუს. და ე<sup>ა</sup> ჰკითხეს მათ, თქუეს მათ, ვითარჰედ ხუცესსა მას აქუს ათუთმეტი წელი, ხოლო

3. ამათ: ერთსა ექუსი წელი და მეორესა ოთხი. და შეუდგინა სიტყუაჲ

4. ესე ხუცესმან და თქუა, ვითარმედ ვიდრე ექუს წლადმდე არარაჲ ვიხილე. და შემდგომად ექუსისა წლისა ვიდრე სიწმიდისა შემოყვანებადმდე მიტევიან და აღვასრული ყოველივე წესისაებრ. ხოლო ოდეს შემოვიდის სიწმიდე, მუნთქუესვე ვიხილე კაცი სპეტაკითა მოსილი, საშინელი ხილვითა, რომლისა ვერ შემძლებელ ვარ

5. მითბრობად ხატსა მისსა. მოვიდის და შემკრის და დამადგინის ყურესა ერთსა თუსაგან, და დადგის იგი და ყოველივე აღასრულის მსახურებაჲ საიდუმლოჲსაჲ და აზიარის ერი. და ყოველივე აღასრულის ვიდრე განტევებადმდე ერისა. და ე<sup>ა</sup> ერი განუტევის, მოვიდის და განმქსნის მე, ხოლო მეცხრესა წელსა ე<sup>ა</sup> შევიდი კარ-

6. თა ეკლესიისათა, მეყსეულად მოვიდის და განმძარცუვის სამოსელი ჩემი, და შემკრის და დამადგინის ერთ კერძო და ყოვლადვე არა მიტევის შესლვა საკურთხეველად. და მე ვჰკითხებ მათ მთავ-

რისა მიერ უკუეთუ ეზიარი? და თქუა, ვითარმედ: მე ესრე ვაჩუენებდ წინაშე კაცთა, თუ ვ'დ ვეზიარებოდე, ხოლო არა ვეზიარებოდე. და ამისთვისცა განცხადნა საქმე ჩემი, რამეთუ ერთმან ხუცესმან მიმხადა მე სახელ თუსა, და ე'ა ვეზიარებოდეთ და ვერ ევჯობდა ჩემგან, ვითარმცა არა მოვიღე ნაწილი, და ვერ ვიმარჯუე, რაჲთა-  
 მცა დავდეფ ფეშხუნენსა ზედა ჩუეულებისაებრ ჩენისა, არამედ მოვი-  
 ლე და დავმალე საქელსა შინა ჩემსა. და გამოვედით ეკლესიით და წარვიდოდეთ ხუცისა მის, რომელმან-იგი მიმხადა მე, და დავაგდე იგი გზასა ზედა ერთ კერძო. და იყვნეს ადგილსა მას ლქირლედნი და გარე-მოადგეს მას და იწყეს კმობად, და მრავალთა განასხნეს. 10  
 (738) ხოლო ივინი მუნეე შეკრბიან და კმობედ, ვიდრემდის მივიდა ერთი ვინმე ადგილსა მას, რაჲთა იხილოს, თუ რაჲსათუს ესრეთ კმობენ. და პოეა მუნ წმიდაჲ იგი ნაწილი და იკითხა: ვინაჲთ მოწდა ესე აქა, ანუ ვინ განელო გზაჲ ესე? და თქუეს, რომელნი დაემთხვნეს მას ადგილსა ჩემთვის. ხოლო იგი სრბით ზოვიდა და შემიპყრა მე 15  
 და მიმცა მსახურთა ეკლესიისათა და მათ აღსაარებად მცეს და განმძარცუეს სქემად ჩემი და მიმცეს განკითხე[ა]ლ, ე'ა ესე მხედავთ. ვითარცა აღიარა ესევეთარი და სხუადცა მრავალი წარმოთქუა, და მოყუასთა მისთა (?). და წარვედ მე მთავარ-ეპისკოპოსისა, ხოლო მსაჯულმან მან განბქო მათ ზედა, რაჲთა ხუცესი იგი დაწუან 20  
 ცეცხლითა, ხოლო დიაკონნი იგი მისცენ მახლსა და თავები მოეკუეთოს. და ეგრეთცა ეყო.

ელპიტის თქს მონაზონისა

29. მონაზონი ვინმე, სახელით ამბაკუმ, გვთხრობდა დემეტრას, რომელ არს ეგვპტისაჲ: ვ'დ ეპოვე წიგნი და ვიკითხედ მას შინა 20  
 და ეპოვე, ვითარმედ მონაზონი ვინმე, სახელით ელპიტი, იყო. სენაკსა თუსსა, და ჰბრძოდა ეშმაკი მოწყინებისაჲ. და ვითარცა დაად-  
 გრა ბრძოლაჲ ესე მის ზედა, აღდგა და წარვიდა უშინაგანესსა უდაბნოსა, რომელსა ჰრქვან ალოს, და იქცეოდა მას შინა. და იხი-  
 ლა ვინმე შიშუელი ფრიად, ბერი. და ვითარცა იხილა 30  
 მან, იწყო სივლტოლად. (739) ხოლო ელპიტი სდევდა მას გულს-  
 მოდგინედ. და დადგა იგი ლოცვად. და შემდგომად ლოცვისა ჰრქუა მას: რაჲსათუს მოხუედ აქა, გინა რაჲსათუს თავს-იდევე ესო-  
 დენი შრომაჲ? ხოლო მან მიუგო და ჰრქუა მას: ეშმაკი მოწყინები-  
 საჲ მბრძოდა სენაკსა შინა ჩემსა და აღვდეგ და გამოვედ უდაბნოსა 35  
 ამას ლოცვად და ვიქცევი, რაჲთა წარვიდეს ეშმაკი მოწყინებისაჲ ჩემგან. და განვიზრახე, ნუუკუე ვინმე ეპოვო მონათაგანი ღმრთი-

სათაჲ, რაჲთა ლოცვა-ყო[ს] ჩემთვის. და აჰა ესერა ღმერთმან მოწყა-  
 ლემან უგულვებელს-ყვნა ცოდვანი ჩემნი და მომივლინა მე სიწმიდე  
 შენი. გარნა წყალობა ყავ ღთისათჳს და ლოცვა-ყავ ჩემთვის, შე-  
 მიწყნარე, რაჲთა ვიყოფეოდი შენ თანა. ხოლო მან თქუა: ესე ვერ  
 5 ეგების ყუად, რამეთუ არა მოგეცემის ღთისა მიერ. მაშინ ჰრქუა  
 მას ელპიტო: გვედრები შენ, რაჲთა მაუწყყო, ვითარ მოხუედ აჰა  
 და რაოდენი ეამი გაქუს, და რაჲ ნიჭი მოგცა შენ ღთნ? ხოლო  
 10 მან მოსწრაფედ ჰრქუა მას, რომლისა მიზეზისათჳს მოვედ აჰა, გინა  
 რომლისა სახისათჳს ესე საცნაურ არს, რამეთუ ცოდვილ ვარ და  
 10 მოვედ, რაჲთა ვიქნნა სული ჩემი ცოდვათაგან. და ღმერთმან კაცთ  
 მოყუარემან ინება და მომიძლუა სიგლახაკესა ჩემსა და მაქუს სა-  
 მეოცდაათი წელი და უფროჲს, და არა მიხილავს ხატი კაცისაჲ  
 დღესამომდე. ხოლო უწინარეს მცირედისა ეამისა ამიმაღლდა გონე-  
 ბაჲ ჩემი ეშჳაკისა მიერ კეთილის მოძულისა, (740) ვითარმედ მიწვე-  
 15 ნულ ვარ საზომსა უფროჲს ყოველთა კაცთასა, და ნებიტა ღმრთი-  
 საჲთა შემიქდა მე გულის სიტყუაჲ, რაჲთა ვევედრო მე ღმერთსა,  
 თუ ვისსა საზომსა მიწვენულ ვარ, ანუ თუ არს ვინ საზომსა ჩემსა  
 ქუეყანასა ზედა. და ვევედრე ღმერთსა მტურვალედ.

და დღესა ერთსა მეშჳდესა მოიწია ჩემდა ჳმაჲ უჩინოჲ და  
 20 მრქუა, ვითარმედ სერჯის თანა არს საზომი შენი, რომელი-იგი  
 არს ალექსანდრიას, მჯდომარე ყოველთა შესაკრებელსა. ხოლო მე  
 შეეწუხენ ფრიად და ვარქუ თავსა ჩემსა: ვაჲ შენდა, ჰურე, საწყა-  
 ლობელო, რამეთუ აჰა ესერა რაოდენი წელი გაქუს მსახურებასა  
 ქრისტესსა ესევეითარითა შრომითა და ჳირითა, და აჰა ესერა შეი-  
 25 რაწვე ყოველთა შესაკრებელისა. მის თანა. და გულის სიტყუამან  
 აჰმარტავანებისამან მრქუა მე, ვითარმედ: ჳმაჲ ესე მტერისაჲ არს.  
 და ამისგან არა დავიჯერე, და კუალად დავადგერ შჳდ დღე ვედ-  
 რებასა. და მესმა იგავე ჳმაჲ, ვითარმედ: გარქუ შენ, საზომსა სერ-  
 ჯი ალექსანდრიელისაჲ მიწვენულ ხარ. მაშინ ვარქუ თავსა ჩემსა:  
 20 უკუეთუ ესრეთ ნებაჲს ღმერთსა, არა დავჯდე, ვიდრემდის არა  
 ვიხილო, თუ ვინ არს, გინა თუ რაჲ არს საქმე მისი. მაშინ წარ-  
 ვედ ალექსანდრიად ქალაქად და ვიკითხე. და მიჩუენეს მე იგი,  
 ჯდა რაჲ იგი ურაქპარაკსა მეძავთა თანა. რამეთუ იცინოდა და  
 განსცხრებოდა და იმღერდა, და ზოგნი მეძაენი (741) შევიდიან და  
 35 ზოგნი გამოვიდიან, რამეთუ იგი იყო ზედა ყოველთა მეძავთა.

და ვა შევედ ყოველთა შესაკრებელსა მას, და ვიკითხე, უკუე-  
 თუ იგი არს სერგი? და მრქუა: მე ვარ. მაშინ ვარქუ მას: მინებს,  
 რაჲთა ვყო შენ თანა სიყუარული. და მრქუა მე: კეთილ, დაჯედ.



და უბრძანა მექულბაგესა, და მოილო რაჲ იგი, კამის მუნ, და ვიი-  
ძულე შემდგომად ესოდენტა წელთა კამად მისგან სიყუარული-  
სათჳს ღმრთისა. და განვიზრახევედ, უკუეთუ ღმერთსა ჰნებავს, რაჲ-  
თა შემრაცხოს ამის თანა, უკუე ჯერ-არს ჩემდა, რაჲთა ვყო სი-  
ყუარული მის თანა. და ეჲ განვძელით და გამოვედით, ვჰკითხე Ⴖ  
მას, უკუეთუ უდგს მუნ სახლი. ხოლო მან თჳთა: ჰე. და ვარქუ მას:  
მიგულაღე სახედ შენდა, რამეთუ მნებავს სიტყუად შენდა რაჲმე.  
ხოლო მან განმგმო, ნუუკუე ვიფლიე ეწაჲკისაგან და მინებს ცოდ-  
ვის. და მომხედა თულითა ბოროტითა და მომიძულა გონებასა  
თჳსსა, და დაუკრდა, რამეთუ ვითარ ესოდენსა სიბერესა და ამას Ⴖ  
ხატსა ვიძლიე ამით გჳლის სიტყჳთა, ვითარ-იგი უკუანაძსკნელ მი-  
თხარა მან. და მივედით სახედ მისა და ვყავთ სიყუარული. და ვარ-  
ქუ მას: ღმრთისათჳს, უწიწველად მითხარ ცხორებაჲ შენი და  
რომელი კეთილი ჰქმენ? ხოლო იგი განკრდა სიტყუასა მას ზედა და  
მრქუა მე: კაცო ღმრთისაო, აჲა ესერა ვიპოვე ურაკპარაკსა (142) Ⴖ  
შინა მეძავთა თანა კამასა და სუმასა და განცხრომასა, რამეთუ  
მე ვარ მათ ყოველთა ზედა და თჳნიერ ჩემსა ვერვინ მიეხალგების  
მათ. არამედ მრქჳს მე, და რომელიცა ჰნებავ[ს], მივსცი მას. და აჲა-  
მომდე იკითხაე ცხორებასა ჩემსა, რამეთუ აჲა ესერა თჳთ თუა-  
ლითა შენითა გიხილავს და რაჲსა-ღა გნებავს სხუად ცნობის? ხო-  
ლო მე დავადგერ ფრიადითა ვედრებითა და ფიცითა, რაჲთა არა-  
რაჲ დამიფაროს, უკუეთუ ყო სადამე კეთილი. და კუალად უთხარ  
მას კჲაჲ იგი, რომელი მოვიდა ჩემდა ზეცით.

მაშინ დაუკრდა კაცო-მოყუარებაჲ ღმრთისაჲ და სულთ-ით-  
ქუნა დიდად და თჳთა: შემინდვე მე, მშაო, უკუეთუ ესე ესრეთ Ⴖ  
არს, მოვიჲსენე, რამეთუ ერთ გზის ჩუეულებისაებრ ჩემისა შევედ  
ურაკპარაკსა და ვიხილე დედაკაცი ერთი ფრიად ქნულ-კეთილი,  
და ქსოვდა იგი ფასითა. და გულმან მითჳთა მისთჳს და ვარქუ  
დედაკაცსა მას, რომლისა თანა ქსოვდა: ვინაჲ არს დედაკაცი ესე?  
და მრქუა მე: ამის ქალაქისაჲ არს. და ვარქუ: ეზრაიე, რაჲთა Ⴖ  
დაწუეს ჩემ თანა. ხოლო მან მრქუა მე: ვერ ძალ-მიც რქუძად მისა  
ეავეითარი, დაღაცათუ დღეს გლახაკი არს, ად არს იგი შერა-  
ცხილთაგანი. ხოლო მე მინდა, რაჲთა უწყყოდი, თუ რაჲსათჳს მოი-  
წია ამას საზომსა. და მან მრქუა, ვითარმედ: ქნარმან მისმან ისეს-  
ხა მთაერისაგან ასი დრაჰკანი, და შეიპყრა იგი და შეაყენა საპყრო- Ⴖ  
ბილესა და წარიყვანნა ორნი ძენი მისნი (143) და დაიბონნა. და აჲა  
ესერა ესე იარების დღე და ღამე, რაჲთა შე-რაჲთ-უძლოს განთა-  
ვასუფლებად მათა. და ეჲ მესმა ესე, ვარქუ მას: შენ არქუ, რაჲთა

მოვიდეს ჩემდა და მე მივსცე მას ასი დრაჰკანი. ხოლო მან მრქუა  
 მე: ვერ შეძლებელ ვარ რქუმად მისა და არცა ვკგონებ, ვითარ-  
 მცა ყო ესე, რამეთუ უწყი მე, ვ'დ ღირსი არს ფრიად. და მე  
 ვარქუ მას: მივედ და არქუ, ნუუკუე ყოს, და თუ არა ყოს, შენდა  
 არარაა არს. ხოლო იგი დამემორჩილა და ჰრქუა მას. ხოლო მან  
 დაღაცათუ სულთ-ითქუნა და ტიროდა, ხოლო უქადა მას და თქუა:  
 რაოდენი ჟამი მაქუს შე და ვიქმ დღე და ღამე, რაჟთამცა განვა-  
 თავისუფლენ და ვერ მივეწიფე, და აწ ესერა მოუძღურებულ ვარ  
 და ვერღარა ძალ-მიც საქმედ, და რაჟ ვყო, არაჟ უწყი, ხოლო ესე  
 10 უწყი, ვითარმედ ღმერთი მოწყალე არს, და ნუუკუე შემინდოს  
 ერთი ესე ცოდვაჟ სამთა ამათ სულთათჟს, რამეთუ უწყის მან  
 მხოლომან, ვითარმედ დღესამომდე არა ვიცი სხუაჟ მამაკაცი გარ-  
 ნა მეუღლისა ჩემისა, და აწ ჰირისაგან მივეც გუამი ჩემი ცოდვასა-  
 სამთა მათ სულთათჟს. და მოვიდა მოციქული იგი ჩემი და მითხრა,  
 15 ვითარმედ ნება მცა. და წარვედ სრბით და მოვილე ასი დრაჰკანი  
 და მივეც ჯელსა მისსა. და მიილო დრაჰკანი იგი ცრემლითა და  
 სულ-თქუმითა და შევიდა სენაკად და თქუა: უფალო ღმერთო, შენ  
 უწყი (744) წუხილი ესე ჩემი და შემინდვე ცოდვაჟ ესე ბოროტი. ხ'  
 მე ვ'ა მესმა ესე, იწყლა გული ჩემი და ვთქუ გონებასა ჩემსა: უკუე-  
 20 თუ ესე ესრეთ წუხს, მაშა, რად არა მიველ მათ თანა, რომელნი  
 არიან ჯელსა ჩემსა, რომლისაცა თანა მინდეს, და აღვისრულო  
 ნებაჟ ჩემი? რამეთუ არა არს მათ შორის განყოფაჟ ცოდვისა ამის-  
 თჟს, ბილწისა და მცბიერისა. და განუტევე დედაკაცი იგი დრაჰ-  
 კნითა უვნებელად. და წარვიდა და განათავისუფლა ქმარი მისი და  
 25 ყრმანი მისნი. ხოლო მე, ვ'ა მესმა ესე, ღაღად-ვეყავ და ვთქუ: დი-  
 დებაჟ მხოლოსა ღთ'სა კაცთ-მოყუარესა, რამეთუ შენ თანა შევი-  
 რაცხე. და ამისა შემდგომად კუალად სულთ-ითქუნა და მრქუა  
 მე: ჰეშმარიტად, უკუეთუ ესე მიუთუალავს ღმერთსა, ვითარ-იგი  
 სთქუ, და შენ ღმრთისა მიერ მოხუედ ჩემდა, რომელი-ესე ჰეშ-  
 30 მარიტად ცოდვილ ვარ.

ამიერიტგან მიგიტხრა სხუაჟ საქმშ უფროჟსი ამისსა. იყო  
 მთავარი ერთი მძლავრი, ცოდვის მოყუარე და უცხოჟ ეკლესია-  
 თაგან ღთ'ისათა. შემოვიდა ქალაქსა ამას ალექსანდრიას და ყო-  
 ველსა დღესა მიიყვანნის ჩემგან ორნი მეძაენი. და იყო დღესა ერთსა,  
 35 განვიდოდა ფოლოცსა რომელსამე, და იყო მუნ მონასტერი დედა-  
 თაჟ, და იხილა მათგანნი გარეშე და გულმან უთქუა მათთჟს, და  
 უბრძანა ერისაგანთა, რაჟთა მოიცვან მონასტერი იგი, რაჟთა (745)  
 არავენ ივლტოდის მათგან. და შევიდა იგი და შეკრიბნა ყოველნი-

და აღრაცხნა, და პოვა სამეოცდაათი ქალწული. და მომცა მე და მი-  
 ბრძანა: ვა გნებავს, ყავ, და ოდეს ვითხოვო, მომცნი, ვიდრემდის  
 განსრულდეს რიცხვ ესე სამეოცდაათისაჲ. და ვა ვიხილე და მესმა,  
 ვთქუ გონებასა ჩემსა: ვაჲ მე, ცოდვილსა ამას, რაოდენი წელი აქუს  
 ამათ, დაჰმარხვენ ქალწულებასა ამათსა ქრისტესთჳს, რამეთუ  
 დადნეს ჯორცნი ამათნი მარხვითა და ლოცვითა და ყლითა  
 შრომითა, რაჲთამცა დაიმარხნეს თავნი მათნი უბიწოდ სიძისა  
 მისთჳს უკუდავისა, და ჩემ ძლით წარწყმიდონ ყოველი ესე შრომაჲ  
 და შეიგინნენ ამის ბილწისაგან და მვეცისაგან სისხლის მკამე-  
 ლისა. ნუ იყოფინ ჩემდა ესევეთარი საქმე! და განვიზრახვედ ფრი-  
 ად. და შევცბუნდი და ვითხოვე ღთისაგან, რაჲთა მომცეს ცნობაჲ  
 და ნიზეზი და განვათავისუფლნე ამის შეგინებისაგან. ხოლო ღმერთ-  
 მან დიდად მოწყალემან წყალობა-ყო და მომცა მე გულის სიტყუაჲ  
 ქეთალი. აღვდეგ და მივედ მათ თანა, რომელნი იყვნეს ჳელსა ჩემსა  
 მეძაენი ამის ქალაქისანი, და განუყავ მათ ყოველი მონაგები ჩენი  
 და ძლით დავარწმუნე მათ, რაჲთა მოიპარსონ თავი მათი და შეი-  
 მოსონ სქემაჲ ენკრატისთაჲ, და შევიყვანენ მონასტერსა მას და დუ-  
 ტევენ მუნ და (146) წარვიყვანენ ქალწულნი იგი და დავმალენ სხუასა  
 ადგილსა და მივსცემდ მთავარსა მას საწყალობელსა ყოველთა დღე-  
 თა მეძაეთა მათ, ვიდრემდის განსრულდა სამეოცდაათი. და ვა  
 განსრულდა, წარვიდა ეშმაკი იგი ბოროტის მოქმედი მუნთქუესვე.  
 მაშინ წარვიყვანენ ქალწულნი იგი და შევიყვანენ მონასტერსა და  
 მიზდა, რაჲთამცა გამოვიყვანენ მეძაენი იგი. ცოლო მათ, ვა იხილ-  
 ნეს მვევალნი იგი და სძალნი ქრისტესნი, არღარა გამოვიდეს მუ-  
 ნით, არამედ თქუეს: უკუეთუ ღმერთმან ღირს გუყვნა ჩვენ, რომ-  
 ლითაცა ნიზეზითა შემოსად წნიდაჲ ესე სქემაჲ, ამიერითგან ნუ  
 იყოფინ ესე ჩუენდა, რაჲთამცა მივაქციეთ სიციბილსა მას და სი-  
 ლირწესა, წარმწყმედელსა სულთა ჩუენტასა! და დაადგრეს იგინი  
 მუნ შინა სქემასა მას წმიდასა და სათნო-ეყვნეს ღმერთსა სინა-  
 ნულითა წმიდათა.

და ვა მესმა ესე მე, ფრიად ვადიდე მხოლოჲ, შემწე და  
 მჭანველი მათი, რომელნი ესვენ მას სარწმუნოებითა ქეშმარიტითა,  
 და ვარქუ მას: გრწმენინ, ძმაო, ფრიად დავჴუერ და აწ უწყი,  
 რამეთუ არა ხოლო თუ ჩუენ თანა სწორ ხარ სათნოებითა, არამედ  
 უაღრეს ხარ ჩუენსა. ხოლო აწ, ღმრთისათჳს, ლოცვა ყავ ჩემთჳს,  
 რაჲთა მივიქცე ადგილსავე ჩემსა. ხოლო მან მრქუა მე: მე ვი-  
 ლოცო შენთჳს, რაჲთა წარხვდე, ცხოველ არს ღმერთი ჩემი,  
 უკუეთუ ნანდვლვე შენ თანა შერაცაილ ვარ, ვითარ-იგი სთქუ,

(747) არა განგიტეო, არამედ მოვიდე შენ თანა. და მევედრა მე, რაათა ვაჭებდე დღესა ერთსა გინა ორსა. და განუყო ყოველი, რააცა აქუნდა, გლახაკთა და შემომიღვა. და დაყო აქა ჩემ თანა სამი წელი, და აწლა გარდაიცვალა ღმრთისა მიერ უწინარეს ოთხისა დღისა. და ვაჭონებ, ვითარმედ ღმერთსა წარაჰყავს სული ჩემი, და დამდეგ მის თანა, არამედ წარვედ და შემდგომად სამისა დღისა მოვედ, რამეთუ მაქუს მე სიტყუაჲ დიდი და გითხრა შენ. ხოლო მე წარვედ და შემდგომად სამისა დღისა მოვედ, ვა მიბრძანა მე წმიდამან ბერმან. და ვაოვე იგი, რამეთუ გარდაცვალებულ იყო. და ვაპმარხე იგი სერგის თანა, ვა-იგი მამცნო მე. და წარვედ და ვადიდებდი ღმერთსა საკვრველებისა მისთჳს. და ვაპმადლობდი, რომელმან ღირს მყო მე ხილვად ამას და მითხრობად საქებელად სახელისა მისისა წმიდისა, ამენ.

30. მითხრა ესე ხუცესმან ლავრისა ჩუენისა წმიდისა საბაჲს-  
 მან, სახელით მიქაელ, და თქუა, ვდ: იყო აქა მონაზონი ერთი  
 ფრიად მოხუცებული, რომელსა დაეყო ორმოცდაათი წელი, და  
 იყო იგი სათნოებითა შემეკული, და ღმერთმან აუწყა დღე იგი  
 გარდაცვალებისა მისისაჲ. და დღესა პარასკევსა, ჟამსა მესამესა,  
 30 პრქუა მოწაფესა თჳსსა: აღდეგ და შექმენ ცეცხლი და წირე ეამი.  
 ხოლო მან ყო ეგრე, ვითარცა უბრძანა. და ეზიარა იგი განმა-  
 ცხოველებელსა ჳორცსა და სისხლსა (748) იესუ ქრისტეს მჳსნელისა  
 ჩუენისასა. და კვრიაკესა ლამესა, ჟამსა მეექუთესა, პრქუა მოწაფესა  
 თჳსსა: მოიღე ცეცხლი და დაასხ საკუმეველი. და მან ყო ეგრე, და  
 მეყსეულად განათლდა სახლი იგი უბრწყინვალეს ჳზის თუალისა.  
 31 აღივზო სულნელებითა, ვიდრემდის მიიწია სამსა მილიონსა სულ-  
 ნელებაჲ მისი. და მრავალთა დაუკვრდა სული საკუმეველისაჲ მის.  
 და პრქუა მოწაფესა თჳსსა: მშჳდობაჲ შენდა, შვილო ჩემო. და  
 დაიძინა ძილი იგი ტკბილი. და დაპმარხეს იგი მამათა თანა, და  
 ჩუენ მივეციით დიდებაჲ ღმერთსა, რომელმან აღიდნის ღირსნი  
 30 მისნი, ამენ.

[თხრობანი]

(1921) 1. უგ. (3). გვთხრობდა ჩუენ მამაჲ ათანასე, რომელი იყო ლაერასა წმიდისა საბაჲსსა, ვითარმედ: რაჲჲმს ვიყავ მე უდაბნოსა იორდანისასა, იყო მუნ ხუცესი<sup>1</sup> ერთი, სახელით კონონ. და მღდღელობდა იგი ეკლესიასა შინა წმიდისა იოანე ნათლის-მცემელი-სასა, რომელ-იგი არს კიდესა იორდანისასა, ადგილსა მას, სადა-იგი უთუალმან ჩუენმან ნათელ-ილო, და შეიწყნარებდა იგი ყოველთა მომავალთა, და ნათელ-სცემდა მამათა და დედათა და სცხებდა მიპრონსა. და ვითარ დაყო ჟამი<sup>2</sup> რაოდენიმე და ჰყოფდა აშას,<sup>10</sup> აღიძრა გულის თქუმიითა სიძვისაჲთა ფიცხლად და უნდა განწორებჲა ადგილისა მისგან, რამეთუ ვერ შეუძლებდა დედათა განწიშულბულთა ზეთისა ცხებად ბრძოლისა მისთჳს. ჰაშინ გამოეცხადა მას წმიდაჲ იოანე და ჰრქუა: დაადგერ ადგილსავე შენსა და მე გარე მივაქციო ბრძოლაჲ<sup>3</sup> ეგე გულის თქუმისა შენისაჲ.

და ვითარ წარჲდეს დღენი რაოდენნიმე და ნათელ-სცემდა ყოველთა, მო-ვინმე-ვიდა სპარსეთით ქალი ერთი შუენიერი და ქმნულ-კეთილი ფრიად, რაჲთამცა ნათელ-ილო. ხოლო კონონ მღდღელმან ვერ შეუძლო განწიშულბებაჲ მისი და ცხებაჲ მიპრონისაჲ. და ვითარ დაყო ორი დღე ქალმან მან თჳნიერ ნათლის-ღე-<sup>20</sup> ბისა, ეუწყა პატრიაქსა საქმე იგი და დაუკარდა და ენება. რაჲთამცა მიავლინა დედათა დიაკონი<sup>2</sup> ქალისა მისისა და სსუათა დედათათჳს ადგილსა მას, რაჲთა იგი ჰყოფდეს ცხებასა და განწიშულბებასა მათსა. და (v) აუწყეს ღას, ვითარმედ: დედაკაცისაჲ ვერ ეგების ყოფაჲ მას ადგილსა. ხოლო კონონ მღდღელმან დაუტევა<sup>25</sup> ადგილი იგი და წარვიდა და დამტკიცებულად იტყოდა, ვითარმედ არა მივიქცე მას ადგილსა და არცალა ვიყოფებოდი მუნ. და ვითარ განვიდა მის ადგილისაგან და იქცეოდა იგი ბორცოვანსა მას, გამოეცხადა მას წმიდაჲ იოანე და ჯმითა მალლითა ჰრქუა: უკუნ-იქცე ადგილსავე შენსა და მე აღვილო ბრძოლაჲ<sup>3</sup> ეგე წინგან.<sup>30</sup> ჰრქუა მას აშბა კონონ: გრწმენინ ჩემი, რამეთუ არლარა მივაქციო მას ადგილსა და არცალა ვიყოფოდი მუნ, მრავალ გზის აღმიტქუ

<sup>1</sup> მონ ხოცესი C. <sup>2</sup> დიაკონნი C. <sup>3</sup> ბორძილაჲ C.

<sup>1</sup> მე, რადთა ბრძოლად ესე განმაშორო, არა და არა ეპოვე განშორე-  
<sup>2</sup> ბად. მაშინ მოიყვანა იგი წმიდამან იოანე და დასუა ბორცუსა მას  
 ზედა და განაწიშულნა კორცნი მისნი. დაასხა უპესა წყალი იგი იორ-  
<sup>3</sup> დანისაჲ და დასწერა ჯუარი და პრქუა მას: გრწმენინ ჩემი, ხუ-  
<sup>4</sup> ცესო, რაჲეთუ ვეძიებდი უმჯობესსა შენსა და მინდა, რა სასყიდელი  
 გაქუნდე[ს] ბრძოლასა<sup>1</sup> მაგას შენსა, ხოლო ვინაჲთგან არა გნებაეს,  
 აჲა ესერა აღებულ არს შენგან ბრძოლად გულის თქუმისაჲ. მაშინ  
 მიიქცა იგი ადგილსაჲ თვისსა. და ვითარ იყო ხვალის[ა] დღე,  
 განაწიშულა ქალი იგი და სცხო წმიდაჲ იგი მიჰრონი კორცთა მის-  
<sup>5</sup> თა და მოსცა მას ნათელი, და არა იხილა ბუნებაჲ დედათაჲ ყო-  
 ლადვე მის თანა. და შემდგომად მისა დაყო აორომეტი წელი და  
 ნათელ-სცემდა ყოველთა. და არლარა აღიძრნეს კორცნი მისნი  
 გულის თქუნად და არცალა სადა დედაკაცი ბუნებითა დედათაჲთა  
 [იხილა]. და შემდგომად წელთა მათ შეისუენა და (193) ჰმადლობ-  
<sup>6</sup> და უფალსა შეძილებელსა ყოვლისასა.

2. [უღ]. (19). მითხრობდა ჩუენ მამაჲ ელია კალიმონისა მო-  
 ნასტრისაჲ, ვითარმედ: ეჯედ დაყუდებით მახლობელად მონასტრისა  
 ქუაბსა შინა. და ნეცხრესა ეამსა დაპრქუა ვინმე კარსა, და ვითარ  
 გამოვედ, ეპოვე დედაკაცი, და ვარქუ მას: რასა ეძიებ აჲა? და  
<sup>7</sup> მრქუა მე: შეჰინდვე, მამაო, რამეთუ მეცა ამითვე გონებითა ვცხონ-  
 დები და ვიყოფვი მცირესა ქუაბსა მახლობელად შენსა, ვითარ  
 უტევან ერთ. და მიჩუენა ქუაბი მისი და თქუა: ვიქცეოდ რაჲ  
 უდაბნოსა ამას, მომეწყურა მე ფრიად სიციხისა მისგან, არამედ  
 ყავ სიყუარული და მასუ მე მცირედ წყალი.

<sup>8</sup> ხოლო მე მოვართუ<sup>2</sup> წყალი და ვასუ მას. და ვითარ შევედ  
 ქუაბჲდ ჩემდა, ბრძოლა-მიყო მე ეშმაკმან სულითა სიძვისაჲთა  
 ძლიერად და აღმძრვიდა გულის თქუმითა დედაკაცისა მის მიმართ.  
 და ვითარ ვიძლიე და ვერ უძლიე<sup>3</sup> წინააღდგომად გულის თქუმასა  
 მას, ზამოვედ და შეუდეგ<sup>4</sup> კუალსა მის დედაკაცისასა. და სიძვაფ-  
<sup>9</sup> რითა სიციხისაჲთა დაიწუებოდა<sup>5</sup> ქუეყანაჲ, ვიდრეწდის ქვანიცა  
 ტყუუებოდეა<sup>6</sup>, რამეთუ იყო თუშ იგი აგვსტოსი. და ვითარ ვილო-  
 დე სწრაფათ და წარვლე უტევანი<sup>7</sup> ერთი, და ბრძოლაჲ<sup>8</sup> იგი ეგზე-  
 ბოდა გულსა ჩემსა, მეყუყულად<sup>9</sup> განკვრებოდა დამეცა და ვიხილე  
 ქუეყანაჲ განკებული, და ეგულებოდა<sup>10</sup> შთანთქმად ჩემი. და ვიხი-  
<sup>10</sup> ლენ მუნ<sup>11</sup> შინა გუამნი მკუდართანი<sup>12</sup>, საესენი სიმყრალითა და

<sup>1</sup> ბრძოლასა C. <sup>2</sup> მოვართო C. <sup>3</sup> ოძლიე C. <sup>4</sup> შეოდვე C. <sup>5</sup> დაიწოებო-  
 და C. <sup>6</sup> ტყორებოდეს C. <sup>7</sup> ოტევანი C. <sup>8</sup> ბრძელაჲ C. <sup>9</sup> მეყოსულად C. <sup>10</sup> ეგო-  
 ლებედა C. <sup>11</sup> მონ C. <sup>12</sup> მკოდართანი C.

დაქსნილნი და საიბაგელნი ფრიად, რომელთაგან გამოვიდოდა სიმრავლე (v) მატლისაჲ და სდიოდა წუთბი და წალაჲ.

და მოაუცებული<sup>1</sup> ვინმე შეუნიერი<sup>2</sup> მიჩუენებდა მე გუამთა მათ და მეტყოდა: ესე გუამი<sup>3</sup> დედაკაცისაჲ არს და ესე მის ყრმისაჲ ვისიმე, ესე ქმნულ-კეთილისა ქალისაჲ და ესე შეუნიერისა<sup>4</sup> ქაბუქისაჲ<sup>5</sup>. აწ უკუე<sup>6</sup> განძელ, იმოთხე და აღასრულე გულის თქუმაჲ შენი, ვითარ-იგი გნებაეს.

ჟ საწყალობელო, რადენთა შრომათაჲ გნებაეს წარწყმედიჲ ამის გულის თქუმისა აღარულებითა. და ამის ცოდვისა საძაგელისათჳს გნებაესა განშორებაჲ თავისა შენისაჲ სასუფეველისაგან<sup>10</sup> ცათაჲსა?

ვამ შენდა, უბადრუკო<sup>7</sup> კაცო, რ უძღურ<sup>8</sup> არს ძალი შენი და უაუსურ<sup>9</sup> ცნობაჲ შენი, რანეთუ ერთისა გულის თქუმისათჳს ბილწისა და შეგინებულის[ა] გნებაეს წარწყმედაჲ სულისა შენისაჲ, ხოლო მე სიმამართლათა მით მყრალობისაჲთა დავეცი ქუეყანასა ზე-<sup>11</sup> და, და მოვიდა მოხუცებული<sup>10</sup> იგი შეუნიერი<sup>11</sup>, რომელი მიჩუენებდა, და აღმადგინა მე, და განმაშორა ბროლოჲ<sup>12</sup> იგი, და მივიქმეც ქუაბად ჩემდავე და ვჰმადლობდი ღმერთსა.

ჰ. ფ[ე]. (21). მითხრობდა ჩუენ მამაჲ გერონტი ევთჳის ლავრისაჲ. მე და სოფრომს, პატრიაქსა იმრუსალგმისასა, [ვითარ-<sup>10</sup> მეღ]: მე და ორნი ბერთაგანნი ვიქცეოდეთ მახლობელად ზღუა-<sup>13</sup> მკულდრისა<sup>14</sup> სოფემით კერძო.

და ვითარ ვიდოდეთ ჩუენ კლდოვანსა ნას მალალსა, ვიხილეთ ერთი ვინმე მძოვართაგანი, ვიდოდა კიდესა ზღუასაჲ ქუეშე კერძო ჩუენსა, და იყუნეს<sup>15</sup> (19ჲ) წინა მისა არაბნი. და ვითარ იხილეს<sup>16</sup> იგი, მოექცა ერთი მათგანი და მოკლ[ა] მძოვარი იგი. [ხოლო] ჩუენ შორით ვხედ[ევდ]ით და ვტბროდეთ მწუხარებითა<sup>16</sup> დიდითა უბრალოჲსა<sup>17</sup> მისთჳს სისხლისა, რომელ დაითხია უსჯულოჲსა მის მიერ. და აჰა მეყსეულად მოვიდა მფრინველი დიდი და ფრიად საშინელი, მსგავსი ორბისაჲ, და დაუშრიალა<sup>18</sup> და აღიტაცა არაბი<sup>19</sup> იგი და [ა]ღამალლა ჰაერთა შინა და მერმე გარდამოაგდო იგი ქუეყანად. და დაეცა კლ[დ]ეთა მათ ზედა და განსქდა და განიბნივნეს ყოველნი ნაწლევნი მიანი. ხოლო ჩუენ და[გ]კ[ვ]რდა ფრიად და

<sup>1</sup> ნაოცებელი C. <sup>2</sup> შეუნიერი C. <sup>3</sup> გუამი C. <sup>4</sup> მოუნიერისა C. <sup>5</sup> ქაბო-  
კისაჲ C. <sup>6</sup> უკუე C. <sup>7</sup> უბადრუკო C. <sup>8</sup> უძღურ C. <sup>9</sup> უაუსურ C. <sup>10</sup> ნაოცებ-  
ებული C. <sup>11</sup> შეუნიერი C. <sup>12</sup> ბრძოლა C. <sup>13</sup> ზღუა C. <sup>14</sup> მკულდრისა C. <sup>15</sup> იყო-  
ნეს C. <sup>16</sup> მწუხარებითა C. <sup>17</sup> უბრალოჲსა C. <sup>18</sup> დაუშრიალა C.

მივეციოთ დიდებაჲ ღმერთსა, რომელმან არა დაუტევა<sup>1</sup> კუერთხი<sup>2</sup> ცოდვილისაჲ ნაწილსა ზედა მართალთასა.

4. [ჟვ]. (25). ძმამ ვინმე იყოფებოდა ქოზიფისა მონასტერსა, და დაესწავა მას ეამისწირვაჲ ზეპირით, და არა იყო იგი მღღელ. არცა დიაკონ. და წარავლინეს იგი იერიქოდ მოღებად სეფის<sup>3</sup> კუერისა<sup>3</sup>. და ვითარ მოვიდოდა იგი, იწყო სიტყუათა<sup>4</sup> მათ ეამისწირვისათა თქუმად<sup>5</sup>. და ვითარ მოხუნა<sup>6</sup> იგინი და მისცნა დეკანოზსა, განჰმზადა დიაკონმან საკურთხეველი<sup>7</sup> და დააგზა იგინი. ხოლო ნეტარი იოანე მღღელი, რომელი ეპისკოპოს იქმნა კესარია პალესტინისასა, წარდგა ეამისწირვად და არა იხილა სული წმიდაჲ გარდამოსრული მის ზედა ჩუეულებისაებრ<sup>8</sup>. შეწოხნა<sup>9</sup> ფრიად და თქუა გონებასა თუსსა: ნუჟკუე<sup>10</sup> ვცდე ამას ღამეს წინაშე უფლისა და ამისთვის არა გარდამოჰდა სული წმიდაჲ. შევიდა საღიაკონოდ და დავარდა იგი ქუეყანასა ზედა და იწყო ტირილად. ეჩუენა მას ანგელოზი უფლისაჲ, და ჰრქუა: ძმამან მან, რომელმან მოიხუნა<sup>11</sup> სეფის კუერნი<sup>12</sup> ეგე, წართქუა მათ ზედა ლოცვაჲ იგი ეამისწირვისაჲ, (v) და არიან ეგე შეწირულ და შეწყნარებულ. ხოლო ნეტარმან იოანე ბრძანა, რაჲთა მიერ ეამითგან არლარავინ დაისწავნეს სიტყუანი ეამისწირვისანი ზეპირით ვიდრე მღღელობად-  
20 მღე მისა.

5. [ჟზ]. (30). მი[ვე]დით ჩუენ მონასტერსა ერთსა კჳპრეს და ეპოვეთ ბერი ვინმე მალატი[ელი], სახელით ისიდორე. იყოფებოდა იგი მონასტერსა მას შინა და არა დასცხრებოდა ტირილისაგან. და ვითარ ვევედრებოდეთ ჩუენ მას, დასცხრა მცირედ და თქუა:  
25 დიდ არს ცოდვაჲ ჩემი, რამეთუ არავინა არს [ა]ღამისითგან ესრეთ შეცოდებული, [ვ'რ] მე. ხოლო ჩუენ<sup>3</sup> ვარქუთ მას: ჰეშმარიტად. ძმაო, არავინ არს უცოდველ<sup>13</sup>, გარნა მხოლოჲ ღმერთი. და მან მრქუა ჩუენ: მართლიად გეტყჳ თქუენ, ძმანო ჩემნო, რამეთუ არავის კაცთაგანსა უქმნიეს<sup>14</sup> მსგავსი ცოდვისა ჩემისაჲ, არცა ა[მას]  
30 და არცა სხუასა სადა, და ნუ<sup>15</sup> ჰგონებთ, [ვ'ლ] ცუდად<sup>16</sup> ვაბრალებთაგსა ჩემსა, ვითარცა მა[ჩ]უენებელთა ყვიან, არამედ ლოცვა-ყავთ ჩემთვის და მეგაუწყო<sup>17</sup> თქუენ ძალი ცოდვისა ჩემისაჲ. რამეთუ რა-  
ეამს-იგი ვიყავ მე სოფელსა, მესუა მე ცოლი<sup>18</sup> და მაქუნდა<sup>19</sup> მე

1 დაოტევა C. 2 კუერთხი C. 3 სეფის კუერისა C. 4 სიტყუათა C. 5 თქომად C. 6 მოიხონა C. 7 საკურთხეველი C. 8 ჩუეულებისაებრ C. 9 შეწოხნა C. 10 ნოკჳ C. 11 მოიხონა C. 12 სეფის კუერნი C. 13 ოცოდველ C. 14 ოქმ'ნეს C. 15 ნო C. 16 ცოდად C. 17 გაოწყო C. 18 ცული C. 19 მაქონდა C.



წვალეზა სევეროზისი. დღესა ერთსა განვე[დ] მე უბნად<sup>1</sup>. და ვითარ მოვედ მე შინა, არა ვპოვე ცოლი ჩემი. და მითხრეს მე, ვითარმედ [წარ]სრულ არს იგი მოძმისა ჴუენისა ხუცისა<sup>2</sup> ზიარებად, რამეთუ იყო იგი მართალსა სარწმუნოებასა [ა]ღმსაარებელი. ხოლო მე სრბით მივედ მისა, რაჟამცა დავაყენე იგი ზიარებისაგან. <sup>1</sup>  
(195) და ვითარ მივედ მე, ვპოვე იგი ზიარებული. და აქუნდა<sup>3</sup> მარგალიტი იგი პირსა მისსა, ხოლო მე უპყარ<sup>4</sup> ყიჟა მისი და ვიწყე შობად, ვიდრემდის წარმოაგდო<sup>5</sup> წმიდაჲ წმიდათაჲ. და აღვიღე იგი და გარდავაგდე და შთავაგდე ნწკრესა საძაგელსა ფრიად. და მყის მოიწია ელვაჲ საშინელი და აღიტაცა წმიდაჲ იგი <sup>10</sup>  
მარგალიტი. და შემდგომად ორისა დღისა ვიხილე კაცი ვინმე შავი, ძონძითა მოსილი, რომელი მეტყოდა მე: მე და შენ ერთითა განკითხვითა განკითხვად ვართ სატანჯველსა მას შინა ერთსა. ხოლო მე ვარქე<sup>6</sup> მას: და შენ ვინ ხარ? და მან მრქუა: მე ვარ, რომელმან ვეც უფალსა ლაწუსა<sup>7</sup> მისსა. და მე, ვითარცა მესმა ესე, გულსიჴნა-ყაყი, <sup>15</sup>  
რამეთუ დიდ არს ცოდვაჲ ესე ჩემი. და ამისთჳ ვტირ და არა დავსცხრები გოდებისაგან, რაჟთა მოწყალე მექნეს მე უფალი დღესა მას სასჯელისასა და არა ცოდვათა ჩემთაებრ წარმწყმიდოს.

6. [ტ]. (36). მითხრობდა ვინმე ჩუენ მამათაგანი წმიდისა ეფრემისა, რამეთუ იყო პატრიაქი ანტიოქიისაჲ, ვითარმედ დიდი შური<sup>8</sup> <sup>20</sup>  
აქუნდა საღმრთოჲ, და იყო იგი მჭურვალე სარწმუნოებითა. და ეუწყა<sup>9</sup> მას მესუეტისა<sup>10</sup> ვისთჳსმე, ვითარმედ არს იგი სარწმუნოებასა ზედა სევეროზ მწვალებელისასა. აღდგა და მივიდა იგი მისსა, რაჟთამცა მოაქცია იგი წვალებისა მისგან. და ვითარ<sup>101</sup> მიიწია ნეტარი იგი, იწყო სწავლად მესუეტისა<sup>11</sup> მის და ეტყოდა: მოი- <sup>25</sup>  
ქეც ცთომ(ν)ილებისაგან და აღიარე სარწმუნოებაჲ წმიდათა ზოციქულთაჲ და მოვედ კათოლიკე ეკლესიად. მიუგო მესუეტემან<sup>12</sup> მან და ჰრქუა: მე სარწმუნოებასა ჩემსა არ[ა] დაუტეობ<sup>13</sup>. ჰრქუა მას წმიდამან ეფრემ: და ვითარ გნებავს შენ<sup>14</sup> განკურნებაჲ, რამეთუ მადლითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა განთავისუფლებულ<sup>15</sup> არს წმიდაჲ ეკლესიაჲ ყოვლისაგან ვნებისა და სწავლისაგან ნწვა- <sup>30</sup>  
ლებელთაჲსა. ჰრქუა მას მესუეტემან მან: ალაგზენით ცეცხლი და შევიდეთ მას შინა მე და[შენ], და რომელი გამოვიდეთ მისგან უვნებელ<sup>16</sup>,

<sup>1</sup> ობნად C. <sup>2</sup> ხოცისა C. <sup>3</sup> აქონდა C. <sup>4</sup> ოპყარ C. <sup>5</sup> წარმოაგდო C. <sup>6</sup> ვარქო C. <sup>7</sup> ლაწოსა C. <sup>8</sup> შური C. <sup>9</sup> ეოწყა C. <sup>10</sup> მესუეტისა C. <sup>101</sup> ვ[დ] (!). <sup>11</sup> მესუეტისა C. <sup>12</sup> მესუეტემან C. <sup>13</sup> დაოტეობ C. <sup>14</sup> განებავს შენ C. <sup>15</sup> განთავისუფლებულ C. <sup>16</sup> ოვნებელ C.

იგი არს ჰეშმარიტსა და მართალსა სარწმუნოებასა, და მას შეუდგეთ<sup>1</sup>. და ესე ამისთჳს ჰრქუა, რაჲთამცა პატრიაქი შეაშინა. მიუგო<sup>2</sup> მან და ჰრქუა: [ჯე]რი(?) იყო შენდა, შვილო, რაჲთა ისმინო ჩემი, ვითარცა [მა]მისა შენისაჲ, ხოლო უკუეთუ<sup>3</sup> გამოცდაჲ გნებავს, ვუთ ეგრე. და ჰრქუა ერსა მას წმიდამან ეფრემ: კურთხეულ არს უფალი, რაჲთა მომართუათ მე შე[შაჲ]. და ვითარ მოილეს, დიდად შეუღდა<sup>4</sup> მას ც[ეცხ]ლი წინაშე სუტსა მის[სა] და ჰრქუა მას: გარ[და]მოჰქედ! ვითარცა განჰბრქე, ეგრეცა [ვყოთ და შევიდეთ ცეცხლსა ამას მე და [შენ]. მაშინ დაუკვრდა<sup>5</sup> მესუეტესა<sup>6</sup> მას მტკიცე [იგი] სარწმუნოებაჲ პატრიაქისაჲ და მინდობაჲ მისი უფლისა მიმართ, და არა ინება მან გარდამოსლვ[აჲ], შეეშინა მას, და შეიპყრა იგი ზარმან. ჰრქუა მას პატრიაქმან: არა შენ განაწესეა საქმე, რაჲთამცა აღასრულე იგი წინაშე ყოველთასა? აწ რაჲსათჳს არა გნებავს გარდამოსლვაჲ? მაშინ გან[იჯა]და ფილონი თჳსი, და მიეახლა ცეცხლსა მას და იტყოდა: ჰ უფალო ჩემო იესუ ქრისტე და ღმერთო ჩუენო, რომელი (196) ჩუენისა ცხორებისათჳს განჰკაცენ ქალწულისა მარიაჲმისგან, გჯჩუენე ჩუენ ჰეშმარიტი. და ვითარ აღასრულა ლოცვაჲ, შეაგდო ფილონი იგი თჳსი ცეცხლსა მას შინა. და ვითარ დაყო ნყოვარ<sup>7</sup> ეამ მუნ<sup>8</sup> შინა, და შემდგომად

<sup>20</sup> მისა აღიღო იგი უენებელი<sup>9</sup>, და სული ცეცხლისაჲ არა იყო ყოლადვე მის თანა. და ვითარ იხილა ესე მესუეტემან<sup>10</sup> მან, შეაჩუენა<sup>11</sup> სევეროზ და წვალეებაჲ იგი მისი ბოროტი და შეერთო წმიდასა და დიდებულსა კათოლიკე<sup>12</sup> ეკლესიასა და ეზიარა საიდუმლოთა<sup>13</sup> უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესთა კელითა ნეტარისა ეფრემისითა.

<sup>25</sup> და ყოველსა ეამსა აღიდებდა ღმერთსა კეთილთა მისთა ზედა.

7. [ჟთ]. (194). ბერი ვინმე სკიტეს მყოფი აღსრულ იყო აღექსანდრიას კელთა საქმრისა თჳსისა განსყიდად. და იხილა კაბუკი ვინმე მონაზონი, შემავალი ქულბაგსა მეღვინისასა, და შეწუზნა<sup>14</sup> ფრიად, და დგა და ელოდა გამოსლვასა მისსა. და ვითარ გამოვიდა

<sup>20</sup> იგი, განიყვანა კიდე და ჰრქუა მას: შვილო ჩემო, არა უწყია, რაჲმეთუ გმოსიეს შენ სქემაჲ წმიდათაჲ და ხატი ანგელოზთაჲ, და ხარ შენ კაბუტ<sup>15</sup> და მახენი ეშმაკისანი მრავალ არიან? ანუ<sup>16</sup> არა უწყია<sup>17</sup>, რაჲმეთუ მიზეზითა ხედვისაჲთა და სმენითა სიცილისაჲთა წარწყინდებიან მონაზონნი ქალაქთა შინა და მისთჳს იელტიან იგი-

<sup>1</sup> შეოდგეთ C. <sup>2</sup> მიოგო C. <sup>3</sup> ოკთო C. <sup>4</sup> შეოდვა C. <sup>5</sup> დაოკრდა C. <sup>6</sup> მესუტსა C. <sup>7</sup> მყევარ C. <sup>8</sup> მონ C. <sup>9</sup> ოენებელი C. <sup>10</sup> მესუტემან C. <sup>11</sup> შეაჩუენა C. <sup>12</sup> კათოლიკე C. <sup>13</sup> საიდუმლოთა C. <sup>14</sup> შეწოზნა C. <sup>15</sup> კაბოკ C. <sup>16</sup> ანო C. <sup>17</sup> ოწყია C.

ნი უდაბნოდ? შენ ვითარ იკადრე და შეხუედ<sup>1</sup> მოსმურთა<sup>2</sup> თანა, და გესმის მუნ შინა, რომელი შენ არა გინდა და ხედავ, რომელი გნებავს არა ხედვად, (v) და მამათა და დედათა თანა აღერევი? ნუ: შეილო ჩემო, ნულარა ჰყოფ ესევეითარსა საქმესა, არამედ ისმინე ზრახებაჲ<sup>3</sup> ჩემი და იელტოდი უდაბნოდ<sup>4</sup>, სადა-იგი შეწყენითა ღმრთისაჲთა შემძლებელ იქმნე განჩინებად სულისა შენისა. მაშინ ჰრქუა მას ჰაბუქმან მან: წარვედ, ბერქო კეთილო. გზასა წენსა, რამეთუ ღმერთი არა ე[თი]ებს გარნა გულსა წმიდასა. მაშინ ბერმან აღიპყრ<sup>5</sup>ნა ჯელნი თჳსნი ზეცად და თქუა: გმადლობ შენ, უფალო იესუ ქრისტე, საკრველებასა ამას ზედა; [მა]ქუს მე სკიტეს შინა ორმეოცდაათხუთმეტი წელი და ვერ მოვიპოვე<sup>6</sup> გუ[ლი], და ამას მოსმურთა<sup>2</sup> თანა აღრე[ვით] მოუპოვებოეს<sup>8</sup> გული წმიდაჲ. და ვითარცა ესე [თქუა], მიიქცა სენაკადვე თჳსა მშჯლობით.

8. [რ]. (205). ჰაბუქი ვინმე მონაზონი წარივლინა მონასტრისა მსახურებასა<sup>7</sup>, და მი-რახ-ვიდა, დაადგრა იგი კაცისა ვის თანამე<sup>10</sup> ღმრთის მსახურისა, რომელსა ესუა ასული მხოლოდ-შობილი. და იყო დედაჲ მისი, აღსრულებულ იყო რავდენიმე დღე. ხოლო ეშმაკი რომელი მოსწრაფე არს წარწყმედასა კაცისასა, აღძრა ძმაჲ იგი ქალისა მის მიმართ გულის სიტყუთა ბოროტითა, ვიდრემდის მიდრიკა გონებაჲ მისი სრულიად. და მანვე ეშნაკმან, რომელ-<sup>10</sup> ნან ბრძოლაჲ იგი შეუმზადა<sup>8</sup>, საფრტეცა შექმნა განმარჯუებისაჲ ცოდვისა მისთჳს. რამეთუ საქმე დიდი წარმოუჯდო<sup>9</sup> კაცსა მას, წარვიდა ასკალონად. ხოლო ძმამან მან ვითარ იხილა ესევეითარი სინარჯუე, მივიდა მისა, რათამცა სრ(197)ულებით განხრწნა იგი. ხოლო ქალწულმან მან, ვითარ იხილა იგი აღზრზენილი მწურვალედ<sup>10</sup> <sup>15</sup> საქმისა მისთჳს ბოროტისა, ჰრქუა მას: ნუ აღშფოთნები და ნუცა<sup>11</sup> იურვი<sup>12</sup> ჩემთჳს, რამეთუ მამაჲ ჩემი არა მოვალს<sup>13</sup> არცა დღეს, არცა ხვალე, არამედ ისმინე სიტყუაჲ ჩემი პირველად, და მე, რახცა ენებოს ღმერთსა, ვყო გონებითა კეთილითა ნებისაებრ შენისა. და შემდგომად ამისა ღონის ძიებით ჰრქუა მას: ღმრთისათჳს, მი-<sup>30</sup> თხარ მე, ძმაო, რავდენი წელი გაქუს<sup>14</sup> მონასტერსა შინა? ხოლო მან ჰრქუა: ათშუდმეტი. მერმე ჰრქუა მას: იცია დედაკაცი კორცი-<sup>1</sup> თა? ხოლო მან ჰრქუა: არა. მაშინ ჰრქუა მას ქალმან მან: ჰ საქმე ბოროტი! აწ უკუე<sup>15</sup> გემოჲსათჳს ერთისა ეამისა გნებავს წარწყმე-

<sup>1</sup> შეხუედ C. <sup>2</sup> მოსმორთა C. <sup>3</sup> ზარახებაჲ C. <sup>4</sup> ოდაბ'ნოდ C. <sup>5</sup> მოვიპოვე C. <sup>6</sup> მოუპოვებოეს C. <sup>7</sup> მსახურება C. <sup>8</sup> შეუმზადა C. <sup>9</sup> წარმოუჯდო C. <sup>10</sup> მწურვალედ C. <sup>11</sup> ნოცა C. <sup>12</sup> იორვი C. <sup>13</sup> მუვალს C. <sup>14</sup> გაქოს C. <sup>15</sup> უყოფ C.

დაე შრომისა შენისაჲ, რომელი ესეოდენთა წელთა შეიკრიბე? ანუ<sup>1</sup> რავდენ გზის დაგიტხევიან ცრემლნი შენნი სულ-თქუმით წინაშე ღმრთისა, რაჲთამცა განერე სიბილწისაგან და განსწმიდე გუამი შენი და უბრალოჲ<sup>2</sup> წარმოსდეგ წინაშე ქრისტესა!? და აწ ესე ყოველნი ლუაწლნი, რომელნი დაგიტმენიან სულისა შენისათჳს, მათი გნებავსა მცირისა გემოჲსათჳს წარწყმედაჲ? შენ უწყი<sup>3</sup>, ვითარცა გნებავს, ყაჲ და ამასცა გეტყჳ შენ, უკუეთუ<sup>4</sup> თანა-მეყო მე, ჯერ-არს შენდა, რაჲთა წარმიყუანო მე და მზრდიდე ვითარცა მე-უღლესა<sup>5</sup>. ჰრქუა მას ძმამან მან: ეგე ვერ ეგების ყოფად. მიუგო<sup>6</sup> ქალმან მან და ჰრქუა: მართლიად გეტყჳ შენ, უკუეთუ<sup>4</sup> მაიძულო, მრავალი მწუხარებაჲ<sup>7</sup> მოვაწიო შენ ზედა. ჰრქუა მას ძმამან მან: ვითარ? მიუგო<sup>6</sup> ქალმან: პირველად სული შენი წარსწყმიდო და და მეორედ სიტყუაჲ მიგეტადოს შეგინებისათჳს სულისა ჩემისა. და ესეცა უწყოდე<sup>8</sup>, ფიცით გითხრობ შენ: უკუეთუ<sup>4</sup> შენ უნებლე-  
<sup>10</sup> ბით<sup>9</sup> მაიძულე, ჩენ მიერ ბოროტი შეგემთხვოს, რამეთუ მყის თავი მოვიშთო<sup>10</sup> მე და შენ კაცის-მკლველთა და მეძაფთა თანა დაი-საჯო. აწ უკუე<sup>11</sup>, ვიდრე დაცემად<sup>(v)</sup>მდე შენდა და შევრდომად ბო-როტსა, აღდგომილი მიიქეც მონასტრადვე შენდა მშუღობიო და უწყოდე<sup>12</sup>, რამეთუ მომიჯნენო მე, მრავალ გზის მლოცვიდე. მაშინ  
<sup>20</sup> ძმაჲ იგი სიტყუათა მათ ზედა მოეგო გონებასა თჳსსა და შეინანა საქმე იგი, და მსთუად წარვიდა მონასტრადვე თჳსა, და შეუვრდა<sup>13</sup> მამასახლისსა და აღუარა ყოველი, და ყო აღთქმნაჲ<sup>14</sup>, რაჲთა არ-  
<sup>1</sup> ლარა განვიდეს მონასტრით და დაყოს თუ<sup>(v)</sup><sup>15</sup> სინანულსა შინა. და შემდგომად მისა შეისუენა და მი[ვიდა] წინაშე უფლისა უბრალოჲ<sup>16</sup>  
<sup>28</sup> ცოდვისა მისგან.

9. რ[ა]. (105). მითხრობდა ჩუენ ბერი ქრისტეფორესთჳს, რომელი იყოფოდა მონასტერსა წმიდისა თევდოსისსა, ვითარმედ: დღესა ერთსა შეურდი<sup>17</sup> მას და ვარქუ<sup>18</sup>: ყაჲ სიყუარული, მამაო, და მითხარ მე, ვითარ სცხონდებოდე სიკებაუქესა შენსა? და ვითარ განვამრავ-  
<sup>20</sup> ლე ვედრებაჲ ჩემი, და გულისკმა-ყო ბერმან, რამეთუ სარგებე-ლისათჳს სულისა ჩემისათჳს ვჰკითხაჲ მას, მითხრა მე.—რაჲმს აღვი-კუეცე და დავეწესე მონაზონად, და დიდი მჭურვალეებაჲ<sup>19</sup> მაქუნდა<sup>20</sup>, შეილო ჩემო, და [მრავა]ლნი გულის სიტყუანი იყუნეს<sup>21</sup> გულსა ჩემსა,

<sup>1</sup> ანო C. <sup>2</sup> თბროლოჲ C. <sup>3</sup> ოწყი C. <sup>4</sup> ოქთო C. <sup>5</sup> მეოღლესა C. <sup>6</sup> მიო-გო C. <sup>7</sup> მწუხარებაჲ C. <sup>8</sup> ოწყოდე C. <sup>9</sup> უნებლებით C. <sup>10</sup> ნუვიშთო C. <sup>11</sup> ოკ-თე C. <sup>12</sup> ოწყოდე C. <sup>13</sup> შეორდა C. <sup>14</sup> აღთქმნაჲ C. <sup>15</sup> თუ<sup>(v)</sup> C. <sup>16</sup> თბრალოჲ C. <sup>17</sup> შეოვრდი C. <sup>18</sup> ვარქო C. <sup>19</sup> მჭურვალეებაჲ C. <sup>20</sup> მაქუნდა C. <sup>21</sup> იყუნეს C.

და დღე ფსალმუნსა ვიწურთიდი<sup>1</sup>, ხოლო ღამით შთავიდი მე ქუ-  
 [აბ]სა, სადა-იგი არს სათლავი წმიდისა თევდოსისი და სხუათ[ა] ნა-  
 მათანი. და სლვასა მას ჩემსა ყოველსა ზედა პ[არე]ხსა კიბისა[სა]  
 (რიცხვსაებრ თურამეტი)<sup>2</sup>, ასი მ[ოვე]დრიკი. და ვითარ შთავიდი მე  
 ქუაბად, დავადგერ ლოცვასა შინა ვიდრე ცისკრისა ეამადმდე, და  
 რაჟამს [და]რეკის დეკანოზმან, აღვიდი მე და აღვასრული ცისკრისა  
 გალობაჲ ძმათა თანა. და დავყავ [ზრომა]სა შინა ათვრთმეტი წელი  
 დაუკლებელად და მოუმედგრებელად სხუათა ღუაწლთა და შრომა-  
 თა მარხვითა დიდითა და მუცლისა შეკრძალებითა, უპოვარებითა და  
 მორჩილებითა და ჯორცთა განკაფითა. და დღესა ერთსა მოვედ მე<sup>10</sup>  
 ქუაბად მი[მწუხ](198)რი ჩუეულებისაებრ, რაჟთამცა ვილოცე და აღ-  
 ვასრულე განწესებული იგი რიცხვ ზუქლთა<sup>3</sup> დრეკისაჲ. და შთავედ  
 ქუაბად. აღტაცებულ ვიქმენ მე გონებითა და ვიხილე ქუაბი იგი საე-  
 სე კანდლებითა, ზოგი ენთებოდა და ზოგი არა. და ვიხილენ ორნი  
 ვინმე სპეტაკითა მოსილნი, აღანთებდეს კანდლებსა მას, და ვარქუ<sup>15</sup>  
 მათ: რაჲსათჳს არა მიტეობთ ჩუენ ქუაბსა ამა[ს] ლოცვად, რაზეთუ  
 დაგიდგამს კანდლები ეგე ქუეყანასა ზედა? ხოლო მათ მრქუეს მე:  
 ესე კანდლები მამათაჲ არს. და მე კუალად ვარქუ მათ: რაჲსათჳს  
 რომელიმე ენთების და რომელიმე არა? და მრქუეს მე: რომელთა  
 ჰნებაჲს კანდელი მათი, აღანთე[ბენ], და რომელთა არა ჰნებაჲს,<sup>20</sup>  
 დავსებულ არს. ხოლო მე ვარქუ მათ: ყავთ სიყუარული და მი-  
 თხართ მე, უკუეთუ კანდელი ჩემი ენთებისა, ანუ არა? მრქუეს მე:  
 ილოცედი და ჩუენ აღვანთოთ. ვარქუ მათ: და მე აქა ეამადმდე  
 არღა მილოცაჲსა და ჟამთა ამათ ყოველთა არა საზე ვიქმოდე?  
 და ამას სიტყუასა ოდენ მოვეგე გონებასა ჩემსა, მიმოვიხილე და<sup>25</sup>  
 არაინ-რაჲ ვპოვე. მაშინ ვარქუ თავსა ჩემსა: ჰ საწყალობელო  
 ქრისტეფორე, უკუეთუ<sup>4</sup> გნებაჲს ჯსნაჲ სულისა შენისაჲ, მრავალი  
 შრომაჲ გიჴმს მოპოვნებად. და ხვალისა დღე გამოვედ მონასტრით  
 და წარვედ სინად, და არა წარვიტანე თანა გარნა სამოსელი ხო-  
 ლო, რომელი ნემოსა ჯორცთა ჩემთა. და დავყავ მუნ ერგასისი წე-<sup>30</sup>  
 ლი. და შემდგომად მისა მოიწია ჩემდა ჴნაჲ, რომელი მეტყოდა:  
 ქრისტეფორე, ქრისტეფორე. აღდგე და მოიქეც მონასტრაღვე  
 ჴენდა, სადა-იგი შურებოდე ჰირველად ღუაწლითა კეთილითა, რაჲ-  
 თა აღესრულო მუნ და დაეფლა მამათა თანა შენთა. და ვითარ  
 მითარა ესე ყოველი ნეტარმან ბერმან, შემდგომად მცირედისა შე-<sup>35</sup>  
 ისუნა და დაეფლა წმიდათა მამათა თანა ქუაბსა მას შინა.

<sup>1</sup> ვიწორთიდი C. <sup>2</sup> თურამეტი C. <sup>3</sup> მოქლთა C. <sup>4</sup> უკუთო C.

10. [რბ]. (127). გვთხრობდეს ჩუენ, ვითარმედ: იყო ვინმე მთა[სა] სინასა კაცი მოლუა[წე], შემკობილი სათნოებითა, სახელით გიორგოს. და დიდსა შაბათსა აღიძრა გულის სიტყუთა, იყო რაჲ იგი მჯდომარე სენაკსა შინა თუსსა. და იტყოდა: ვინმეა მყო მე დღეს იპრუსალემს (v) შინა, რაჲთამცა ღირს ვიქმენ საიდუმლოთა უფლისათა. [აღი]არებდა წმიდასა შინა აღდგომასა. და დაადგრა დღე ლოცუად წადიერებასა მას შინა და სურვილსა წმიდისა აღდგომისათჳს, და ილოცვიდა. და ვითარ იყო მიმწუხრი, მოვიდა მოწაფე მისი და ჰრქუა [მოძლუა]რსა: მოვედ, მამაო, ეკლესიად, რამეთუ <sup>10</sup> ეამი არს ლოცვისაჲ. ჰრქუა მას ბერმან: წარვედ, შეილო, და ოდეს [მო]იწიოს ეამი ზიარებისაჲ, მაუწყე მე. და დგა ბერი ლოცუადვე შინა თუსსა მითვე გულის სიტყუთა. და მოიწია ეამი ზიარებისაჲ. აღდგომისა შინა იპოვა ბერი გუერდით პატრიაქსა, და აზიარა იგი ჳელითა თუსითა საიდუმლოთა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესთა. <sup>15</sup> და იხილა იგი ნეტარმან პატრიაქმან, ჰრქუა სჯნ[კე]ლსა თუსსა: ოდეს მოვიდა მამაჲ და წინამძღუარი სინისაჲ? მიუგო<sup>1</sup> და ჰრქუა: მართლიად გეტყუ, მამაო, წმიდამან ლოცუამან შენმან, არ[ა] მიხილ[ავს] იგი, გარნა აწ-ლა ეამსა ამას.

